საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№18 (205)
22 - 28 მაისი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**ნარკომანთა რაოდენობა საქართველოში 20 პროცენტით გაიზარდა** 17



## რატომ დააკავეს ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ჭიაბერაშვილი 2



## თუ საპრეზიდენტო არჩევნებში სამოქალაქო სექტორი ღირსეულ კანდიდატს წარადგენს, ხელისუფლება არჩევნებს სამარცხვინოდ წააგებს

«ვოცნებობ, ისეთი პრეზიდენტი ან პრემიერი მოვიდეს, რომელიც გრანტიჭამიებს თავის ადგილს მიუჩენს» 4

გია შერგაშიძე:
**ჩემზე თავდასხმა უშუალოდ ვანო მერაბიშვილმა დაგეგმა** 8

**ნატო-ევროპა გვინდებლარიენ? მაშინ უნდა ჩავიხადოთ** 11

დიმიტრი ლორთქიფანიძე:
**«თავისუფლების ინსტიტუტმა» პირდაპირი იერიში მიიტანა ქართულ ეკლესიასა და მის სულიერ მოძღვარზე** 13

გურამ ფირცხალავა:



## თუ ნატო ითხოვს, რომ გეიაღლუმი ჩავატაროთ, მაშინ არც ნატო მინდა და არც ევროკავშირი 10



## გვჭირდება თუ არა კანონი რელიგიური გრძნობების დაცვის შესახებ?! 3

**ბაპტისტობაში ეჭვმიტანილი სახალხო დამცველი მართლ-მადიდებელი მღვდლების დასჯას ითხოვს** 14

მამა ელიზბარი:
**სახალხო დამცველს გადაეცით — ვაი, შენს პატრონს-თქო!** 15

## «პროვოკაციებს, რომელთაც აშკარა ომამდე მივყავდით, ქართული მხარე აწყობდა» 9

## «თეთრი მელას» თუ «ჭრელი კურდღლის» პრეზიდენტობის შემდეგ «კაცი პლასტელინის» არჩევაც არ უნდა გაგვიკვირდეს 5



**პედოფილია — უმოკლესი გზა ევროპული ჯოჯოხეთისკენ** 18

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სამართალი

**საქართველოში უმუშევართა აღრიცხვისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებიდან 5,2 მილიონი ლარი უკანონოდ ჩაერიცხა დაახლოებით 22 ათას პირს, თითოეულს 240 ლარის ოდენობით. მითითებული პირები მოჩვენებითად გააფორმეს, როგორც შტატგარეშე თანამშრომლები, სინამდვილეში მათ არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ, ხოლო ფული მიიღეს მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ ხმის მიცემისა და საარჩევნო აგიტაციის წარმოების სანაცვლოდ. ამრიგად, ივანე მერაბიშვილის ქმედებით სახელმწიფომ იზარალა 5,2 მლნ ლარი.**

# რატომ დააკავეს ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ჭიაბერაშვილი



**21 მაისს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში ექვმიტანილად დაკითხვაზე დაიბარეს და ბრალი წაუყენეს ყოფილ შს მინისტრს და პრემიერ-მინისტრს, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივანს — ვანო მერაბიშვილს და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ყოფილ მინისტრს, კახეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს — გუბერნატორს ზურაბ ჭიაბერაშვილს. დაკითხვის შემდეგ ორივე დააკავეს და პროკურატურამ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. იმავე დღეს მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა განცხადება, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.**

„გვსურს, გაცნობოთ, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში საქართველოს პროკურატურა აწარმოებდა კომპლექსურ ღონისძიებებს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის — ივანე მერაბიშვილის მიერ უმაღლეს სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში ადამიანისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული არაერთი დანაშაულებრივი ქმედების ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების მიზნით.

**დანაშაულების ჩადენის ადგილის, სიმძიმისა და საქმეების სირთულის მიხედვით, გამოძიების წარმართვაში ჩართული იყვნენ როგორც პროკურატურის ტერიტორიული ორგანოები, ასევე მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი.**

ამ ეტაპზე შეგვიძლია გახსნილად გამოვაცხადოთ ივანე მერაბიშვილის კორუფციული საქმიანობის ორი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელთაგან პირველი საყურადღებო და პრიორიტეტულია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი ჩადენილია ამ უკანასკნელის საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის დროს.

შევეცდებით, მოკლედ და საზოგადოებისთვის გასაგებად აღვწეროთ მითითებული დანაშაულების შინაარსი და სახელმწიფოსთვის დამდგარი შედეგები.

ამასთანავე, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ **გამოძიების პროცესში უკვე მოპოვებულია დაახლოებით ასეულობით ერთმანეთთან შეთანხმებული და დამაჯერებელი მტკიცებულება,** რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასკვნისთვის, რომ ივანე მერაბიშვილმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1641, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის ბ ქვეპუნქტით და 332-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

**ეპიზოდი პირველი:**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ ამომრჩეველთა მოსყიდვის, აგრეთვე, სახელმწიფო სახსრებით დასახელებული პარტიის შენიღბული და ფარული დაფინანსების მიზნით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ზურაბ ჭიაბერაშვილთან და სხვა პირებთან ერთად დაგეგმა და განახორციელა თვალთმაქცური ოპერაცია, რომლის მიხედვითაც, **საქართველოში უმუშევართა აღრიცხვისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებიდან 5,2 მილიონი ლარი უკანონოდ ჩაერიცხა დაახლოებით 22 ათას პირს, თითოეულს 240 ლარის ოდენობით. მითითებული პირები მოჩვენებითად გააფორმეს, როგორც შტატგარეშე თანამშრომლები, სინამდვილეში მათ არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ, ხოლო ფული მიიღეს მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ ხმის მიცემისა და საარჩევნო აგიტაციის წარმოების სანაცვლოდ. ამრიგად, ივანე მერაბიშვილის ქმედებით სახელმწიფომ იზარალა 5,2 მლნ ლარი.**

**ეპიზოდი მეორე:**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ივანე მერაბიშვილს დასვენებისთვის მოეწონა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. კვარიათში ზღვის პირას მდებარე შპს „საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის“ კუთვნილი ფეშენებელური აგარაკი და **2009 წლის მაისში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით და დაშინებით დაიკავა იგი და ოჯახთან ერთად თითქმის ოთხი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ სარგებლობდა ამ ქონებით.** მანვე, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და, **სხვისი აგარაკის საკუთარი ოჯახის წევრების გემოვნებით მოწყობის მიზნით, გაარემონტა იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებებით.** დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ივანე მერაბიშვილის მიერ გამოყენებულ იქნა საიდუმლო ხარჯები, რომლითაც, კანონის თანახმად, უნდა დაფინანსებულიყო დანაშაულთან ბრძოლისთვის გათვალისწინებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებები. **მისივე განკარგულებით, სამინისტროს ბიუჯეტიდან იფარებოდა აგარაკზე მომუშავე დამხმარე პერსონალის სახელფასო ანაზღაურებაც. შედეგად, სახელმწიფოს მიადგა 158 ათასი ლარის ზიანი.**

**ივანე მერაბიშვილი დაკავებულია.** მისთვის ინკრიმინირებული ქმედება ითვალისწინებს 7-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. საქართველოს პროკურატურა სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე, რადგან არსებობს უტყუარი მასალები, რომ ეს ერთადერთი საშუალებაა მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად.**

იმავე დროს, გვინდა განვაცხადოთ, რომ, ფაქტობრივად, დასრულებულია გამოძიება კიდევ ორ ეპიზოდზე, კერძოდ, პირველი შეეხება **2011 წლის 26 მაისს საპროტესტო აქციის დაშლის დროს,** ივანე მერაბიშვილის უშუალო დავალებით, ორგანიზებითა და პირადი კონტროლით, საპოლიციო ქვედანაყოფების მიერ მშვიდობიანი, ალყაშემორტყმული მოქალაქეების წინააღმდეგ აშკარად არათანაზომიერი, არაპროპორციული და გადაჭარბებული ძალის განზრახ გამოყენებას, რის შედეგადაც გარდაიცვალა ორი და ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო მრავალმა ადამიანმა.

მეორე ეპიზოდი უკავშირდება უკანასკნელი წლების ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ **ალექსანდრე (სანდრო) გირგვლიანის მკვლელობის საქმეს,** რომლის დეტალური და ეფექტური გამოძიებით პროკურატურის მიერ, პრაქტიკულად, სრული სიზუსტით აღდგენილია შემთხვევის ვითარება, დადგენილია მასში მონაწილე ყველა პირი, გარკვეულია დანაშაულის რეალური მოტივი, მისი ორგანიზატორები და ამსრულებლები.

შეგროვებული მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებულია, რომ **სწორედ ივანე მერაბიშვილმა, სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, საკუთარი მეუღლის — თამარ (თაკო) სალაყაიას, აგრეთვე, მასთან დაახლოებული სხვა პირების მომხდარი დანაშაულისგან ხელოვნურად განრიდების მიზნით, უზრუნველყო მოცემულ საქმეზე უკანონო, ფალსიფიცირებული სამართალწარმოების განხორციელება და შეგნებულად შეუშალა ხელი ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას.**

უახლოეს პერიოდში ივანე მერაბიშვილს ზემოაღნიშნულ ორ ეპიზოდთან დაკავშირებით წარედგინება დამატებითი ბრალდება, ხოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება სრულყოფილი ინფორმაცია გამოძიების შედეგების თაობაზე.

ივანე მერაბიშვილთან ერთად დაკავებულია საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი“, — **ნათქვამია განცხადებაში.**

# დიმიტრი ალექსიძე: 2007 წელს ვანო მერაბიშვილის ცოლი — თაკო სალაყაია ჩამოვსვი მანქანიდან, რომელიც აზერბაიჯანელებს წაართვეს

**ადვოკატმა დიმიტრი ალექსიძემ ციხეში სამი წელი გაატარა, რასაც ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან დაპირისპირებას უკავშირებს და ამასთან, ამბობს, რომ ზურაბ ადეიშვილის პირადი პატიმარი იყო. დიმიტრი ალექსიძე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება.**

— ჩემი დაპატიმრება ხელისუფლების მაღალჩინოსნების ინტერესებთან დაპირისპირებამ გამოიწვია. 1997 წელს პირველი კერძო არბიტრაჟი დავაფუძნე, 2009 წელს კი სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება-თაღლითობის ბრალდებით დამაპატიმრეს. თითქოს მევახშეების უფლებები შევლახე და დავარღვიე კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, როდესაც ერთ-ერთ მევახშეს არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება ავუკრძალე. გამომძიებელმა საქმიდან ჩემი დაკითხვის ოქმი მოიპარა და ისე მომისაჯეს სასჯელი, საქმეში ჩემი დაკითხვის ოქმიც არ არსებობდა.

**ჯერ კიდევ 2007 წელს, ვანო მერაბიშვილის ცოლი — თაკო სალაყაია ჩამოვსვი მანქანიდან, რომელიც აზერბაიჯანის მოქალაქეებს მხოლოდ იმიტომ წაართვეს, რომ სალაყაიას მოეწონა. ჯერ კიდევ მაშინ გამაფრთხილეს, რომ ეს ამბავი უკვალოდ არ ჩაივლიდა.**

ამას გარდა, მქონდა რამდენიმე საქმე, რომლებიც ხელისუფლებასთან ჩემი დაპირისპირების მიზეზი გახდა. ქალბატონ ანა სანდომისაშვილის უფლებებს ვიცავდი, რომლის ბინის ხელში ჩაგდებაც მევახშეებს სურდათ. ლელა ხარატის საშუამავლო ფირმაში ამ ქალბატონს მოტყუებით გააფორმებინეს ხელშეკრულება და თანხაც არ გადაუხადეს. **მევახშეებს მფარველობდა მადონა ჭეიშვილი, რომელიც დავით საყვარელიძის დედა გახლავთ.** მევახშეები შემდეგი სქემით მოქმედებდნენ: სამიოთხი კაცი აფორმებდა გირავნობის ხელშეკრულებას, გასესხებდნენ გარკვეულ თანხას, შემდეგ ერთ-ერთი მიდიოდა ბარისტერში, რომელიც კახეთის ვიცე-გუბერნატორ გიორგი სიბაშვილს ეკუთვნოდა, და იქ ხდებოდა ვადაზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტა და თანხის დაანგარიშება. მე, როგორც არბიტრაჟის თავმჯდომარე, მათი უკანონო გეგმების განხორციელებაში ხელს ვუშლიდი.

**ასევე ვიცავდი ტოპიც ყურბანოვის უფლებებს, რომელსაც თემურ ჟღენტმა საბუთების გაყალბების გზით წაართვა საცხოვრებელი ფართი. თემურ ჟღენტი არის მიხეილ მაჭავარიანის სიმამრის — რამაზ ჟღენტის ძმა, რომელიც გახლდათ გენერალურ პროკურატურაში საგამოძიებო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.** სწორედ ამიტომ ყველაფერი გასდიოდათ, რასაც მოისურვებდნენ. თემურ ჟღენტმა ჯერ პატარა მიწის ნაკვეთი იყიდა ყურბანოვისგან, შემდეგ კი მთლიანი ფართის ხელში ჩაგდება მოინდომა. ყურბანოვს ემუქრებოდნენ შვილის დაჭერით, მერე იძულებული გახდები საერთოდ წახვიდე აქედანო, ეუბნებოდნენ. ამა წლის 19 აპრილს აღმასრულებლებმა სახლის გაყოფა კანონდარღვევით ჩაატარეს, შუაზე გაუყვეს სახლი და ამოუშენეს კედლები. როცა მათ მხოლოდ ღობის დემონტაჟი უნდა მოეხდინათ. ფანჯრები ამოუშენეს ხალხს. ციხეში არ უზამენ ამას ადამიანს, რომ ერთადერთი სინათლის წყარო დაუხშონ.

**— საკუთარი სიმართლის დამტკიცებას როგორ აპირებთ?**

— იურისტი ვარ და ყველა ჩემს სიტყვას დოკუმენტურად ვადასტურებ. საქმიდან მტკიცებულებები მოიპარეს. გამომძიებელი ხელს აწერს, რომ ჩაიბარა 4 სააღსრულებლო წარმოება და აქედან ერთ-ერთი საქმიდან გაქრა, რომელიც დაამტკიცებდა, რომ მე ყველაფერში მართალი ვარ. **გამომძიებელმა დავით ზედელაშვილმა პირდაპირ მითხრა, შენზე ექსპერიმენტს ვატარებთ, შენ თუ მოგარჯულებთ, მერე სხვა არბიტრებსაც იოლად მოვარჯულებთო.** მართლაც, ჩემ შემდეგ, უკვე 2009 წელსვე, ათი არბიტრი დააპატიმრეს. შემომთავაზეს, თავისუფლების სანაცვლოდ ორი პროკურორისთვის დამედო ხელი. როცა უარი განვაცხადე, მითხრეს, ჩვენი არ გესმის და იჯექი მაშინ ციხეშიო. ერთ ქალბატონს მიაცემინეს ჩემ წინააღმდეგ ცრუ ჩვენება, თითქოს მის მეუღლეს ყალბი საბუთები დავუმზადე 22 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის ხელში ჩასაგდებად და, რაც ყველაზე საინტერესოა, ამ ქალბატონს მხოლოდ ერთწლიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯეს.

**— თუმცა თქვენ ბრალი მაინც აღიარეთ...**

— მემუქრებოდნენ, თუ არ აღიარებ, შენს შვილს დავიჭერთო. 9 თვე გავუძელი ზეწოლას და, როცა მივხვდი, რომ ჩემს სიმართლეს ვერ დავამტკიცებდი, აღიარებითი ჩვენების მიცემა გადავწყვიტე. საპროცესო შეთანხმება გამიფორმეს და ვაღიარე ის, რაც არ ჩამიდენია. **მოსამართლე ლელა ნოზაძე თავად იყო გაკვირვებული ჩემი აღიარებით, მაგრამ მე ვუთხარი, 23 წელს მისჯიან და მირჩევნია, ვაღიარო არარსებული დანაშაული, სამაგიეროდ მეცოდინება, რომ სამ წელიწადში ოჯახს დავუბრუნდებიმეთქი.** სიმართლის პოვნის ყველანაირი იმედი დაკარგული მქონდა.

**— დღეს რას ითხოვთ?**

— ვითხოვ, საქმეში ახლადაღმოჩენილი გარემოებების გამო განაჩენის გადახედვას და, როცა დამტკიცდება, რომ სამივე ეპიზოდში მართალი ვარ, ვითხოვ პოლიტპატიმრის სტატუსს, რადგან ჩემი დაპატიმრების მოტივი სწორედ პოლიტიკა გახდა. ადეიშვილის დანიშნული, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის თავმჯდომარე გიორგი გორაძე ჩემი გათავისუფლების მოთხოვნის ყველა შუამდგომლობაზე უარს აცხადებდა.

ესაუბრა **შორენა ციჟქარაშვილი**

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲝ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲝᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ — ᲐᲜ ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲝᲜ, ᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ — ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ.



ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲝᲜᲘᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ?!

**რამდენად სრულყოფილია ქართული კანონმდებლობა იმ პრობლემასთან მიმართებაში, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური 17 მაისის მოვლენების შემდეგ გახდა? შესაძლებელია თუ არა „ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის წინააღმდეგ" ან „რელიგიური გრძნობების დაცვის შესახებ" კანონის მიღება, რასაც მოქალაქეების არცთუ მცირე ნაწილი აქტიურად მოითხოვს (განსაკუთრებით ბოლო დღეებში)? რა მდგომარეობაა ამ მხრივ წამყვან დემოკრატიულ სახელმწიფოებში?**



კათოლიკოს-პატრიარქის 16 მაისის განცხადებაში ლგბტ აქტივისტების აქციის შესახებ ნათქვამი იყო: **„ჩვენი მოქალაქეები ამაში ხედავენ უმრავლესობის უფლებების დარღვევას, მათი ტრადიციების, სარწმუნოებისა და, ზოგადად, აზროვნების წესის შეურაცხყოფას. ვფიქრობთ, თბილისის მერიამ და ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინონ ეს და გააუქმონ ჰომოსექსუალებისთვის მიცემული ნებართვა დემონსტრაციისა".** 17 მაისს ჩვენ ვიხილეთ რუსთაველზე ათიათასობით ადამიანი, რომლებიც თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევდნენ, და დავრწმუნდით, რომ პრობლემა მეტად აქტუალურია. მაგრამ **ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲙᲐᲤᲘᲝᲓ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ, ᲗᲣ ᲠᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐ** და თითოეული მოქალაქე ამას ინდივიდუალურ რეჟიმში ადგენს, რაც შექმნილი სიტუაციის კონფლიქტოგენურ პოტენციალს ნამდვილად არ ამცირებს.

შესაძლებელია თუ არა პრობლემის გადაწყვეტის ხელშეწყობა დამატებითი საკანონმდებლო რეგულირებით, იმ კონფლიქტის სიმწვავიდან გამომდინარე, რომელსაც რელიგიური გაერთიანებები 15 მაისს ერთობლივ განცხადებაში შეეხნენ: **„საზოგადოებას გვინდა შევახსენოთ, რომ როგორც გამოხატვის, ასევე შეკრების თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს და იგი რიგი პირობების შედეგად შეიძლება შეიზღუდოს. საქართველოს კონსტიტუცია, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია თუ სხვა საერთაშორისო დოკუმენტები, ამომწურავად მიუთითებენ იმ პირობებს, რომელთა დროსაც შეიძლება შეზღუდული იყოს იგი. სხვასთან ერთად, ესენია უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვა, ჯანმრთელობისა და მორალის დაცვა. ზემოაღნიშნულში ორი ფასეულობის — რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლების კონფლიქტიც მოიაზრება. თუ ევროპული სასამართლოს პრაქტიკას გადავხედავთ, თვალნათლივ დავინახავთ, რომ აქ ერთიანი ევროპული სტანდარტი დადგენილი არ არის. ამის გამო ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲡᲐ ᲗᲣ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲡ ᲣᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲐᲠᲔᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲝᲜ, ᲗᲣ ᲡᲐᲓ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲔᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ. ᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲔᲡ ᲓᲐᲕᲐ ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲡ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ".**

განხილული საკითხი წინა პლანზე პირველად როდი გამოვიდა. ზუსტად სამი წლის წინ, 2010 წლის 15 მაისს საპატრიარქომ საგანგებო განცხადებაში მოუწოდა ხელისუფალთ, **„სასწრაფოდ მიიღონ კანონი, რომელიც სათანადოდ დაიცავს მოსახლეობას უხამსობისგან, დაიცავს პიროვნებისა და საზოგადოების პატივსა და ღირსებას და მათ რელიგიურ გრძნობებს".** სააკაშვილის რეჟიმმა ამაზე უარი უთხრა, ხოლო მისმა ერთ-ერთმა გამორჩეულმა წარმომადგენელმა დავით დარჩიაშვილმა თანმდევ კომენტარში განაცხადა: **„თუ რა არის მორალური და ზნეობრივი, კანონით არ წესდება. ასეთი რამ მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში ხდება, რომელსაც დემოკრატიასთან სერიოზული პრობლემები აქვს. ზნეობაზე ზრუნვა საგანმანათლებლო დაწესებულებების, ეკლესიის და, ზოგადად, საზოგადოების საქმეა, მაგრამ ზნეობის აკრძალვებით, ჯოხითა და, გნებავთ, ჯვრით დანერგვა, კონტრპროდუქტიულია"** (საავგენტო „პირველი"). დარჩიაშვილი აშკარად მანიპულირებდა ტერმინებით, რადგან არც კანონში იმის განსაზღვრა, თუ რა არის „მორალური", არც „ზნეობის დანერგვა" საპატრიარქოს არ უთხოვია, თუმცა აქ სხვა რამ არის საინტერესო, კერძოდ, აპელირება დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების მიმართ, რომელთა კანონმდებლობაში შესაბამისი ნორმები თითქოს არ მოიძებნება.

**ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲒᲛᲝᲑᲐ (BLASPHEMY) ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲘᲡᲯᲔᲑᲝᲓᲔᲡ.** 2010 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული კანონის თანახმად, პიროვნებას, რომელიც „განგებ და საჯაროდ" იტყვის რაიმე შეურაცხმყოფელს რელიგიურ სიწმინდეზე და ამის გამო ამა თუ იმ რელიგიის მიმდევართა მნიშვნელოვანი ნაწილი თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს, 25 ათას ევრომდე ჯარიმა ემუქრება. **დაინტერესებულ მკითხველებს, აგრეთვე, შეუძლიათ გამოიყენონ ინტერნეტი და თვალი გადაავლონ ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 188 და 189 მუხლებს, დანიის სს კოდექსის 140 პარაგრაფს, ფინეთის სს კოდექსის 17 ნაწილის მე-10 თავს, გერმანიის Strafgesetzbuch-ის 166 მუხლს, საბერძნეთის სს კოდექსის 198, 199 და 201 მუხლებს, ახალი ზელანდიის Crimes Act 1961-ის 123 სექციას, ისრაელის სს კოდექსის 170 და 173 მუხლებს, ნიდერლანდების სს კოდექსის 147 მუხლს, შვეიცარიის სს კოდექსის 261 მუხლს, ესპანეთის სს კოდექსის 525 მუხლს, აგრეთვე, ანალოგიურ პარაგრაფებს, ისლანდიის, იტალიის, ხორვატიის, ლიტვის, პოლონეთისა და პორტუგალიის კანონმდებლობაში, რომლებიც ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ.**

ღვთის გმობა და რელიგიური სიწმინდეების შეურაცხყოფა მხოლოდ ერთი საკითხია, რომელიც დღევანდელ დისკუსიაში №1 პრობლემად არ განიხილება (თუმცა ის ნამდვილად გამოვა წინა პლანზე იმ შემთხვევაში, თუ საპატრიარქოს ოპონენტები გააგრძელებენ სოციალურ ქსელებში იმ მასალების ტირაჟირებას, რომლებიც, სხვა ყველაფერთან ერთად, შეიცავს იმას, რასაც ჩამოთვლილი ნორმები კრძალავს).

ახლა ორიოდე სიტყვით უხამსობაზე, ზნეობასა და შესაბამის საკანონმდებლო ნორმებზე ზოგიერთ „დემოკრატიასთან სერიოზული პრობლემების მქონე ქვეყანაში" (დარჩიაშვილის კლასიფიკაციით): **„თუ არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ რომელიმე პირი დაკავებულია უხამსი წიგნის გაყიდვით ან კომერციული გავრცელებით, ნებისმიერ მოქალაქეს ან შტატის პროკურორს** (შემდეგ პროკურორების ჩამონათვალი მოდის), **უფლება აქვს, მოითხოვოს ოლქის სასამართლოში** (ინსტანციების ჩამონათვალი) **ამ წიგნის უხამსობის ფაქტის დადგენა"** (ვირჯინიის შტატის კანონების კოდექსი, §18.2-384).

საინტერესოა, რომ ამერიკელი კანონმდებლები საზოგადოების აზრსა და სტანდარტებზე დაყრდნობით ადგენენ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „უხამსობად". ასეთად ითვლება ის, რასაც **„საშუალო ადამიანი, საზოგადოების თანამედროვე სტანდარტებიდან გამომდინარე, შეაფასებს, როგორც უმდაბლესი სექსუალური ინტერესისკენ მიმართულს",** — არკანზასის შტატის კანონების კოდექსი; მუხლი 5-68-203 (ამასთანავე, კალიფორნიის სისხლის სამართლის კოდექსი; მუხლი 311; ტეხასის სს კოდექსი, თავი 43, ქვეთავი „ბ", მუხლი 43.21; ჯორჯიის შტატის კანონების კოდექსი, ტიტული 16, „სამართალდარღვევები საზოგადოების ჯანმრთელობისა და ზნეობრიობის წინააღმდეგ", §16-12-80).

**ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ „ᲡᲘᲛᲝᲠᲪᲮᲕᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ" ᲙᲘ ᲡᲯᲘᲐᲜ** (ბელგია, სს კოდექსის VII თავის 385-ე მუხლი; სან-მარინოს სს კოდექსის III ნაწილი „დანაშაული საზოგადოების წინააღმდეგ", მე-3 თავი, 275-ე მუხლი).

ცხადია, ჩამოთვლილ ქვეყნებში არავინ უკრძალავს ლგბტ აქტივისტებს, ისევე, როგორც სხვა მოქალაქეებს, თავიანთი მოთხოვნები წამოაყენონ, პროტესტი გამოთქვან და ა. შ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მათი ქცევა ისეთ ფორმებს მიიღებს, რომ საზოგადოების უმრავლესობა გამომწვევ, შეუწყნარებელ პროვოკაციად აღიქვამს, კანონმდებლობაში აუცილებლად მოიძებნება მუხლი, რომელზე დაყრდნობითაც ამა თუ იმ მცირე ჯგუფის გამოხატვის თავისუფლება სავსებით ლეგიტიმური საბაბით შეიზღუდება.

რაც შეეხება კანონებს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ, **ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ 1998-ᲓᲐᲜ 2003 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲐ „ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ" ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ 28-Ე ᲛᲣᲮᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲣᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲓᲐ: „ა) ჰომოსექსუალიზმის შეგნებულ მხარდაჭერას ან ჰომოსექსუალიზმის მხარდაჭერის მიზნით მასალების გამოქვეყნებას; ბ) ნებისმიერ სკოლაში იმის სწავლების მხარდაჭერას, რომ ჰომოსექსუალიზმი მისაღებია, როგორც მოჩვენებითი საოჯახო ურთიერთობა".** დღეს ეს ნორმა გაუქმებულია და ევროპის არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობაში მსგავსი რამ არ მოიძებნება. ამ მომენტის დაფიქსირება მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ აქაა ერთგვარი გზაგასაყარი; **ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲝ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲝᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ — ᲐᲜ ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲝᲜ, ᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ — ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ.**

პირველ შემთხვევაში, პარლამენტი საქართველოს ევროინტეგრაციული ვალდებულებებიდან გამომდინარე, თავის მოქმედებაში შეზღუდული იქნება და კანონს, დიდი ალბათობით, არ მიიღებს. მართალია, თუ თვითმმართველობის რეფორმის შემდეგ ჩვენ რეგიონებში ფართო უფლებებით აღჭურვილ ადგილობრივ პარლამენტებს მივიღებთ, შემზღუდავი ნორმების შემოღება შესაძლებელი მათი მეშვეობით გახდება, თუმცა პრობლემები ევროპასთან ამ შემთხვევაშიც შეიქმნება (ამის უფლებას კი, ამ ეტაპზე, საქართველოს ხელისუფლება საკუთარ თავს ვერ მისცემს). **შედარებით პერსპექტიული „მეორე მიმართულებით" წასვლა, იმ საკანონმდებლო ნორმებზე მუშაობა ჩანს, რომელიც მორწმუნეთა გრძნობებს და, ასე ვთქვათ, საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას დაიცავს. ამ შემთხვევაში, ალბათ, შესაძლებელი გახდება ისეთი ფორმულირებების მოძებნა, რომლებიც, ერთის მხრივ, საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებს უპასუხებს და, მეორე მხრივ, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შეზღუდვას არ გაითვალისწინებს.**

ყველაზე ცუდი, ალბათ, საკანონმდებლო ვაკუუმი და გაურკვევლობაა — სიტუაცია, როდესაც მოქალაქეები ვერ პოულობენ კანონში იმ მუხლს, რომლის მიმართ აპელირება შეუძლიათ, და იმის დადგენას, თუ რა არის „სწორი და არასწორი", მხოლოდ საკუთარ (მეტწილად კი — სხვის) შეხედულებებზე დაყრდნობით იწყებენ. ქაოსი და უბედურება სწორედ აქედან იწყება.

**ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲘᲡ ᲣᲨᲔᲓᲔᲒᲝᲓ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲠᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲣᲜᲐᲠ-ᲩᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ.**

არაერთგზის დამიწერია და კიდევ ერთხელ სიამოვნებით გავიმეორებ: ჩინელები სიტყვებს „კრიზისი" და „შესაძლებლობა" ერთი და იმავე იეროგლიფის მეშვეობით გადმოსცემენ და ამაში, ალბათ, ჩაქსოვილია ძალიან დიდი გამოცდილება და სიბრძნე. ყველაზე კარგი იქნება, თუ ჩვენ შევხედავთ „17 მაისის კრიზისს", როგორც შესაძლებლობას იმისთვის, რომ კანონმდებლობა, სახელმწიფო და საზოგადოება გაცილებით უკეთესი, ჯანსაღი გავხადოთ.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ ხელისუფლებაში თეა წულუკიანი ერთადერთი მინისტრია, რომელთანაც სამართლებრივ საკითხებზე დალაპარაკება შეიძლება. ვფიქრობ, ერთადერთი დადებითი ვითარება იუსტიციის სამინისტროშია, სხვა ყველა სფეროში ქაოსია, რაც ქვეყნისთვის დამღუპველია“.**

# ზაზა ხატიაშვილი: თუ საპრეზიდენტო არჩევნებში სამოქალაქო სექტორი ღირსეულ კანდიდატს წარადგენს, ხელისუფლება არჩევნებს სამარცხვინოდ წააგებს

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი ზაზა ხატიაშვილი ახალ ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებს და მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს. მეტიც, მისი განცხადებით, უახლოეს მომავალში ადვოკატთა კორპუსი გაფიცვისთვის ემზადება. მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ზაზა ხატიაშვილი ესაუბრა.**



**— რამდენიმე დღის წინ საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს შეხვდით. კმაყოფილი ხართ შედეგით?**

— ამ ხელისუფლებაში თეა წულუკიანი ერთადერთი მინისტრია, რომელთანაც სამართლებრივ საკითხებზე დალაპარაკება შეიძლება. ვფიქრობ, ერთადერთი დადებითი ვითარება იუსტიციის სამინისტროშია, სხვა ყველა სფეროში ქაოსია, რაც ქვეყნისთვის დამღუპველია.

**— ბატონო ზაზა, თქვენ ძალიან კრიტიკული იყავით სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ, თუმცა ახალი ხელისუფლების საქმიანობაც უკვე საკმაოდ მწვავედ შეაფასეთ. კონკრეტულად რა არ მოგწონთ ახალი ხელისუფლების ქმედებებში?**

— მე ვაკრიტიკებდი სააკაშვილის რეჟიმს. მთელი ევროპის მასშტაბით, მე გახლდით ერთადერთი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, რომელმაც თავისი ქვეყნის პრეზიდენტის, შს მინისტრისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პერსონა ნონ გრატად ცნობა მოითხოვა, მაგრამ **იმიტომ კი არ ვიბრძოდი რეჟიმის წინააღმდეგ, რომ ვანო მერაბიშვილი ირაკლი ღარიბაშვილს შეეცვალა, რომელიც მერაბიშვილზე უკეთესი არაფრითაა. მე არ ვიბრძოდი იმისთვის, რომ პროკურატურაში მურთაზ ზოდელავას მაგივრად უფრო ოდიოზური და გაუწონასწორებელი ლაშა ნაცვლიშვილი მოსულიყო.** მე მაქვს პრეტენზიები იმ ადამიანებთან, რომლებიც უკანონო საქმიანობას ეწევიან.

**— ირაკლი ღარიბაშვილისა და ლაშა ნაცვლიშვილის საქმიანობაში კონკრეტულად რა კანონდარღვევებს ხედავთ?**

— მაგალითად, ძმებ სოზაშვილების საქმე, რომლის შესახებაც პრემიერს მივწერე, წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ პოლიციის დაწესებულებებში დაიწყო ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები. 2013 წლის 3 დეკემბერს კალაუბნის ქუჩაზე პოლიციელები — იოსებ სახლთხუციშვილი და იოსებ ბაიაძე თავს დაესხნენ ლაშა და გიორგი სოზაშვილებს და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს პირები პოლიციის თანამშრომლები ყოფილან. შემდეგ თავად დაწერეს, თითქოს პირიქით, სოზაშვილები დაესხნენ მათ თავს, პოლიციელის ფორმა დაუხიეს და სცემეს, ჩვენი ინფორმაციით, მათ საერთოდ არ ეცვათ ფორმა. ადვოკატებმა დააყენეს შუამდგომლობა, ამოეღოთ ვიდეოფირი. ვინაიდან პოლიციაში ყველა შესვლა და გასვლა იწერება, დავადგენდით, ეცვათ თუ არა მათ პოლიციის ფორმა. მაგრამ ვიდეოჩანაწერი საერთოდ გააქრეს, იმიტომ, რომ გაირკვეოდა, — პოლიციამ მოიტყუა გამომძიებელიც და პროკურორიც. დღეს სასამართლო პროცესი მიმდინარეობს და დასჯის მაგივრად პოლიციელები დაზარალებულებად სცნეს. არადა, ყველა ის თანამდებობის პირი — მთავარი პროკურორი თუ სხვები, რომელთაც მე შევხვდი, პირად საუბრებში აღიარებენ, რომ ეს პოლიციელები დამნაშავეები არიან.

ევროკავშირისა და გაეროს ელჩებთან ერთად შევხვდი ირაკლი ღარიბაშვილს და ვუთხარი, ყურადღება მიექცია აღნიშნული საქმისთვის. მჯეროდა, ასეც მოიქცეოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

**— თქვენ ღია წერილი მისწერეთ საქართველოს პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, რა პასუხი მიიღეთ?**

— ვიცი, რომ დავით უსუფაშვილმა წაიკითხა ჩემი წერილი და პარლამენტში განაცხადა კიდეც, რატომ არის ზაზა ხატიაშვილი ჩემზე ნაწყენიო. დარწმუნებული ვარ, ივანიშვილმაც წაიკითხა, მაგრამ ჯერჯერობით მისი მხრიდან არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. თუ, სააკაშვილის ხელისუფლებას როცა ვაკრიტიკებდი, მისაღები ვიყავი ამათთვის, დღეს მიუღებელი გავხდი. **ჩვენ მხარი დავუჭირეთ სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოსულ ხელისუფლებას, მან კი ზურგი შეგვაქცია. მაინც და მაინც ახალი 7 ნოემბერი და 26 მაისი უნდა მოხდეს, რომ ხმა ამოვიღოთ?**

**— თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოს პარლამენტმა დაბლოკა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებები და ეს ფაქტი ადვოკატების წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად შეაფასეთ. რა საფრთხე დაინახეთ?**

— ევროკონვენციის მე-6 მუხლში გარკვევით არის მითითებული მხარეთა თანასწორობის პრინციპის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ პროკურორსა და ადვოკატს თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ. თეა წულუკიანმა წარადგინა ინიციატივა ამის შესახებ, მაგრამ ლაშა ნაცვლიშვილმა და ირაკლი ღარიბაშვილმა დაბლოკეს.

სააკაშვილის დროს ყველაზე ცუდი ადვოკატებისთვის იყო სისხლის საპროცესო სამართლის კოდექსის 111-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ადვოკატს არ შეეძლო შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსთვის ჩხრეკისა და ამოღების თაობაზე. ჯერ ეს რა სასამართლო გვაქვს და წარმოიდგინეთ, მიმართვის უფლებასაც რომ წაართმევ ადვოკატს, რა სამართლიანობაზეა ლაპარაკი. მოვიდა ახალი „დემოკრატიის შუქურა“ ივანიშვილი და რა გააკეთა?

არსებულ პირობებში როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, რომელიც თავად დაუცველია და მოკლებულია საშუალებას, დაიცვას მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი? მაგალითად, ადვოკატი ლევან სამუშია იცავდა ყაჩაღობაში ბრალდებულ პირს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ყაჩაღობას ვერ ჩაიდენდა, რადგან იმ დროს ბათუმში იმყოფებოდა და ითხოვდა, სატელეფონო ზარების ჩანაწერის ამოღებას. სამუშიას ჯერ „ჯეოსელმა“ უთხრა უარი, შემდეგ კი — მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა, ეს არის ამოღება და, 111-ე მუხლის თანახმად, არ გაქვს მიმართვის უფლებაო. არადა, თუ ადვოკატმა თავის დაცვის ქვეშ მყოფი ვერ დაიცვა, რა აზრი ექნება ამ პროფესიას?

**— ბატონო ზაზა, 17 მაისს ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნას ხელი შეუშალა შეკრებილმა ხალხმა, რაც დაგმო ევროკავშირის ყველა ელჩმა და საერთაშორისო საზოგადოებამ. თქვენი აზრით, რატომ არ ჰქონდათ მათ ასეთი მწვავე რეაქცია თუნდაც 7 ნოემბერს და 26 მაისს, როცა ხელისუფლება აქციებს სასტიკად არბევდა?**

— მთელი მსოფლიო გაგიჟდა სექსუალური უმცირესობების უფლებების დასაცავად, გაჰყვირიან, რომ მათი უფლებები ირღვევა. **როცა 26 მაისს ხალხი დახოცეს და სახურავზე დაყარეს, მაშინ ხმა არავის ამოუღია და ჰომოსექსუალების დასაცავად კი გამოვიდნენ. ეს გაკეთდა იმისთვის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა გრანტები მიიღონ, რაც სამარცხვინოა.** მენატრება, ისეთი პრეზიდენტი ან პრემიერი მოვიდეს საქართველოში, რომელიც ამ გრანტიჭამიებს თავის ადგილს მიუჩენს. პირველი საშუალო სკოლა განათლების კერაა და არ აქვთ უფლება, იქ გეიაღლუმი ჩაატარონ. ხელისუფლების ბრალია, რაც მოხდა. გამოეყო ჰომოსექსუალებისთვის ადგილი ან საკუთარი ბარი გაეხსნას და იქ, რაც სურთ, გააკეთონ. სულაც დასვენების დღედ გამოეცხადებინათ 17 მაისი. **საფრანგეთში სკოლის წინ რომ სიგარეტი მოწიოთ, იცით, რამხელა ჯარიმაა? თუ სკოლის წინ სიგარეტის მოწევა არ შეიძლება, გეიაღლუმების გამართვა შეიძლება? თუ სააკაშვილის ხელისუფლებას 9 თავი ჰქონდა, ამათ უთავო ხელისუფლებას ვეძახი.**

**— მიხეილ სააკაშვილის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას ითხოვდით და ასევე საუბრობდით, რომ მას უცხოეთში უკვე დიქტატორად იცნობენ, თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება მას კვლავ აქტიურად უჭერს მხარს და სერიოზულ დანაშაულში ეჭვმიტანილი მაღალჩინოსნების დასჯის ნებართვას არ აძლევს. პირიქით, ახალ ხელისუფლებას მასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებს.**

— **ის, რომ სააკაშვილის რეჟიმის დასჯაზე დასავლეთი უარს გვეუბნება, ივანიშვილის განცხადების ბრალია. გამოვიდა და დემოკრატიულად ჩატარდა არჩევნებიო, განაცხადა. რომელი უცხოური ორგანიზაცია გაგასამართლებინებს რეჟიმს, რომელზეც ამბობ, რომ დემოკრატიულად ჩაატარა არჩევნები?** დაუფიქრებელი განცხადებებით გამოსვლა არ შეიძლება. დააკვირდით, მისი განცხადებების შემდეგ მობილიზებული ჰყავთ ორი-სამი ექსპერტი, განსაკუთრებით, არეშიძე და საყვარელიძე, რომლებსაც მეცხრე არხი იწვევს, და აკეთებენ განცხადებას, ეს კი არა, ეს იგულისხმა პრემიერმაო. **ამათ როგორც დაიწყეს, ასე მერაბიშვილსა და ადეიშვილს არ დაუწყიათ. სანამ ახალი ვაზაგაშვილები და გირგვლიანები არ გაჩნდებიან, მანამდე არ უნდა გამოვფხიზლდეთ? კანონი ქმნის სამართალს, კანონი ადვოკატებთან მიმართებაში უსამართლოა. პარლამენტში ერთადერთს ეკა ბესელიას ეყო ღირსება და გააპროტესტა.**

**«ვოცნებობ, ისეთი პრეზიდენტი ან პრემიერი მოვიდეს, რომელიც გრანტიჭამიებს თავის ადგილს მიუჩენს»**

რომელმა ელჩმა უთხრა ხელისუფლებას, სოზაშვილების საქმეზე უკანონო გადაწყვეტილება მიელო? ერთი წლის წინ, როცა გავახმაურე სქესობრივი ძალადობა მალხაზ არქანიაზე, ჩემი კოლეგებიც კი დამიპირისპირდნენ. მათ შორის, დღევანდელი ხელისუფლების 80% ასე მოიქცა. მე რომ ქუჩაში ვიბრძოდი, რას აკეთებდა ეს ხალხი, არ ვიცი, ხმა არავის ამოუღია. სააკაშვილის რეჟიმს ჰქონდა ტაქტიკა, **როცა კაცს უკანონოდ დაიჭერდნენ და ქონების წართმევას უპირებდნენ, ამით მას ციხეში საკუთარი სქესობრივი ხელშეუხებლობის ყიდვა უწევდა. ეს ყველამ იცოდა. ეს უნამუსო პროკურორები, რომლებიც ემუქრებოდნენ პატიმრებს, დღესაც დატოვეს თანამდებობებზე,** რაც კარგად არ დამთავრდება. მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ და ადვოკატთა კორპუსი მალე გაიფიცება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას, სასჯელაღსრულებას თავისი საგამოძიებო სამსახურები აქვს, ეს არის დიქტატურა. ყველა უწყებას უნდა გამოეყოს საგამოძიებო სამსახური.

როგორც ადრე, არც ახლა მითმობენ ტელევიზიებში პირდაპირ ეთერს სალაპარაკოდ. არ შეიძლება პიროვნებამ მართოს სახელმწიფო, კანონმა უნდა მართოს ქვეყანა.

**— რამდენიმე ხნის წინ ჩვენმა გაზეთმა წამოჭრა საკითხი მომავალი პრეზიდენტის როლსა და ფუნქციებზე, რომელიც შეძლებდა საგარეო თუ საშინაო საკითხებში სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებას და კონფლიქტების მოგვარებას. მარგველაშვილის კანდიდატურაზე რას ფიქრობთ, რამდენად იქნება ის დამოუკიდებელი ფიგურა და შეძლებს ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარებას?**

— პირადად მარგველაშვილს არ ვიცნობ, თუმცა, თუ პლასტილინთან მის შედარებას გავიხსენებთ, როგორც ჩანს, საკუთარ თავს ძალიან ოდიოზურად აფასებს. თუ მართლა ასეთი ფიგურაა, ბიძინა ივანიშვილისთვის იდეალური ყოფილა. მარგველაშვილი არ არის დამოუკიდებელი. არადა, **ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლამდე სულ იძახდა, ერთი კაცის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს ყველაფერიო. ახლა კი ვხედავ, პარლამენტის თავმჯდომარე როგორ ურეკავს პარლამენტის დარბაზიდან და ყველაფერს უთანხმებს.**

მარგველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგენა მე შემდეგნაირად გავიგე: გამოდის, რომ ივანიშვილი იტყუება, როდესაც ამბობს, რომ წელიწად-ნახევარში პოლიტიკიდან წავა. თუ მართლა წასვლას აპირებს, მაშინ ირაკლი ალასანიას წარადგენდა პრეზიდენტობის კანდიდატად, რადგან გამოცდილი პოლიტიკოსია. ან თუ ყველაზე ჭკვიანი მინისტრი სურდა, თეა წულუკიანი უნდა წარედგინა. თუ საპრეზიდენტო არჩევნებში სამოქალაქო სექტორი ღირსეულ საპრეზიდენტო კანდიდატს წარადგენს, ხელისუფლება არჩევნებს სამარცხვინოდ წააგებს.

ესაუბრა **შორენა ციჭქარაშვილი**

**„მოსაზრებაც იმის თაობაზე, რომ თითქოს „ქართულ ოცნებას“ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე ექნებოდა შანსი და შესაძლებლობა, ჩვენს რეგიონში გამოესწორებინა მისი არც თუ სახარბიელო მდგომარეობა, ასეთი კანდიდატის პირობებში სრულიად უსაფუძვლოა. ასეთი საპრეზიდენტო კანდიდატით „ქართული ოცნების“ ხელისუფლების რეიტინგის ვარდნა თითქმის გარდაუვალია.“**

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ზურაბ კვარაცხელია: «თეთრი მელას» თუ «ჭრელი კურდღლის» პრეზიდენტობის შემდეგ «კაცი პლასტელინის» არჩევაც არ უნდა გაგვიკვირდეს

**პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ პრეზიდენტობის კანდიდატად გიორგი მარგველაშვილის დასახელებამ ბევრის გაოცება გამოიწვია, განსაკუთრებით, — რეგიონებში. მათთვის უცნობი ადამიანისთვის მხარდაჭერის მოწოდებამ ხალხი გარკვეულწილად გააღიზიანა კიდეც. გამარჯვების რა შანსი აქვს „ოცნების“ კანდიდატს და როგორ წარმოუდგენიათ მომავალი პრეზიდენტის უფლება-მოვალეობანი, ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე ზურაბ კვარაცხელია.**

**— საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონში წააგო. მიზეზად კი მაშინ კოალიციის ლიდერის მხრიდან რეგიონის მიმართ არასათანადო ყურადღება სახელდებოდა. საინტერესოა, პრეზიდენტობის კანდიდატად გიორგი მარგველაშვილის წარდგენა როგორ აისახება სამეგრელოს მოსახლეობის განწყობაზე?**

— პირველ რიგში, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ გასული საპარლამენტო არჩევნების დროს სამგრელოს ელექტორატი, ისევე, როგორც დანარჩენი საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, იდგა დილემის წინაშე: მას არჩევანი უნდა გაეკეთებინა ცუდსა და უარესს შორის. საბედნიეროდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს მასშტაბით დამარცხდა და, მიუხედავად ე.წ. კოაბიტაციური რეჟიმისა, თითქოს უკეთესობისკენაც მივდივართ. თუმცა წლის ბოლოსთვის ჩვენ, ალბათ, მოგვეცემა უფრო მეტი ანალიზისა და გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებაც.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ის უდავოდ სწორადაა დასმული და პასუხის გარკვეულ ელემენტებსაც შეიცავს. რა თქმა უნდა, **სამეგრელოში „ქართული ოცნების“ დამარცხება რაღაც თვალსაზრისით კანონზომიერადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. რეგიონში ივანიშვილის კოალიციამ შეგნებულად თუ შეუგნებლად საარჩევნო კამპანია შეცდომებით ჩაატარა** და მე ახლა არ მსურს ჩემი კუთხის მოსახლეობისთვის და პირადად ჩემთვის ამ მეტად მტკივნეული საკითხის ღრმა ანალიზი და დეტალური განხილვა. სამეგრელოსთან მიმართებაში საქართველოს ყველა დროის პოლიტიკური ელიტის თუ ხელისუფლების მხრიდან მუდამ ერთნაირი დამოკიდებულებაა და შედეგიც ყოველთვის ერთი და იგივეა — სამეგრელოს არც ადგილობრივი თვითმმართველობის და არც ცენტრალური ხელისუფლების დონეზე არასოდეს არ ჰყავს თავისი ინტერესების დამცველი და გამტარებელი წარმომადგენლობა.

**„ქართული ოცნების“ მხრიდან პრეზიდენტობის კანდიდატად მარგველაშვილის დასახელებასთან დაკავშირებით კი ერთს ვიტყვი — „თეთრი მელას“ თუ „ჭრელი კურდღლის“ პრეზიდენტობის შემდეგ „კაცი პლასტელინის“ არჩევაც არ უნდა გაგვიკვირდეს.** ეს — ხუმრობით, რა თქმა უნდა, სინამდვილეში კი დიდია ჩემი გულისტკივილი, ბოლოს და ბოლოს ამ ქვეყანას ზვიად გამსახურდია ჰყავდა პრეზიდენტად! მისი ხელისუფლების დამხობისა და ფიზიკურად განადგურების შემდეგ, ფაქტია, რომ ჩვენ აღარ გვეღირსა ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ტრადიციულ ფასეულობებზე ორიენტირებული მმართველი.

**ივანიშვილს თუ ვერწმუნებით, მის მთავრობაში სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცი მარგველაშვილი ყოფილა და, თუ ამას ის გულწრფელად აცხადებს, მაშინ ისღა დამრჩენია, სრულიად საქართველოს მეც ასევე გულწრფელად მივუსამძიმრო. გადაჭრით ვიტყვი: მარგველაშვილი ჩვენი რეგიონის მოსახლეობის ინტერესებს ვერ გაამართლებს!** აბა, დავფიქრდეთ, ლიბერალური, მემარჯვენე ბურჟუაზიული ორიენტაციისა და სოროსის მიერ დაფინანსებული ცენტრალური ევროპის ინსტიტუტის მიერ გამოზრდილმა მარგველაშვილმა როგორ უნდა გაამართლოს ჩემი განსაკუთრებული მორალის, ტრადიციებისა და უნიკალური თვითმყოფადობის მქონე თანამემამულეების ინტერესები; **როგორ დაიცავს ის ბოლო ოცი წლის განმავლობაში უკიდურესად გალატაკებული და იგნორირებული რეგიონის მოსახლეობის ინტერესებს, როცა სულ ახლახან ყველამ ვიხილეთ, როგორი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მან მშრომელთა ინტერესების დამცველი შრომის კოდექსი.** საინტერესოა, საერთოდ თუ სმენია მას რამე სამეგრელოს სპეციფიკაზე, მის განსაკუთრებულ როლზე საქართველოს ისტორიაში, მის წარსულზე, სულიერ ფასეულობებზე, მის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე, მის ეკონომიკურ პოტენციალზე; საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია მას მისი განვითარების პერსპექტივები ზოგადეროვნულ და სახელმწიფოებრივ სივრცეში. ძალიან მეეჭვება, რომ მას ყოველივე ამაზე ნათელი და ჩვენთვის სასურველი წარმოდგენა ჰქონდეს.

გამომდინარე აქედან, **ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ მისი არჩევა პრეზიდენტად ჩემი მრავალტანჯული და ათასწლეულების ქარტეხილებს გამოღწეული ხალხის ინტერესში ნამდვილად არ არის!**

**— როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა უშუალოდ მომავალი პრეზიდენტის პრეროგატივა როგორც აფხაზებთან, ისე ოსებთან და რუსებთან ურთიერთობის მოგვარება; თქვენი აზრით, რამდენად შესაფერისია ამისთვის მარგველაშვილის კანდიდატურა?**

— აბსოლუტურად სწორია მოსაზრება, რომ ნამდვილი პრეზიდენტი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს. მე არ ვიცი, როგორი ავტორიტეტით სარგებლობს ბატონი მარგველაშვილი ევრო-ატლანტიკურ სივრცეში, აგრეთვე, ე.წ. ლიბერტარიანულ წრეებში საქართველოშიც და, გნებავთ, ევროპა-ამერიკაშიც, მაგრამ მისი ფიგურის წონაზე, ავტორიტეტზე, კონტაქტებზე იმ ძალებთან, რომლებზეც უშუალოდ არის დამოკიდებული ჩვენი სამშობლოსთვის სტრატეგიული საკითხების დადებითად გადაწყვეტა, სამწუხაროდ, მე არაფერი მსმენია. ასე რომ, **მოსაზრებაც იმის თაობაზე, რომ თითქოს „ქართულ ოცნებას“ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე ექნებოდა შანსი და შესაძლებლობა, ჩვენს რეგიონში გამოესწორებინა მისი არც თუ სახარბიელო მდგომარეობა, ასეთი კანდიდატის პირობებში სრულიად უსაფუძვლოა. ასეთი საპრეზიდენტო კანდიდატით „ქართული ოცნების“ ხელისუფლების რეიტინგის ვარდნა თითქმის გარდაუვალია.** აი, ამ სიტუაციაში კი, „ნაცმოძრაობას“, მეტნაკლებად ღირსეული კანდიდატის წამოყენების შემთხვევაში, აქ გარკვეული კარტბლანში მიეცემა, რაც მას აუცილებლად მისცემს, აგრეთვე, რევანშის აღების შანსსაც. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ქართულ პოლიტიკაში არსებული ორპოლუსიანობის განმტკიცებას და უცხოეთის თვალში ამ მართლაც დამნაშავე ორგანიზაციის პრესტიჟის ამაღლებას. მიჩნდება ეჭვი, სწორედ ეს ხომ არ არის ე. წ. კოაბიტაციური რეჟიმის მიზანიც? ისიც მაღელვებს, რომ მერე ჩემი კუთხის დადანაშაულებას დაიწყებს მავანი. ნამდვილი დამნაშავეების მისამართით კი მხოლოდ ერთეულები თუ გაიშვერენ ხელს. ასეთ პერსპექტივაზე ფიქრი ნამდვილად შეუძლებელია, მიხაროდეს.

**— რამდენიმე დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის შეძლებს ურთიერთობის მოგვარებას რუსეთთანაც, ტერიტორიების დაბრუნებასაც და ნატოში შესვლასაც. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ეს ყველაფერი?**

— კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობის საკითხი, მეზობელ ზესახელმწიფოსთან ურთიერთობის საკითხი სწორედ ის საკითხებია, რომელთა დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში თუ ექნება ჩვენს სამშობლოს ეროვნულ- სახელმწიფოებრივი განვითარების პერსპექტივა და მომავალი. დაინტერესებული საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ **დაახლოებით სამიოდე თვის წინ ჩვენი მოძრაობის ლიდერი, აკადემიკოსი ალექსანდრე ჭაჭია გამოვიდა ინიციატივით, მომავალი პრეზიდენტი აღჭურვილი ყოფილიყო უფლებამოსილებით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება საგარეოპოლიტიკური ვექტორის დაბალანსება. ბატონი ალექსანდრეს მოსაზრებით, მომავალი პრეზიდენტი უშუალოდ უნდა იყოს დაკავებული აფხაზებთან, ოსებთან, ჩრდილოკავკასიელებთან და, რაც ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებით. ეს არის გონივრულად, პატრიოტულად და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანის უმნიშვნელოვანესი ინიციატივა და ბუნებრივია, რომ ამ იდეისადმი ნებისმიერ ჩვენგანს მართებს ადეკვატური დამოკიდებულება.**

ქართული საზოგადოების მხრიდან მე მართლაც დავინახე შესაბამისი გამოხმაურებაც და მხარდაჭერაც, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი იმას, რომ ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაწილისა და, რაც მთავარია, სახელისუფლო კოალიცია „ქართული ოცნების“ მხრიდან ის ადეკვატურად იქნა შეფასებული და მხარდაჭერილი. პირდაპირ ვაცხადებ — **ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას მამულიშვილური ინიციატივის მიმართ ასეთი დამოკიდებულება და პრეზიდენტობის კანდიდატთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც, სამწუხაროდ, მიუთითებს იმაზე, რომ „ქართული ოცნებაც“ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „მოქალაქეთა კავშირისგან“ თვისობრივად ბევრად არ განსხვავდება.** მას არ ესმის ან შეგნებულად არ სურს, ჩასწვდეს იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საგარეოპოლოტიკური ვექტორის დაბალანსება; მისთვის პრიორიტეტული კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობის და რუსეთთან ურთიერთკომპრომისების ხარჯზე პრობლემური საკითხების მოგვარება კი არა, როგორც ჩანს, დასავლეთის მხრიდან ლოიალური განწყობის მოპოვება თუ შენარჩუნებაა. დაპირებები და ქართულ-რუსულ ურთიერთობაში შედარებით უმნიშვნელო საკითხების მოგვარება კი, არა მგონია, ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სტრატეგიული ინტერესების დასაკმაყოფილებლად საკმარისი იყოს.

სხვათა შორის „ქართული ოცნების“ დაპირებებზე გამახსენდა. გვახსოვს, თუ როგორ გვპირდებოდნენ ისინი ავღანეთიდან ჩვენი ჯარისკაცების გამოყვანას. აგერ, სულ ახლახან მოხდა ტრაგედია. იქ ჩვენი ბიჭები ჩახოცეს, იქ უმოწყალოდ ნადგურდება ჩვენი გენოფონდი. **ხელისუფლების წარმომადგენლებს მოვუწოდებ, შეწყვიტონ დემაგოგია და ლათაიები იმაზე, რომ ქართული შენაერთის შორეულ ავღანეთში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა ჩვენი სამშობლოს გრძელვადიანი სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება. თუ მათ ამ ზღაპრის მაინც და მაინც ძალიან სჯერათ, მაშინ უპრიანი იქნება, იმ ჯოჯოხეთში თვითონვე გაემგზავრონ ან საკუთარი ოჯახის წევრები გაგზავნონ ავტომატებით და, თუ უნდათ, რეპის სასიმღერო ტექსტებითა და მიკროფონებითაც, სხვის შვილებს კი თავი დაანებონ!**

ამ ვითარებაში აუცილებელია, გამოსავალზე ვიფიქროთ და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადავდგათ. აუცილებელი მგონია ეროვნულ-პატრიოტულ პლატფორმაზე მდგომი ყველა ძალის ერთ მუშტად შეკავშირება, აუცილებელი მგონია ერთიანი კონცეფციის შემუშავება და, მიუხედავად ყველაფრისა, პრეზიდენტობის კანდიდატად ღირსეული პიროვნების დასახელება. თუ ამას მოვახერხებთ, მერწმუნეთ, უშანსოდ ნამდვილად არ დავრჩებით. გამარჯვების შანსი შეიძლება წარმოუდგენლად დიდი და რეალური აღმოჩნდეს.

**— სანამ „ოცნება“ პრეზიდენტობის კანდიდატს დაასახელებდა, იყო ასეთი მოსაზრება, რომ კანდიდატს უნდა დაეკმაყოფილებინა გარკვეული კრიტერიუმები, ჰქონოდა სოხუმთან, ცხინვალთან პირადი კონტაქტები, მისაღები ყოფილიყო აფხაზი და ოსი თანამოძმეებისთვის, აგრეთვე, ჰქონოდა შესაბამისი წონა, რომ მნიშვნელოვნად გამოესწორებინა ურთიერთობა რუსეთთან. ასევე იყო მოლოდინი, რომ მომავალი კანდიდატი ყოფილიყო ფიგურა, რომელიც შეძლებდა სამეგრელოში „ოცნების“ არცთუ სახარბიელო მდგომარეობის დაბალანსებას, ამ რეგიონში „ნაცმოძრაობისთვის“ ხმების წართმევას... ეს მოლოდინი არ გამართლდა, ამ ყველაფრის გაუთვალისწინებლობამ „ოცნებისთვის“ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს საკუთრივ სამეგრელოში?**

— თქვენს მიერ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს სრულად პასუხობს ალექსანდრე ჭაჭიას კანდიდატურა. სხვათა შორის, ზუგდიდის ოფისში ამ ბოლო დროს უამრავი ადამიანი გვსტუმრობს, მათ აინტერესებთ ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას აზრი ყოველივე ამასთან დაკავშირებით. მინდა გითხრათ, რომ ეს ადამიანები კატეგორიულად მოითხოვენ მისგან, უფრო აქტიურად ჩაერთოს მიმდინარე პროცესებში. ბუნებრივია, მე არ შემიძლია ბატონი ალექსანდრეს მაგივრად ვისაუბრო და ვფიქრობ, რომ საკუთარ პოზიციასა და სამომავლო გეგმებზე უახლოეს დროში ის თვითონ გააკეთებს შესაბამის განცხადებებს. მის მოლოდინშია დღეს სამეგრელოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, მათ შორის, ცხადია, დევნილებიც.

ახლა რაც შეეხება „სახალხო კრების“ მიერ ნინო ბურჯანაძის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებას: პირადად მე ვიზიარებ მოსაზრებას, რომ მომავალი პრეზიდენტი, აგრეთვე, არ უნდა ასოცირდებოდეს პუტინთან, სისხლთან, ომებთან; მისი პერსონა არ უნდა იყოს გამაღიზიანებელი არავისთვის. ჩემთვის ცნობილია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატმა, ქალბატონმა ბურჯანაძემ, გამსახურდიას კანონიერი და ეროვნული ხელისუფლების დამხობა თავის დროზე შეაფასა, როგორც სახალხო დემოკრატიული რევოლუცია. თქვენი გაზეთის მეშვეობით მსურს, შევეკითხო მას: დღესაც ასე ფიქრობს თუ არა და, მისი შესაძლო გაპრეზიდენტების შემთხვევაში, როგორ აპირებს კონფლიქტურ რეგიონებთან და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას? და საერთოდ, იღებს თუ არა იგი რაიმე ტიპის პასუხისმგებლობას შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლების დროს ჩადენილ დანაშაულებზე?

და ბოლოს, არ შემიძლია, არ შევეხო სექსუალური უმცირესობების მცდელობას, თბილისის ცენტრში ჩაეტარებინათ გეიაღლუმი. მოსახლეობის რეაქცია აბსოლუტურად ადეკვატური იყო და **ყველას ვურჩევ — პოზიციასაც და ოპოზიციასაც, გარეშესაც და შინაურსაც — ჭკუას მოუხმონ და არავის არაფერი შეეშალოს, ყველამ გაითავისოს — კოლხურ-იბერიული გენის ამოძირკვა არც ისე იოლია! ხოლო ვისაც ამ ტიპის გეიაღლუმების ჩატარება სურს, საკუთარ „სპალნაში“ ჩაატაროს!**

ესაუბრა
**გიორგი მაისურაძე**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწორედ „ნაციონალების“ მიერ კონტროლირებადი პროპაგანდისტული საშუალებები ავრცელებდნენ ინფორმაციას ლგბტ-აქტივისტების გადაადგილების და მათი აქციის სხვა ადგილას გამართვის შესახებ, კონკრეტული კოორდინატების მითითებით, რაც, იდეაში, ახალი შეტაკებების პროვოცირებას ხელს უწყობდა.**

# იდენტობა და იდენტიფიკაცია

17 მაისის მოვლენებმა საზოგადოებაში ნამდვილი ემოციური ამოფრქვევა გამოიწვია; მას მხოლოდ ვულკანის ამოფრქვევას თუ შევადარებთ. ამან ერთობ გაართულა მომხდარის ანალიზი და იმ ცივი, ცინიკური პოლიტიკური გათვლის გამოვლენა, რომელიც ყოველივე მომხდარის უკან, სავარაუდოდ, იდგა. რა მოხდა სინამდვილეში 17 მაისს? ვის აძლევდა ხელს ქაოსი თბილისის ქუჩებში?



## მათი სიამაყის დღეები

16 მაისს, აქციის გამართვამდე ორგანიზაცია „იდენტობამ“ თავის საიტზე გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო: **„არიან თუ არა პოლიტიკოსები ჩართულნი ჩვენს აქციაში? ორგანიზატორები ოფიციალურად და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი თუ გაერთიანება არასდროს ყოფილა ლგბტ ჯგუფის უფლებების მხარდამჭერი საქართველოში, არც ღიად, არც ფარულად. არასდროს არც ერთ პოლიტიკოსს არ მოუმართავს ჩვენთვის რაიმე იდეით. „იდენტობის“ დაარსებიდან (2010) დღემდე არც ერთ პოლიტიკოსს, პოლიტიკურ გაერთიანებას თუ პარტიას არასდროდ გამოუხატავს ფარული თუ ღია ინტერესი ჩვენი უფლებების დაცვის მიმართ. არასდროს გვქონია მხარდაჭერა და კონსულტაცია რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფთან აიდაჰოს დღის (17 მაისი) აღნიშვნასთან დაკავშირებით. „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს სახელმწიფომ არ დაიცვა ჩვენი უფლებები. ასევე, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ უარი თქვა, გამოეძიებინა ჩვენ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები“.**

როგორც ვხედავთ, ამ განცხადებაში დისტანცირება „ნაცმოძრაობისგან“ დაფიქსირებულია ცალკე, საგანგებოდ, ისე, თითქოს აქციის ორგანიზატორები ვარაუდობდნენ, რომ ბრალდებების ძირითადი ნაწილი მათსა და „ნაციონალებს“ შორის ფარულ ალიანსს დაუკავშირდება. საინტერესოა, რომ მსგავსი შინაარსის ბრალდებები მედიასა და სოციალურ ქსელებში ჯერ კიდევ აქციის გამართვამდე ფიქსირდებოდა.

17 მაისს, პირველმა, თანაც ყველაზე მკაფიოდ, ეს ბრალდება ნინო ბურჯანაძემ გაახმიანა: **„დარწმუნებული ვარ, დღეს ამ აქციის უკან დგანან არა უმცირესობების წარმომადგენლები, რომელთაც არასოდეს ჩვენს ქვეყანაში პრობლემები არ შექმნიათ, არამედ ის ადამიანები, რომლებიც საქართველოში უცხო ფასეულობების დანერგვას ცდილობდნენ. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, გიგა ბოკერია, მიხეილ სააკაშვილი. ისინი ყოველ წელს ამ დროს ცდილობდნენ, შემოეპარებინათ ჩემთვის ამ აღლუმის ჩატარების შესაძლებლობა, მაგრამ ჩემი რეაქცია ყოველთვის იყო კატეგორიულად უარყოფითი. მე ძალიან კარგად მახსოვს ბატონი ბოკერიას სიტყვები: „ქალბატონო ნინო, თქვენ მოგიწევთ შეეგუოთ იმას, რომ საქართველოში გეიაღლუმი ჩატარდება“. მე მაშინ ძალიან კატეგორიულად დავაყენე საკითხი, ვუთხარი პრეზიდენტს, რომ ძალიან მძიმე იქნებოდა ჩემი რეაქცია ამასთან დაკავშირებით და ძალიან ძვირად დაუჯდებოდა მას, თუ გაბედავდა და ასეთი აღლუმის ჩატარების პროვოცირებას მოახდენდა“.**

**ამ სცენარის ფარგლებში, დიდი ალბათობით, მოხდებოდა უმძიმესი შეტაკება პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის, რასაც ივანიშვილის ხელისუფლების პოზიციების სერიოზული დასუსტება მოჰყვებოდა**

აქ, ალბათ, აუცილებელია ტერმინების დაზუსტება. ის აქცია, რომლის გამართვა 17 მაისს რუსთაველის გამზირზე იგეგმებოდა, არ წარმოადგენდა გეიაღლუმს (გეი-პრაიდ-პარადს, ანუ გეების სიამაყის აღლუმს). სხვაობა საზოგადოების უმრავლესობისთვის ძნელი შესამჩნევია, თუმცა ის მნიშვნელოვანია. **17 მაისს აღინიშნება ჰომოფობიასთან** (აგრეთვე, ბიფობიასთან და ტრანსოფობიასთან) **ბრძოლის საერთაშორისო დღე — ამ დღეს, 1990-ში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ჰომოსექსუალობა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციიდან ამოიღო. მისი მთავარი დატვირთვა გეების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების პრობლემების, მათი უფლებების შეზღუდვის მიმართ საზოგადოებისა და მთავრობის ყურადღების მიზიდვაა, მარტივად რომ ვთქვათ, ამ აქციებზე უფლებადაცვითი თემატიკა დომინირებს.**



რაც შეეხება გეი-პრაიდ-პარადს, რომელიც, როგორც წესი, ივნისში ტარდება (1969 წლის 28 ივნისს ნიუ იორკის ერთ-ერთ გეიბარში მოხდა შეტაკება პოლიციასთან, რომელმაც სათავე დაუდო საეტაპო მოვლენებს ლგბტ მოძრაობის ისტორიაში; **2009 წელს პრეზიდენტმა ობამამ ივნისი გეების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების სიამაყის თვედ გამოაცხდა**). ივნისის გეიაღლუმებზე ასევე ფიქსირდება უფლებადაცვითი ლოზუნგები და მოწოდებები ტოლერანტული დამოკიდებულებისკენ, მაგრამ, ამასთანავე, ეს არის ზეიმი ლგბტ-საზოგადოებისთვის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საჯარო დემონსტრირების დღე.

**ნინო ბურჯანაძის განცხადებას თუ დავუჯერებთ, სააკაშვილს და ბოკერიას ეს სხვაობა არ ესმოდათ („ყოველ წელს ამ დროს ცდილობდნენ, შემოეპარებინათ ჩემთვის ამ აღლუმის ჩატარების შესაძლებლობა“), ან კიდევ განგებ ურევდნენ ერთმანეთში ჰომოფობიასთან ბრძოლის დღეს და გეიაღლუმს, მიუხედავად იმისა, რომ აშკარა იყო, — განსხვავებული დატვირთვის მქონე აქციების მსგავსი აღრევა ლგბტ-ორგანიზაციებს დარტყმის ქვეშ დააყენებს.** ამ ძნელად შესამჩნევ ნიუანსს სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს; **17 მაისის ღონისძიებას საზოგადოების უდიდესი ნაწილი ერთმნიშვნელოვნად აღიქვამდა, როგორც გეიაღლუმს, როგორც განსხვავებული ორიენტაციის საჯარო, გამომწვევი დემონსტრირების დღეს და ამ გარემოებამ პროცესების გამწვავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.**

„პროვოკაციის ავტორი ძველი ხელისუფლებაა“, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ პოლიტოლოგმა ხათუნა ლაგაზიძემ. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე კი ბუნდოვანი მინიშნებით შემოიფარგლა: **„პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ეს ინსპირირებულია გარკვეული ძალების მიერ. ამის უკან გარკვეული ფინანსებია“.**

## ხაფანგი ახალი მთავრობისთვის

ზოგადად, სიტუაციებში, როდესაც კონკრეტული სამხილი არ არსებობს, თუ ასეთად არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ თავისუფლების მოედანზე, პირობითად, „№1 დაპირისპირების“ დასრულების შემდეგ, **სწორედ „ნაციონალების“ მიერ კონტროლირებადი პროპაგანდისტული საშუალებები ავრცელებდნენ ინფორმაციას ლგბტ-აქტივისტების გადაადგილების და მათი აქციის სხვა ადგილას გამართვის შესახებ, კონკრეტული კოორდინატების მითითებით, რაც, იდეაში, ახალი შეტაკებების პროვოცირებას ხელს უწყობდა** (თუმცა, თეორიულად, შესაძლებელია ეს დამთხვევაც ყოფილიყო), ძველი რომაელები გვირჩევდნენ დაგვესვა კითხვა: **„ვისთვისაა მომგებიანი?“.**

ერთი შეხედვით, „ნაციონალებისთვის“ ძალიან მომგებიანია, რომ ახალი ხელისუფლება და საპატრიარქო ამა თუ იმ ფორმით ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რათა ივანიშვილის მთავრობა იძულებული გახდეს დემონსტრანტების წინააღმდეგ (რომელთა უმრავლესობამ 1 ოქტომბერს, დიდი ალბათობით, მხარი „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა) ხისტი პოლიციური ძალა გამოიყენოს, რომ დასავლეთმა სიტუაცია ისე დაინახოს, თითქოსდა ივანიშვილი ვერ უმკლავდება აგრესიულ, ანტიდასავლურ ძალებს, რომ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ნოსტალგიით გაიხსენოს სააკაშვილის დროინდელი „სტაბილურობა“ და ა.შ. მაგრამ, ისინი, სავარაუდოდ, იმასაც უნდა აცნობიერებდნენ, რომ **ივანიშვილი საპასუხო დარტყმას სწორედ მათ მიაყენებს, თუ მივა დასკვნამდე, რომ განხილულ მოვლენებში მათ განმსაზღვრელი როლი შეას-** ▶

**ალბათ, ლგბტ ორგანიზაციების წევრებმა უნდა დაადგინონ, რამდენად ადეკვატურად გამოხატავენ მათი ხელმძღვანელები მათ ინტერესებს და ხომ არ იყენებენ, როგორც პაიკებს, პოლიტიკოსების ბინძურ თამაშში; ამასთან დაკავშირებით ბოლო დღეებში არაერთი ეჭვი გამოითქვა და მთელი ეს ისტორიაც საკმაოდ საეჭვოდ გამოიყურება.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **რულეს და ეს დარტყმა, სავარაუდოდ, მოულოდნელი და, ჩვეულებისამებრ, სასტიკი იქნება.** რა თქმა უნდა, მცირე რესურსების გამოყენებით, ორი ძლიერი ოპონენტის ერთმანეთთან დაპირისპირების პროვოცირება ძალზე მაცდური იდეაა, მაგრამ აუცილებელია სავარაუდო პასუხის გათვალისწინებაც, მითუმეტეს რომ **17 მაისს გამოთავისუფლებული ენერგიის გადამისამართება პროვოკაციის შესაძლო ავტორებისკენ, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, არც ისე რთულია.**

ტაქტიკური რეაგირების რეჟიმში, იმ მომენტიდან, როდესაც კორდონის გარღვევა მოხდა, პოლიციამ, ალბათ, შესანიშნავად იმოქმედა და დედაქალაქს სისხლისღვრა აარიდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კითხვები შსს-ს ხელმძღვანელობის მიმართ არ არსებობს. „იდენტობის" 17 მაისის განცხადებაში ჩვენ ვკითხულობთ: **„იდენტობა", „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი", „ლგბტ საქართველო" და „ქალთა ფონდი საქართველოში" რამდენიმეჯერ შეხვდა პოლიციის სხვადასხვა დეპარტამენტის მაღალჩინოსნებს. შეხვედრებს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. უკანასკნელ შეხვედრაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ პოლიცია არა მხოლოდ მობილიზებული იყო, არამედ სპეციალური შტაბიც კი იყო შექმნილი. მათ მრავალჯერადად დაგვარწმუნეს, რომ აქცია შედგებოდა და ისინი უზრუნველყოფდნენ მონაწილეთა მშვიდობიან შეკრებას, აქციის ჩატარებას და ორგანიზებულ დაშლას. შემუშავდა სამოქმედო გეგმა, შეთანხმდა აქციის ადგილი და დრო. „იდენტობას" წარმომადგენლებს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდათ სამართალდამცავებთან. შეთანხმებული იყო ყველა შესაძლო დეტალი".**

საინტერესოა, რამდენად სწორად მოიქცა შსს-ს ხელმძღვანელობა, როდესაც საკუთარ თავზე აიღო ვალდებულებები, რომელთა შესრულება იმთავითვე სათუო იყო. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ რუსთაველზე ათიათასობით ადამიანი მივიდოდა, ოპონენტების აქციის ჩაშლას შეეცდებოდა და არც პოლიციის კორდონის გარღვევას მოერიდებოდა. ამის განჭვრეტა შეეძლო არა მხოლოდ პოლიციის გენერლებსა და პოლკოვნიკებს, არამედ რიგითებს; ეს ცხადი იყო, „ზედაპირზე იდო" და ამის შესახებ ყველამ იცოდა. მიუხედავად ამისა, ღარიბაშვილის უწყებამ მაინც აიღო საკუთარ თავზე ვალდებულებები, რომლებიც ვერ შეასრულა, და ამის გამო ზოგიერთ ეპიზოდში სიტუაცია აშკარად უკონტროლო გახდა. **ფორმალური თვალსაზრისით, შსს-ს სხვა არჩევანი არ ჰქონდა და მხოლოდ იმის გაკეთება შეეძლო, რაც გააკეთა** (ანუ აქციის ხელშეუხებლობაზე პასუხისმგებლობის აღება), **მაგრამ უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება საქმის მიყვანა იქამდე, რომ ძალოვნები სიტუაციის მძევლები გახდნენ, სასურველი იყო პრევენციული ზომების მიღება იმისთვის, რომ დაპირისპირება საერთოდ არ მომხდარიყო ან, უკიდურეს შემთხვევაში, ინციდენტი დასრულებულიყო მცირე შეხლა-შემოხლის შემდეგ, როგორც ეს 2012 წლის 17 მაისს მოხდა.**

**რა ფინალის ხილვა სურდათ „ნაციონალებს"?** შეტაკების კვალობაზე გიგა ბოკერიამ ასეთი განცხადება გააკეთა: **„პოლიციას აქვს სრული სამართლებრივი უფლება და მხარდაჭერა ჩემგან, რომ ამ სამარცხვინო მოძალადეების წინააღმდეგ, რომლებმაც დღეს ეს საშინელება ჩაიდინეს, ყველა ლეგიტიმური მეთოდი გამოიყენოს".** ალბათ, ძნელი გასაშიფრი არ არის, თუ რას ნიშნავს „ყველა ლეგიტიმური მეთოდი" ყოფილი ხელისუფლების ენაზე — სავარაუდოდ, ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენებას, ისეთი ტიპის დარბევას, როგორიც 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის რეჟიმმა მოაწყო. **ამ სცენარის ფარგლებში, დიდი ალბათობით, მოხდებოდა უმძიმესი შეტაკება პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის, რასაც ივანიშვილის ხელისუფლების პოზიციების სერიოზული დასუსტება მოჰყვებოდა. შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ყველა მოქმედების ანალიზი, ალბათ, სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა მოვახდინოთ, გამორიცხული არაა, რომ ლგბტ აქციის ხელშეუხებლობის ვალდებულების აღება და არშესრულება, თანმდევი ექსცესებით, მან „ნაკლებ ბოროტებად" ჩათვალა იმ სიტუაციაში, როდესაც შექმნილი ვითარებიდან გამოსვლა „ბოროტების გარეშე", უბრალოდ, არ გამოდიოდა.**



**რა მოტივებით, რა ლოგიკით ხელმძღვანელობდნენ აქციის ორგანიზატორები, როდესაც ეს, ხარის ცხვირწინ წითელი ქსოვილის აფრიალების ტოლფასი გადაწყვეტილება მიიღეს?**



**ივანიშვილი საპასუხო დარტყმას სწორედ მათ მიაყენებს, თუ მივა დასკვნამდე, რომ განხილულ მოვლენებში მათ განმსაზღვრელი როლი შეასრულეს და ეს დარტყმა, სავარაუდოდ, მოულოდნელი და, ჩვეულებისამებრ, სასტიკი იქნება**




## დაცვა თუ გაწირვა?

ალბათ, დროთა განმავლობაში მოხერხდება ყველა იმ მოვლენის რეკონსტრუირება, რომელიც მოხდა იმ მომენტიდან, როდესაც ცხადი გახდა, რომ პარლამენტთან ლგბტ აქტივისტების მოწინააღმდეგეთა უზარმაზარი მასა იკრიბება და ადგილი, სადაც ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციის გამართვა იგეგმებოდა, დაკავებულია, იმ მომენტამდე, როდესაც გადაწყდა, რომ აქცია მაინც გაიმართება, ოდნავ მოშორებით, მერიის ძველ შენობასთან. **რა მოტივებით, რა ლოგიკით ხელმძღვანელობდნენ აქციის ორგანიზატორები, როდესაც ეს, ხარის ცხვირწინ წითელი ქსოვილის აფრიალების ტოლფასი გადაწყვეტილება მიიღეს?**

გასაგებია, რომ მათთვის პრიორიტეტული იყო მათი იდეები და ლოზუნგები, მაგრამ **ნუთუ სამოქალაქო მშვიდობა, ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა მათთვის ნაკლებად ღირებულია? რატომ მიიღეს მათ ეს სარისკო, თუ არა ავანტიურისტული გადაწყვეტილება იმ მომენტში, როდესაც ყველაზე სულელებისთვისაც კი ცხადი გახდა, რომ მოწინააღმდეგეები მერიისკენ დაიძრებოდნენ და პოლიციელები მათ შეჩერებას ვერ მოახერხებდნენ?** ეს ერთ-ერთი საკვანძო მომენტია ამ ისტორიაში, რომელიც დამატებით ჩაძიებას და მოტივების ზუსტ დადგენას მოითხოვს.

დღეს სიტუაციის შეფასება, როგორც წესი, იმ პლატფორმიდან ხდება, რომელზეც საზოგადოების დიდი ნაწილი დგას, მაგრამ მოდით წამით შევეცადოთ, სიტუაციას მეორე, ასე ვთქვათ, „ძველი მერიის მხრიდან" შევხედოთ. **იქ შეკრებილი ორგანიზაციების მიზანი ჰომოფობიასთან ბრძოლა იყო, მაგრამ რეალურად 17 მაისს მოხდა საპირისპირო განწყობების ყველაზე დიდი ამოფრქვევა საქართველოს უახლეს ისტორიაში, ანუ მათი დეკლარირებული მიზნების სრულიად საპირისპირო რამ.** მათ შეუძლიათ დაადანაშაულონ ამაში ოპონენტები ან პოლიცია, მაგრამ **საინტერესოა, აცნობიერებენ თუ არა საკუთარ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ იმ ადამიანების სიცოცხლეს, რომელთა უფლებებს, თითქოსდა იცავდნენ, თავისი საეჭვო გადაწყვეტილებებით სასიკვდილო საფრთხე შეუქმნეს? რისთვის?** (და როგორ გამოვრიცხოთ პოლიტიკოსების დაკვეთა ამ გარემოების გათვალისწინებით?).

ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ, ერთი ლოკალური ეპიზოდი წინასაარჩევნო პერიოდიდან, როდესაც ვებსაიტი „გეიბათუმი" გამოიყენებოდა პროპაგანდისთვის ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ (მაგალითი: „ეს კაცი არის ჰომოფობი, მასთან ერთად დაუბრუნდები წარსულს, სადაც შენი უფლებები ილახება"). მაშინ (14.09.12) „გეიბათუმის" მესვეურებმა „მედიანიუსს" განუცხადეს: **„გეიბათუმი" არასამთავრობო, აპოლიტიკური ორგანიზაციაა, მაგრამ დღეს მნიშვნელოვანია, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ არჩევნებში, რომელიც გადაწყვეტს ქვეყნის ბედს. ჩვენ ღიად ვაფიქსირებთ ჩვენს მხარდაჭერას ეროვნული მოძრაობის მიმართ, რომელმაც საქმით და არა ოცნებებით დაამტკიცა ქვეყნის სიყვარული და აჭარის რეგიონი აღმშენებლობის გზაზე დააყენა. „ნაციონალური მოძრაობა" — ესაა გზა აღმშენებლობისკენ. „ოცნების" დრო დამთავრდა, ჩვენ გაკეთებული საქმის გვჯერა".** ისმის კითხვა, **იყო თუ არა ეს სხვა გეების (იდეაში, ისინი შეიძლება ნებისმიერი პარტიის მხარდამჭერები იყვნენ) დარტყმის ქვეშ დაყენება და მათ მიმართ იმ სიძულვილის გადამისამართება, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი „ნაციონალების" მიმართ განიცდიდა? იყო თუ არა ეს გეების ასოცირება „ნაციონალებთან" და პირიქით? გააუმჯობესეს ამით გეების მდგომარეობა თუ საქმე გაუფუჭეს, ისევე, როგორც 2013 წლის 17 მაისს?**

ალბათ, ლგბტ ორგანიზაციების წევრებმა უნდა დაადგინონ, რამდენად ადეკვატურად გამოხატავენ მათი ხელმძღვანელები მათ ინტერესებს და ხომ არ იყენებენ, როგორც პაიკებს, პოლიტიკოსების ბინძურ თამაშში; ამასთან დაკავშირებით ბოლო დღეებში არაერთი ეჭვი გამოითქვა და მთელი ეს ისტორიაც საკმაოდ საეჭვოდ გამოიყურება.

**დიმიტრი მონიავა**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ მე ამირჩიეს თავმჯდომარედ, მიუხედავად ჩემი უდიდესი პატივისცემისა, დევნილებს სოციალური და სხვა ამგვარი სახის პრობლემების მოგვარებას ვერ შევპირდები. ამისთვის სხვა სამინისტრო არსებობს. ჩემი საქმე აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენა და მკვდარი პროცესის ადგილიდან დაძვრა იქნება.“**



გია შერვაშიძე:

# ჩემზე თავდასხმა უშუალოდ ვანო მერაბიშვილმა დაგეგმა

**აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ვაკანტურია, მოვალეობას ამჟამად ვახტანგ ყოლბაია ასრულებს და გია ბარამიას შემცვლელი უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს აფხაზეთის უზენაესი საბჭო ირჩევს. ამ პოსტზე თავისი კანდიდატურის დასახელებას შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი, გენერალი გია შერვაშიძეც აპირებს. ეს ამბავი „საქართველო და მსოფლიოს“ ექსკლუზიურად შერვაშიძემ თავად გაუმხილა და ისიც დასძინა, აფხაზებს სურთ, მე დავიკავო ეს პოსტი და სწორედ ეს ფაქტორი იყო გადამწყვეტი ჩემს არჩევანშიო.**

**— ბატონო გია, თქვენ აფხაზეთის საკითხს ერთხელ კინაღამ შეეწირეთ. სიკვდილს ძლივს გადაურჩით...**

— ეს ამბავი 2008 წლის ივნისში მოხდა. მე, დავით თარხან-მოურავი და ჟურნალისტი ირმა ინაშვილი გადავედით აფხაზეთში. იქიდან 2-3 დღის დაბრუნებული გახლდით, როცა საკუთარ გარაჟთან დამხვდნენ, მანქანიდან გადმოვედი თუ არა, უკნიდან მომეპარნენ, თავში უძლიერესი დარტყმა მომაყენეს... გავითიშე, მერე აღარაფერი მახსოვს.

**— თქვენ, გენერალ კაცს, იარაღის ტარების უფლებაც გაქვთ და იარაღიც. რატომ არ ესროლეთ თავდამსხმელებს? ვერ მოასწარით?**

— იარაღი მუდამ მანქანაში მაქვს, მაშინაც იქ მქონდა. ბედად, უიარაღოდ გადმოვედი მანქანიდან, სახლთან რაში მჭირდებოდა იარაღი? ამან გადამარჩინა.

**— როგორ გადარჩით?**

— ჩემზე თავდასხმა უშუალოდ ვანო მერაბიშვილმა დაგეგმა. მე რომ დამესწრო და მესროლა თავდამსხმელებისთვის, ორმხრივ სროლაში მომკლავდნენ. შემდეგ მანქანაში ნარკოტიკს „აღმოაჩენდნენ“ და იტყოდნენ — აი, გენერალმა შერვაშიძემ ნარკოტიკის პარტია გადმოიტანა აფხაზეთიდან და სპეცოპერაციისას მოვკალითო.

**— ვანო მერაბიშვილი რას გერჩოდათ?**

— ხელისუფლებას მონოპოლიზირებული ჰქონდა აფხაზეთის თემა. **მერაბიშვილის სახელით მრავალჯერ მითხრეს — აფხაზეთის თემას საერთოდ ნუ ეხებიო. ბოლოს, მერაბიშვილის წარმომადგენელმა, დეპუტატმა კატეგორიულად მითხრა, — ერთხელაც ჩახვალ აფხაზეთში და, რაც მოგივა, მერე შენს თავს დააბრალეო.** დამემუქრნენ და გააკეთეს კიდეც.

**— რომელი დეპუტატი დაგემუქრათ?**

— მოდით, ამ ეტაპზე თავს შევიკავებ, იმას გეტყვით, რომ ის ამჟამადაც დეპუტატია.

**— ვანო მერაბიშვილს რატომ აღიზიანებდა აფხაზეთის თემით თქვენი აქტიურობა?**

— მერაბიშვილს კი არა, მთელ ხელისუფლებას აღიზიანებდა. **მათ გეგმაში არ ჰქონდათ აფხაზეთის დაბრუნება, ეს 2008 წლის ომმაც დაადასტურა. მანამდეც არანაირი აქტიურობა ხელისუფლების მხრიდან ამ მხრივ არ ყოფილა. პირიქით, ჩემი არ იყოს, ვინც აფხაზებთან დაახლოებას ცდილობდა, რაღაც გზებს კვალავდა, ყველა აიძულეს, გაჩერებულიყო.**

**— საუბრის დაწყებისას მითხარით, აფხაზებს სურთ, მე გავხდე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო. კონკრეტულად ვის სურს?**

— სამწუხაროდ, ამ ადამიანების დასახელება არ შემიძლია. ისინი არიან აფხაზეთის ინტელიგენციაშიც, უხუცესთა შორისაც, ყოფილ მებრძოლებშიც, ახალგაზრდებშიც და არასამთავრობო სექტორშიც. მათ მითხრეს, — შენ ხარ აფხაზეთის მთავარი გიორგი ჩაჩბა, ჩაჩბებს აფხაზეთისთვის, 10 საუკუნეა, არ უღალატიათ; ჩვენ გენდობით და, თუ ვინმეს აქვს ქართველებისა და აფხაზების ერთად ცხოვრებაზე ლაპარაკის უფლება, ეს შენ ხარო. რა მექნა ამის შემდეგ? დავფიქრდი და მივხვდი, რომ მართლა შემიძლია რაღაცის შეცვლა და თავმჯდომარეობაზე კენჭისყრაზეც დავყაბულდი.

**— მაგრამ აფხაზები ენდობიან და ელაპარაკებიან გიორგი შერვაშიძე-ჩაჩბას, აფხაზთა მთავარს და არა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. პოლიტიკური თანამდებობა, პირიქით, ხომ არ დაგაშორებთ აფხაზებს? ნუ მეტყვით, რომ თქვენი ხათრით, ისინი უარს იტყვიან დამოუკიდებლობაზე. ძალიან დიდ და ყრუ კედელს დაეჯახებით, ბატონო გია.**

— არც ეგეთი მიამიტი ვარ... **(იცინის).** აფხაზეთის ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებთან მოლაპარაკების პროცესში თავად აფხაზთა დიდი მხარდაჭერა რომ მექნება, ეს ცოტაა? აქვე ვიტყვი, არ მინდა ეს დამავიწყდეს. **თუ მე ამირჩიეს თავმჯდომარედ, მიუხედავად ჩემი უდიდესი პატივისცემისა, დევნილებს სოციალური და სხვა ამგვარი სახის პრობლემების მოგვარებას ვერ შევპირდები. ამისთვის სხვა სამინისტრო არსებობს. ჩემი საქმე აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენა და მკვდარი პროცესის ადგილიდან დაძვრა იქნება.**



**«ჩვენ აფხაზეთის მიწა და ზღვა კი არ გვწყურია, აფხაზი ხალხი გვწყურია და მათ გარეშე ეს მიწა წყალსაც წაუღია»**



**«ხელისუფლებას ჩემი აქტიურობა იმიტომაც აღიზიანებდა, რომ მე პატრიარქთან შეთანხმებით ვმოქმედებდი»**

**— აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებაში თუ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც საქართველოსთან ურთიერთობის დალაგების მომხრე არიან? და, რაც მთავარია, ამ ხალხთან თუ გაქვთ კონტაქტები?**

— ცხადია, აფხაზეთის ხელისუფლებაშიც არიან ე.წ. პროქართული პოლიტიკოსები, მაგრამ ისინი დროისა და ვითარების შესაბამისად მოქმედებენ. რაც შეეხება მათთან ჩემს კონტაქტებს, ვფიქრობ, ამ კითხვაზე ჩემი პასუხი თავიდანვე ნათელი იყო თქვენთვის — ასეთ თემებზე მედიით არ ლაპარაკობენ.

**— ბატონო გია, თქვენ 1993 წლის ომში იბრძოდით. ამას გაპატიებენ აფხაზები?**

— 1993 წელს პოლიციის აკადემიის რექტორის მოადგილე ვიყავი, მიბრძანეს და წავედი ომში. სოხუმიდან 1968 წელს წამოვიდა ჩვენი ოჯახი და თბილისში დამკვიდრდა. აფხაზეთში რომ მეცხოვრა, იარაღს, ალბათ, არ ავიღებდი ხელში. მარტო მე ხომ არ მიბრძოლია? ბევრმა ვიბრძოლეთ და ახლა ერთმანეთს ამისთვის პატიება უნდა ვთხოვოთ. ბოდიშის მოხდით არც ჩვენ ვიტყვით აფხაზეთის დაბრუნებაზე უარს და არც აფხაზები იტყვიან უარს დამოუკიდებლობაზე, მაგრამ შეცდომები და დანაშაულები უნდა ვაღიაროთ. მე გითხარით, რომ **ჩემს მხადრამჭერთა შორის არიან ყოფილი აფხაზი მებრძოლები, ჩვენ რა ხანია, ვაპატიეთ ერთმანეთს. ისიც გაითვალისწინეთ, დღეს აფხაზეთში ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ დაჯგუფებებს სწორედ ყიფილი მეომრები აკონტროლებენ.**

**— ანუ ის ხალხი, რომელიც თქვენს თავჯდომარედ არჩევას ითხოვს. ამით გინდათ დამარწმუნოთ, რომ აფხაზეთის ხელისუფლებაში გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე გასვლა არ გაგიჭირდებათ?**

— მე თქვენს დარწმუნებას არაფერში ვცდილობ, მე ფაქტებით გელაპარაკებით და დასკვნა თავად გააკეთეთ. **მე ძალიან ღრმა და მრავალფეროვანი კონტაქტები მაქვს აფხაზებთან და, ვიდრე ცოცხალი ვარ, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად ვიბრძოლებ.** არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გვერდით მიდგას ამ საქმეში. ჩვენ ერთად არაერთხელ შევხვედრივართ აფხაზ და ქართველ ბიზნესმენებს, აფხაზეთის კულტურის სფეროს წარმომადგენლებს. 2007 წელს ისრაელში თავად პატრიარქმა მიმიწვია ამგვარ შეხვედრაზე. 2008 წელს, როცა საკუთარ სახლთან კინაღამ მომკლეს, მანამდე სწორედ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გახლდით სოხუმში. **ხელისუფლებას ჩემი აქტიურობა იმიტომაც აღიზიანებდა, რომ მე პატრიარქთან შეთანხმებით ვმოქმედებდი.** აფხაზეთის კონფლიქტი მაშინ რომ გალღობილიყო, ორმხრივი სასიკეთო ძვრები დაწყებულიყო, ეს იმჟამინდელ ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა, პატრიარქის ისედაც უზარმაზარი რეიტინგის გაზრდა, მათთვის კატასტროფა იქნებოდა. **სიმართლე თუ გინდათ, ჩემი მოკვლის მცდელობაც, გარკვეულწილად, აფხაზეთში ჩემი და პატრიარქის ერთობლივ საქმიანობასაც უკავშირდება.**

**— დავუშვათ, აგირჩიეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. რით დაიწყებთ მუშაობას?**

— სახალხო დიპლომატიის გარდა სხვა ბერკეტები აღარ გაგვაჩნია, ეს უნდა გამოვიყენოთ. ყოველ აფხაზს, რომელთანაც ხმა მიგვიწვდება, ის უნდა ვუთხრათ, რისი გაგონებაც მათ ამდენი ხანია სურთ: ხმამაღლა უნდა ვუთხრათ, რომ ჩვენ აფხაზები გვინდა, მათთან ცხოვრება გვჭირდება, მათ გარეშე ყოფნა არ შეგვიძლია, ჩვენ აფხაზეთის მიწა და ზღვა კი არ გვწყურია, აფხაზი ხალხი გვწყურია და მათ გარეშე ეს მიწა წყალსაც წაუღია.

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი**

„ვინ სთხოვა სომხეთს კავშირგაბმულობის ტექნიკა? მაინტერესებს, რომ ჩამოვიდა გოგი თავთუხაშვილი, საბჭოთა კავშირის რუკა რომ დამიდო წინ და მკითხა, დმენისი რომელ მხარეს არისო, 2008 წელს საბჭოთა კავშირის რუკით უნდა ეხელმძღვანელათ?!“

08.08.08

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გურამ ვახტანგაშვილი:

# პროვოკაციებს, რომელთაც აშკარა ომამდე მივყავდით, ქართული მხარე აწყობდა

**2008 წლის აგვისტოს ომის დეტალებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ ორი მოწვევის ყოფილ პარლამენტარს, გურამ ვახტანგაშვილს ეწვია, თუმცა აღმოჩნდა, რომ ბატონ გურამს უფრო მეტი შეკითხვის დასმა სურს ომისდროინდელი ხელისუფლებისთვის და ნაკლებად აქვს სურვილი, გაიხსენოს ის საზარელი დღეები. ჩვენი საუბარი დიალოგის რეჟიმში არ წარმართულა, მან მხოლოდ შეკითხვები დასვა, რომელთაც უცვლელად გთავაზობთ.**



— საქართველოსა და ოსეთს შორის ომი 1991 წლის 5 იანვარს დაიწყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ხალხს მშვიდი ძილი არ ღირსებია, გამუდმებით საომარ ვითარებაში გვიწევდა ცხოვრება. 1991 წლიდან მოყოლებული რუსული ტექნიკა საქართველოში სულ იდგა, ეს ყველაფერი კი ქართულმა მხარემ ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ პროვოკაციებს მაინც აწყობდა. **2008 წლის აგვისტომდე ორი თვით ადრე, ივნის-ივლისში დაახლოებით 8 ოსია დაღუპული, ჩვენს მხარეს კი — არც ერთი, ასეთი ფაქტები შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა ჰქონდეს დაფიქსირებული. იმის ნაცვლად, რომ სიტუაცია გაენეიტრალებინათ, ჩვენებმა პირიქით გააკეთეს. ხეობაში მცხოვრებ ხალხს ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, რომ აშკარად ქართული მხარე იყო მოწადინებული, ომი დაწყებულიყო.** მართალს ამბობს აკაკი ცოტნიაშვილი თქვენთან ინტერვიუში, როგორც ნარკომანს წამალი, ისე უნდოდა ქართულ მხარეს ომის დაწყებაო.

2003 წლამდე, სანამ შერეული სახელმწიფო კომისია მუშაობდა ირაკლი მაჭავარიანის ხელმძღვანელობით, მოლაპარაკებები ძალიან კარგად მიმდინარეობდა, ამ კომისიის წევრი მეც ვიყავი. არანაირი დათმობა არ იყო, ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ პოლიტიკურ სტატუსზე მოგველაპარაკა. რევოლუციის შემდეგ მოლაპარაკებებში ხაინდრავა და ვოლსკი ჩაერთნენ, ისინიც ჩვენს შენიშვნებს ითვალისწინებდნენ, მუდმივად ხეობაში იმყოფებოდნენ, ერთი ნაბიჯით უკან არ დაგვიხევია. მაგრამ, რაც ისინი წავიდნენ და იაკობაშვილმა შერეული კომისიის მასხრად აგდება დაიწყო, მოლაპარაკებებზე აღარავინ მიდიოდა, ყოველ შემთხვევაში, „ნაცმოძრაობას“ არავინ ხვდებოდა. შემდეგ იყო ის, რომ სანაკოევის ხელისუფლება შეიქმნა, გზები გადაიკეტა თამარაშენში, რათა ოსებს აღარ ევლოთ თამარაშენი-ქურთა-კეხვისა და ჯავის მიმართულებით. ეს იყო 2006 წელს. მაშინ ამდენს ვერ ვაანალიზებდით, მაგრამ **დღევანდელი გადასახედიდან ვხვდები, რომ ეს ყველაფერი იმისთვის კეთდებოდა, რომ ომამდე მივსულიყავით. სპეციალურად იქმნებოდა დაძაბული სიტუაციები; ხომ გეუბნებით, ბოლოს იმაზეც წავიდნენ, რომ იქაური პოლიციის უფროსი ააფეთქეს სოფელ დმენისში, თუ არ ვცდები, გვარად თიბილოვი იყო. არ გასულა აფეთქებიდან ნახევარი საათი, რომ შემოვლით გზაზე სანაკოევის კორტეჟი ააფეთქეს და ბიჭები დაიჭრნენ.** მოკლედ, **პროვოკაციებს, რომელთაც აშკარა ომამდე მივყავდით, ქართული მხარე აწყობდა.**

ომის დეტალების გამოძიებას მივესალმები, რადგან ძალიან ბევრი შეკითხვა მაქვს „ნაციონალური მოძრაობისთვის“ დასასმელი. 7 აგვისტოს ჩვენმა საჯარისო ნაწილებმა რომ ცეცხლი გახსნეს და ცხინვალის მიმართულებით დაიწყეს გადაადგილება, რუსმა სამშვიდობოებმა მეღვრეკისიდან ცხინვალის, დმენისის, არცევის მიმართულებით ბლოკ-პოსტებზე შლაგბაუმები აუწიეს და ქართული საჯარისო ნაწილები ცხინვალისკენ გაუშვეს. **რუსების სამშვიდობოებს არანაირი ბრძანებით, მანდატით ჩვენები აღნიშნულ ტერიტორიაზე არ უნდა შეეშვათ.**

ვსვამ კითხვას: **ხომ არ იყო მოლაპარაკება ქართულ და რუსულ მხარეებს შორის, რომ ჩვენ არ ჩავერევით ამ ამბავში, თქვენ თვითონ განაიარაღეთ სეპარატისტები და ბანდფორმირებები და დაამყარეთ თქვენი კონსტიტუციური ძალაუფლებაო, და ამით ხომ არ მოტყუვდნენ?!** ამას მაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ცხინვალი მთელი ღამე იბომბებოდა და მეორე მხარეს ერთი ტყვიაც კი არ გამოუსვრია ჩვენი მიმართულებით. როგორც კი შევიდა ჩვენი პირველი ტანკი ცხინვალში, მაშინვე ავიაცია ჩაერთო საქმეში და დაბომბეს ტერიტორია. უნდა დაიკითხოს ყურაშვილი, იყო თუ არა მასა და კულახმეტოვს შორის რამე მოლაპარაკება? ამ შეკითხვის დასმის საბაბს ისიც მაძლევს, რომ პრეზიდენტმა განაცხადა, რუსები ხელს არ გვიშლიან, შეგვიშვეს ცხინვალშიო. ეჭვი მეპარება, რომ რუსეთის პროვოკაციას წამოეგნენ და თავი შეატყუებინეს ცხინვალის ტერიტორიაზე.

**შეკითხვა მაქვს ხელისუფლებასთან: ოსებმა რომ ქალებისა და ბავშვების ევაკუაცია მოახდინეს, ქართველებმა რატომ არ გამოიყვანეს ხალხი ხეობიდან?! ვინ იძლეოდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ამა და ამ სოფელს ვაკონტროლებთო, მაშინ, როდესაც ომი 8 აგვისტოს უკვე დასრულებული იყო. ვინ იყო იმ პერიოდში პრესსამსახურში?** ამის გამო იქ ხალხი ჩაიხოცა, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ტერიტორიები ჩვენ მიერ კონტროლდებოდა და სახლებს არ ტოვებდნენ!

პასუხი ომისდროინდელ ხელისუფლებას ბევრ რამეზე აქვს გასაცემი. ჩამოვიდნენ სამნი — თავთუხაშვილი და ახალაიები, სამასი კაცით შეიარაღებულნი, და მიდიოდნენ დმენისში, როტაცია უნდა ჩავატაროთ, წუხელის ჩვენ ვაკონტროლებდით ამ ტერიტორიასო. რას ვაკონტროლებდით, როდის ვაკონტროლებდით?! ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით — ცოტნიაშვილი, მე და კიდევ რამდენიმე ადგილობრივი, იმ სამას ვაჟკაცს იქ ჩაახოცინებდნენ. მე ჩემი ჯიპით რომ წამოვიყვანე თავთუხაშვილი და ახალაიები, უკან მაგათი პიკაპი ააფეთქეს და ხალხი დაუხოცეს. სწორედ მაშინ ჩამოაგდეს მანქანიდან „მასტერა“, რომელიც სხვა მანქანისკენ გაიქცა, ის მანქანა აფეთქებას გადაურჩა. გენშტაბში რომ ვიღაც იჯდა და ნახაზებს ადგენდა, იმას არ უნდა სცოდნოდა, ამ სამას კაცს ცხვრებივით სად აგზავნიდა?! **სრულიად მოუმზადებელი და დაუგეგმავი იყო ყველაფერი. რომ ამბობენ, ჯარი გაწვრთნილი იყოო (მე ჯარისკაცებთან პრეტენზია არ მაქვს, ბიჭები ვაჟკაცურად დაიხოცნენ), დღისით, 8 აგვისტოს ხეობაში ოფიცერს ველარ იპოვიდით. ტყვია-წამლით დატვირთული მანქანები დატოვეს და გაიქცნენ, ისიც ჩვენი თავში სახლელი გახდა, იმის გვეშინოდა, არ აფეთქებულიყო.** ქუჩებში რომ ჯარიკაცებს ვხვდებოდით და ვეკითხებოდით, სად არის თქვენი ხელმძღვანელი-თქო, გვპასუხობდნენ, გაიქცნენო. მაინტერესებს, ერედვის მიმართულებით რომ საჯარისო ნაწილები იყო, ვინ იყვნენ მათი ხელმძღვანელები, სარდლები, ოფიცრები, ვინ დაყარა ჯავშანჟილეტები, ტყვია-წამალი, იარაღი. **ჯავშანჟილეტებს იმიტომ იხდიდნენ, რომ თავისუფლად გაქცეულიყვნენ. მრცხვენია ამას რომ ვამბობ.** ამბობდნენ, ამერიკელებმა გაწვრთნეს ჯარიო, ამერიკელებმა ჩვენი ჯარი სამშვიდობო მისიისთვის გაწვრთნეს და არა საომრად.

8-ში საღამოს რამდენიმე ადამიანი სოფელ ბერულაში ვიდექით. 15 ჯარისკაცი მოდიოდა, გადავუდექი და შევაგინე, — სად მიდიხართ, ხეობას ტოვებთ-მეთქი? ერთ-ერთმა ბიჭმა მიცნო და მითხრა, — ბატონო გურამ, ნუ მაგინებთ, დიცელი ვარ, ოქროპირიძე ზვიადიო. მოძებნეთ ეს ოქროპირიძე ალაპარაკეთ, იქ რა ხდებოდა. მან მითხრა, დილით ქურთაში სანაკოევის მთავრობის წარმომადგენლები მოვიდნენ და გვითხრეს, რომ თქვენს თავს მიხედეთ, აქ რუსები და ოსები უნდა შემოვიდნენო, თავად კი სახლებიდან ყველაფერი უკვე გამოტანილი და მანქანებში ჩაწყობილი ჰქონდათო. **მაინტერესებს, თუ 8 აგვისტოს, დილის ათ საათზე უკვე იცოდნენ, რომ რუსი და ოსი უნდა შემოსულიყო, რატომ არ შეიყვანეს ავტობუსები და რატომ არ გამოიყვანეს მოსახლეობა?! რატომ არ მუშაობდა კავშირგაბმულობა?** ზუსტად ვიცი, რომ თავდაცვის სამინისტროს უახლესი კავშირგაბმულობის ტექნიკა ჰქონდა და ჯარისკაცებს არ დაურიგეს. მერე გავიგე და ესეც ზუსტი ინფორმაციაა, რომ მეზობელ სახელმწიფოს — სომხეთს ეხვეწებოდნენ, კავშირგაბმულობის ტექნიკა გვათხოვეთო და იმათ უთხრეს, რომ საწყობში მაგის მეტი რა გაქვთო.

**ვსვამ კითხვას: ვინ სთხოვა სომხეთს კავშირგაბმულობის ტექნიკა?! მაინტერესებს, გოგი თავთუხაშვილი რომ ჩამოვიდა, საბჭოთა კავშირის რუკა დამიდო წინ და მკითხა, დმენისი რომელ მხარეს არისო, 2008 წელს საბჭოთა კავშირის რუკით უნდა ეხელმძღვანელათ?!**

გამოძიება უნდა დაიწყოს, თანაც ძალიან დეტალური, აუცილებლად დავსვამ ამ შეკითხვებს. აღდგომა იყო და საფლავზე ვერ გავედი, 2008 წლის 11 აგვისტოს კი ხელისუფლება გაყვიროდა, — ომი მოვიგეთო და ხალხს „სარკოზი, სარკოზი!“ აძახებინეს. ამაზე ყველამ პასუხი უნდა აგოს. **მაინტერესებს, ვინ გასცა უკანდახევის, უფრო ზუსტად, გაქცევის ბრძანება?!** 2004 წელს ის მაინც მოხდა, ცეცხლის შეწყვეტას ხელი რომ მოეწერა, ტერიტორიები, რომელსაც ჩვენ ვაკონტროლებდით ისევ ჩვენ დაგვრჩა. პრეზიდენტმა რომ კაპიტულაციას მოაწერა ხელი, ხომ შეიძლებოდა, ისე მომხდარიყო, სადაც ვიდექით, ის ტერიტორია შეგვენარჩუნებინა, მაგრამ რა უნდა შეგვენარჩუნებინა, არსად არ ვიდექით, ამიტომ მაინტერესებს, გაქცევის ბრძანება ვინ გასცა! **ერთი დღე-ღამე მაინც რომ გავჩერებულიყავით, ისინი არც გორში შემოვიდოდნენ, არც კარალეთში, არც ტყვიავში და არც არსად.** ბანდფორმირებებმა 12 აგვისტოს დაიწყეს ერედვსა და პატარა ლიახვის ხეობაში შემოსვლა, რომ არ გაქცეულიყვნენ, არავინ შემოვიდოდა და ცხოვრება ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდებოდა.

**მაინტერესებს, ვინ გასცა ბრძანება, რომ პოლიციის ბლოკ-პოსტები გაეუქმებინათ და სახლებში გაეშვათ,** მაგრამ ჯარი გაიქცა და პოლიცია რაღას იზამდა?!

**ძალიან მაინტერესებს, 2008 წლის ომის შემდეგ რომ 4 მილიარდ დოლარზე მეტი შემოვიდა დევნილთა დასახმარებლად, ვინ გადაწყვიტა, თანხები ისე გადანაწილებულიყო, როგორც გადანაწილდა?!** ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს, 10 ათასი მისცეს, ხოლო ვისაც სახლ-კარი დაენგრათ, მაგრამ ტერიტორია არ დაუტოვებიათ, იმათ — 25 ათასი. ნეტავ, მეტიც მიეცათ, მე არავისთვის მენანება, მაგრამ ასე არ შეიძლებოდა.

რომელი ერთი ჩამოვთვალო, აღარც კი ვიცი. რუსია დამნაშავეო, რომ გაიძახიან, თუნდაც იყოს რუსი დამნაშავე, მაგრამ პროვოკაციებს რატომ აწყობდნენ, ამ დღეში რატომ ჩაგვყარეს, თანაც ხელისუფლებიდან ერთი კაციც კი არ გამოჩენილა, მხოლოდ ტელეფონზე მირეკავდნენ, ერთი ვინც დარეკა და მითხრა, თქვენთან ჩამოვალ, თორემ უგზო-უკვლოდ დავეხეტებითო, ალეკო ელისაშვილი იყო.

სასჯელამდე თუ მივიდა საქმე, რა ფორმით უნდა დაისაჯონ ეს ადამიანები, წარმოდგენა არ მაქვს, **ან რა უნდა ელაპარაკო ადამიანებს, თავდაცვის სამინისტროს იმ მაღალჩინოსნებს, რომელთაც 2008 წლის 8 აგვისტოს წავკისში ჰექტრობით მიწები აქვთ შეძენილი. 8 აგვისტოს რომ მიწის საყიდლად ეცალა, იმ ადამიანს რა სასჯელი უნდა მოუძებნო?**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გეების უფლებები ირღვევაო, რომ იძახიან, არავინ მათ არ დევნის, სამსახურებიც აქვთ, ქუჩაშიც თავისუფლად დადიან და ყველაფერი, მაგრამ პროპაგანდას ნუ ეწევიან და ახალგაზრდებს ნუ წამლავენ. ხომ შეიძლება, იყვნენ თავისთვის. როგორ, ჩემი ქალიშვილი ქალს გაჰყვეს ცოლად და ბიჭმა კაცი მოიყვანოს?! არ მესმის მე ეს, ბატონო, და რა ვქნა?! რა, მაინცდამაინც უნდა მიყვარდე და ვგიჟდებოდე შენზე?!**



## გურამ ფირცხალავა:

# თუ ნატო ითხოვს, რომ გეიაღლუმი ჩავატაროთ, მაშინ არც ნატო მინდა და არც ევროკავშირი

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება მსახიობი გურამ ფირცხალავა.**

**— ბატონო გურამ, 17 მაისს რუსთაველის გამზირზე მომხდარმა დაპირისპირებამ ხელისუფლებაში და განსაკუთრებით არასამთავრობო სექტორში უმწვავესი რეაქცია გამოიწვია. ყველა ერთხმად აცხადებს, რომ იმ დღეს უხეშად დაირღვა ადამიანის ფუნდამენტური — გამოხატვის თავისუფლება. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით, როგორ უყურებთ ამ ყველაფერს?**

— პირველი, რაც მე გავიფიქრე, ეს იყო პროვოკაცია სააკაშვილის დამქაშების მხრიდან, რომლებსაც სურთ, ჩირქი მოსცხონ ქართულ საზოგადოებას. მგონი, ამას ყველა მიხვდა, მაგრამ მთავარი ეს არაა, მთავარია, ის, რომ ხალხი აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე და წინ აღუდგა ამ გარყვნილების პროპაგანდას. ახლა შემომედავებიან, რა პროპაგანდაო, შე დალოცვილო, სამი ვაჟკაცი გისვენია წინ, დაფლეთილი ბიჭები ჩამოგვისვენეს ავღანეთიდან და ამ დროს შენ რა აღლუმებს მიწყობ?! იმთავითვე ხომ ცხადი იყო, ეს რა რეაქციას გამოიწვევდა მოსახლეობაში?! ძალიან კარგად იცოდნენ და სწორედ ამით ისარგებლეს; ის კი არა, ხალხი რომ კარგად დარაზმულიყო, ერთი კვირით ადრე დააანონსეს, 17-ში ამას ვაპირებთო. მე პირდაპირ ვამბობ: ესენი არიან ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოებრიობის მტრები. მათ აღიზიანებთ, რომ საქართველო, როგორც თვითმყოფადი ქვეყანა, როგორც ტრადიციების შემნარჩუნებელი და გამგრძელებელი სახელმწიფო, არსებობს.

**— რაში სჭირდებოდა სააკაშვილის გარემოცვას ეს პროვოკაცია, როგორ ფიქრობთ?**

— იმისათვის, რომ მსოფლიოს დაანახონ და უთხრან, ქართველები ველურები არიანო. ვერ დაინახეთ, რა გახარებული სახე ჰქონდა ბოკერიას ცოლს? სალაპარაკო მიეცათ, მეტი მაგათ რა უნდათ. სააკაშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში გააკრიტიკა ივანიშვილი და ქვეყანა მიწაში ჩადო. მორჩა, **ყველაფერი ნათელია, ესენი არიან არა ხელისუფლების ოპოზიცია, არამედ ქართველი ხალხის. როცა თვითონ იყვნენ სათავეში, ამას ასე აშკარად არ აკეთებდნენ, მაგრამ ახლა ყველაფერზე მიდიან.**

**— ჩერგოლეიშვილს თუ გახარებული სახე ჰქონდა, ეს იმას ნიშნავს, რომ პროვოკაციამ თავის მიზანს მიაღწია? დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა ძალიან მწვავე შეფასება მისცეს ამ ყველაფერს. ნიდერლანდების ელჩმა კი პირდაპირ მოუწოდა ხელისუფლებას დამნაშავეების დასჯისკენ.**

— პროვოკაციამ თავის მიზანს ნაწილობრივ ნამდვილად მიაღწია, მათ სჭირდებოდათ ყურადღების მიქცევა და სჭირდებოდათ გრანტები, ამას, ალბათ, მიიღებენ. რაც შეეხება ნიდერლანდების ელჩს, შე დალოცვილის შვილო, ადამიანის უფლებებზე როცა საუბრობ, რატომ არ კითხულობ, რა უნდა ქართველ ხალხს, რის მომხრეა და რის წინააღმდეგი? შენთან რომ ეს მიღებულია, ჩემთან არაა, ბატონო, მისაღები. არ ზის და ვერც ვერასდროს იქნება ასეთი გარყვნილება ქართველი კაცის ბუნებაში. რა ვქნათ ახლა, ჩვენ გადავშენდეთ თუ ისინი?! რატომ მიწესებენ ამას, როგორც რაღაც აუცილებელ სტანდარტს, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც ვითვლები ველურად. რა არის ეს, ესაა ცივილიზაცია?!

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, მეორე მხრივ, არის რეალობა, რომელშიც ვიმყოფებით, ანუ თუ ჩვენი პრიორიტეტია ევროკავშირი და ნატო, მაშინ მზად უნდა ვიყოთ იმ სტანდარტებისთვის, რომლებსაც ამ ორგანიზაციების წევრობა გულისხმობს. ამას გაუსვა ხაზი იმავე ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოში, ბრიჯიტ ბრინკმა და კეტრინ ეშტონმაც.**

— ეშტონმა, ამერიკამ და ევროპამ უნდა გაიგოს, რომ ეს საქართველოა და ქართული რეალობა ცოტა სხვა რამეა, ვიდრე მათ ჰგონიათ. ქართველ კაცს თავს ვერ მოახვევ იმას, რაც მის ისტორიას არ შეეფერება. **გეების უფლებები ირღვევაო, რომ იძახიან, არავინ მათ არ დევნის. სამსახურებიც აქვთ, ქუჩაშიც თავისუფლად დადიან და ყველაფერი, მაგრამ პროპაგანდას ნუ ეწევიან და ახალგაზრდებს ნუ წამლავენ. ხომ შეიძლება, იყვნენ თავისთვის. როგორ, ჩემი ქალიშვილი ქალს გაჰყვეს ცოლად და ბიჭმა კაცი მოიყვანოს?! არ მესმის მე ეს, ბატონო, და რა ვქნა?! რა, მაინცდამაინც უნდა მიყვარდე და ვგიჟდებოდე შენზე?!**



## «შემირცხვენია ის კლინტონიც, ამ მკვლელისგან რომ ჯილდოს მიიღებს»

**— მაშინ ნატოს დაემშვიდობეთო, გვეუბნებიან.**

— იცით რა, თუ ნატოს ეს უნდა, რომ ჩვენთან ის მოხდეს, რასაც საფრანგეთში მოაწერეს ახლახან ხელი, ერთსქესიანთა ქორწინებას ვგულისხმობ, მაშინ არც ეს ნატო მინდა და არც ევროკავშირი. მე მინდა ჭეშმარიტი ქართული სულით აღსავსე საქართველო.

**— წინა და ამჟამინდელი ხელისუფლებაც ერთხმად აცხადებენ, რომ საქართველოს ისტორიული არჩევანი არის ევროპა, ევროპული ოჯახი. რა გამოდის — ისტორიულად ჩვენც მათნაირები ვყოფილვართ? როგორ გესმით თქვენ ეს ყველაფერი?**

— ჩემო კარგო, ევროპას იმდენი კარგი ტრადიცია ჰქონდა და აქვს დღესაც, ის კარგი რომ გადმოგვეღო, რა გვიჭირდა, მაგრამ ამ გათახსირებულებმა მათსავით გარყვნილი და გაფუჭებული რაც იყო, ის აიტაცეს. საქმე ისაა, რომ თვითონ ევროპაც გარყვნეს თავის დროზე, ხალხი სულიერებისგან დაცალეს და რწმენას დააშორეს. მე არ ვიცი, რა ხდება დღეს მსოფლიოში. კაცობრიობა გაბრიყვდა. ალბათ, ესაა ის, რაზეც სარწმუნოება გვაფრთხილებს, რომ მოვა ანტიქრისტე და ყველაფერს მოიცავს.

**— მათი მთავარი არგუმენტი და იარაღი ამ შემთხვევაში არის კონსტიტუცია, რომელშიც წერია, რომ ყველას აქვს გამოხატვის უფლება. რას იტყვით ამაზე?**

— ჯერ ერთი, ვინ დაწერა ის კონსტიტუცია? — ისევ მათნაირმა გაფუჭებულმა და გათახსირებულმა ვიღაცამ, მაგრამ დავანებოთ ამას თავი, აღლუმის ჩატარების რა აუცილებლობა არსებობს, ამიხსნას ვინმემ. რა გეპარადება და გეაღლუმება, კაცო?! მაშინ მივცეთ ამის უფლება ბოროტმოქმედებსაც — ქურდებსაც, მკვლელებსაც, ავაზაკებსაც... აღნიშნონ თავიანთი დღე. ან სხვა სახის სექსუალური გადახრების მქონე ადამიანებმა რა დააშავეს?! ვთქვათ, ზოოფილებმა, პედოფილებმა და ნეკროფილებმა. მოდი, მათაც იზეიმონ თავიანთთვის. იცით რა, უკვე ამაზე საუბრისაც მრცხვენია. ამ ხნის კაცი ვარ და ასეთ საქართველოს თუ მოვესწრებოდი, ასეთ უზნეობას და აღვირახსნილობას, ვერ წარმოვიდგენდი.

**— დასაწყისში პროვოკაცია ახსენეთ და გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ დაპირისპირებით გარკვეულ ძალებს, შესაძლოა, ქართული საზოგადოების რუსულ სივრცესთან იდენტობის დემონსტრირება სურდათ. რა აზრის ხართ ამაზე?**

— როგორც ვიცი, ანალოგიურ აღლუმს რუსეთში კიდევ უფრო მძაფრი რეაქციით შეხვდა მოსახლეობა. ასე რომ, პროვოკატორების მიზანი ამ კონტექსტშიც გასაგებია, მაგრამ მე პირდაპირ ვამბობ და, ვინც როგორც უნდა, ისე გაიგოს, **თუკი ჩვენი მენტალიტეტი და ხასიათი ასე ახლოსაა რუსულ სივრცესთან, თუკი 17 მაისის მოვლენებით ჩვენ ამის დემონსტრირება მოვახდინეთ და სხვა არაფერი, მაშინ დიახ, ვამაყობ იმით, რომ ქართული საზოგადოება რუსული სივრცის იდენტურია. რამდენიც უნდათ, მაკრიტიკონ და რუსეთის აგენტი მიძახონ, მე ჩემი ქვეყნის აგენტი ვარ და იმიტომ ვამბობ ამას.** სხვა დანარჩენი, ჩერგოლეიშვილების და ბოკერიების აზრი, არ მაინტერესებს.

**— რამდენიმე დღის წინ არასამთავრობო ორგანიზაციებმა კანცელარიის შენობასთან აქცია გამართეს და განაცხადეს, რომ სექსუალურ უმცირესობათა დასაცავი ღონისძიება მომავალში აუცილებლად უნდა ჩატარდეს. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოხერხდება ეს და ხომ არ მივიღებთ კიდევ უფრო ფართომასშტაბიან, მძაფრ დაპირისპირებას საზოგადოებაში, ვიდრე 17 მაისს იყო?**

— იცით რა, ხალხს ნუ გააგიჟებენ და ნუ დააყენებენ ფეხზე მთელ ქვეყანას, თორემ პოლიცია კი არა, მამაზეციერი ვერ უშველით. ღმერთმა ნუ ქნას ძალადობა, მაგრამ ესენი იმდენს იზამენ, რომ მართლა რაღაც ცუდი შეიძლება მოხდეს. ამათ უნდა დაანახო თავიანთი სახეები, უნდა იყიდო დიდი სარკეები და მიიტანო აქციაზე, რომ შიგ ჩაიხედონ.

**— რამდენიმე დღის წინ სპორტის სასახლეში გამართულ ყრილობაზეც გკითხავთ, რომელიც რეჟიმის გასამართლების მოთხოვნით ჩატარდა. რას ელოდებით ამ და მსგავსი ღონისძიებებისგან?**

— ვესწრებოდი ამ ყრილობას, უამრავი ხალხი იყო, მათ შორის, როგორც მითხრეს, რეგიონებიდანაც ჩამოვიდნენ ადამიანები. რაც შეეხება იმას, თუ რას ველოდები, პირველ რიგში, ველოდები სამართლიანობის აღდგენას. იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება შეიცვალა, დღეს საქართველოში სამართლიანობა ბოლომდე აღდგენილი არაა. ძალიან ბევრი დამნაშავე დადის გარეთ, რომლებიც ახლა, წესით, ციხეში უნდა იყვნენ. ამასწინათ ერთი გლეხი მეუბნებოდა, მე რომ ერთი კილო კარტოფილი მოვიპარო, სულს ამომაძრობენ და ესენი რატომ არიან გარეთო. აი, სწორედ ამ მოთხოვნით შევიკრიბეთ 19-ში. ისე, კარგი იქნებოდა, ამაზე გაემახვილებინათ ყურადღება იმ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, სექსუალური უმცირესობების უფლებების დასაცავად რომ გამოიდეს თავი.

**— თქვენი აზრით, დღეს საზოგადოების მთავარი დაკვეთა ახალი ხელისუფლებისადმი რეჟიმის გასამართლებაა?**

— მე ერთი რამ ვიცი, ვერ ნახავთ ადამიანს, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმმა რაღაც ზიანი არ მიაყენა: ზოგს ბიზნესი დაუნგრიეს და წაართვეს, ქონება დაუყადაღეს, ზოგს შვილი მოუკლეს, ციხეში ჩაუსვეს და ა. შ. როგორ, ესენი კიდევ გარეთ უნდა იყვნენ?! სამართლიანობა უნდა აღდგეს და, თუ ხალხი ამას ვერ მიაღწევს, მაშინ ყველაფერს აზრი ეკარგება, მაშინ მართლა არ ყოფილა ამ ქვეყნის საშველი.

**— კი მაგრამ, ხომ დაიჭირეს ძალადობის მთავარი შემოქმედი — ბაჩო ახალაია?**

— ისეთი წარმოდგენა მაქვს, რომ ეს საცოდავი ახალაია ამათთან შედარებით ანგელოზია. აქ ბევრად უფრო დიდი დამნაშავეები არიან გასასამართლებელნი. ახალაია, უბრალოდ, განტევების ვაცია, ხელი შეახოცეს და მორჩა. ასე რომ, მართლმსაჯულება ამაზე არ უნდა გაჩერდეს.

**— უფრო დიდ დამნაშავეებში ვის გულისხმობთ?**

— ვინც მართლა იყო ამ ყველაფრის შემოქმედი. სამართლიანობაზე ჯერ ძალიან ადრეა საუბარი, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ადეიშვილი, რამიშვილი და სხვები ევროპაში გულაობენ. ანდა, სააკაშვილი ნახეთ, კაცი შფოთავს — ხან ამერიკაშია, ხან — ტაილანდში. შემირცხვენია ის კლინტონიც, ამ მკვლელისგან ჯილდოს რომ მიიღებს, ამასწინათ გადაუცია რაღაც.

**— წმიდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისთვის.**

— ხო და ვისგან იღებ მერე ამას? იმ კაცისგან, რომელსაც საკუთარ ქვეყანაში აღარ დაედგომება? ხალხი რომ მკვლელს ეძახის?

**— თქვენი აზრით, მიმდინარე სამართლებრივი პროცესის ფარგლებში, რომელიც ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, შეყოვნებულია, რამდენად შესაძლებელია, სააკაშვილი ვიხილოთ საბრალდებო სკამზე?**

— შესაძლებელი კი არა, აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ახალაიაა დამნაშავე, არც ადეიშვილი, არც მერაბიშვილი და სხვები. დაკვეთები მოდიოდა სააკაშვილისგან და მან უნდა აგოს, პირველ რიგში, პასუხი. ამ ადამიანმა შეაძულა ხალხს ყველაფერი. შევარცხვინე მე ის საქართველო, სადაც ეს კაცი იჯდა პრეზიდენტად...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**



**თქვე შობელძაღლებო, „ერისიონის“ მოსკოვში გასტროლს ქართველი ბიჭების საფლავებზე ცეკვა უწოდეთ და გეიაღლუმის წინა დღეს ავლანეთში დაღუპული ბიჭების ქაშუეთის ეკლესიაში დასვენებულ 3 კუბოსთან, ტაძრიდან 20 მეტრში, გეიპარადის გამართვას რა ჰქვია?**

ახალი მესაიდუმლო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნატო-ევროპა გვინდებლარიენ? მაშინ უნდა ჩავიხადოთ...

**17 მაისს თბილისში ვერშემდგარი გეიაღლუმის შემდეგ მხოლოდ ამ დასკვნის გამოტანა შეიძლება და, ეს რომ ასეა, ამის საილუსტრაციოდ მცირე ისტორიული ექსკურსით დავიწყოთ, ანუ ერთგვარი მიმოხილვით იმისა, რაც ამ ბოლო წლებში დამიწერია პედერასტების შესახებ.**



მგონი, შარშანწინ გააუქმა დემოკრატმა პრეზიდენტმა ობამამ ამერიკის (იმავე ნატოს) ჯარში ჰომოსექსუალების მსახურების ამკრძალავი კანონი, რომელიც თავის დროზე რესპუბლიკელების მიერ იყო მიღებული. შარშან კი მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა, ქალბატონმა ჰილარი კლინტონმა, არც მეტი, არც ნაკლები, ზოგადად სექსუალურ უმცირესობათა, ლგბტ-პედერასტების უფლებების დაცვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად გამოაცხადა, ხოლო ბარაკ ობამამ ამერიკის ფინანსური დახმარება ამა თუ იმ ქვეყნებში ამ უფლებების დაცვის ხარისხს მიაბა და იქვე ყოველი წლის მაის-ივნისი მსოფლიო პედერასტების ორთვიურად გამოაცხადა, როდესაც ინტენსიურად უნდა გაიმართოს გეიაღლუმები!

ის დღე იყო და ის დღე. აგულავდნენ ამერიკის მიერ შეგულიანებული „ქათმები“ და ჯერ რიგაში ჩაატარეს სრულიად ბალტიის ქვეყნების გეიპარადი, რომელსაც წინ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ელჩები მიუძღოდნენ, რასაც უილაჯობისგან გამწარებული ლატვიელები უსასოოდ უყურებდნენ, ხოლო პენტაგონში შარშან პირველი ლეზბიანკა დედაკაციც აკურთხეს გენერლად!

ამ „პროგრესმა“ შეაგულიანა ქართველი პედერასტებიც და შარშან, 17 მაისს პირველი გეიპარადის ჩატარებაც სცადეს, რომელიც კინოს სახლთან ჩაუშალეს უბრალო გამვლელებმა, რომელთა შორისაც მეც გახლდით და, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჯერ კიდევ „ნაცები“ ზეობდნენ, იმჟამინდელმა პოლიციამაც კი არ იკადრა ქართველ საზოგადოებაზე პედერასტების გამო ხელის აღმართვა...

სულ ახლახან საფრანგეთი გაპედერასტდა ოფიციალურად, როდესაც 23 აპრილს საფრანგეთის პარლამენტმა დაამტკიცა კანონი ერთსქესიანი ქორწინების თაობაზე!..

ამას დაუმატეთ ისიც, რომ **ივანიშვილის ხელისუფლებამ ვერაფრით მოიგო სააკაშვილზე შეყვარებული დასავლეთის გული, რომელიც „ქართული ოცნების“ ყოველ ნაბიჯს გამადიდებელი შუშით უყურებს, ხოლო პრემიერის ყოველ სიტყვას ღრუბლივით ისრუტავს და ქართველმა გეებმაც, უფრო სწორად, იმ ენჯეოებმა, რომლებიც პირდაპირ დასავლეთიდან ფინანსდებიან საქართველოში ლგბტ-პედერასტების მფარველობისთვის (ამას დაუმატეთ პარლამენტში, კოალიციის შიგნით არსებული ლიბერასტული ძალა რესპების სახით), ერთი სიმღერის არ იყოს, ჩათვალეს, „ახლა ჩვენი დროა, დიდხანს ველოდით“, ღარიბაშვილის პოლიცია დაგვიცავსო და 17 მაისს ქუდზე ქათამს უხმეს რუსთაველზე!**

მოკლედ, ქართველმა ერმა იმ დღეს საკუთარი ღირსება დაიცვა ჩვენი სამღვდელოების მეთაურობით! თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ დღეს ქართველმა ხალხმა ერთგვარი რუბიკონი გადალახა და მტკიცედ განაცხადა, რომ იმ ჯინს, რომელიც 1 ოქტომბერს ამოვუშვით ბოთლიდან, უკან ვერავინ ჩააბრუნებს და რომ ქართველი ხალხი მზად არის, საკუთარი ეროვნული, ტრადიციული, მართლმადიდებლური ღირებულებები ნებისმიერ ფასად დაიცვას!

თუმცა ლიბერასტ ქართველებსაც რა დალევს და მათაც გააკეთეს უგვანო კომენტარები: „მწერალი“ ლაშა ბუღაძე იქნება ეს თუ გიჟპოეტა, გამოქეშებულ-გამოქანთალებული კოტე ყუბანეიშვილი, რომელმაც „მართლმადი-დებილები“ გვიწოდა, ქართველი აღარ (ნეტავი როდის იყო, როო?!) ვარ და საქართველოში ცხოვრება აღარ მინდაო (პირველის გამო თუ სადმე გადავეყარე, პირობას ვდებ მკითხველების წინაშე, რომ სხვანაირად ვაგებინებ პასუხს, ხოლო მეორეს გამო, როგორც რუსები იტყვიან, — „სკაწერწიუ დოროგა“. ჩვენც ახლა მაგ იდიოტის წასვლით დედა ენას დავკარგავთ, რაღა!). აღარაფერს ვიტყვი თამარ (მანგუსტა) ჩერგოლეიშვილზე, მითუმეტეს თინა ხიდაშელზე, რომელსაც, ჩემდა სამწუხაროდ, მხარი ელისო ჩაფიძემ დაუმშვენა. მე კი იმ დღეს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ერთადერთი პატრონი ქართველი ერისა მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეა, გნებავთ, მეორე ილია!!!

„რუსთავი 2“-მა თავის საკვირაო „P.S.“ ძირითადად 17 მაისის აქციას მიუძღვნა, სადაც აშკარა ირონიით შხამსა და ბალღამს ანთხევდა ნატოს „დვარნიაშკად“ მონათლული თენგიზ გოგოტიშვილი და ასევე ბატონი რეზო ამაშუკელის „ნათლული“, „რუსთავი 2“-ის „კოხტაპრუწი“ — დავით კიკალიშვილი!

**ქართველმა ერმა იმ დღეს საკუთარი ღირსება დაიცვა ჩვენი სამღვდელოების მეთაურობით! ქართველი ხალხი მზად არის, საკუთარი ეროვნული, ტრადიციული, მართლმადიდებლური ღირებულებები ნებისმიერ ფასად დაიცვას!**

მათ პარალელები გაავლეს, ერთის მხრივ, საფრანგეთთან — ჩვენგან განსხვავებით, როგორ ცივილიზებულად იქცევიან ფრანგები მსგავს აქციებზე და მეორე მხრივ — მოსკოვ-ვორონეჟთან, როგორც ჩვენნაირ ველურებთან. ამას უნდა ვუპასუხო, რათა მთავარი სათქმელი ვთქვა...

**თქვე შობელძაღლებო, „ერისიონის“ მოსკოვში გასტროლს ქართველი ბიჭების საფლავებზე ცეკვა უწოდეთ და გეიაღლუმის წინა დღეს ავლანეთში დაღუპული ბიჭების ქაშუეთის ეკლესიაში დასვენებულ 3 კუბოსთან, ტაძრიდან 20 მეტრში, გეიპარადის გამართვას რა ჰქვია?**

რაც შეეხება ცივილურ საფრანგეთს, მაგათ მასეთი „ცივილურობით“ მიაღწიეს იმას, რომ ფრანცია მე-14 ქვეყანა გახდა მსოფლიოში, სადაც ერთსქესიანი ქორწინებები დაკანონდა და „კჩორტუ“ მასეთი ცივილურობა!

**სამღვდელოება სულ უფრო ხშირად საუბრობს, რომ ეს გარყვნილება (პედერასტობა) დამპალი დასავლეთიდან შემოდის. რა, ტყუილია? სწორედ ესაა მთავარი პრობლემა და არა ის, ჩაივლის თუ არა თუნდაც რამდენიმე ათეული პედერასტი რუსთაველზე. „ველურ“ რუსეთში კი, სადაც ჩვენსავით არბევენ გეიაღლუმებს, ერთსქესიან ქორწინებებს არანაირი პერსპექტივა (17 მაისის შემდეგ, იმედია, არც საქართველოში) არ აქვს. ჰოდა, რა სჯობია ახლა: რუსული „ველურობა“ თუ ფრანგული „ცივილურობა“?**

ჰოლანდია შოკირებულია თბილისში მომხდარით და ნიდერლანდებში ჩვენი ელჩი დაიბარეს ახსნა-განმარტებებისთვის.

— თქვე უნამუსოებო, თქვენი სიძის, კრეტინი მიშა სააკაშვილის მოწყობილმა 7 ნოემბერმა ან ქუჩებში ასობით დახვრეტილმა ბიჭებმა, ან 26 მაისის სასაკლაომ რატომ არ დაგშოკათ? ერთი სიტყვა რომ არ დაგცდენიათ და ახლა ბინძური მამათმავლების გამო აიქაფეთ პირი...

საერთოდ კი, **ჩვენი სწრაფვა ევროკავშირ-ნატოში იმხელა ტყუილია, რომ აღა გეურქას ქურქის ზღაპარი მონაგონია. ამ ტყუილს ლაპარაკობდნენ „ნაცებიც“ და ამასვე აკეთებენ „ოცნებაშიც“, თუმცა პირადად ბიძინა ივანიშვილი რას ფიქრობს, რეალურად ამას ხმამაღლა ვერ ან არ იტყვის ჯერჯერობით.**

საქართველოს ნატოში და მითუმეტეს დაშლისპირას მყოფ, კრიზისით მოცულ ევროკავშირში არავინ არასდროს მიიღებს და ეს სიმართლე ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას! სამაგიეროდ, ამ ფუჭი დაპირებების აკომპანიმენტით გვაძალებენ, თავს გვახვევენ გეიპარადებს, სექტანტობას და, თუ ავყევით, ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩენთ, რომ ევროპა თუ ნატო გვერდზე დაგვრჩება და ხელში დაკანონებული ერთსქესიანი ქორწინებები, ანუ გაპედერასტებული, გახლისტებული საქართველო შეგვრჩება.

მერე სოფლის მეურნეობის კი არა, ვაზელინის წარმოების აღორძინება დაგვჭირდება...

ერთი წუთით დავუშვათ, რომ მართლაც მიგვიღებენ ნატო-ევროკავშირში, **თუ ერთსქესიან ქორწინებებს დავაკანონებთ. ამ ფასად, ჩვენი შვილების მომავლის ფასად, გვიღირს ეს?**

რა თქმა უნდა, პასუხი უმრავლესი ქართველებისა უარყოფითი იქნება, რადგანაც დიდი ანა კალანდაძის არ იყოს, „საქართველო არის ესე!“...

**თუ ასე გააგრძელეს ჩვენმა ამერიკელ-ევროპელმა «მეგობრებმა», განსხვავებით წინარე საუკუნეებისგან, ისლამის კი არა, პედერასტიის ოკეანეში დახრჩობის რეალური საფრთხე დაემუქრებათ**



თუ ასე გააგრძელეს ჩვენმა ამერიკელ-ევროპელმა „მეგობრებმა“, განსხვავებით წინარე საუკუნეებისგან, ისლამის კი არა, პედერასტიის ოკეანეში დახრჩობის რეალური საფრთხე დაემუქრება და, ჰოი, „საკვირველებავ“, მსგავსად წინარე საუკუნეებისა, ეროვნული მენტალობის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად ისევ რუსეთთან მჭიდრო კავშირი მოჩანს, თორემ **წყალსა და მეწყერსაც წაუღია ნებისმიერი სამხედრო ბლოკი თუ ქართველი კაცი გახლისტდება და გაპედერასტდება!**

რუსეთს ყველაფერი შეიძლება დააბრალო, მაგრამ კაცმა კაცი მოიყვანე ცოლად და ქალი ქალზე გათხოვდიო, არასოდეს დაუძალებია...

**დავით მხეიძე**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სტალინი, ბაბუ, უპირველეს ყოვლისა, მშრომელ ადამიანს ცხოვრებას უმსუბუქებდა. რატომ არ ჰქონდა ამ ბუმბერაზ კაცს დიდი ქონება? იმიტომ, რომ ადამიანზე ზრუნავდა! სტალინი მადლიერი კაცობრიობის მეხსიერებაში მარად დარჩება...“

**14 აპრილს დიდი სამამულო ომის მონაწილეს — გიორგი ბერიანიძეს 93 წელი შეუსრულდა. მართალია, ჩემს რესპონდენტთა — ომის ვეტერანთა — შორის ბატონი გიორგი ყველაზე ხანდაზმული არაა, მაგრამ ფიზიკურად ყველაზე უძლურია და მორალურად ყველაზე დაჩაგრული. რატომ? ამაზე — ქვემოთ.**

გიორგი ბერიანიძე:

# სააკაშვილი მყრალი კვამლივით უნდა გაქრეს!





**ახალმა ხელისუფლებამ დიდი სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდს, დიდების ორდენისა და სხვა მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერს — გიორგი ბერიანიძეს 30-ლარიანი შემწეობა მოუხსნა, ხოლო ანდრო ბარნოვს, რომელსაც მეცოცხე პრეზიდენტის ქება-დიდებაში დორბლი სდის, 2000-ლარიანი პრემია გამოუწერა**

**გიორგი ბერიანიძე მხოლოდ ინვალიდის ეტლით გადაადგილდება ხოლმე, ძირითადად წევს, მაგრამ ნამდვილი ჯარისკაცი 93 წლის ასაკშიც ჯარისკაცია! შემოსულ სტუმარს, ვინც არ უნდა იყოს, სამხედრო წესით ესალმება და ბავშვივით ულიმის. მოსაუბრეა, — იცოცხლე!**

— დავიბადე, ბაბუა, 1920 წლის 14 აპრილს ახალგორის (მაშინ ლენინგორის) რაიონის სოფელ დადიანეთში, მშრომელი გლეხის ოჯახში. მამაჩემი — კოტე ბერიანიძე თანასოფლელთა შორის განთქმული იყო პატიოსნებითა და ღონით. დედაჩემი — მართა პავლიაშვილი ქსნის ხეობიდან, სოფელ დოჩიანიდან იყო. მათ შეეძინათ 9 ქალ-ვაჟი; ამჟამად ცოცხლები დავრჩით ორნი — მე და ჩემი უმცროსი ძმა ალექსი. იგი 82 წლისაა, დიღომში ცხოვრობს.

11 წლის ასაკში დავკარგე მამა და მთელი ოჯახის სიმძიმე ჩემს უფროს დას — მარიამს და მე დაგვაწვა. სწავლას თავი დავანებე და მწყემსად ცხვარში წავედი.

**მიუხედავად ოთხკლასიანი განათლებისა, ბატონი გიორგი მშვენივრად გათვითცნობიერებულია ქართულ ლიტერატურაში, ფოლკლორში; ზეპირად იცის თავები „ვეფხისტყაოსნიდან“, „დავითიანიდან“, „კაკო ყაჩაღიდან“, „თორნიკე ერისთავიდან“, „ბახტრიონიდან“... დამეთანხმებით, ასეთი განათლებით დღეს ჩვენი ე. წ. პოლიტიკური ელიტაც კი ვერ დაიკვეხნის!**

— ჯარში რომ გამიწვიეს, ოცი წლისა ვიყავი და მოვხვდი ქალაქ გროზნოში. ჯერ ქვეით ჯარში ვმსახურობდი, შემდეგ — საარტილერიო პოლკში. ისე, ბაბუ, რუსული ენა კარგად რომ მცოდნოდა, მფრინავი ვიქნებოდი. მეთაურებს უნდოდათ, საავიაციო სასწავლებელში გავეგზავნე, მაგრამ ჩემი სიმაღლის კაცი როგორ ჩაეტეოდა გამანადგურებელში, არ ვიცი!

**ჯარში გაწვევიდან ზუსტად წლისთავზე დაიწყო დიდი სამამულო ომი. რიგითი ბერიანიძის სამხედრო ნაწილი ყირიმში გადაისროლეს.**

— მაშინვე ბრძოლაში ჩავებით. 1942 წლის მაისის დასაწყისი იყო, თუ არ ვცდები, 5 მაისი. ჩვენ გვერდით იბრძოდა 414-ე ქართული დივიზია, რომელშიც ჩემი ბიძაშვილები მსახურობდნენ. ბევრი ბერიანიძე დაიღუპა ქერჩში: სანდრო, ვანო... — **ბატონ გიორგის ხმა უწყდება მოზღვავებული ცრემლებისგან.** — ყირიმი რომ დავტოვეთ, უკანდახევისას ჩრდილოეთ კავკასიას მივუახლოვდით. ჩვენი 300-კაციანი ბატალიონი გერმანულმა ავიაციამ დაბომბა. მარტო ხუთი კაცილა გადავრჩით... გამოყრუებულები, მშიერ-მწყურვალნი აღმოვჩნდით კრასნოდარის ტრამალებში. კომპასიც არ გვქონდა. საით წავიდეთ? ბრმად ავირჩიეთ მიმართულება. ათ დღეზე მეტი დავბორიალობდით, ვკრეფდით დიყს და ამით ვიკვებებოდით. როგორც იქნა, მივადექით ჩვენ ნაწილებს, რომლებიც სტალინგრადისკენ იხევდნენ... ცეცხლში გახვეული სტალინგრადი დღემდე მესიზმრება! ბრძოლები იყო უკიდურესად გააფთრებული. ცეცხლი და კვამლი იდგა ქალაქის თავზე. არ ვიცი, თუ ასეთია ჯოჯოხეთი, მაშინ მტერსაც არ ვუსურვებ იქ მოხვედრას!..

**გიორგი ბერიანიძემ არ შეარცხვინა ქართველი მეომრის სახელი. გმირულად იბრძოდა. გერმანელთა შეტევის დროს მან ხელყუმბარით მოწინააღმდეგის ტანკი გაანადგურა, რისთვისაც დააჯილდოვეს მედლით „За отвагу“. ეს უაღრესად საპატივცემულო ჯილდო იყო, მითუმეტეს, 1942 წელს, როცა სარდლობა ძალზე ძუნწად არიგებდა ორდენებსა და მედლებს. რიგითი მეომრები ამ მედალს უმაღლეს ჯილდოდ მიიჩნევდნენ!**

**რიგითმა ბერიანიძემ ომი სტალინგრადში დაასრულა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ქალაქის გარეუბანში ფეხში დაიჭრა.**

— დეკემბერი იდგა, საშინლად ყინავდა. გერმანელების მორიგი იერიში მოვიგერიეთ. ფაშისტები უკუიქცნენ. დავედევნეთ. საკმაოდ დიდხანს ვდიეთ და ტრიალ მინდორში აღმოვჩნდით. ამ დროს ფეხში დავიჭერი. კაპიტანმა საწყის პოზიციებზე დაბრუნება გვიბრძანა. ჭრილობის მიუხედავად, სიარული შემეძლო, მეტიც, ზურგზე ავიკიდე მძიმედ დაჭრილი მეომარი. შემოგვაღამდა. სიარულ-სიარულში მივადექი სასწაულად გადარჩენილ თივის ზვინს. დავისვენებ ცოტასმეთქი. ღამე ჩამოწვა. არაფერი ჩანდა. გზა-კვალი ამერია. გადავწყვიტე, ზვინში დამეძინა. ზვინში თხუნელასავით გავკაფე „გვირაბი“ და ჩემი დაჭრილი მეგობარიც რის ვაივაგლახით იქ შევათრიე.

**ბატონ გიორგის სიმაღლემ აქ ცუდი სამსახური გაუწია — ტერფები გარეთ დარჩა და მოეყინა.**

— რომ გავიღვიძე, ჩემი რუსი მეგობარი მკვდარი დამხვდა... **(ტირის)** გადამიყვანეს ჰოსპიტალში და ორივე ფეხზე თითები მომაჭრეს. ახლიდან მომიწია სიარულის სწავლა.

**გიორგი ბერიანიძე სამშობლოში 1943 წელს დაბრუნდა. შეიკერა ქალამნები, წონასწორობის შესანარჩუნებლად წინ მატყლი ჩაუდო, ხელში აიღო ბარი, თოხი და შრომას შეუდგა. 1946 წელს იქორწინა ნინო ყურაულზე, რომელიც ახალგორის რაიონის სოფელ ცხვატიდან გახლდათ. ეს სოფელი განთქმული იყო თიხის საუკეთესო ოსტატებით.**

— ჩემი სიმამრი — გლახა ყურაული ცხვატის საბჭოს თავმჯდომარეობდა. ხალხი რომ გააგზავნა ფრონტზე, თავადაც შეაჯდა ცხენს და მტერთან საბრძოლველად გაეშურა. მას შემდეგ არც გლახა უნახავს ვისმეს და არც მისი „ლურჯა“. ამბავი მოგვივიდა, ქერჩში დაიღუპაო...

**ბატონმა გიორგიმ და ქალბატონმა ნინომ საქართველოს რვა შვილი გაუზარდეს — ორი ვაჟი და ექვსი ქალი. სამწუხაროდ, შვიდი წლის ასაკში ტარიელი ტრაგიკულად დაიღუპა, დანარჩენები კი, მადლობა ღმერთს, ცოცხლები და ჯანმრთელნი არიან. თითქმის ყველას მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. მაყვალა — მათემატიკის მასწავლებელია, ბადრი — ინჟინერი, ამჟამად უმუშევარი; ნათელამ უნივერსიტეტი დაამთავრა და დამსახურებული ბუღალტერია. დღეს ის მეურვეობს მამას. ნადია ეკონომისტია, ცისანა ახალგორში მუშაობს ბაგა-ბაღში. საყურადღებოა, ბაგა-ბაღის ყველა თანამშრომელს „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ ხელფასი მოუხსნა; სამაგიეროდ, მათ ხელფასს რუსი ოკუპანტები უხდიან! „ოღონდ აქედან არ წახვიდეთო“, — ეუბნებიან.**

**მაყვალა „ბარამბოში“ მუშაობს; ნაბოლარა ლალი კი, ვისთანაც ახლა შეიხიზნენ ბატონი გიორგი და ნათელა, გლდანში ცხოვრობს, კერძო სახლში და უქმროდ ზრდის ორ შვილს...**

**სააკაშვილის სისხლიანმა აგვისტოს ავანტიურამ ბევრი ქართველი და ოსი გააუბედურა.**

— თითქმის ხუთი წელი ჩემი სახლი არ მინახავს! ეს რა ჩაიდინა ამ ურჯულომ, ა?! საკუთარ მიწაზე არ გამხადა ბერიკაცი, დევნილად!

**არადა, ბერიანიძეების ოჯახი მყარად იდგა ფეხზე. თავად ბატონი გიორგი საქონლის ფერმას ხელმძღვანელობდა, შემდეგ — საწყობს, სადაც ბარდებოდა რძე, ხაჭო, ყველი, ერბო, ტყავი, მატყლი. დადიანეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში იგი პარტიულ ორგანიზაციასაც ედგა სათავეში.**

— უმდიდრესი კოლმეურნეობა გვქონდა! გვყავდა 16 ათასი სული ცხვარი! მარტო ჩემს ფერმაში ხუთასი ძროხა და ხარი იყო! ცხოვრებას არავინ უჩიოდა! უფრო მეტის მოლოდინში ვიყავით! ყველაფერი გაგვიცამტვერა შევარდნაძემ, ხოლო მისმა „ნაბიჭვარმა“ სააკაშვილმა ჩვენი გაპარტახება არ იკმარა და დევნილებადაც გვაქცია!..

მერე უკვირთ, რატომ ახსოვსო ხალხს სტალინიო.

**სტალინი, ბაბუ, უპირველეს ყოვლისა, მშრომელ ადამიანს ცხოვრებას უმსუბუქებდა. რატომ არ ჰქონდა ამ ბუმბერაზ კაცს დიდი ქონება? იმიტომ, რომ ადამიანზე ზრუნავდა! სტალინი მადლიერი კაცობრიობის მეხსიერებაში მარად დარჩება, ხოლო შევარდნაძე და სააკაშვილი მყრალი კვამლივით გაქრებიან!**

„ნაცებმა“ დევნილი გიორგი ბერიანიძე გამორჩეულად „დააფასეს“ — ფრეზეთში საცხოვრებლად უფანჯრო, უკარო და უსახურავო კოტეჯი მიართვეს. რა უნდა ექნათ უსახლკაროდ დარჩენილ ვეტერანსა და მასთან მცხოვრებ შვილს — ნათელას? დროებით შეეკედლნენ ლალის.

— ჩემი გოგოები არაფერს მაკლებენ, მაგრამ მე ჩემი კუთხე მინდა, არავის შეწუხება არ მსურს!

**მაგრამ ყველაზე უსიამოვნო სულ ახლახან, უფრო ზუსტად, 14 აპრილს — ვეტერანის დაბადების დღეს მოხდა. გიორგი ბერიანიძე, როგორც დევნილი და სოციალურად დაუცველი პირი, ყოველთვიურად, დახმარების სახით, 30 ლარს იღებდა; ჰოდა, 93 წლის იუბილესთან დაკავშირებით, დამატებითი ფულადი სარგებლის ნაცვლად, დიდი სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდს, დიდების ორდენისა და სხვა მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერს, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ მოხუცს ეს 30-ლარიანი დახმარება მოუხსნეს!..**

მიუხედავად ამ გაუგებრობისა, გიორგი ბერიანიძე მიესალმება „ნაციონალების“ დამხობას და ახალი ხელისუფლების მოსვლას. მას სჯერა ბიძინა ივანიშვილის.

— დამიჯერე, ბაბუ, ეს ჭკვიანი კაცია. იგი შეძლებს საქართველოს გაერთიანებას და სწორ გზაზე დაყენებას. მაგრამ ხომ გაგიგონია: მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო; ამიტომ, ყველა უნდა ამოვუდგეთ მხარში და ერთიანი ძალით ავაყვავოთ სამშობლო!

**გიორგი კორძაძე**

**„სანამ ბატონი მარგველაშვილი მოირგებს პრეზიდენტის როლს, ის ჯერ კიდევ არის განათლების მინისტრი და თქვენი გაზეთის საშუალებით მე მინდა მას ვკითხო, როგორ აფასებს იმას, რომ გეიაღლუმებისა და ფლეშმობების ჩატარება შესაძლებელია სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან; რამდენად იზიარებს ან არ იზიარებს ბატონი მარგველაშვილი საზოგადოების მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ უზნეობის ინსტალაციის გამომხატველი აქტები არ უნდა ტარდებოდეს საჯარო სკოლებთან; არის თუ არა იგი სოლიდარული საკუთარი საზოგადოებისადმი ამ ნაწილში.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# «თავისუფლების ინსტიტუტმა» პირდაპირი იერიში მიიტანა ქართულ ეკლესიასა და მის სულიერ მოძღვარზე

**უკვე რამდენიმე წელი, 17 მაისს საქართველოში ჰომოფობიის წინააღმდეგ აქციის ჩატარებას LGBT საზოგადოების უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია ცდილობს, რასაც ფართო საზოგადოების მხრიდან მუდმივად ახლავს პროტესტი. ვინ იბრძვის საქართველოში ამ დღის აღნიშვნის ტრადიციად დამკვიდრებისთვის და რა მნიშვნელობა აქვს აღნიშნულს ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის — ამ და სხვა მნიშვნელოვანი კითხვებით „საქართველო და მსოფლიომ“ დიმიტრი ლორთქიფანიძეს მიმართა.**

**— რამდენად იყო აუცილებელი ამგვარი აქციის მოწყობა და თუ იყო ეს აქცია გარკვეულწილად საფრთხის შემცველი ქართველი ხალხისა და ქვეყნისთვის. ხომ არ ისახავდა იგი მიზნად საზოგადოებრივი აზრის კიდევ ერთხელ შუაზე გახლეჩას?**

— პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ვგმობ ყველა სახის ძალადობას და მათ შორის იმ ძალადობის გამოვლინებას, რომელიც 17 მაისს ვიხილეთ. ამგვარი აქციის მოწყობის აუცილებლობა არ ყოფილა, რადგან ამ ადამიანებს არავინ უშლით, აკეთონ ის, რაც სურთ, მაგრამ ამის აფიშირება საჭირო არ არის. **პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, სახალხო დამცველის არც ერთ მოხსენებაში, მათ შორის იმ სახალხო დამცველთა მოხსენებებსაც ვგულისხმობ, რომლებიც საკმაოდ ლოიალურები არიან LGBT საზოგადოების წარმომადგენელთა მიმართ, არ არის არც ერთი ფაქტი იმისა, რომ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს დევნიან — ან ამ ნიშნით სამსახურიდან გაათავისუფლეს, ან უმაღლესიდან გარიცხეს, ან სცემეს და ასე შემდეგ... LGBT საზოგადოების წარმომადგენლის მხრიდან უბრალო საჩივარიც კი არაა დაფიქსირებული.** ამ ფონზე ისმის კითხვა: ირღვევა კი, ამ საზოგადოების წევრთა უფლებები? უფლებების დარღვევის ფაქტის შემთხვევაში, სახალხო დამცველის ტოლერანტობის ცენტრში ერთი განცხადება ხომ მაინც უნდა იყოს. აი, ამ რეალობაში მიმდინარეობს ჰომოფობიის საწინააღმდეგო დღის აღნიშვნის დაწესება.

რაც შეეხება 17 მაისს, ეს აქცია გულისხმობდა მასშტაბური ხასიათის აქტის განხორციელებას. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რამდენიმე LGBT საზოგადოების დამცველი ორგანიზაციის მიერ, როგორიც არის, მაგალითად, „ინკლუზივი“, „იდენტობა“ და სხვ., მომზადებული იყო ეგრეთ წოდებული „ფლეშ-მობი“, რომელიც გეიაღლუმის ზუსტი ანალოგია, ოღონდ არის თეატრალიზებული სანახაობა, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე მიმდინარეობს. ამის შესახებ მედიითაც იყო დაანონსებული. ბუნებრივია, თავისუფლების მოედანზე, ქაშუეთის ტაძართან, იქ, სადაც 9 აპრილს დაღუპულთა სისხლი დაიღვარა, სადაც ჩვენი ქვეყნის არსებობასა და წინსვლას ჩვენი დები, ძმები, დედები და მამები ეწირებოდნენ, ჩვენი ქართული საზოგადოება, ვერანაირ ფლეშ-მობსა და თეატრალიზებულ წარმოდგენას იმიტირებული ჰომოსექსუალური აქტებით, რასაც, სხვათა შორის, ადგილი ჰქონდა 2012 წლის 17 მაისს, ვერ დაუშვებს. ჩვენ ეს სოლიდარობის აქტი შევინარჩუნეთ ბოლომდე მაქსიმალური სიმშვიდით. **არანაირ მასობრივ ძალადობას ადგილი არ ჰქონია და, თუ იყო ცალკეული ძალადობისა და ვანდალიზმის გამოვლინების ფაქტები, მინდა აღვნიშნო, რომ არ არის გამორიცხული, ეს მომხდარიყო სწორედ იმ პროვოკატორთა მხრიდან, რომელთაც სურდათ ქართველი ხალხის უმართავ მასად წარმოჩენა.**

**— 17 მაისის აქციის დასრულების შემდეგ, მედიის საშუალებით სხვადასხვა მისამართით არაერთი ბრალდება გაისმა, მათ შორის საპატრიარქოსა და პირადად პატრიარქის მისამართით. ვინ აყენებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პასუხისმგებლობის საკითხს. ვინ არიან ეს ადამიანები და რა ძალასთან გვაქვს საქმე?**

— ჩვენი ეკლესიის სულიერ იერარქთა წინააღმდეგ სადამსჯელო მოქმედებების გატარება ზოგიერთი მართლმადიდებელი ეკლესიის მტრის საოცნებო ნატვრაა. ეს ადამიანები გაურკვეველი ფონდებისა და ინტერესჯგუფების მიერ იმართებიან. LGBT საზოგადოების უფლებათა დაცვის საკითხი არახალია. ჯერ კიდევ 10 წლის წინ ამ მიმართულებით გამოყოფილი იყო დიდძალი თანხები, რომელთაც უცხოური ორგანიზაციები რიცხავდნენ. მაშინ **არც ერთი განაცხადი არ ყოფილა ამ მიმართულებით საქართველოდან, ხოლო 2009 წლიდან კი ჩვენს ქვეყანაში გააქტიურდნენ ძალები, რომლებმაც აქტიურად დაიწყეს ამ თანხების ათვისება. სწორედ ამ თანხების მიმართვა ხდება შემდეგ სხვადასხვა პროვოკაციულ ქმედებაზე — ფლეშ-მობებსა და გეიაღლუმებზე, რითაც კონსერვატიულად განწყობილი საზოგადოების მწყობრიდან გამოყვანა და, პირველ რიგში, ეკლესიის მამებზე იერიშის მიტანა ხდება.**

არამხოლოდ მართლმადიდებლობა, არამედ ყველა ფუნდამენტური რელიგია გმობს ჰომოსექსუალიზმის გამოვლინებას, მიიჩნევს ცოდვად და არანაირად ახდენს მის წახალისებას. ვინ დგას ამის უკან? ის, ვინც თავის დროზე თავისუფლების სახელით მოვიდნენ ხელისუფლებაში (გიგა ბოკერია, მისი მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი, ლევან რამიშვილი, გივი თარგამაძე, მიხეილ სააკაშვილი), არიან ყოველივე ამის შემოქმედნი. ასევე ჩვენი ყოფილი მთავრობის, „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდიუმი და არა მხოლოდ ყოფილი, არამედ კოაბიტირებული ხელისუფლებისაც, „ქართული ოცნების“ შემადგენელი რამდენიმე სუბიექტი, მათ შორის რესპუბლიკელებიც იგულისხმება, რომლებიც ასე მძლავრად ლობირებენ დასავლეთიდან „შემოგდებულ“ გეგმას, რაც პირველ რიგში სწორედ ეკლესიისა და მართლმადიდებლობის დაკნინებას გულისხმობს, რადგან მათ იციან, რომ ქართული ეკლესია დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობს.

**პირველი დარტყმა, რომელიც მიიტანეს „თავისუფლების ინსტიტუტის“ მესვეურებმა (დაწყებული ბოკერიათი), იყო სწორედ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. მე ძალიან გული მტკივა იმ განცხადებების გამო, რომლებიც ბატონმა უჩა ნანუაშვილმა გააკეთა. მან პირდაპირი იერიში მიიტანა ქართულ ეკლესიასა და სულიერ მოძღვრებზე.** თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა გამოვეხმაურო ეგრეთ წოდებულ ტაბურეტკის ფაქტსაც. აღნიშნული ჩემ მიერ იქნა შესწავლილი და მინდა გითხრათ, რომ ის ბერი სკამით იყო აქციაზე მისული იმის გამო, რომ მძიმე ვარიკოზული ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული და ფეხზე დიდი ხნით დგომა არ შეეძლო და არა იმიტომ, რომ ვინმეს ცემას აპირებდა. **ჩვენი ქვეყნის მტრების მცდელობა იყო, საქართველოში 17 მაისი დაკანონებულიყო ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღედ, რაც ვერ მოახერხეს. სამაგიეროდ ეს დღე გადაიქცა ქართული სულისა და ერთიანობის გამოვლინების ზეიმად.**

**— უცხოელი ელჩების მხრიდან კეთდებოდა განცხადებები, რომ ისინი იქნებოდნენ LGBT საზოგადოების წევრების გვერდით, აწარმოებდნენ მონიტორინგს, რათა არ დარღვეულიყო მათი უფლებები. რამდენადაც გვახსოვს, არც 7 ნოემბრის და არც 26 მაისის მოვლენებისას მათ ამგვარი მკვეთრი განცხადებები არ გაუკეთებიათ. ხომ არ მიუთითებს მათი ეს ქმედება პროგრესული დასავლეთის მხრიდან ორმაგ სტანდარტზე?**

— რასაკვირველია. 26 მაისს ჩვენ გვახსოვს, რომ ამერიკის ელჩმა პირდაპირ მწვანე შუქი აუნთო აქციის დარბევას. ასევე 7 ნოემბრის მოვლენებს არ მისცემია შესაბამისი შეფასება. გივი თარგამაძე დაგვპირდა, სულს ამოგხდითო და მან თავის დანაპირები პრაქტიკულად სისრულეში მოიყვანა. მთელი ქალაქის მასშტაბით მიმდინარეობდა ჩვენი თანამოქალაქეების დევნა მხოლოდ იმ ნიშნით, რომ მათ ჰქონდათ პროტესტი საკუთარი ხელისუფლების ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების მიმართ. **ელჩების მხრიდან ჩვენ არ მოგვისმენია განცხადებები და აქცენტები იმის შესახებ, რომ სწორედ 26 მაისისა და 7 ნოემბრის მსგავსი დამოკიდებულება ხელისუფლებისა საკუთარი ხალხისა და მოქალაქეებისადმი, პირველ რიგში, პრობლემას უნდა უქმნიდეს ქვეყანას დემოკრატიული განვითარების გზაზე. სამაგიეროდ, 17 მაისის შესახებ ჩვენ უკვე მოვისმინეთ სხვადასხვა განცხადება, რომლებიც გაკეთდა ევროკავშირში თუ ევროსაბჭოში, რაც სწორედ ორმაგ სტანდარტზე მიუთითებს.**

**— საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, „ქართულმა ოცნებამ“ დაასახელა თავისი კანდიდატი. როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას?**

— სანამ ბატონი მარგველაშვილი მოირგებს პრეზიდენტის როლს, ის ჯერ კიდევ არის განათლების მინისტრი და თქვენი გაზეთის საშუალებით მე მინდა მას ვკითხო, **როგორ აფასებს იმას, რომ გეიაღლუმებისა და ფლეშმობების ჩატარება შესაძლებელია სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან; რამდენად იზიარებს ან არ იზიარებს ბატონი მარგველაშვილი საზოგადოების მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ უზნეობის ინსტალაციის გამომხატველი აქტები არ უნდა ტარდებოდეს საჯარო სკოლებთან; არის თუ არა იგი სოლიდარული საკუთარი საზოგადოებისადმი ამ ნაწილში.** სანამ მისი პრეზიდენტობის საკითხი აქტიურ ფაზაში გადავა, მე მისი აზრი მაინტერესებს ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც უკვე დასახელებული საპრეზიდენტო კანდიდატისა და ამასთანავე, ყველა სხვა პრეზიდენტობის კანდიდატის აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემთვის საინტერესოა.

რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატს, ის არ გახლავთ პოლიტიკოსი, ამ სიტყვის იმ დატვირთვით, რომელიც მოიცავს დროისა და გამოცდილების შედეგად შეძენილ ამ მეტად მნიშვნელოვან უნარს, რასაც პოლიტიკოსი ჰქვია. ამ კუთხით მას მეტად მცირე წონა გააჩნია, რადგან მას არ აქვს საკმაო გამოცდილება.

როგორც ძალიან ბევრი პოლიტიკოსი აღნიშნავს, მათ შორის მისი თანაგუნდელებიც, ბატონი გიორგი ინტელექტუალი გახლავთ. მას გააჩნია კარგი ბეგრაუნდი, საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის თვალსაზრისით, და ეს მისასალმებელია, მაგრამ, მეორე მხრივ, მხოლოდ ინტელექტუალობა და კარგი ბიჭობა არ კმარა. ამ საქმეს სჭირდება შესაბამისი უნარების გამოვლინება, შესაბამისი გამოცდილების ქონა და, რაც ყველაზე მთავარია, უნდა იყოს ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი და არა დამწყები დებიუტანტი.

**— რას ფიქრობთ ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილების შემცირების შესახებ, მეტისმეტად ხომ არ არის დაკნინებული? და აქვე მინდა გკითხოთ: მაშინ, როდესაც ლამის მთელი სახელმწიფო აპარატი, სამინისტროები, კომიტეტები, პარლამენტი, პრემიერიც კი მეტწილად, დასავლეთისა და ამერიკის მიმართულებით მუშაობს, ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთის საკითხი მოუგვარებლად რჩება, ამით კი სწორედ მომავალი პრეზიდენტი უნდა დაკავდეს?**

— ბალანსი ყველაფერში საჭიროა. რა თქმა უნდა, პრეზიდენტის უფლებების დაკნინება არ არის სწორი. პრეზიდენტის უფლებები უნდა იყოს იმგვარი, რომ მან შეძლოს საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტებთან დაკავშირებით საკუთარი ძლიერი ხელის პოლიტიკა გაატაროს. საერთოდ მიმაჩნია, რომ, **როდესაც ქვეყნის გლობალურ უსაფრთხოებას ვეხებით, ნებისმიერი მცდელობა, რომ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო აქტში ავსახოთ ერთგულება დასავლეთისადმი თუ ნატოს მიმართ, არის ძალიან მცდარი მიდგომა და დამოკიდებულება. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება არის მარიონეტი იმ კონკრეტული პოლიტიკური ძალებისა, რომლებიც დასავლეთიდან იმართებიან.** სწორედ ასეთი მოთხოვნა აღმოცენდა „ნაციონალური მოძრაობის“ წიაღში, როდესაც გაჩნდა მოსაზრება, რომ დასავლეთისადმი ერთგულება ჩაიდოს კონსტიტუციაში.Mმე ვთვლი, რომ ჩვენი მიზანი არ არის ნატო, ჩვენი მიზანია ჩვენი ქვეყნის გლობალური უსაფრთხოების მიღწევა. ამისათვის კი ერთ-ერთ საშუალებად განიხილება ნატო, მაგრამ, თუ ჩვენ ხვალ ალტერნატივა გვექნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ან ჩვენი ქვეყნის გლობალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიღწევისა, ჩვენ ამაზე უარი არ უნდა ვთქვათ. ამისათვის კი აუცილებელია სწორი სამეზობლო პოლიტიკის წარმოება, რაც გულისხმობს რუსეთთან, ირანთან თუ სხვა ჩვენს ამიერკავკასიელ მეზობლებთან სწორად დალაგებულ ურთიერთობებს. ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა, თუ პრეზიდენტი და პრემიერი ერთად იზრუნებენ ამაზე.

ესაუბრა **ეკა კახიანი**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენად მართებულია, ბაპტისტი სახალხო დამცველი მართლმადიდებელი მღვდლების დაჭერას გავეშებული ითხოვდეს? რამდენად სამართლიანია, ქვეყანას, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელ ქრისტიანად აცხადებს თავს, სახალხო დამცველად მაინცდამაინც ბაპტისტი დაუნიშნო? განა მოსახლეობამ არ უნდა იცოდეს, მისი უფლებათა უპირველესი დამცველი რომელი რელიგიის აღმსარებელია?**



# ბაპტისტობაში ეჭვმიტანილი სახალხო დამცველი მართლმადიდებელი მღვდლების დასჯას ითხოვს

**17 მაისს რუსთაველზე დატრიალებული მოვლენების მიმართ საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი მეტად მკაცრი და შეუვალი იყო. გეიაღლუმის იძულებითი კონტრაქცია არ იყო დასრულებული და საბოლოო შედეგებიც უცნობი იყო, რომ დამნაშავეთა — კანონდამრღვევთა დაუყოვნებლივი დასჯა მოითხოვა. არადა, ამ დროს „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა მას შეკითხვის დასმისას მკაფიოდ განუმარტა, რომ სახალხო დამცველს გეიაღლუმის ჩამშლელი აქციის მონაწილეებსა და მის ორგანიზატორებზე ეკითხებოდნენ.**

მოგვიანებით ყველაფერი დალაგდა, **ქართველმა ხალხმა უზნეობა და უხამსობა უმცირესი ძალის გამოყენებით დაიფრინა რუსთაველიდან. ხელისუფლებისგან, ინტელიგენციისგან, არასამთავრობო სექტორისგან უპატრონოდ მიტოვებულ ათეულ ათასობით ადამიანს პატრონად ქართული ეკლესია გამოუჩნდა. სწორედ სასულიერო პირებისა და პოლიციის ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდა მსხვერპლის თავიდან აცილება, რასაც, შესაძლოა, უმართავი პროცესებიც მოჰყოლოდა.**

კი, შესაძლოა, ზოგიერთი სასულიერო პირი მისი საეკლესიო სტატუსისთვის შეუფერებლად მოიქცა, მაგრამ ეს მოვლენების მორალური მხარეა და არა იურიდიული. მათ, თუ დასასჯელები არიან, თავად ეკლესია გამოუტანს სასჯელს. რატომ? ახლავე მოგახსენებთ:

როცა სარწმუნოებას გიგინებენ, როცა გეიუმცირესობას ჩაფიქრებული აქვს, რომ ქაშუეთის ეკლესიაში უხამსი პერფონმანსი დადგას, **როცა შიშველი გეები და ლესბოსელები მინისპექტაკლის გამართვას აპირებენ და ამ წარმოდგენის ერთი ნაწილი ტაძარში დასვენებული სიწმინდეების, წმინდა ჯვრისა და ხატების შებღალვას ისახავს მიზნად, ამ დროს სასულიერო პირს ვერ მოსთხოვ, ამ ბინძურ გეგმას წინ არ აღუდგეს.** პირიქით, ნებისმიერი რანგის სასულიერო პირი მოვალეა, ასეთი საფრთხე, თუნდაც ძალისმიერი მეთოდებით, აღკვეთოს. თუ საჭიროა, მრევლსაც მოუხმოს ამგვარი სიბინძურისა და სატანისტური ქმედების ასალაგმავად. ბედად, გეიაქციის მონაწილეთა ამ გეგმის შესახებ ხალხმა არაფერი იცოდა, ამის შესახებ იცოდნენ სასულიერო პირებმა და მათი ძალისხმევა იმიტომაც იყო მიმართული იმისკენ, რომ მეაღლუმეებს ქაშუეთის ტაძრამდე არ მიეღწიათ, შიგნით არ შესულიყვნენ და თავიანთი შემზარავი პროვოკაცია არ განეხორციელებინათ. ეს რომ მომხდარიყო, მერე არც სასულიერო პირების, არც მრევლის დამკავებელი აღარავინ იქნებოდა და სექსუმცირესობების წარმომადგენელთა ძვლებს თუღა აკრეფდნენ რუსთაველიდან პოლიციელები. აი, რა უბედურებას გადავრჩენილვართ და ამის შესახებ ახლაღა გაცხადდა.

წელან სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ვახსენე, ბატონი უჩას პირველი განცხადება — ყველა კანონდამრღვევი უნდა დაისაჯოს, ნაჩქარევი იყო. მას არაფერს ვასწავლი, მაგრამ უმჯობესი იყო, ეთქვა, — ჯერ გამოძიება ჩატარდეს და მერე, ვინც დამნაშვე აღმოჩნდება, დაისაჯოსო. **სახალხო დამცველი, როცა მას პროცესების განვითარების შესაძლო სცენარზე, მოსალოდნელ პროვოკაციაზე არ გააჩნია ინფორმაცია, სულ მცირე, არ უნდა ჩქაროზდეს ასეთი მკაცრი და რადიკალური შეფასების გაკეთებას.** დალოცვილო, ჯერ გაიგე, რატომ დაირღვა კანონი, თუკი ის დაირღვა საერთოდ. იქნებ ეს მცირე კანონდარღვევა იძულებითი პრევენცია იყო დიდი უბედურებისა და უკანონობის კასკადის თავიდან ასაცილებლად? დიახ, ასეც იყო, მაგრამ უჩა ნანუაშვილმა ამის შესახებ არ იცოდა. მიუხედავად ამისა, **მან იქვე, აქციის მსვლელობისას გაიმეტა საციხედ სასულიერო პირები, რომელთაც დიდი უბედურება აგვაცილეს თავიდან. შემდეგაც სახალხო დამცველმა არაერთხელ განცხადებაში კატეგორიულად მოითხოვა, დასჯილიყო ყველა ის ადამიანი, მათ შორის, სასულიერო პირებიც, რომლებმაც კანონი დაარღვიეს.** უჩა ნანუაშვილის საქმე არ არის, ვინ დაისჯება და ვინ არა. ეს გამოძიებისა და სასამართლოს პრეროგატივაა და კარგი იქნება, თავისი ნაჩქარევი განცხადებებით სახალხო დამცველი ამ პროცესებს ხელს თუ არ შეუშლის. მისი ფუნქცია მოვლენების შეფასებაა, პროკურორობას კი როგორმე სხვები გასწევენ.

ახლა იმის შესახებ, თუ ვინ არის უჩა ნანუაშვილი. უპირველესად, **ახალი სახალხო დამცველი, „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ფლირტის ნაყოფია, რომელსაც დღემდე კოაბიტაციის პროცესად მოიხსენიებენ. საპარლამენტო უმცირესობამ უჩა ნანუაშვილს ძალზე საეჭვო ერთსულოვნებით დაუჭირა მხარი და დღემდე ამ ფაქტის ახსნა ვერავინ მოახერხა.** „საქართველო და მსოფლიომ“, სავარაუდოდ, მიაგნო იმ მიზეზს, რის გამოც „ნაცმოძრაობამ“ უჩა ნანუაშვილს ნდობა გამოუცხადა. სავარაუდოდ, მივაგენით იმ მიზეზსაც, რის გამოც, სახალხო დამცველი ასეთი გულმოდგინებით ეშურება მართლმადიდებელი სასულიერო პირების დასჯას.

სანამ ბელინსკის ქუჩიდან ანტიმართლმადიდებლურ ტრანსში შესულ ომბუდსმენს პოლიცია ევაკუაციის წესით გაიყვანდა, **ერთ-ერთმა აქციის მონაწილემ მას მიაძახა: – ნანუაშვილო, თქვი, რა აღმსარებლობისა ხარ, რატომ მალავ, რომ ბაპტისტი ხარ და შენი მეუღლეც ბაპტისტური არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელიაო.** ნანუაშვილმა ან ეს შეძახილი ვერ გაიგონა, ან პასუხის გაცემა არ ისურვა. როგორც კულუარული წყაროებიდან ირკვევა, **უჩა ნანუაშვილი და მისი მეუღლე, ირმა მამასახლისი, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მრევლი არიან, თუმცა ამას, ორივე მათგანი შეძლებისდაგვარად მალავს.** ამის შესახებ არაერთმა წყარომ გვითხრა, მაგრამ სახალხო დამცველთან ურთიერთობის გაფუჭების შიშით მათ ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავეს.

ერთმა ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმაც დაგვიდასტურა ეს ინფორმაცია, თუმცა ვინაობის გამხელისგან ამ ეტაპზე მანაც თავი შეიკავა. მეტიც, მან ერთი მეტად საინტერესო ისტორიაც მოგვითხრო: უჩა ნანუაშვილი სახალხო დამცველად ახლადდანიშნული იყო, როცა მასთან შეხვედრაზე ერთ-ერთი პატიმრის დედა მივიდა. აქვე დავძენ, რომ ეს ქალბატონი და ნანუაშვილი უკვე იცნობდნენ ერთმანეთს. დათქმულ დროს ბატონი ნანუაშვილი არ აღმოჩნდა ვაკეში, ნინო რამიშვილის ქუჩაზე მდებარე სახალხო დამცველის ოფისში. მას ქალბატონმა დაურეკა და შეახსენა, რომ მასთან იყო დაბარებული. ამ ქართველი პოლიტიკოსის ინფორმაციით, **ნანუაშვილმა პატიმრის დედა მშრალ ხიდთან, ორბელიანის მოედანზე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში დაიბარა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ოფისი არასამთავრობო ორგანიზაციას — „საქართველოს რელიგიური ჯგუფები“ ეკუთვნოდა.**

წყაროს ინფორმაციით, **აღნიშნული არასამთავრობო საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ქოლგის ქვეშ მოქმედებს და დაფინანსებასაც ევროპიდან იღებს მსხვილი ბაპტისტური ფონდებიდან.**

ოფისში მისულმა პატიმრის მშობელმა შესაბამისი დოკუმენტაცია გადასცა ნანუაშვილს, რომელმაც მალევე დატოვა ოფისი. წასვლამდე ბატონმა უჩამ ქალბატონს გააცნო მისი მეუღლე — ირმა მამასახლისი, რომელიც „საქართველოს რელიგიური ჯგუფების“ ხელმძღვანელია. წყარო ამტკიცებს, რომ **ირმა მამასახლისმა ქალბატონს ბაპტისტური რელიგიის სიკეთეებზე ჩამოუგდო სიტყვა და ღიად მოჰყვა ამ რელიგიის პროპაგანდას. ბოლოს პატიმრის დედას უთხრა, — მისი შვილი ბაპტისტი რომ ყოფილიყო, როგორც რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელს, სასჯელაღსულების სისტემის მესვეურებთან რეკომენდაციას საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსი, მალხაზ სონღულაშვილი, გაუწევდა, არც „საქართველოს რელიგიური ჯგუფების“ რეკომენდაციას დაამადლიდა და პატიმარსაც ციხიდან ვადამდე გათავისუფლების რეალური შანსი ექნებოდა.** წყარო აცხადებს, რომ ირმა მამასახლისისა და ტუსაღის დედის საუბარი აქ დასრულდა, რადგან მართლმადიდებელმა ქალბატონმა სახალხო დამცველის მეუღლის არაპირდაპირი შეთავაზება შეურაცხყოფად მიიღო და ოფისი სასწრაფოდ დატოვა. შემდეგ ის პატიმარი ამნისტიით გათავისუფლდა და სახალხო დამცველის დახმარება აღარ დასჭირვებია.

ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, ჩვენ ვავრცელებთ ვერსიას, რომელიც მეტად სანდო წყარომ მოგვაწოდა.

**„საქართველო და მსოფლიო“, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, საქართველოში ევანგელ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსს, რუსუდან სონღულაშვილს დაუკავშირდა** (ის ამავე დროს მთავარეპისკოპოს მალხაზ სონღულაშვილის ძმისშვილი გახლავთ).

**— ქალბატონო რუსუდან, ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და მისი მეუღლე — ირმა მამასახლისი ბაპტისტები, თქვენი ეკლესიის მრევლი არიან.**

— ნამდვილად ვიცი, რომ უჩა ნანუაშვილი ჩვენი ეკლესიის მრევლი არ არის. რაც შეეხება მის მეუღლეს, მისი სახელი და გვარი პირველად გავიგე.

**— თქვენი ეკლესიის ქოლგის ქვეშ მოქმედებს თუ არა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს რელიგიური ჯგუფები“?**

— ამგვარი არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ არაფერი მსმენია. არც თქვენ მიერ ნახსენები და არც სხვა არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ქოლგის ქვეშ არ ფუნქციონირებს.

**ევანგელ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი არ ადასტურებს, რომ უჩა ნანუაშვილი ბაპტისტია, მისი მეუღლის სახელი კი საერთოდ არ სმენია. საფუძველი არ გვაქვს, არ ვენდოთ, მაგრამ ასევე ვიტოვებთ უფლებას, სრული ნდობა გამოვუცხადოთ იმ წყაროებს, რომლებთანაც წლების მანძილზე ვთანამშრომლობთ და რომლებიც ჩვენს ნდობას ნამდვილად იმსახურებენ.**

შესაძლოა, ბევრს გაუჩნდეს კითხვა — **რა შენი საქმეა, უჩა ნანუაშვილი ბაპტისტია თუ კათოლიკე?** მათ კითხვებითვე ვუპასუხებ: **რამდენად მართებულია, ბაპტისტი სახალხო დამცველი მართლმადიდებელი მღვდლების დაჭერას გავეშებული ითხოვდეს? რამდენად სამართლიანია, ქვეყანას, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელ ქრისტიანად აცხადებს თავს, სახალხო დამცველად მაინცდამაინც ბაპტისტი დაუნიშნო? განა მოსახლეობამ არ უნდა იცოდეს, მისი უფლებათა უპირველესი დამცველი რომელი რელიგიის აღმსარებელია?**

**ლევან ჯავახიშვილი**

**ახალი სახალხო დამცველი, «ქართული ოცნებისა» და «ნაციონალური მოძრაობის» პოლიტიკური ფლირტის ნაყოფია, რომელსაც დღემდე კოაბიტაციის პროცესად მოიხსენიებენ**

**ნანუაშვილმა პატიმრის დედა მშრალ ხიდთან, ორბელიანის მოედანზე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში დაიბარა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ოფისი არასამთავრობო ორგანიზაციას — «საქართველოს რელიგიური ჯგუფები» ეკუთვნოდა**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„როდესაც ხელს ვაწერთ დოკუმენტს, ევროსაბჭოსა თუ ევროკავშირში გაწევრიანების დროს, უნდა ვიცოდეთ, სიკეთეებთან ერთად რას გვთავაზობენ, რას გვიმალავენ? გვითხრან ყველაფერი და შემდეგ თავად გადავწყვეტთ, რომ არ გვინდა ასეთი წყალობა, რომელიც ახლა კი მომცემს პურს და ამქვეყნიურ სიკეთეებს, მაგრამ სულს შემირყვნის.
თუ ევროკავშირში გაწევრიანებაზე სხვა, ჩვენთვის მისაღები პირობებით უარს გვეტყვიან, მაშინ ასეთ ალიანსზე საერთოდ უარი ვთქვათ."



### მამა ელიზბარი (დიაკონიძე):

# სახალხო დამცველს გადაეცით — ვაი, შენს პატრონს–თქო!

**17 მაისის აქციის შემდეგ საქართველოში ვნებათაღელვა არ ცხრება. საზოგადოების დიდი ნაწილი ძალადობას გმობს, თუმცა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის სასტიკი წინააღმდეგია. ვილაცებმა სასულიერო პირების დასჯაც კი მოითხოვეს. 17 მაისს განვითარებულ მოვლენებს წმინდა სამების ტაძრის დიაკონი მამა ელიზბარი (დიაკონიძე) აფასებს.**



**— მამაო ელიზბარ, რა საფრთხე დაინახეს ამ დღეს აქციაზე გამოსულმა რიგითმა ადამიანებმა და სასულიერო პირებმა?**

— სჯულის კანონი სოდომურ ცოდვას სასტიკად კრძალავს. თუ ადამიანი ეკლესიის წევრია, ეს უკვე ნიშნავს, რომ ის წინააღმდეგობაში მოდის მსგავს საქციელთან და ჰომოსექსუალური ორიენტაციის ადამიანებთან. სჯულის კანონი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების ზიარებასაც კრძალავს. მეტიც, მათთან ერთად, სუფრასთან დაჯდომაც გვეკრძალება.

ზოოფილები, პედოფილები, ტრანსექსუალები, ჰომოსექსუალები, ეკლესიისთვის ყველა მათგანი თანაბრად მიუღებელია. ისინი უზიარებლობით არიან დასჯილნი.

უფალმა ამ ცოდვებისთვის სოდომი და გომორი ფერფლად აქცია და ჩვენ ახალი სოდომ-გომორი გვინდა საქართველოში?

რუის-ურბნისის კრების ერთი პუნქტი პირდაპირ ეხება აღნიშნულ საკითხს. ჯერ კიდევ მაშინ გაკვირვებული წერდა ეკლესია, — არ ვიცით, საიდან შემოგვეპარნენ ასეთები ერშიო.

**— მაგრამ, მამაო, ისინი ეკლესიის შვილები არ არიან?**

— ჰომოსექსუალები არ არიან ეკლესიის შვილები. ადამიანი ეკლესიის შვილი მაშინ ხდება, როცა ის ეკლესიაში მიდის, მოინანიებს და აღარ გააგრძელებს ცოდვილ ცხოვრებას. სჯულის კანონის მიხედვით, ჰომოსექსუალებს ტაძარში შესვლის უფლება არ აქვთ. მათ წირვა-ლოცვის მოსმენის უფლება მხოლოდ ეკლესიის სტოაში აქვთ ან ეკლესიის კარის ზღურბლთან უნდა დადგნენ.

მე მქონდა ასეთი შემთხვევა, ახლობელმა მომიყვანა პირი, რომელსაც სურდა ეკლესიური ცხოვრების დაწყება. მან აღიარა ჩემთან საუბარში, რომ იყო მამათმავალი, ჰომოსექსუალიზმით დასნებოვნებული, როგორც ისინი თავს უწოდებენ. დაავადება შეიძლება იყოს ონკოლოგიური, ენდოკრინოლოგიური, მაგრამ ჰომოსექსუალიზმი სნეულება არ არის, ეს უზნეობაა.

**— პროტესტის ფორმაზე რას ფიქრობთ? ძალადობაში ბრალი დასდეს სასულიერო პირებსაც. ძალადობა ცოდვის წინააღმდეგ ბრძოლაში გამართლებულია?**

— გააჩნია, თქვენ რას ეძახით ძალადობას. იოანე ოქროპირი ამბობს, როდესაც უფალს გიგინებენ და შეურაცხყოფას აყენებენ, გაჯვარედინზეც რომ იდგე და ყვრიმლის ცემაც კი დაგჭირდეს მისი, მოუწოდე და შეაწყვეტინეო. ჰომოსექსუალიზმი უფლის შეურაცხყოფაა.

ცოტა ხნის წინ სასულიერო პირებს ადანაშაულებდნენ, ხმას არ იღებენო. ხმა ამოიღეს და ახლა აკრიტიკებენ, რატომ ლაპარაკობენ და აპროტესტებენო. ქართულ ეკლესიაში რა უარყოფითი მოვლენებიც მიმდინარეობს, ამაზე ჩვენს ინტერვიუებშიც არაერთხელ და დაუფარავად გვისაუბრია, მაგრამ 17 მაისს სასულიერო პირებმა ის გააკეთეს, რაც უნდა გაეკეთებინათ. თუმცა მე მაინც მაქვს სასულიერო პირების მიმართ პატარა შენიშვნა: სად იყვნენ ისინი, როდესაც 26 მაისის აქცია ტარდებოდა? ერთადერთი მეუფე იაკობი მობრძანდა და სპეცრაზმელებმა ისიც არ შეუშვეს აქციაზე. რუსუდან ფეტვიაშვილები და ვილაცები ჯილდოებს რომ იღებდნენ წინა ღამით სისხლით მორწყულ რუსთაველზე, რატომ არ გამოვიდნენ აქციის დარბევის მეორე დღესვე და არ გააპროტესტეს? რატომ არ გამოვიდა და არ დადგა ყველა სასულიერო პირი ერთად? მაგრამ ასეა, როცა ერთხელ გაჩუმდები და ყველაფერს აპატიებ ხელისუფლებას, შემდეგ ასეთ საყვედურებს მიიღებ.

**სასულიერო პირები რომ არ ყოფილიყვნენ აქციაზე, მერე გენახათ ძალადობა. სრულიად შემთხვევით შეიძლება ვინმე მოეკლათ კიდეც. გიგი უგულავა გამოვიდა ვითომ კარგი კაცი, მაგრამ, უფალმა მაპატიოს და, მამათმავლების დამცველი კარგი კაცი ვერასდროს იქნება!**

ახლაც გავაკრიტიკებ იმ სასულიერო პირებს, რომლებმაც ხელი გაიქნიეს იქ. ჰომოსექსუალების წინააღმდეგ ხელის გაქნევა, უბრალოდ, არ უნდა ეკადრათ. ვილაცებმა მკითხეს კიდეც, რომელიღაც სასულიერო პირი ხელს იქნევდა და შენ ხომ არ იყავიო. არადა, გარკვეული მიზეზების გამო, მე აქციაზე საერთოდ არ ვიმყოფებოდი.

რამდენიმე დღის წინ განათლების მინისტრის მოადგილის ინტერვიუ წავიკითხე, ეროვნული მოძრაობა და ქართული ეკლესია სახადიაო, ამბობს. სახადი ის არის, ვინც ამას ლაპარაკობს. საშინელ ფაქტებს ვაწყდები. ამ დღეებში ვესაუბრე ერთ-ერთი უნივერსიტეტის რექტორს და მითხრა, სტუდენტები დამიპირისპირდნენ, რატომ ეწინააღმდეგებით ერთსქესიანთა ქორწინებასო. კაცი შეძრული იყო. ახალგაზრდებს აზროვნებას უცვლიან.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ არ გაითვალისწინა ხელისუფლებამ საპატრიარქოს თხოვნა — გაეუქმებინა აქციის ჩატარების სანქცია?**

— საპატრიარქოს რომელი თხოვნა გაითვალისწინა ან ძველმა და ან ახალმა ხელისუფლებამ, ეს რომ გაეთვალისწინებინა? 16 მაისს, საღამოს კანცელარიაში მივიტანეთ პრემიერის სახელზე წერილი ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციის ხელმძღვანელ გიორგი კერვალიშვილთან და სახალხო დარბაზის ხელმძღვანელ ავთო იოსელიანთან ერთად და ვთხოვეთ, მეტი სიმკაცრით მოეკიდოს მსგავსი აქციების ჩატარების საკითხს საქართველოში.

ნურავინ გაბედავს მსგავსი აქციის ჩატარებას საქართველოში. ეს მართლმადიდებლური სახელმწიფო და ვაჟკაცების ქვეყანაა. 9 აპრილს რუსთაველზე გმირების სისხლი დაიღვარა და იქ მამათმავალმა უნდა გაიაროს?!

**— არ ფიქრობთ, რომ ამით უფრო დიდი რეკლამა გაუწიეთ ჰომოსექსუალებს, ჩუმად რომ ჩაევლო რუსთაველზე 20-30 კაცს, ყურადღებას არავინ მიაქცევდა...**

— რატომ იყო 20-30 კაცი? გაცილებით მეტნი იყვნენ. ჩვენ გავუწიეთ რეკლამა ჩვენი ერის სიამაყეს, რომ გვეზიზღება ჰომოსექსუალიზმი. ამის გაცხადება რატომ არ არის ჩვენი რეკლამა?

**— სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა სასულიერო პირების დასჯა მოითხოვა..**

— სახალხო დამცველს გადაეცით — ვაი, შენს პატრონს-თქო! როგორც ჩანს, **ნანუაშვილისთვის სასულიერო პირი დასასჯელია და მამათმავალი გასამართლებელი.** ერთი კითხვა მაქვს ჰომოსექსუალების დამცველებთან: ხომ ჰყავთ შვილები და, თუ ბიჭები ჰყავთ, რძლად ბიჭებს ისურვებდნენ ან მათი გოგონებისთვის ქმრებად ქალებს?

საერთოდ, როდესაც სახალხო დამცველის დანიშვნაზე მიმდინარეობდა საუბარი, გაზეთის ფურცლებიდანაც გავახმოვანეთ, ხომ არ სჯობს, ეკლესიის სახელმწიფოსთან მიბმის მაგალითი დავით აღმაშენებლისგან ავიღოთ და ეს თანამდებობა მეუფე იობს ჩავაბაროთ-თქო, მაგრამ ჩვენი აზრი არავინ გაითვალისწინა.

**— საქართველოს არჩეული აქვს ევროპული კურსი, ევროპული ფასეულობები კი ნებისმიერი ადამიანისთვის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას ითვალისწინებს. ბევრ ევროპულ ქვეყანაში უკვე ოფიციალურად დააკანონეს ჰომოსექსუალთა ქორწინებაც. თუ გვსურს ევროკავშირში გაწევრიანება, უნდა დავემორჩილოთ თუ არა მათ წესებს?**

— ევროპაში კარგი ფასეულობებიც არის და მაგაში მივბაძოთ. ამას გარდა, ევროპა მართლმადიდებელი არ არის და ჩვენ მართლმადიდებლები ვართ. მათ, რაც უნდათ, ის ქნან, ჩვენ თავი დაგვანებონ. აი, რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანაა და არ დაუშვეს საკუთარ ქვეყანაში გეიაღლუმების გამართვა. პუტინს რომ ვლანძღავთ და ვაგინებთ, არ მისცა გეიაღლუმის ჩატარების უფლება. სანამ პრეზიდენტი ვიქნები, არ ჩატარდება მსგავსი აქციებიო, — განაცხადა. არც მოლდოვასა და საბერძნეთში ატარებენ აქციებს. მართლმადიდებელ ქვეყნებში ეს წესი მკაცრადაა დაცული.

ბოლოს და ბოლოს, სულ რომ სექსუალური უმცირესობების უფლებებს იცავენ, უმრავლესობის უფლებებს რატომ არავინ იცავს? როდესაც ხელს ვაწერთ დოკუმენტს, ევროსაბჭოსა თუ ევროკავშირში გაწევრიანების დროს, უნდა ვიცოდეთ, სიკეთეებთან ერთად რას გვთავაზობენ, რატომ გვიმალავენ? გვითხრან ყველაფერი და შემდეგ თავად გადავწყვეტთ, რომ არ გვინდა ასეთი წყალობა, რომელიც ახლა კი მომცემს პურს და ამქვეყნიურ სიკეთეებს, მაგრამ სულს შემირყვნის. თუ ევროკავშირში გაწევრიანებაზე სხვა, ჩვენთვის მისაღები პირობებით უარს გვეტყვიან, მაშინ ასეთ ალიანსზე საერთოდ უარი ვთქვათ.

პედოფილია, ზოოფილია, ჰომოსექსუალიზმი მსოფლიოში არსად, არც ერთ ნორმალურ საზოგადოებაში არ არის მიღებული. ერთადერთი სიბინძურე საიდანაც მოდის და მათ შორის ევროპასაც თავს ახვევენ, ეს არის ამერიკა. ყოვლად წაბილწული და უზნეო მეთოდები ინერგება ამერიკიდან იმ დოლართან ერთად, რომელსაც ასე დახარბებულები ვართ!

მე საერთოდ მომხრე ვარ მართლმადიდებლური სამოციქულო ქვეყნების ალიანსი შეიქმნას. ეს იდეა პირველად რადიო „რადონეჟის" ეთერში გავახმოვანე, რომელიც 110 ქვეყანაში მაუწყებლობს და საქართველოში თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ვისაუბრე. სხვათა შორის, დასახელება რუსულად კარგად ითარგმნება – სპას, რაც ქართულად ხსნას ნიშნავს. ჩემს იდეას გამოხმაურებაც მოჰყვა, მაგრამ ეს, ალბათ, უფრო სახელმწიფოების დონეზე უნდა გადაწყდეს. ეს ჩემი იდეა გავახმოვანე და დანარჩენი თავად იციან...

**გვახსოვდეს, რომ ყოველთვის, როცა ღვთის საწინააღმდეგო საქმეებს ჩავდივართ და სოდომურ ცოდვებს ვუჭერთ მხარს, ჩვენ უფალს ვაცვამთ ჯვარს. ამიტომ მოვუწოდებ ქართულ საზოგადოებას, საკუთარი სამშობლოსა და ღირსების დასაცავად უფრო აქტიურად იმოქმედოს.**

ესაუბრა **შორენა ციჟქარაშვილი**

> «ქართულ ეკლესიაში რა უარყოფითი მოვლენებიც მიმდინარეობს, ამაზე ჩვენს ინტერვიუებშიც არაერთხელ და დაუფარავად გვისაუბრია, მაგრამ 17 მაისს სასულიერო პირებმა ის გააკეთეს, რაც უნდა გაეკეთებინათ»

> «ყოვლად წაბილწული და უზნეო მეთოდები ინერგება ამერიკიდან იმ დოლართან ერთად, რომელსაც ასე დახარბებულები ვართ!»

საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჯანდაცვის მინისტრმა, თავის დროზე, ჯგუფის წევრებს, რომლებიც წინასაარჩევნოდ საყოველთაო დაზღვევის პროგრამაზე ვმუშაობდით: ოთარ ხუფენიას, ირაკლი სასანიას, თეა ჩანადირს, ზურაბ ჩაჩხიანს, თემურ ივანიშვილსა და მე, შემოგვითვალა, რომ მიგვეწოდებინა სია, ვის რა თანამდებობები გვინდოდა, მაგრამ ჩვენ ყველამ უარი განვაცხადეთ. სასანიას მინისტრის მოადგილეობა შესთავაზეს, მაგრამ არ დათანხმდა.“**



გია ნიშნიანიძე:

# შიშის პერიოდი გავიარე, ბატონო დავით!



**საყოველთაო დაზღვევის ყბადაღებული თემა ერთი შეხედვით ისე გამოიყურებოდა, თითქოს ხალხიც კმაყოფილი იყო და ახალი ხელისუფლებაც თავს იწონებდა, წინასაარჩევნო დაპირების ერთ-ერთი პუნქტი რომ შეასრულა, მაგრამ ხალხი ჩუმ-ჩუმად უკმაყოფილო იყო და, მთავრობის შიგნითაც რომ კარგი ამბავი არ ხდება, ნათლად გამოჩნდა. ამ რამდენიმე დღის წინ უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ აღნიშნულ თემაზე დაწერილი წერილების, მასში გამოქვეყნებული ფაქტების გამო, ქალბატონ ნანა დევდარიანისა და ექიმ გია ნიშნიანიძისგან ბოდიშის მოხდა, ცოტა არ იყოს და... მუქარის ტონით მოითხოვა. მის ამ ტონზე და ბოდიშის მოხდაზე ქალბატონი ნანა ბატონ უმრავლესობის ლიდერს თავად გასცემს პასუხს, ხოლო რაც შეეხება ბატონ გია ნიშნიანიძეს, მას „საქართველო და მსოფლიო“ დაუკავშირდა. შევეცადეთ, გაგვერკვია რისთვის ითხოვს მისგან დავით საგანელიძე ბოდიშს, თანაც ასეთი ტონით, რაში მდგომარეობს მისი ბრალეულობა და აპირებს თუ არა ბატონი გია „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერისთვის ბოდიშის მოხდას.**

## «საგანელიძის ძმისშვილი ნამდვილად არის «არქიმედეს» ერთ-ერთი ხელმძღვანელი»

**— ბატონო გია, რატომ ითხოვს დავით საგანელიძე თქვენგან ბოდიშის მოხდას? რაში მდგომარებს თქვენი ბრალეულობა?**

— ჟურნალისტებს უყვართ, წერას პირდაპირ სკანდალით რომ იწყებენ, მაგრამ მინდა მოგიყვეთ იმ პროექტის თაობაზე, რომელზეც ჩვენ არჩევნებამდე ვიმუშავეთ, რათა ხალხმა იცოდეს, რაშია საქმე.

ყველას კარგად ახოვს, ალბათ, როგორ ხდებოდა „ნაციონალების“ პერიოდში: სახელმწიფო თანხებს კერძო სადაზღვევო კომპანიებს უხდიდა, რომლებიც იღებდნენ ვალდებულებას მოქალაქეების ჯანდაცვის სფეროს მომსახურებაზე, ანუ საბიუჯეტო ფული გადადიოდა კერძო სადაზღვევო კომპანიებში და შემდგომ აფინანსებდნენ მოსახლეობის მოთხოვნას. ეს კერძო სადაზღვევო კომპანიები, რომელთაც არ ჰქონდათ საკუთარი საავადმყოფოები, ხელშეკულების საფუძველზე თანამშრომლობდნენ მათთან და უხდიდნენ ფულს. მერე იფიქრეს და გადაწყვიტეს, რატომ ვუხადოთ ფული სხვას, გვქონდეს ჩვენი საავადმყოფო, ჩვენივე კლინიკაში დავაწვინოთ პაციენტი და ეს საბიუჯეტო ფული ჩვენივე კლინიკებში „ვხარჯოთო“. მოკლე პერიოდში დაემატა ფარმაცევტული კომპანიები, რომელთაც იფიქრეს, რომ, ჩვენც თუ გვექნება სადაზღვევო კომპანიები, საავადმყოფოები და ასე შემდეგ, წრე შეიკრება. ასე ხდებოდა საბიუჯეტო თანხების განკარგვა.

**2010 წელს კონტროლის პალატამ შეამოწმა სადაზღვევო კომპანიები და აღმოჩნდა, რომ მათ 50-70% მოგება ჰქონდათ, ეს არის კონტროლის პალატის ციფრები, რომელსაც სადაზღვევოები არ ეთანხმებიან. შეიძლება თუ არა, რომ სახელმწიფოს ფული კერძო სადაზღვევო კომპანიებს გადაეცეს, რომელთა მიზანიც მხოლოდ და მხოლოდ მოგებაა?** ჩვენ, ცხრა ადამიანისგან შემდგარმა ჯგუფმა, შევიმუშავეთ მოდელი, რომელიც ბევრ ქვეყანაშია აპრობირებული. ესაა საყოველთაო დაზღვევის პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა ყოფილიყო დაზღვეული, საჭირო თანხების განმკარგავი უნდა ყოფილიყო არამომგებიანი, არასახელმწიფოებრივი სტრუქტურა ან ფონდის, ან სააგენტოს სახით. თუ აღნიშნულ ორგანიზაციას, სადაზღვევო პრინციპიდან გამომდინარე, რამე დარჩებოდა ეკონომიის სახით, ის თანხა შემდეგ წელს უკან ჩაბრუნდებოდა, სადაზღვევო პაკეტის გაფართოების, სერვისების გაუმჯობესების ან მაღალი ტექნოლოგიების დანერგვისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ წინა ხელისუფლების პირობებში ყველაფერი გაიყიდა, გასხვისდა და სახელმწიფო სამედიცინო ქსელი აღარ არსებობდა, ფონდი, რომელიც ჩვენი პროექტის ფარგლებში იარსებებდა, დაზღვევის თანხებს განკარგავდა საავადმყოფოებთან პირდაპირი კონტრაქტით — თავად გააფორმებდა ხელშეკრულებას საავადმყოფოებთან. შუა რგოლი, ანუ სადაზღვევო კომპანიები ვარდებოდნენ.

**თანხა, რომელიც მოვითხოვეთ, ყველაფერს არ ეყოფოდა, მაგრამ, რაც იყო, ის მთლიანად უნდა მოხმარებოდა მოსახლეობას, არანაირი მოგება არ უნდა დარჩენილიყო, ადმინისტრაციული ხარჯების გარდა, უკანასკნელ თეთრამდე პაციენტს უნდა მოხმარებოდა. ეს ყველაფერი დაიგეგმა და დადებითად გადაწყდა არჩევნებამდე.** არჩევნების შემდეგ შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც ვიყავით ჩვენ, პარლამენტიდან კი — დიმიტრი ხუნდაძე, კობა დავითაშვილი და წავედით ესტონეთში. დეტალურად გავეცანით მოდელს. ჩამოვედით თბილისში და წარვუდგინეთ სამინისტროსა და მინისტრს, რომელმაც გვთხოვა, ესტონური მოდელის ავტორის, ჟორჟ მენიკის, თბილისში ჩამოყვანა. მიუხედავად იმისა, რომ მას კონტრაქტი ჰქონდა ყირგიზეთში, თბილისში ჩამოვიდა. მინისტრმა მას სთხოვა, თავად ჩასდგომოდა სათავეში სამუშაო პროცესს და ბოლომდე მიეყვანა საქმე. მან თანხმობა განაცხადა, თანაც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ჟორჟ მენიკი გახლავთ უპატიოსნესი პიროვნება, რომელიც აღნიშნული სადაზღვევო მოდელის ავტორია.

ამის შემდეგ ჩვენ ძალიან სასაცილო სიტუაციაში აღმოვჩნდით, რადგან **ჟორჟ მენიკმა გვითხრა, რომ იგივე პროცესი 2007 წელს საქართველოში უკვე გაუვლია და, როდესაც საქმე თითქმის ბოლომდე მიუყვანია, იმდროინდელ მინისტრს, ურუშაძეს, დაუბარებია და უთქვამს, რომ აღარ ხართ საჭირო, შეგიძლიათ წახვიდეთო. ძალიან დიდი თანხებიც დახარჯულა მაშინ, მილიონზე მეტი, ზუსტი ციფრი ნამდვილად არ ვიცი. მოდელი ბენდუქიძის ეკონომიკურ სქემაში არ ჯდებოდა. ზუსტად იგივე მოხდა ამჯერადაც, ბოლო დღეს მენიკს განუცხადეს, რომ ბილეთი აიღეთ და დაბრუნდით თქვენს ქვეყანაშიო.** რა მოხდა სინამდვილეში, არ ვიცი. ვიცი ერთი, რომ ყველაფერი მიდიოდა იქითკენ, რომ უნდა შესრულებულიყო წინასაარჩევნო დაპირება და ის პროგრამა, რომელიც ხალხს წარვუდგინეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ 22 მარტს, მთავრობის დადგენილებით, კერძო კომპანიებს ხელშეკრულებები გაუგრძელდათ.

**— კობა დავითაშვილი მართალი ყოფილა?**

— კობა დავითაშვილი აღნიშნული პროგრამის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა. როდესაც მოხდა ისე, რომ ხელშეკრულებები გაუგრძელდათ კომპანიებს, მან დასვა შეკითხვები ყველა დონეზე, თუ რატომ მოხდა ეს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, ამიტომაც გაასაჯაროა ეს საქმე. კობას არ უთქვამს, რომ ვინმე კორუმპირებულია. რა თქმა უნდა, შეკითხვები გაჩნდება. **თუ წინა ხელისუფლება იყო კორუმპირებული, ჯანდაცვაში იყო დარღვევები, იყო არაჯანსაღი სისტემა, რაზეც ყველა ვთანხმდებით და ამისთვის მოხდა ახალი ხელისუფლების არჩევა. რატომ გააგრძელა მინისტრმა ასეთი კორუმპირებული, არაფრისმსგავსი, უვარგისი დაზღვევის სისტემით მუშაობა, თანაც იგივე კერძო სადაზღვევო კომპანიებთან ერთად?!** შემდეგ იცით, რომ მოხდა შეხვედრა კობა დავითაშვილს, მინისტრსა და პრემიერ-მინისტრს შორის და მას აუხსნეს, რომ ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში, შეიქმნებოდა ვაკუუმი, რომლებიც შეაფერხებდა სამედიცინო მომსახურებას. ეს ერთი. მეორე მიზეზი ის იყო, რომ მონაცემთა ბაზები კერძო სადაზღვევო კომპანიებს აქვთ და მათი გადაცემის პროცესი გაჭიანურდებოდა. მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის ეს არგუმენტები სრულიად მიუღებელია. შვიდი თვე გავიდა. დროულად რომ დაწყებულიყო მუშაობა, მაშინ, როდესაც მენიკი ჩამოვიდა, ივნის-ივლისში დასრულდებოდა. ახლა უკვე საუბარიც კი აღარ არის იმ მოდელზე, რომელიც თავის დროზე მოწონებული იყო, უკვე აღარ ახსენებენ სიტყვას „დაზღვევა“, გაჩნდა სიტყვა „პროგრამული დაფინანსება“.

**— ბატონო გია, საქმეში ჩახედული ხართ, კარგად იცით ყველას მოსაზრება, ამიტომ გკითხავთ: სად არის ძაღლის თავი დამარხული და რას გერჩით დავით საგანელიძე?**

— ერთმა ჟურნალისტმა იგივე შეკითხვა დამისვა და პირდაპირ გვარები დაასახელა. მე არავის ინტერესებზე არ მისაუბრია, უბრალოდ, დავუდასტურე ის, რომ **საგანელიძის ძმისშვილი ნამდვილად არის „არქიმედეს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი.** ჩემი გადასაწყვეტი და კომპეტენცია არ არის, ინტერესთა კონფლიქტები, თუმცა ყოველთვის ვიტყვი იმას, რომ რაღაც შიდა მიზეზები არსებობს, რადგან სამინისტროს მიერ დასახელებული არგუმენტები ჩემთვის მისაღები არ არის.

**— თუ ამდენად მიუღებელია თქვენთვის დასახელებული მიზეზები, რატომ გაჩუმდა კობა დავითაშვილი ან თქვენ რატომ არ ედავებით სამინისტროს?**

— ჯანდაცვის მინისტრმა, თავის დროზე, ჯგუფის წევრებს, რომლებიც წინასაარჩევნოდ საყოველთაო დაზღვევის პროგრამაზე ვმუშაობდით: ოთარ ხუფენიას, ირაკლი სასანიას, თეა ჩანადირს, ზურაბ ჩაჩხიანს, თემურ ივანიშვილსა და მე, შემოგვითვალა, რომ მიგვეწოდებინა სია, ვის რა თანამდებობები გვინდოდა, მაგრამ ჩვენ ყველამ უარი განვაცხადეთ. სასანიას მინისტრის მოადგილეობა შესთავაზეს, მაგრამ არ დათანხმდა.

**— გაჩუმებდნენ?**

— არ ვიცი, რა ჩანაფიქრი ჰქონდათ. გამოგვიგზავნა დაბეჭდილი ფურცელი, რომელზეც ეწერა: „მომაწოდეთ სია, რა თანამდებობებს ითხოვთ“.

**— საგანელიძე თქვენგან ბოდიშის მოხდას ითხოვს, რას აპირებთ?**

— თუ საგანელიძე იტყვის, რომ „არქიმედეს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის ბიძა არ არის და მე შემეშალა, მაშინ ბოდიშს მოვიხდი, ეს სირცხვილი სულაც არ არის.

ბატონო დავით, თქვენ მომიხსენიებთ, როგორც ყოფილ ექიმს — გია ნიშნიანიძეს, ბარემ „ვილაც“ დაგემატებინათ და სრული „სურათი“ შეექმნებოდა მკითხველს. შეგახსენებთ, რომ **„ყოფილი“ ექიმი და უმუშევარი 2007 წლის 8 ნოემბერს გავხდი, როდესაც ყოველგვარი ახსნაგანმარტების გარეშე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ამირან მესხელის, ბრძანებითა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილის შესრულებით სამსახურიდან გამათავისუფლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ვეგუებოდი კრიმინალურ რეჟიმს და ბადრი პატარკაციშვილის მეგობარი ვიყავი.** არც შემდგომში მომკლებია ძველი ხელისუფლებისგან „ყურადღება“ და, ბევრისგან განსხვავებით, სასათბურე პირობები არ მქონია, ხოლო **წინასაარჩევნოდ, „ქართული ოცნების“ ჯანდაცვის პროგრამაზე მუშაობის პერიოდში, ბეწვის ხიდზეც გავიარე. ბევრ დღევანდელ ფუნქციონერს, რომელთაც ახლა საკმაოდ დიდი პრეტენზიები აქვთ, საერთოდ ხმა არ ამოუღია და სამუშაო ჯგუფთან გაკარებაც კი მათთვის წარმოუდგენელი იყო.**

ახლა რაც შეეხება თქვენს დამუქრებას თუ დაშინებას, რომ „ეს ყველაფერი ასე უბრალოდ არ ჩაივლის“. შეგახსენებთ, რომ მე, ჩემი შიშის პერიოდი კარგა ხანია გავიარე, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სიკვდილისთვისაც ხშირად ჩამიხედავს თვალებში, არც ერთი ხელისუფლების მონამორჩილი არ ვყოფილვარ და არც შემდგომში ვიქნები. ყოველთვის ვამბობდი იმას, რასაც ვფიქრობდი და ამას ვერავინ დამიშლის, მითუმეტეს, რომ ჩემი პოზიციის სისწორეში დარწმუნებული ვარ. რაც შეეხება ბოდიშის მოხდას, ვთვლი, რომ ეს სირცხვილი სულაც არ არის თუ კაცს ბოდიში მოსახდელი აქვს, მაგრამ იქნებ ამიხსნათ, რაში მადანაშაულებთ?! **მე თქვენ არაფერში დამიდანაშაულებიხართ, გამოვხატე ჩემი პოზიცია ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე პროცესებზე და აღვნიშნე, რომ ეს ის არ არის, რასაც „ქართული ოცნება“ ხალხს ჰპირდებოდა.**

კიდევ ერთხელ ვუსვამ კითხვას ბატონ საგანელიძეს, როგორც ექიმს, როგორც უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს: **რატომ გრძელდება ის მანკიერი ფორმა ჯანდაცვის, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება მიღებული იყო, რომ ეს შეცვლილიყო სულ სხვა ფორმით, რატომ აგრძელებს ამას სერგეენკო, რა სუბიექტური მიზეზები აქვს ამას, გარდა იმ სასაცილო მიზეზებისა, რომლებიც მათ გააჟღერეს?!**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„ევროპის ვერც ერთ სხვა ქვეყანას ვერ შევედრებით, სადაც საშუალოდ ერთ ადამიანზე წელიწადში 60 ევრო იხარჯება, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უფრო მკაცრი კანონები მოქმედებს, ერთ ადამიანზე 30 დოლარი იხარჯება.“

საზოგადოება
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გელა ლეჟავა:

# ნარკომანთა რაოდენობა საქართველოში 20 პროცენტით გაიზარდა

**„საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელი სტუმარია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ექსპერტი-ნარკოლოგი გელა ლეჟავა.**

**ჩვენმა მკითხველებმა, რა თქმა უნდა, იციან, რომ საქართველოს პარლამენტი განიხილავს ნარკომანიასთან დაკავშირებულ კანონპროექტს. სჯა-ბაასი საკმაოდ მწვავეა, პოზიციები — ხშირად დაპირისპირებული, უწინარეს ყოვლისა, ნარკომანიის ლეგალიზაციასა და დეკრიმინალიზაციაზე.**

**— ბატონო გელა, ორმოციოდე წლის წინათ, როცა საქართველოში ამ სოციალური სენის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, ნარკომანია თუ ნარკომანობა დანაშაულად ითვლებოდა. ახლა რა ხდება?**

— დავაზუსტოთ: ნარკომანია ყოველთვის დაავადება იყო, ამიტომ ავადმყოფი — ნარკომანი ყოველთვის საჭიროებდა მკურნალობას.

სხვა საკითხია ნარკოტიკის შეძენა „შავ ბაზარზე“. ეს იყო და რჩება კრიმინალურ ქმედებად, ამიტომ პირი ისჯებოდა ნარკოტიკის შეძენისთვის, შენახვისთვის, გადატანისთვის და ა. შ. და არა იმისთვის, რომ ავადმყოფი იყო.

ეს უნდა განვასხვავოთ.

აქ არის გარკვეული წინააღმდეგობა, მაგრამ ასეა მიჩნეული მთელ მსოფლიოში.

**— დამეთანხმეთ, რომ საზოგადოებრივ შეგნებაში ნარკომანია დანაშაულთანაა გაიგივებული.**

— კი, ასეა.

**— მაშასადამე, ნარკომანიისადმი საზოგადოებრივი დამოკიდებულების ერთგვარი ჰუმანიზაცია ნიშნავს უკანდახევას?**

— მრავალწლიანმა პრაქტიკამ საქართველოსა და მთელ მსოფლიოში გვიჩვენა, რომ **ნარკომანია არ არის ისეთი სოციალური სენი, რომლის დამარცხება შეიძლება იურიდიული მეთოდებით:** დაპატიმრება, საჯარიმო სანქციები და ა.შ. ბევრ შემთხვევაში მკურნალობა უფრო ეფექტიანია, ვიდრე დასჯა.

მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ნარკომანებს, როგორც წესი, ქართულად რომ ვთქვათ, წამალდამოკიდებულებს მკურნალობა არ სურთ. ამიტომ მთელ მსოფლიოში დანერგილია მთელი რიგი სისტემებისა, რათა ნარკომანი აიძულონ, იმკურნალოს. ლაპარაკია წამალდამოკიდებულზე, ანუ ავადმყოფზე. მაგრამ ამათ გარდა არსებობენ მომხმარებლები, რომლებიც გასართობად იყენებენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს. ისინი ჯერ ავადმყოფები არ არიან.

**— აბა, კრიმინალი სადღაა?**

— კრიმინალი, ყველა შემთხვევაში, ბევრ სახელმწიფოში და, მათ შორის, საქართველოში, არის, როცა პირი ყიდულობს, ინახავს, გადააქვს, ყიდის ნარკოტიკს.

დღეს ამ მიმართულებით მიმდინარეობს სერიოზული მსჯელობა, უკვე არსებობს **ორი კანონპროექტი,** მათგან ერთის, რომელიც უკვე შეტანილია პარლამენტში, ავტორი მეცა ვარ. **ამ კანონპროექტში ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა განხორციელდეს მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებებისა, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელია დეკრიმინალიზაცია. ლაპარაკია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მოხსნაზე** (ანაშის, მარიხუანის შემთხვევაში) **იმ პირების მიმართ, რომლებიც შეიძენენ** (მარიხუანას, ანაშას) **პირადი მოხმარების მიზნით.** სასჯელის სიმძიმე გადავა ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე, რაც გულისხმობს ჯარიმებს, ადმინისტრაციულ პატიმრობას (შეიძლება, ორ თვემდე), ავტომანქანის მართვის უფლების, საზღვარგარეთის პასპორტის ჩამორთმევას, მოთხოვნას — ყოველ მესამე დღეს გამოცხადდეს შესაბამის დაწესებულებაში შარდის ანალიზის ჩასაბარებლად ქიმიური ანალიზისთვის, ზოგიერთ ქვეყანაში შინა პატიმრობაც არის გამოყენებული და ა.შ. მოკლედ, ღონისძიებების მთელი კომპლექსია.

**— მომხმარებლის მიმართ?**

— დიახ, მომხმარებელზეა ლაპარაკი. მართალია, მას, ასე ვთქვათ, ციხეში არ სვამენ, მაგრამ ზემოქმედება მასზე იმდენად ძლიერია, რომ მან (ამ ზეწოლამ), თუ იგი უკვე ავადმყოფი არ არის, მიიყვანოს დასკვნამდე: არ ღირს ამდენ წვალებად, ამდენ უსიამოვნებად ეს საეჭვო სიამოვნება.

ამ მიზნის მისაღწევად კი **საჭიროა, მოხდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს, ადეკვატურად დავსაჯოთ ასეთი პირები.** ეს ერთი. **უნდა გაიზარდოს ნარკოტიკების პრობლემასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება, რადგან უნდა გაიზარდოს იმ დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც გააკონტროლებენ ამ მიმართულებას. აუცილებლად უნდა დაიწყოს ჩვენს სკოლებში რეალური პროფილაქტიკური და არა მოჩვენებითი საქმიანობა.** ეს და კიდევ მთელი რიგი სხვა



**«აბსოლუტურად დადგენილია, რომ ასი ახალგაზრდიდან, რომლებიც მარიხუანის მოწევას იწყებენ, 40-მდე, 30 მაინც, გადადის მძიმე ნარკოტიკებზე»**

ღონისძიებებისა, ვერ განხორციელდება შესაბამისი დაფინანსების გარეშე.

**— ისევ ფული?**

— დიახ, მაგრამ — არა მარტო: თუ არ გამოიყოფა თანხები, თუ არ მოხდება ადმინისტრაციული ცვლილებები და მხოლოდ დეკრიმინალიზაცია მოხდება, აუცილებლად მივიღებთ სიტუაციის მძაფრ გაუარესებას.

ხაზგასმით ვიტყვი: **დეკრიმინალიზაცია დასაშვებია მხოლოდ როგორც ღონისძიებათა კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.**

**— ლეგალიზაცია?**

— ლეგალიზაცია არ ნიშნავს ნარკოტიკული ნივთიერებების ლობიოსავით თავისუფლად ყიდვასა და გაყიდვას. ეს აბსოლუტურად დაუშვებელია. ფაქტობრივად, არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს ასეთი ლეგალიზაცია. ყველგან აკრძალული ქმედებაა და იმისდა მიხედვით, რომელ ქვეყანაში ხდება და როგორ პიროვნებასთან გვაქვს საქმე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაცაა შენარჩუნებული, მაგრამ ძალიან იშვიათად გამოიყენება — ასი შემთხვევიდან ორში. სამაგიეროდ ადმინისტრაციული სამართლის მთელი გამაა ამოქმედებული და — ჯარიმები.

**— ესე იგი, სჯიან?**

— ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში დასჯადია.

**— აბა, ჰოლანდია?**

— რახან ჰოლანდია ახსენეთ, შემდეგ თემაზე უნდა გადავიდეთ.

ჰოლანდიაში, ჯერ ერთი, სრული თავისუფლება არ არის. ამ ქვეყნის ქალაქების 70 პროცენტში არის ნულოვანი ტოლერანტობა მარიხუანის მომხმარებელთა მიმართ. ეს **ერთი.**

**მეორე.** მთელმა ევროპამ ატეხა განგაში ჰოლანდიის მიმართ იმის გამო, რომ იქ თავისუფლად შეიძლება ნარკოტიკის ყიდვა. შედეგად ჰოლანდიაში გამოიცა კანონი თუ აკრძალვა უცხოელი ტურისტისთვის ნარკოტიკის მიყიდვის შესახებ.

**მესამე.** მარიხუანის ყიდვა და მოწევა შეიძლება მხოლოდ გარკვეულ კაფეებში (ძირითადად, ამსტერდამზეა ლაპარაკი). თუ დადგენილ წესებს დაარღვევ მეორედ, მესამედ — შეიძლება, სამ წლამდე ციხეც მოგისაჯონ. ისე არ არის საქმე, როგორც ზოგიერთებს ჰგონია.

**მეოთხე.** ამ ლიბერალურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რომ მდიდარმა ჰოლანდიელებმა დიდ სარდაფებში დაიწყეს უფრო მეტი ნარკოტიკის შემცველობის მარიხუანის ახალ-ახალი ჯიშების გამოყვანა.

ამის გამოსავლენად სპეციალურად შეიქმნა ვერტმფრენების სამსახური, რომელიც იკვლევს სად, რომელი სარდაფიდან გამოდის სითბოს უფრო მეტი რაოდენობა, რაც მიმანიშნებელია იქ ნარგაობათა არსებობაზე. ამის კვალზე ხორციელდება ძიება.

ამას გარდა, მოსახლეობას უგზავნიან მარიხუანისთვის დამახასიათებელი სუნის ნიმუშებს და სთხოვენ, თუ თქვენს სამეზობლოში ასეთ სუნს იგრძნობთ, ძალიან გთხოვთ, შეგვატყობინეთო.

**— საინტერესოა! მაგრამ, ბატონო გელა, მარიხუანის წინააღმდეგ ასეთი გალაშქრება რამ გამოიწვია, მარიხუანა ხომ მსუბუქი ნარკოტიკია?**

— ყურადღებით მომისმინეთ. კი, ასეა — მარიხუანა მსუბუქი ნარკოტიკია და ჰოლანდიაში ეგონათ, რომ, თუ ნარკომანები მოწევენ მარიხუანას, ჰეროინს აღარ გაიკეთებენ.

არ აღმოჩნდა ასე.

მართალია, ჰოლანდიაში არ ჰყავთ ჰეროინის მეტი მომხმარებელი, ვიდრე სხვა ქვეყნებშია, მაგრამ არც საგრძნობლად ნაკლებია.

მაგრამ ამას, ყველაფერს არავითარი აზრი არა აქვს საქართველოსთვის იმიტომ, რომ **ჰოლანდიაში ერთ მოსახლეზე ნარკოხაზით იხარჯება 117 ევრო, საქართველოში — 50 თეთრი, ჰა, — ერთი ლარი.**

**— ვინც დაავადებულია, იმათზე იხარჯება ამდენი?**

— არა, მოსახლეობის საერთო რაოდენობაზეა ლაპარაკი.

უფრო მეტიც. **ევროპის ვერც ერთ სხვა ქვეყანას ვერ შევედრებით, სადაც საშუალოდ ერთ ადამიანზე წელიწადში 60 ევრო იხარჯება, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უფრო მკაცრი კანონები მოქმედებს, ერთ ადამიანზე 30 დოლარი იხარჯება.**

ამიტომ სხვა ქვეყნებთან ყოველგვარი პარალელის გავლება აბსოლუტური უაზრობაა, რადგან ჩვენ არ გვაქვს ის სამსახურები, რომლებიც ამ ქვეყნებში ფუნქციონირებს.

**— როგორც ვხვდები, პრობლემის ერთი ნაწილი გავიარეთ. უშუალოდ მარიხუანაზე გადავიდეთ, რომლის ლეგალიზაციის შესახებ მიმდინარეობს ლაპარაკი.**

— დღეს აბსოლუტურად დამტკიცებულია, რომ მარიხუანა იწვევს ისეთსავე დამოკიდებულებას, როგორსაც იწვევს ჰეროინი. ჰეროინი იწვევს დამოკიდებულებას, პირობითად ვთქვათ, მეოცე გაკეთების შემდეგ, მარიხუანის შემთხვევაში — სამი-ხუთი თვეა.

მართალია, ჰეროინის დამოკიდებულება უფრო მძიმეა, მარიხუანის შემთხვევაში — ნაკლებ მძიმე, მაგრამ არც ერთი ვარგა, არც მეორე. ორივე ადამიანის ჯანმრთელობაზე დამანგრეველად მოქმედებს. ამის გამოა, რომ ევროპის ნარკოლოგიურ დაწესებულებებში წევს 30 პროცენტამდე მარიხუანაზე დამოკიდებული პაციენტი.

მეტსაც გეტყვით. მარიხუანის ახლადგამოყვანილ ჯიშებში ძირითადი ნარკოტიკული ნივთიერება დაახლოებით ათჯერ მეტია, ვიდრე ბუნებრივში. ამიტომაა, რომ ჩვენი ნარკომანების საყვარელ ჰოლანდიაში ეს გაუთანაბრეს კოკაინს.

ამდენად, ლეგალიზაციაზე ლაპარაკი დღეს საქართველოში დაუშვებელია.

და კიდევ ერთი არგუმენტი, რომელსაც პირველად თქვენს გაზეთს ვეუბნები.

**— ყურადღებით გისმენთ!**

— ლეგალიზებული მარიხუანის მომხმარებელი იქნება მოსახლეობა, ხომ ასეა?

**— დიახ.**

— ჩვენი მოძმე სომხები, რომლებისაც ძალიან მშურს, პრაქტიკულად, ნარკოტიკებს არ ეკარებიან. ეს არამარტო ჩემი აზრია და სომხების, არამედ ამერიკელებისაც. ნარკომანია იქ პრობლემა არ არის.

ჩვენი მოძმე აზერბაიჯანელები, როგორც იცით, ისტორიულად, რელიგიიდან გამომდინარე, შეგუებულები არიან მარიხუანას და გამომუშავებული აქვთ შესაბამისი იმუნიტეტი.

არსებობს, მაშასადამე, ეთნიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, განსხვავებული ეთნიკური დამოკიდებულება. ამ შემთხვევაში ეთნიკური გენეტიკური შემადგენელი გამოდის წინა პლანზე.

მაგრამ მარტო ეს არ არის მთავარი.

აბსოლუტურად დადგენილია, რომ ასი ახალგაზრდიდან, რომლებიც მარიხუანის მოწევას იწყებენ, 40-მდე, 30 მაინც, გადადის მძიმე ნარკოტიკებზე.

ეს ყველაფერი — მარიხუანის ლეგალიზაცია-დეკრიმინალიზაციის საკითხისთვის.

აქედან გამომდინარე, საქართველო უნდა დავიცვათ ლეგალიზაციისგან. დეკრიმინალიზაცია კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამის დასკვნას მოგვცემენ პროფესიონალები.

წინა მთავრობის დროს დიდი პიარკამპანია ჰქონდა ატეხილი ზოგიერთ უწყებას, კერძოდ პროკურატურას, რომელიც ცდილობდა საზოგადოების დარწმუნებას, თითქოს საქართველოში ნარკოსიტუაცია კარგია. ეს იყო დიდი ტყუილი, რადგან სწორედ იმ პერიოდში 15-20 პროცენტით გაიზარდა ნარკომანთა რაოდენობა.

**— მოდით, გავარკვიოთ ამ სიტუაციაში ჩვენი მკითხველები. აქამდე ვიცოდით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მცდელობით შეიზღუდა ნარკოტიკების შავი ბაზარი.**

— ასეც იყო. მაგრამ მოხდა ის, რომ ნარკომანები გადავიდნენ აფთიაქებში ნაყიდი წამლებით კუსტარულად დამზადებულ ნარკოტიკებზე, რომელთა მოხმარებაც უფრო მძიმე შედეგს იძლევა.

**თუ აფთიაქებში პრინციპულად არ შეიცვალა სიტუაცია, ამ პრობლემას არაფერი ეშველება.** ის ღონისძიებები, რომლებსაც გვთავაზობენ ან რომლებიც განხორციელდა, ნახევრადღონისძიებებია. კარგა ხანია, ამ საქმის ადგილიდან დაძვრას ვცდილობთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. აღმოჩნდა, რომ **ფარმაცევტული ფირმები დაკავშირებული იყვნენ ყოფილ მთავრობასთან და გარკვეულ თანხებს ურიცხავდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებას.**

ამიტომ მთავრობაც ხელს არ ჰკიდებდა.

დღეს აღნიშნულის ალბათობაც მოხსნილია და იმედი მაქვს, რომ პროფესიონალები — ნარკოლოგები, სამართალდამცველები ამ პრობლემას პრინციპულად მოვკიდებთ ხელს და ბოლომდე მივიყვანთ.

პარლამენტის მიერ თამბაქოს მოხმარებაზე მიღებულ კანონს შურის თვალით ვუყურებ და ვიმედოვნებ, რომ ნარკომანიის შესახებ კანონიც ასეთივე დახვეწილი და საყოველთაოდ მისაღები იქნება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღევანდელი ევროპა ჩვეულებრივად აღიქვამს გამრუდებულ სექსუალურ კავშირებს, სექსუალურ გადახრებს. ჩვეულებრივად აღიქვამს კი არა, ჰომოსექსუალობისა და ლესბოსელობის თავგამოდებული დამცველია და ცდილობს, დააკანონოს ეს სოდომიზმი.**



ელიზბარ ჯაველიძე

# პედერასტია და პედოფილია — უმოკლესი გზა ევროპული ჯოჯოხეთისკენ

ქართულ ზნე-ჩვეულებებთან და მართლმადიდებლობასთან ბრძოლამ უკვე გამოკვეთილი სახე მიიღო და ამ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნულად მოაზროვნე მეცნიერთა და მოღვაწეთა ნააზრევის გაცნობა და გაცნობიერება. ამიტომაც გადავწყვიტეთ, შემოგთავაზოთ ფრაგმენტები აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის 2007 წელს გამოცემული წიგნიდან „ავაჰმე, ჩემო მამულო!..“

**ადამიანის გაცხოველების თუ გამაიმუნების პროცესს მხოლოდ დემოგრაფიული მიზანი არ ასაზრდოებს. არის ასევე სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ურთიერთდაკავშირებულ საკითხთა ჯაჭვი, რომელიც კრავს და ამაგრებს ამ კონცეფციას. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ადამიანს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია მაღალ სულიერ მისიაზე, ღვთის ტოლობაზე, რაც ზრდის მის წარმოდგენას საკუთარ ღირსებაზე, და უნდა დაკმაყოფილდეს ჩვეულებრივი ცხოველის „სტატუსით“. ასეთ ვითარებაში პიროვნება თავისუფლდება მორალური ჩარჩოებისგან, ის სავსებით კარგავს ადამიანურ სახეს და ბუნებითაც და აზროვნებითაც ცხოველს ემსგავსება. ამას მოჰყვება ისტორიული მეხსიერების მოშლა, მას აღარ აინტერესებს თავისი გენეალოგია, ინდიფერენტულია წინაპრების საგმირო საქმეებისადმი, აღარ არის მიჯაჭვული თავის საცხოვრებელ ადგილს, დაცლილია სამშობლოს სიყვარულის გრძნობისგან, პატრიოტიზმი მისთვის უცხო ხილია და სხვა არაფერი. მისთვის სულერთია, დედამიწის რომელ კუთხეში იცხოვრებს. მისი უმთავრესი საზრუნავია მხოლოდ საჭმელ-სასმელის მოპოვება. მას აღარ აქვს ოჯახური სიამტკბილობის განცდა. მას აღარ გააჩნია მშობლების, და-ძმის, მეტიც, შვილებისა და შვილიშვილების სიყვარული და მისთ. და მისთ...**



კათოლიკე მღვდლებში გავრცელებულ პედოფილიას „ეშმაკის ნამოქმედარით“ ხსნიან

## გაშიშვლებული ევროპელი

ევროპელმაც შემოიძარცვა მორალური სამოსი, უფრო მართებულად, ის დაადგა გაცხოველების გზას. ის დღესაც ცდილობს, დაამდაბლოს მორალის მნიშვნელობა და უპირატესობა მიანიჭოს ცხოველურ ქცევებს, მის თავისუფლებას, მის სილაღეს. მოკლედ, **დღეს ევროპაში გარკვეული და ერთობ გავლენიანი ძალები ქადაგებენ ცხოველური თავისუფლების პრინციპს, რომლის საყოველთაო აღიარებას ხელს უწყობს ელექტრო და ბეჭდვითი მასმედია, კინო-თეატრის გარკვეული ფრთის, ლიტერატურის, მეცნიერების, მუსიკოსების გავლენიანი და პოპულარული წარმომადგენლები და, რაც მთავარია, გლობალიზმის ფერხულში ჩაბმულ ხელისუფალთა სახელმწიფო-პოლიტიკური კურსი, რომელიც ძირითადად ეფუძნება „ახალი საუკუნის — ნიუ-ეიჯის“ (New Age) ანტიქრისტიანულ იდეოლოგიას, XX საუკუნის დასაწყისში რომ წარმოიშვა.** სხვათა შორის, ამ იდეოლოგიის ყველაზე თავგამოდებული მქადაგებელი იყო ნიცშეს თაყვანისმცემელი მადამ ბლავატსკაია. ეს მიმდინარეობა უარყოფს ადამიანის ღვთის მსგავსების იდეას და მას წარმოგვიდგენს, როგორც უგარყვნილეს ცხოველს! ამიტომაც ისინი მასებში ავრცელებენ ე. წ. როკის, სექსისა და ნარკოტიკების კულტურას. სწორედ ამიტომაც, რომის იმპერიის მაგალითით აღტაცებულნი (მკითხველს ვთხოვ, კიდევ ერთხელ გაიხსენოს ნიცშეს შეხედულება რომის კულტურასა და მორალზე! — ე. ჯ.), ისინი ეწევიან ჰომოსექსუალიზმისა და სქესობრივი გარყვნილების აგიტაციას.

მაინც როგორ ესმით ცხოველური თავისუფლების პრინციპით ცხოვრება ამ ჩვენ სათაყვანებელ ევროპელებს?!

თურმე ნუ იტყვით და მაიმუნი, რომელიც მხოლოდ 5%-ით ჩამორჩება ადამიანს გონებრივი მონაცემებით, უფრო ბედნიერად და ლაღად ცხოვრობს, უფრო თავისუფალია სექსუალურ ორიენტაციაში: ის არ ასხვავებს და სექსუალურ კავშირს ამყარებს განურჩევლად ყველასთან, იქნება ის შორებელი თუ ახლობელი, ნათესავი თუ არანათესავი, მამა თუ დედა, და თუ ძმა, გერი, საკუთარი შვილი თუ შვილიშვილი, დედალი თუ მამალი (ე. ი. კაცი თუ ქალი) და ა. შ.

ამიტომაც **დღევანდელი ევროპა ჩვეულებრივად აღიქვამს გამრუდებულ სექსუალურ კავშირებს, სექსუალურ გადახრებს. ჩვეულებრივად აღიქვამს კი არა, ჰომოსექსუალობისა და ლესბოსელობის თავგამოდებული დამცველია და ცდილობს, დააკანონოს ეს სოდომიზმი.** ასე, მაგალითად, გერმანიაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში, ისლანდიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, დანიასა და ბელგიაში, ასევე აშშ-ის ზოგიერთ შტატში ოფიციალურად დაშვებულია ერთსქესიანთა რეგისტრაცია და ამგვარ ქორწინებას დიდი ზარ-ზეიმით და ხელისუფლების დონეზეც აღნიშნავენ. გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი მომღერლის ელტონ ჯონის მამაკაცთან ქორწინება. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. დანიაში) ლესბოსელებმა და ჰომოსექსუალებმა მოიპოვეს ბავშვების აყვანის, მშობლობის უფლება. ტრადიციებით თავმომწონე ინგლისში ასეთ წყვილებს ეკლესიაშიც კი ჯვარს წერენ.

მეტიც, შეიძლება ითქვას, სოდომიზმის საკითხი განიხილება საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე. აი, თუნდაც, **2000 წელს ევროსაბჭოს საპარლამენტო სესიაზე წაკითხულ იქნა მოხსენება: „ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ლესბოსელების და გეიების მდგომარეობა“. ამ მოხსენებას მოჰყვა რეკომენდაციები, რომლის მიხედვით უნდა დაკანონებულიყო ჰომოსექსუალების „პარტნიორული კავშირები“ და ციხიდან უნდა გაეთავისუფლებინათ ყველა, ვინც გახრწნა ყმაწვილები 14 წელზე ზემო ასაკისა.** ერთ-ერთი რეკომენდაცია ასე ჟღერდა: **„მიღებული იქნეს პოზიტიური ზომები ჰომოფობიის წინააღმდეგ... განსაკუთრებით სკოლებში, მედიცინის სფეროში, შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციაში“.** ის არ უნდა მიკუთვნებოდა სექსოპათოლოგიის კატეგორიას და **სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა ყველას, ვინც გაბედავდა პედერასტობის კიცხვას. სკოლებსა და უმაღლესებში უნდა შექმნილიყო ჰომოსექსუალთა და ლესბოსელების კლუბები და ამ კლუბების წევრები სხვადასხვა საშუალებებით უნდა წახალისებულიყვნენ.**

ადრე თუ ამ ტიპის ადამიანებს ავადმყოფებად მიიჩნევდნენ და მათ გარყვნილების გამო სჯიდნენ (გავიხსენოთ თუნდაც საბჭოთა კავშირი), დღეს ისინი გამოეფინენ შარაზე, მართავენ მრავალრიცხოვან კარნავალებს, აწყობენ დემონსტრაციებს, გაჰყვირიან პროფესიული დისკრიმინაციის შესახებ. გალაღებულნი ნებისმიერ სფეროში გაბატონებას ცდილობენ, იმკვიდრებენ ადგილს ხელისუფლების თითქმის ყველა განშტოებაში, მასმედიაში, ხელოვნებაში, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, პოლიკლინიკებსა და საავადმყოფოებში, საზაფხულო ბანაკებში და სხვ. ისინი კიდეც ამაყობენ საკუთარი ცოდვებით. ჯერ ჯანსაღი საზოგადოების თანატოლად მოჰქონდათ თავი და სიტყვა „გეის“ (gay) ასე განმარტავდნენ: „good as you“ — „ისეთივე კარგი, როგორიც თქვენ“. მაგრამ, როგორც კი თანასწორად იგრძნეს თავი, ევროპასა და ამერიკაში უფრო მეტი მოინდომეს და ააფრიალეს ლოზუნგი „better than you“ („უკეთესნი, ვიდრე თქვენ“), ამიტომაც ჩვენ უნდა ვასწავლიდეთ სკოლებში და არა თქვენო. ასეც არის! **დღეს ევროპაში ყველა დონეზე უპირატესობა ენიჭება პედერასტებს. მეტიც, საერთო ევროპულ სახლში ვერ ჩაეწერებით, თუ არ მოიწონეთ კაცობრიობის ეს დამღუპველი სენი და არ დაგმეთ ჰომოფობია!**

**ასეთია მორალისგან განძარცვული დღევანდელი ევროპისა და, მით უმეტეს, აშშ-ს თავისუფალი ცხოვრება. და, თუ ხალხს სურს თავისუფლების ამ ფერხულში ჩაბმა, აუცილებლად უნდა გაიზიაროს იქაური ცხოვრების წესი და ადათი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ჩამორჩენილ, ველურ ბრბოდ აღიქმება, ჯერჯერობით თავი რომ ვერ დაუღწევია მავნე მორალური დოგმებისათვის და მზად არ არის ეზიაროს მაღალ ცივილიზაციას.**

თუმცა თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოება გულისხმიერებასაც იჩენს და მოწყალების თვალს ავლებს „განვითარებად“ ქვეყნებს. მას სურს, ცივილიზაციის წყალი გადაასხას „ველურ“ ხალხებსაც. თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის მამანი გვირჩევენ, რომ „ტოლერანტობა“ და „პროგრესული თვალსაზრისის“ ერთგულება ადრეულ ასაკშივე უნდა შთავუნერგოთ მოზარდ თაობას. ბერტრან რასელის მიხედვით, მოზარდის იდეოლოგიური დამუშავება უნდა მოხდეს 10 წლამდე, ამ ასაკში შეიძლება ბავშვი სხვადასხვა მეთოდით დაარწმუნო, რომ თოვლი შავია, ხოლო 11 წლის შემდგომ „აღზრდა“ ძნელდება. ამიტომაც **„იმორალისტები“ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ სკოლისადმი, მათ სურთ სკოლის მოსწავლეებში, განსაკუთრებით კი დაწყებით კლასებში შეიტანონ „სექსუალური განათლება“, რომლის მიხედვითაც ყოველგვარი სექსუალური გადახრა და, მათ შორის, ჰომოსექსუალიზმი ბუნებრივ, მეიც, მოსაწონ და პროგრესულ მოვლენად მიიჩნევა.**

როგორც ირკვევა, ეს ჩვენი ამერიკელი და ევროპელი „მორალის ქურუმები“ მხოლოდ თეორიით არ კმაყოფილდებიან და პრაქტიკულ გაკვეთილებსაც უტარებენ მოზარდებს. ამის შედეგი ის უნდა იყოს, რომ **ამ ბოლო დროს პედოფილია უსაზღვროდ გავრცელდა და ამ სენმა ლამის წალეკა ევროპა თუ ამერიკა. პედოფილიის, ამ ყოვლად ამაზრზენი და ამორალური სენის, გავრცელებას ასევე ასაზრდოებს ულმერთობის შედეგად აღმოცენებლი სატანური მიმდინარეობანი, რომლებიც სხვადასხვა სექტად არიან განტოტვილნი და ვითარცა სარკომა, მთლიანად მოედნენ ამერიკისა თუ ევროპის კონტინენტებს.** სამაგალითოდ შეიძლება მოვიხმოთ „ლუცისის ტრესტი“, რომელშიც გაერთიანებული იყო ამერიკის ელიტა და, მათ შორის, ისეთი პიროვნება, როგორიც არის რობერტ მაკნამარა, ვიეტნამის ომის დროს აშშ-ს სამხედრო მინისტრი, შემდგომ კი მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელი. ეს პიროვნება ოკულტიზმის, უფრო მართებულად, სატანიზმის მიმდევარი იყო და ყოველნაირად ცდილობდა არა მარტო ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიოს მორალური საფუძვლების შერყევას. სწორედ ამ ორგანიზაციის

ცნობისათვის
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თანამედროვე, ე.ი. ნეოლიბერალიზმით გაბრუებული საზოგადოება უპირატესობას ანიჭებს ცხოველურ თავისუფლებას და მისდევს შეგონებას, რომ ყველაფრის ჩადენა შეიძლება და უნდა მოიქცე ისე, როგორც გსურს.

წევრები ჯიუტად მოითხოვდნენ სექსუალური განათლების დამკვიდრებას აშშ-ს სკოლებში. **მათ მიერ შემუშავებული სექსპროგრამების მიხედვით, ჰომოსექსუალიზმი და პრომისკუიტეტი გამოცხადებული იყო ცხოვრების ალტერნატიულ წესად და ისევე მისაღებად, როგორც ტრადიციული ოჯახი.**

მეორე არანაკლებ ცნობილი, ბიზნესმენთა და პოლიტიკოსთა წრეებში ერთობ პოპულარული პიროვნება ალესანდრო მონჩინი დაკავებული იყო ბავშვთა ვაჭრობით და პორნოგრაფიით. იგი ყიდულობდა გოგონებს, რომელთაც მათრახით სცემდნენ, ჯაჭვზე აბამდნენ, აუპატიურებდნენ წარმყვნელი ხერხებით და, ბოლოს, მსხვერპლად წირავდნენ „კუდიანთა შაბათობას", „მორიდებულად" სატანურ ღამეებად რომ იხსენიებდნენ. ასეთი ბრალდებები, არგუმენტირებული, ფაქტებით გამყარებული და ასევე სატელეფონო საუბრების ჩანაწერებით გაჯერებული, წაუყენეს მას სასამართლო პროცესზე, მაგრამ ეს ცნობილი მასონი, „პ-2" ლოჟის წევრი მაინც გაამართლა „სამართლიანმა" მართლმსაჯულებამ. და ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც ასეთია დღევანდელი პოლიტიკურ-მორალური პოზიცია ამერიკელი თუ ევროპელი ელიტ-წარმომადგენლებისა, უფრო სწორედ, კორპორატოგრატიისა. **პედოფილიის აყვავება მათ სავსებით არ ანაღვლებთ, პირიქით, მის დაკანონებასაც ლამობენ. ხოლო მათი ხელდასხმული „მართლმსაჯულება" ამტყუნებს და ამუნათებს გაუპატიურებული ბავშვების მშობლებს, აღშფოთებას, პროტესტს რომ გამოხატავენ.** სამაგიეროდ, **მათ აფრთხობთ ნაციონალური და პატრიოტული გრძნობების მცირედი გამოვლინება და სასტიკად უსწორდებიან ეროვნული სულისკვეთების ადამიანებს, რადგანაც სამშობლოს სიყვარულს მიიჩნევენ მსოფლიო იმპერიის შექმნის ყველაზე დიდ საფრთხედ.**

დღეს სატანური სექტები, რომლებიც მასობრივად რყვნიან, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, ბავშვებს, ლიბერალურ-დემოკრატიული აზროვნების განვითარების და ჭეშმარიტი თავისუფლების გაფურჩქვნის ნაყოფად მიაჩნიათ. სწორედ ამ პოზიციის შედეგი უნდა იყოს, რომ **ამერიკაში სამ-ოთხ ქალთაგან ერთი და ექვს კაცთაგან ერთი ბავშვობაში სექსუალურად ძალადობის მსხვერპლია.** საგანგაშო ისაა, რომ „ჰუმანიზმის ამერიკული ასოციაციის" მიერ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, მხოლოდ 1984 წელს აღრიცხულია ბავშვთა სექსუალური გარყვნის 200 ათასი შემთხვევა, რაც ძირითადად პედოფილობის, პორნოგრაფიის და სატანიზმის ფართოდ გავრცელების მიზეზით არის გამოწვეული. **ნიუ-იორკის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „საბავშვო ფონდის" ცნობით, ამერიკაში ყოველწლიურად იკარგება მილიონნახევარი ბავშვი, რომელთაგან 90% სახლიდან გაქცეულია. ეს სტატისტიკა ემთხვევა იმ მონაცემებს, რომელსაც გვთავაზობს დაკარგული და ექსპლუატირებული ბავშვების ნაციონალური სამძებრო ცენტრი.** მაგრამ ამ მონაცემებს მალავს FBI (გამოძიების ფედერალური ბიურო) და იგი მხოლოდ 30 ათასი ბავშვის გაუჩინარებას აღიარებს. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ბავშვთა დაკარგვის უმეტესი შემთხვევა არ არის რეგისტრირებული, რადგან მშობლები არ მიმართავენ პოლიციას. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია, **ყოველწლიურად ამერიკაში უგზო-უკვლოდ იკარგება მილიონობით ბავშვი** (მაგ., 1980 წელს ოფიციალური მონაცემით მხოლოდ ჩიკაგოში გაუჩინარდა 13291 ბავშვი), **რომლებიც სექსუალური თუ სხვა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან.**

მართალია, ამერიკისა თუ ევროპის საზოგადოება თითქოს შეეგუა ბავშვთა მოძულეობის ამ ყოვლად ამაზრზენ მოვლენას, მაგრამ მაინც ხშირად ამ სიველურეს მოჰყვება ჯერაც ზნეწაუმხდარი მშობლების პროტესტი, რაც გახმაურებულ სკანდალებში გადაიზრდება ხოლმე. ამერიკაში ერთი ასეთი პროცესის დროს მაკმარტინების საბავშვო ბაღის საქმიანობას აეხადა ფარდა. **ერთმა მშობელმა შეამჩნია შვილის, პატარა ბიჭის საჯდომის წაბილწვა და მიმართა ექიმს, რომელმაც დაადასტურა, რომ ბავშვი გაუპატიურებული იყო. ამას მოჰყვა სხვა ოთხასი დაზარალებული ბავშვის გამო პროტესტი და დაიწყო სამწლიანი სასამართლო პროცესი. ამ პროცესზე ბავშვები წვრილად ყვებოდნენ, თუ როგორ აუპატიურებდნენ, როგორ აიძულებდნენ პორნოფილმებში მონაწილეობას, როგორ აჭმევდნენ და ასმევდნენ ექსკრემენტს, აიძულებდნენ ცხოველებთან სექსუალურ კავშირს და მათ დახოცვას, სატანისტურ რიტუალებში მონაწილეობას, გვამთა ცქერას და მისთ. ოთხასი ბავშვიდან 360-მა აღწერა ძალადობის სცენა, ხოლო 115 შემთხვევაში სცნეს სექსუალური გაუპატიურების ფაქტი და საბავშვო ბაღის მფლობელები, დედა-შვილი ბეკები, რომლებიც 20 წელზე მეტ ხანს ფლობდნენ ამ დაწესებულებას, დააპატიმრეს.** თუმცა გავლენიანი ძალების წყალობით მალე ისინი გაამართლეს და ამ გამამართლებელ განაჩენს ხსნიდნენ იმით, რომ ბავშვები ხშირად ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებს ყვებოდნენ და მათი მსჯელობაც ლოგიკურობას მოკლებული იყო. ასეთია სიმართლის შუქურად მიჩნეული ამერიკის „მართალი სამართალი". ფაქტობრივად, იმ მოთხოვნების მიხედვით, რომელსაც სასამართლო უყენებს ბავშვებს, თითქმის შეუძლებელია ბავშვების გამრყვნელთა დაპატიმრება.

ასეთივე „გულისხმიერებას" იჩენს აშშ-ს სასამართლო მოძალადე მშობლების მიმართაც. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ელიზაბეტ მორგანის საქმე, რომელსაც ორი წელი მიუსაჯეს იმის გამო, რომ იგი არ აძლევდა უფლებას მის ყოფილ მეუღლეს გოგონა ენახა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ **ჩვილი ყოველთვის, როცა განქორწინებული მეუღლისგან — ერიკ ფორეტიჩისგან მოჰყავდათ, გამუდმებით, ხანდახან 12 საათიც კი ყვიროდა. ექიმებმა ვერაფერი გაუგეს. ბოლოს, როცა გოგონა წამოიზარდა და ორწლინახევრის გახდა, მან უთხრა დედას, რომ მამიკოს „ჭუჭუ" ნახა. ბოლოს და ბოლოს, გაირკვა, რომ მამა აიძულებდა მცირეწლოვან გოგონას ორალურ**




**სექსს. და მიუხედავად იმისა, რომ ფორეტიჩი ადრეც იყო გამოძახებული ხუთი წლის ჰითერიის, რომელიც მას პირველი ცოლისგან ეყოლა, სექსუალური ძალადობის გამო, მაინც „დიდმა ჰუმანურმა სასამართლომ" მას ნება ბართო ჰილარის სისტემატური ნახვისა და დედას აიძულებდა ორი კვირით მიეგვარა კრავი მგლისთვის.** აი, ამიტომაც დედა იძულებული იყო არ შეესრულებინა სასამართლოს განაჩენი და ბავშვი გადაემალა.

როცა ამგვარ ფაქტებს ეცნობი, არ შეიძლება ნორმალური ადამიანი სულისძირამდე არ შეძრას ადამიანის გაცხოველების ხარისხმა. იმას, რასაც არც ერთი მხეცი არ სჩადის, ყოველ შემთხვევაში, ძუძუმწოვარი და მოუმწიფებელი ნადირი მასში არ აღძრავს ინსტინქტურ ლტოლვას, კადრულობს, როგორ ვიხმარო სიტყვა — ადამიანი. ასეთი სულდგმული ნებისმიერ უგუნურ ცხოველზე გაცილებით დაბლა დგას. **ვერავითარი ავადმყოფობა და ფსიქიკური მოშლილობა ჩვილებისადმი და, საერთოდ, ბავშვებისადმი ასეთ დამოკიდებულებას ვერ გაამართლებს. მაგრამ უფრო დამნაშავეა საზოგადოება, რომელიც აცოცხლებს ამგვარ ცხოველებს, რატომ არ უმართავს ამ გადაგვარებულებს ლინჩის სასამართლოს და არ ქოლავს?!** მაგრამ მორალისაგან განძარცვული ეს საზოგადოება ზემომოხმობილ თავზარდამცემ ფაქტებს ჩვეულებრივად აღიქვამს, სამაგიეროდ, ჩვენს გაცხარებას დაგმობს და ამას ჩამორჩენილობით და არატოლერანტობით ახსნის. როგორ გაიგებენ ჩვენს აღშფოთებას, ეს არ არის საინტერესო. უფრო საყურადღებო ის გახლავთ, თუ როგორი თვალით აღიქვამს დღევანდელი საზოგადოება ამ ბოროტმოქმედებას, რომლის მსხვერპლნიც არიან ჩვენი ყოფის ყველაზე უცოდველი არსებანი! **ნუთუ ისინი მაინც, ვისაც აზროვნების უნარის ნატამალი შერჩენიათ, ვერ იაზრებენ, თუ საით მიექანებიან ადამის შთამომავალნი?! თუ ეს გაცნობიერებული აქვთ, რატომ არ დაარისხებენ განგაშის ზარებს, რატომ არ აფრთხილებენ ძილღვიძილში მყოფ მსოფლიო საზოგადოებას?!**

## ვითარცა ერთი ჭიქა წყლის შესმა

მაგრამ თანამედროვე კაცთა მოდგმის გახრწნილება ბავშვთა გარყვნით როდი ამოიწურება!.. **თუ ბავშვებს იძულებით ამზადებენ „თავისუფალი ცხოვრებისთვის", მოზრდილნი, ზრდადასრულებულნი უკვე მზად არიან საკუთარი ნებით გადაეშვნენ გარყვნილების მორევში. მათთვის უმაღლესი ბედნიერება და ნეტარება არის ლაგამაწყვეტილი, აღვირახსნილი სექსი, რომელიც, რაც უფრო გამრუდებულ ფორმას მიიღებს, მით უფრო მიმზიდველი და საამოა.** ადამიანი მზად უნდა იყოს, სექსუალური კავშირი დაამყაროს ნებისმიერ, კაცი იქნება თუ ქალი, პარტნიორთან ნებისმიერ ადგილას, გნებავთ, საჯაროდ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერ სიტუაციაში. სექსუალური ლტოლვა ყველაზე ბუნებრივი მოთხოვნილებაა ადამიანისთვის და მისი სააშკარაოზე გამოტანა სასირცხვო კი არა, საამაყო საქმეა. სირცხვილის განცდის ყოველგვარი გამოვლინება — ეს უკვე ჩამორჩენილობის მანიშნებელია და სასწრაფოდ უნდა გავთავისუფლდეთ მისგან. ამიტომაც სავსებით ბუნებრივი და მისაღებია, როცა ამსტერდამის ქუჩებში, ქალაქის ცენტრში, მამაკაცები ღიად მისდევენ ანანიზმს, როცა სასურსათო მაღაზიებშიც კი შიშველი ქალები, შეუფერებელ პოზებში წამოსკუპულნი სთავაზობენ მყიდველებს საქონელს; როცა მთლიანად გაშიშვლებულ ადამიანთა ჯოგი დაძრწის და ამაყობს თავისი სიშიშვლით, როცა სიყვარულზე საუბარი სირცხვილად ითვლება, მხოლოდ სექსუალურ აქტზე აკეთებენ აქცენტს; როცა კაცობრიობის განვითარების ღერძად სასქესო ორგანოებს მიიჩნევენ და სიცოცხლის ალფად და ომეგად ხატავენ, როცა ნარკოვაჭრობით მდიდრდებიან, ხოლო ნარკომანები სახალხოდ მოედნებზე შპრიცებს იკეთებენ და მისთ...

ერთი სიტყვით, **თანამედროვე, ე.ი. ნეოლიბერალიზმით გაბრუებული საზოგადოება უპირატესობას ანიჭებს ცხოველურ თავისუფლებას და მისდევს შეგონებას, რომ ყველაფრის ჩადენა შეიძლება და უნდა მოიქცე ისე, როგორც გსურს.**

თავისუფალ სექსზე მოჭიკჭიკე პირველი მერცხლები ქალები იყვნენ. **თავის დროზე პირველი საბჭოთა ელჩი ქალი ალექსანდრა კოლონტაი ამტკიცებდა, რომ სიყვარული ბურჟუაზიული ანაქრონიზმია, ხოლო კაცისა და ქალის ერთად წოლა და სექსუალური კავშირი ისევე უბრალოდ უნდა აღიქვათ, როგორც ჭიქა წყლის შესმა. ეს არის ბუნებრივი, ფიზიოლოგიური აქტი და ნუ შევქმნით მისგან კულტს. ხოლო წყალს კი, როცა გვინდა, მაშინ ვსვამთ და რამდენსაც გვინდა, იმდენს ვსვამთ. სხვათა შორის, ლენინი მას მორიდებით შეეკამათა და შეჰბედა შეეხსენებინა, რომ წყალი გუბიდან კი არ უნდა იყოს, არამედ სუფთა და ანკარა. ამასთანავე სასურველი იყო, რომ ჭიქა არ ყოფილიყო მრავალგზის ნაბაგარი.** მაგრამ თავად პრინციპი „ჭიქა წყლისა" მას არ გაუკრიტიკებია და არც არავის უარუყვია. ეს ის დრო იყო, როცა მასონთა მიერ დაფინანსებული და მართული ოქტომბრის რევოლუციის ყლორტები იფურჩქნებოდა და ამიტომაც არ იყო გასაკვირი მორალური გახრწნილება იდეოლოგიურ საზურველში გაეხვიათ და თავაშვებული სექსის ქადაგება დაეწყოთ, რაც იუდეველ-მასონთა მოძრაობის მიზნებს ესადაგებოდა მაშინაც და დღესაც. საგულისხმო გახლავთ ის ფაქტი, რომ პირველად სწორედ მაშინ დადგა ბავშვთა სექსუალური განათლების პრობლემა; **იმ ხანად ლიბერალებმა გამოიდეს თავი და დაბადების საიდუმლო, რომელიც ბავშვებისთვის ყარყატის და კომბოსტოს „ზღაპრით" იყო შელამაზებული, ცინიზმის ქურაში გაატარეს. ისინი მოითხოვდნენ, ბავშვებისთვის სრულად აეხსნათ დაბადების და, საერთოდ, სქესობრივი კავშირების შესახებ.**

უფრო მეტი გულახდილობით და შორსმიმავალი მიზნებით გამოირჩევა მეორე ქალბატონის, მარგარეტ ზანგერის თვალსაზრისი. იგი იყო „დაბადების კონტროლის ლიგის" დამფუძნებელი (შემდგომში ეს ლიგა გადაკეთდა „გეგმიური ოჯახის საერთაშორისო ფედერაციად") და დიდად მოძულე დედობის და ბავშვთა დაბადებისა. 1934 წელს მან გამოაქვეყნა **„ბავშვების ჭარბწარმოების შეჩერების"** კანონპროექტი, სადაც ერთობ საინტერესო მუხლები იყო მოცემული. ასე, მაგალითად, **„ქორწინების მოწმობა აძლევს მეუღლეებს მხოლოდ უფლებას ერთად გაუძღვენ მეურნეობას და არა მშობლების ნებას"**; ანდა: **„არც ერთ ქალს არ აქვს უფლება მუცლით ატაროს ბავშვი და არც ერთ მამაკაცს არ აქვს უფლება გახდეს მამა, თუ არ აქვთ მშობლობის ნებართვა".** ხოლო ეს ნებართვა უნდა გაეცა სახელმწიფო ორგანოებს მეუღლეების მოთხოვნის შესაბამისად, თანაც იმ პირობით, თუკი მათ შეეძლოთ მატერიალურად უზრუნველეყოთ ბავშვის მომავალი, ჰქონდათ საკმარისი განათლება ბავშვის სწორად აღზრდისათვის და არ გააჩნდათ რაიმე შთამომავლობითი დაავადება. ამასთანავე, გაცემული ნებართვა ერთჯერადი უნდა ყოფილიყო. არსებითი მაინც ის იყო, რომ **გონებრივად შეზღუდულებს, დანაშაულებრივი საქციელისადმი მიდრეკილთ, შთამომავლობით ავადმყოფებს, ბიოლოგიურად არასრულყოფილებს ეკრძალებოდათ ბავშვის გაჩენა; ისინი უნდა სტერილიზებული ან იზოლირებული ყოფილიყვნენ, რათა არ გაემრავლებინათ ფიზიკურად თუ სულიერად ნაკლული შთამომავლობა... სხვათა შორის, ზანგერს ამერიკელთა 70% გონებრივად ჩამორჩენილად მიაჩნდა, ხოლო ზანგებს, ებრაელებს და სლავებს საერთოდ დაბალ რასად თვლიდა, რომლებიც გამრავლების ღირსნი არ იყვნენ.**

ასეთ „გულისხმიერებას" იჩენდა ზანგერი კაცობრიობის შთამომავლობისადმი. სამწუხაროდ, ამ პრინციპებით არის აგებული საერთოდ მომავალი სამყაროს მოდელი, რომლის უმთავრესი ამოცანაა ჭარბი მოსახლეობის შემცირება. კაცობრიობას საფრთხე ემუქრება შობადობის ზრდის ტემპით: მსოფლიოს მოსახლეობა ყოველდღიურად მატულობს 58 ათასი ადამიანით, რაც სამყაროს განადგურებას უქადის. ამ კატასტროფის აცილება შეიძლება მხოლოდ შობადობის შემცირებით და მოსახლეობის ფიზიკური განადგურებით, რაც შესაძლებელია განხორციელდეს ომებით. მეტად ეფექტურია ბაქტერიოლოგიური ომი. უფრო სასურველი კი ის არის, რომ დედამიწაზე გავრცელდეს შავი ყვავილი (ჭირი), ხოლო, როცა ის მუსრს გაავლებს მოსახლეობას, მაშინ „გადარჩენილთ შეეძლებათ თავისუფლად გამრავლდნენ ისე, რომ არ შეეშინდეთ სამყაროს ჭარბდასახლებისა" (ბერტრან რასელი). ერთი სიტყვით, **ზანგერის ეს სიძულვილი ჩვილი ბავშვებისა და შობადობისადმი იუდეველ-მასონთა ცნობილი პოლიტიკურ-მორალური თვალსაზრისიდან არის ამოზრდილი და ამიტომაც მიღებული და მოწონებულია ევროპულ თუ ამერიკულ ელიტურ წრეებში. ოღონდაც, დღეს უფრო ცივილიზებულ მეთოდებს იყენებენ, მაგალითად, ფართოდ გავრცელებულია ქალთა სტერილიზაციის მეთოდი როგორც ამერიკაში, ასევე ევროპის თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში.**

**დასასრული იქნება**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნორვეგიის სკოლა განათლების სრული დეგრადაციის მაგალითია. არავითარი ლიტერატურა, ისტორია, ფიზიკა, ქიმია ან ბუნებისმეტყველება. არის ერთადერთი საგანი, რომელსაც მიმოხილვა ჰქვია და ბავშვები ზოგადად ეცნობიან გარემო სამყაროს. მათ იციან, რომ მეორე მსოფლიო ომი იყო, მაგრამ სხვა ყველა ინფორმაცია ამ ომის შესახებ ბავშვებზე ძალადობა და მათი ფსიქიკის შერყევის მცდელობაა.**

# ის, რაც ჩვენკენ მოიწევს
## თანამედროვე ევროპის კოშმარი

**ირინა ბერგსეტი არის რუსეთის მოქალაქე, რომელიც 2005 წელს მოსკოვში ნორვეგიის მოქალაქეს გაჰყვა ცოლად. მაშინ ირინას უფროსი ვაჟი შვიდი წლის იყო. ოჯახი საცხოვრებლად ნორვეგიაში, სოფელ აურსკოგში გადავიდა. როგორც ახლა ამბობს ირინა, მაშინ არ იცოდა, რომ ნორვეგია სულ რაღაც 50 წლის წინ ცივილიზებულობის მხრივ ცენტრალური აფრიკის ქვეყნების თანასწორი იყო, რომ 1905 წელს ეს ქვეყანა პირველად გათავისუფლდა არა მხოლოდ დანიაზე, არამედ შვედეთზე დამოკიდებულებისგან და კულტურულ განვითარებას აქ ადგილი არ ჰქონია, რომ არ არსებობს ენასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტანდარტი და დღემდეც ნორვეგიის ლამის ყველა ოჯახი საკუთარ დიალექტზე საუბრობს და ადვილი სათქმელი იქნებოდა, რომ ეს ქვეყანა მხოლოდ ახლა იწყებს ფორმირებას, რომ არა ამ ფორმირების შემხვედრი საპირისპირო პროცესი: ნორვეგიული საზოგადოება მიზანმიმართულად დეგრადირებს მორალურად ამერიკული კანონებისა და წესების კოპირებით. იმის თაობაზე, თუ როგორ ექცევიან, რა პრინციპებითა და მორალური ღირებულებებით ზრდიან საკუთარ თუ სხვათა შვილებს ნორვეგიაში — ქვეყანაში, სადაც ევროპაში ყველაზე მაღალი ცხოვრების დონეა, ირინა თავად ყვება:**



მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვარ, ნორვეგიაში ჩემი განათლება არ აღიარეს. სამუშაო შემომთავაზეს სოფლის სკოლაში, რომელსაც „რაინდების სკოლა“ ერქვა. **რუსულ განათლების სისტემასთან შედარებით მთელი ნორვეგიული სასკოლო პროგრამები გონებრივად ჩამორჩენილთათვის შედგენილს ჰგავს**. 1-დან მე-7 კლასამდე დაწყებითი სკოლაა, სადაც **სახელმწიფო პროგრამის ერთადერთი ამოცანაა, 13 წლის ასაკამდე ბავშვებს როგორმე ანბანი და თვლა ასწავლონ,** რათა მათ მაღაზიებში იარლიყების წაკითხვა შეძლონ. კლასებში ხმამაღალი კითხვა არ შეიძლება, რომ ბავშვი არ შერცხვეს, მასწავლებლებს მოწაფეები დერეფანში გაჰყავთ, რათა იქ მოისმინონ მათი წაკითხული ბავშვის საჯარო დამცირების გვერდის ავლით. მასწავლებელს უფლება აქვს, ბავშვებთან დღეში ორი მაგალითი გაარჩიოს, თუ ბავშვები ვერ გაიგებენ, იმავე მასალას კიდევ სამი დღის შემდეგ გაივლიან. მთელი კვირის საშინაო დავალება არის ხუთიდან რვამდე სიტყვის სწავლა ინგლისურად,

**ნორვეგიის სკოლა განათლების სრული დეგრადაციის მაგალითია. არავითარი ლიტერატურა, ისტორია, ფიზიკა, ქიმია ან ბუნებისმეტყველება. არის ერთადერთი საგანი, რომელსაც მიმოხილვა ჰქვია და ბავშვები ზოგადად ეცნობიან გარემო სამყაროს. მათ იციან, რომ მეორე მსოფლიო ომი იყო, მაგრამ სხვა ყველა ინფორმაცია ამ ომის შესახებ ბავშვებზე ძალადობა და მათი ფსიქიკის შერყევის მცდელობაა**.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყანა საბავშვო ბაღებსა და სკოლებში ბავშვებს არ კვებავს, უფრო სწორად, კვებავს რაღაცით, რასაც „ტომატის სუპს“ უწოდებენ, პაკეტებისგან ამზადებენ კვირაში ერთხელ. ნორვეგიის ყველა სახელმწიფო და კერძო სკოლასა თუ საბავშო ბაღში ბავშვებს მხოლოდ კვირაში ერთხელ აჭმევენ.

ჩემი უფროსი ვაჟი რუსეთში ჩვეულებრივ სკოლაში სწავლობდა, ნორეგიაში იგი ვუნდერკინდად იქცა და საერთოდ აღარაფერი უსწავლია. იქ საერთოდ არ არის საჭირო სწავლა. სკოლებში კედლებზე გაკრულია განცხდება: **„თუ მშობლები გთხოვენ, რომ იმეცადინო, დაგვირეკე! ჩვენ დაგეხმარებით, რომ განთავისუფლდე ასეთი მშობლებისგან“.**

ნორვეგიაში მედიცინასთან დაკავშირებით წარმოუდგენელი რამ ხდება: ჩემს შვილს ხალის მოცილება დასჭირდა და ახლა 5-სანტიმეტრიანი შრამი აქვს ქირურგის დანისაგან. ქირურგი, რომელსაც 20-წლის სტაჟი აქვს და რომელთან მიღებასაც ოსლოში შვიდი თვის მანძილზე ველოდეთ რიგში, სოფლის ვეტერინარივით მუშაობს. **ნორვეგიაში არ არსებობს ადგილობრივი ექიმი, იმიტომ, რომ ექიმებს მრავალი წლის მანძილზე სწავლა სჭირდებათ.**

გაგვიმართლა, რომ ბავშვს ოპერაცია ჩვენს დასახლებაში მომუშავე გერმანელმა „ექიმმა“ არ გაუკეთა. მან პირდაპირ გვითხრა, რომ გერმანიაში სადაზღვევო აგენტად მუშაობდა, როდესაც ვინმე ფეხს მოიტეხავდა, მივიდოდა და იტყოდა, რომ ეს ფეხი მართლაც მოტეხილია. შემდეგ დაგვამშვიდა, არაუშავს, ყველაფერს გავაკეთებო, გადმოიღო წიგნი და წაიკითხა, რომ ოპერაციის წინ სპირტიანი ბამბით უნდა გაწმინდო კანი. ცხადია, ბავშვს ხელი დავავლე და გამოვიქეცი მისი კაბინეტიდან.

მაგრამ ეს ყველაფერი წვრილმანებია, ნამდვილი უბედურება ნორვეგიაში ცხოვრების მეექვსე წელს დამატყდა. მე არაფერი ვიცოდი მათი **სისტემა „ბარნევარნის“** შესახებ. მე საკუთარი ცხოვრებით ვცხოვრობდი, სამსახური, სახლი, ოჯახი... ნაკლებად ვინტერესდებოდი სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით და იმ ქვეყნის სახელმწიფო წყობითაც, სადაც გადავსახლდი. მესმოდა, რომ ვიღაცებს ბავშვები წაართვეს, მაგრამ მე ხომ კარგი დედა ვიყავი...

სამი წლის შემდეგ ქმარს გავეყარე, ამ დროს უკვე მეორე შვილიც მყავდა. განქორწინების მიზეზი კულტურული კონფლიქტი იყო. მე დღემდეც მეუბნებიან, რომ ნორვეგიაში ყველა სოფლის ყველა სახლში არის უნიტაზი და საშხაპე კაბინა. დიახ, არის, მაგრამ ნორვეგიელები ძველი ჩვეულების გამო კვლავაც სახლის უკან გარბიან მოსასაქმებლად.

სამი წელი ბავშვებთან ერთად მარტომ ვიცხოვრე. ბანკში კრედიტი ავიღე, ვიყიდე ბინა, არასდროს ვყოფილვარ სოციალური სისტემის კლიენტი, ბავშვებს საკმარისზე მეტ ყურადღებასა და დროს ვუთმობდი. ბავშვები ჩემთან ცხოვრობდნენ და ვინაიდან ჩემი ქმარი ჩემს უფროს ვაჟს ცუდად ექცეოდა, მოვითხოვე, რომ არასდროს წაეყვანა იგი. საკუთარი შვილის ნახვა კი კანონით ევალებოდა. ვცდილობდი, ღამით მასთან არ დარჩენილიყო ბავშვი, რადგან ცემით ემუქრებოდა ხოლმე მას. მაგრამ საბავშვო ბაღიც და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიც მუდამ ზეწოლას ახორციელებდნენ ჩემზე ამის გამო. ერთხელაც ბავშვი მთელი ხუთი დღით დარჩა მამასთან — მან იგი სიცხიანი წაიყვანა თავის ნათესავებთან 30-გრადუსიან ყინვაში.

2011 წლის 7 მარტს პოლიციას მივმართე, იმიტომ, რომ ჩემი უმცროსი შვილი წარმოუდგენელ, დაუჯერებელ რაღაცებს ყვებოდა. ბავშვი ყვებოდა იმას, რისი დაჯერებაც უბრალოდ არ შემეძლო — მამამისის ნათესავი დეიდები და ბიძიები ტკივილს აყენებდნენ პირში და უკანა ტანში.

ნორვეგიაში არსებობს ბავშვებთან ინტიმზე მიბმული რაღაც სახალხო ტრადიცია. ეს ტრადიცია ეხებათ გოგონებსაც და ბიჭებსაც. თავიდან ბავშვთან ინტიმი ნათესავებს აქვთ, შემდეგ კი ისინი მეზობლებს გადაეცემათ. ამ ჯოჯოხეთის დაჯერება თავიდან არ შემეძლო. დავწერე განცხადება პოლიციაში და 8 მარტს მიგვიწვიეს ბავშვთა დაცვის სამსახურ „ბარნევარში“. დაკითხვა ექვსი საათის განმავლობაში გრძელდებოდა, მხოლოდ მე და ჩემი შვილები დაგვკითხეს.

**ნორვეგიელებს ბავშვთა დაცვის სამაგალითო სისტემა აქვთ, რომელიც მხოლოდ იმისთვის შეიქმნა, რომ აჩვენონ, თითქოს ინცესტს ებრძვიან. მოგვიანებით მივხვდი, რომ ყველა სოფელში გახსნილი „ბარნევარნის„ ცენტრები მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ გამოავლინონ ბავშვი, რომელიც მომხდარზე ხმას ამოიღებს და ამით უკმაყოფილო დედა ან მამა და განახორციელონ მათი არა მხოლოდ იზოლირება, არამედ დასაჯონ კიდეც.**

გაზეთში წავიკითხე, რომ შვიდი თუ რვა წლის გოგონას დააკისრეს სასამართლო ბაჟის და კომპენსაციის გადახდა იმისათვის, რომ მასზე მოძალადე სახელმწიფოს ციხეში შეენახა. **ნორვეგიაში ყველაფერი თავდაყირაა, იქ პედოფილია სინამდვილეში დანაშაული არც არის.**



8 მარტს პირველად წამართვეს შვილები. ეს ხდება ასე: ბავშვი არ ბრუნდება შინ საბავშო ბაღიდან ან სკოლიდან, ფაქტობრივად, ქრება და ვეღარც იპოვი, რადგან მას გასაიდუმლოებულ მისამართზე მალავს „ბარნევარნი“. იმ დღეს მითხრეს, რომ ექიმებს ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა შეემოწმებინათ, რაკი ამგვარი ბრალდებები წამოვაყენე. წინააღმდეგი არ ვყოფილვარ. **პოლიკლინიკაში მივდიოდი, როდესაც უფროსმა შვილმა დამირეკა და მითხრა, რომ გააშვილეს და უკვე სხვა ოჯახში მიჰყავდათ. ნორვეგიაში** ▶

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სოციოლოგების მტკიცებით, ნორვეგიაში 2050 წელს 90% ჰომოსექსუალი იქნება. რა იგულისხმება „ჰომოს“ უკან, ჩვენ ვერ გავიგებთ, რადგან, როგორც ისინი ამბობენ, გეებსა და ლესბოსელებზე ჩვენი წარმოდგენები წინასაუკუნეობრივია. დასავლეთში მინიმუმ 30 სახეობის არატრადიციული ქორწინებაა ლეგალიზებული და ამ ყველაფერში მოწინავე სწორედ ნორვეგიაა.

**◀ ტირილი ავადმყოფობად ითვლება და „ბარნევარნს“ შეუძლია, იძულებითი ფსიქიატრია გამოიყენოს, ასე რომ, ამის საშუალებაც კი არ მქონდა.**

როგორც აღმოჩნდა, ნორვეგიაში არსებობს სახელმწიფო გეგმა, კვოტა, ბავშვების მშობლებისათვის წართმევაზე და მზრუნველობის ორგანოები ერთმანეთს ეჯიბრებიან მის შესრულებაში. ეს ერთგვარი სახელმწიფო შეჯიბრია, გრაფიკები და დიაგრამები ყოველ კვარტალში ქვეყნდება და მათში ასახულია, რომელ რაიონში რამდენი ბავშვი წაართვეს მშობლებს.

ახლახან ხელში ჩამივარდა ძალიან უცნაური დოკუმენტი, შვედების ანგარიში, რომელიც შვედეთსა და მეზობელ ქვეყნებში ბავშვების ოჯახებიდან წართმევას ეხება. ამ დოკუმენტის თანახმად, **შვედეთში ასეთი 300 000 ბავშვია, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი თაობა იზრდება მშობლების გარეშე. მეცნიერები, იურისტები, ადვოკატები, კრიმინოლოგები — ყველა, ვისაც ჯერ კიდევ ახსოვს, რომ შვედეთშიც არსებობდა ოჯახის მცნება, გაოგნებულნი არიან და ამბობენ, რომ შვედეთში სახელმწიფო დონეზე მიმდინარეობს ოჯახის განადგურება.**

სპეციალისტები ასახელებენ ციფრს — 10 000 კრონი დღეში. ამ თანხას იღებს ბავშვის მშვილებელი ოჯახი ყოველი ბავშვისთვის, „ბარნევარნის“ აგენტი, რომელიც ბავშვს საკუთარი ოჯახიდან გაიტაცებს, უზარმაზარ პრემიას იღებს სკანდინავიის ყველა ქვეყანაში.

მშვილებლებს შეუძლიათ საკუთარი გემოვნებით აირჩიონ ბავშვები. მაგალითად, თუ ვიღაცას მოეწონა ცისფერთვალება რუსი გოგონა და სწორედ მისი შვილება სურს, საკმარისია, „ბარნევარნს“ დაურეკოს და უთხრას ამის შესახებ. ეს უკანასკნელი ბავშვს მშვილებლებს მიჰგვრის, ანუ ჯერ მშვილებელი ჩნდება, შემდეგ კი ნამდვილ მშობლებს სტაცებენ „შეკვეთილ“ ბავშვს ნებისმიერი მიზეზით.

ნორვეგიის სამართალდამცავები ცდილობენ, როგორმე ებრძოლონ ყოვლისშემძლე სადამსჯელო სისტემა „ბარნევარნს“. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს ბავშვებით ვაჭრობის კორუფციული სისტემაა. ნორვეგია მთელ პლანეტაზე ლიდერობს მშობლებისათვის ბავშვების წართმევის მაჩვენებლებით, იქ ეს საქმე სახელმწიფო პროექტია. ნორვეგიაში ბავშვების მეხუთედი უკვე „იხსნეს“ მშობლებისაგან და ახლა ისინი დედასთან აღარ ცხოვრობენ.

ცხადია, ყოველი ბავშვის შესანახად თანხას იღებენ ინტერნატებიც და თუ ბავშვი ინვალიდია, თანხაც ბევრად მეტია. რაც მეტი ტრავმა ექნება ბავშვს, მით უფრო მომგებიანია იმ დაწესებულებისთვის, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა საოჯახო ტიპის ციხე ბავშვებისთვის.

როდესაც მოდიან და შვილს გართმევენ, აბსოლუტურად უიარაღოდ რჩები ერთი ერთზე სისტემის წინააღმდეგ. გეტყვიან, რომ ომლეტს არანორვეგიული რეცეპტით ამზადებ, ბავშვს აიძულებ, ხელები დაიბანოს, ანუ ცუდიდ დედა ხარ და ამიტომ გართმევთ შვილს. **ნორვეგიაში ბავშვთა დაცვის სისტემა მშობლების დამნაშავეობის პრეზუმპციაზეა აგებული. მშობელი ყოველთვის დამნაშავეა. მე სასამართლო სისტემის ყველა ინსტანცია გავიარე, მაგრამ ნორვეგიაში ბავშვები არიან სავაჭრო საქონელი — მათ უკან არ აბრუნებენ. დასავლეთში არ არსებობს პრესის თავისუფლება ბავშვებთან მიმართებაში, საზოგადოებაზე აპელირება შეუძლებელია.**

ნორვეგიის ბავშვთა საქმეების სამინისტროს სახელწოდება სიტყვასიტყვით რომ ითარგმნოს, გამოვა ბავშვების საქმეთა და სექსუალური მრავალფეროვნების ყველა ფორმების თანასწორუფლებიანობის სამინისტრო. ნორვეგიაში სექსუალური უმცირესობა ნატურალები არიან. **სოციოლოგების მტკიცებით, ნორვეგიაში 2050 წელს 90% ჰომოსექსუალი იქნება. რა იგულისხმება „ჰომოს“ უკან, ჩვენ ვერ გავიგებთ, რადგან, როგორც ისინი ამბობენ, გეებსა და ლესბოსელებზე ჩვენი წარმოდგენები წინასაუკუნეობრივია. დასავლეთში მინიმუმ 30 სახეობის არატრადიციული ქორწინებაა ლეგალიზებული და ამ ყველაფერში მოწინავე სწორედ ნორვეგიაა.**

დიდი ხნის მანძილზე ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი მე არ შემეხებოდა, მაგრამ შემდეგ შემეხო: მთელ ევროპაში მოქმედებს რაღაც სექსუალური სტანდარტები, რომლები ბავშვების გარკვეული სახით აღზრდას უწევს რეგლამენტირებას. ეს რეგლამენტი აუცილებელია ყველა ქვეყნისთვის, რომელიც ხელს მოაწერს სათანადო კონვენციას. მასში ღია ტექსტითაა ნათქვამი, რომ **მშობლები ვალდებულები არიან, საბავშვო ბაღების თანამშრომლებთან და ექიმებთან ერთად ასწავლონ ბავშვებს „სიყვარულის სხვადასხვა სახეობა“. ამავე დოკუმენტში წერია, თუ რატომ უნდა ასწავლონ ბავშვებს ონანიზმი 4 წლის ასაკამდე და არავითარ შემთხვევაში უფრო გვიან. ამ დოკუმენტის 46-ე გვერდზე წერია, რომ ახალშობილი უნდა აცნობიერებდეს თავის „გენდერული იდენტურობას“, ანუ მან დაბადებისთანავე უნდა განსაზღვროს, გეია, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსესვისტი თუ ტრანსექსუალი. თუ ბავშვი ამას თავად ვერ გააკეთებს, დაეხმარება ნორვეგიული ბარნევარნი, ფინური ლასტენსუელუ, გერმანული იუგენდამტი და ასე შემდეგ.**

ნორვეგოა არის მსოფლიოში ლამის პირველი უნიკალური ქვეყანა, რომელმაც ოსლოოუნივერსიტეტთან შექმნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც 0-დან 7-წლამდე ასაკის ბავშვების სუიციდს შეისწავლის. ობივატელისთვის, ცხადია, გაუგებარია, როგორ უნდა მოიკლას თავი ახალშობილმა, მაგრამ ადგილობრივი ბარნევარნისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა: თუ ბავშვები სადისტური ორგიების შემდეგ კვდებიან, ეს „სუიციდად“ საღდება.

მეორედ ბავშვები 2011 წლის 30 მაისს წამართვეს. კარზე დარეკა ორმა პოლიციელმა და „ბარნევარნის“ ორმა თანამშრომელმა. პოლიციელები კბილებამდე შეიარაღებულნი იყვნენ და ადგილობრივი პოლიციის უფროსიც ახლადათ. თუ ბავშვებს არ გავატანდი, მათ მაინც წაიყვანდნენ და, ადგილობრივი კანონების თანახმად, მათ ველარასდროს ვნახავდი. ბავშვები ისე წაიყვანეს, რომ ტანსაცმლის გამოცვლის საშუალებაც არ მისცეს, ამასთან ჩემთვის ვინმეს რაიმე დოკუმენტი არც უჩვენებია და არც დაუტოვებია.



## ევროპაში ჯერ ერთსქესიანი ქორწინებები დააკანონეს, მერე — ამგვარი წყვილების მიერ ბავშვების შვილად აყვანა, ახლა კი გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ბავშვებზე გათხოვებისა და დაქორწინების უფლებისათვის იბრძვიან



**ნორვეგიულ გაზეთში წავიკითხე ბიჭის შესახებ, რომელიც მშობლებს წაართვეს და გააშვილეს. მას ყველა მშვილებელ ოჯახში აუპატიურებდნენ. როდესაც 18 წლის გახდა, იარაღი იყიდა, „სახლში“ მივიდა და ყველა ჩახოცა. მეორე შემთხვევისას ბავშვი ტიროდა და დედასთან დაბრუნებას ითხოვდა. ექიმებმა პარანოიის დიაგნოზი დაუსვეს. ბავშვს იმდენი წამლები ასვეს, რომ, როდესაც პრესის ბრძოლის შედეგად მშობლებს დაუბრუნეს, ინვალიდის სავარძელში იჯდა, დისტროფია სჭირდა და ლაპარაკიც კი აღარ შეეძლო.**

ჩემმა უფროსმა შვილმა თავად დაიხსნა თავი იმ ჯოჯოხეთიდან — ინტერნეტით დაუკავშირდა პოლონელ კშიშტოფ რუტკოვსკის, რომელმაც ადრე უკვე მოახერხა პოლონელი გოგონა დაეხსნა ნორვეგიიდან. რუტკოვსკი უკანასკნელ მომენტში დამიკავშირდა და მითხრა, რომ თუ ჩემს შვილს უჩემოდ გაიყვანდა ნორვეგიიდან, ეს ბავშვის გატაცება იქნებოდა, თუ ჩემთან ერთად — ოჯახის დახმარება. ეს წარმოუდგენელი არჩევანი იყო — ან სამივე ნორვეგიაში უნდა დავხოცილიყავით, ან უფროსი შვილისთვის მაინც მეშველა.

პოლონეთში სამი თვე გავატარეთ. ნამდვილი დედა ევროპაში არსად არ წარმოადგენს საოჯახო სამართლის სუბიექტს. ჩემი შვილის ნორვეგიელმა „დედამ“ განაცხადა, რომ ვიღაც ქალმა, ანუ მე, მოიტაცა ბავშვი ნორვეგიის ტერიტორიიდან. ამიტომ პოლონეთში, ევროპის კანონების შესაბამისად, ჩემს შვილს კიდევ ერთი „დედა“ გამოუნახეს. იმისათვის, რომ ბავშვი პოლონეთიდან რუსეთში ჩამომეყვანა, დედაჩემი, ანუ ბავშვის ბებია მისი ახალი დედობილი გახდა და პოლონელი „კოლეგა“ ჩაანაცვლა. ასე რომ, ჩემს შვილს ჰყავს ნორვეგიელი დედა, პოლონელი დედა და რუსი დედა, მისი ნამდვილი დედა კი საერთოდ არ ფიგურირებს ამ სათვალავში.

ეს მხოლოდ ნორვეგიაში არ ხდება და მხოლოდ მე არ შემემთხვა. ირინა ჩვიდმეტი წლის მანძილზე ცხოვრობდა ბრიტანეთში, სადაც შვილი ეყოლა. ერთხელ შემთხვევით გაიგო, რომ მისი ბავშვის მამა სადომაზოხისტური კლუბის წევრია, მის შვილს კი „ექიმობასანს“ ეთამაშება ვიღაც უცხო მამაკაცი და უცხო ქალი აბაზანაში ართობს. გაოგნებულმა ქალმა ბავშვთა ფსიქოლოგს მიმართა, მან კი განუმარტა, რომ ძალიან ჩამორჩა ცხოვრებას და წინასაუკუნეობრივი დოგმებით აზროვნებს, რადგან არაფერი იცის ელიტისათვის კრეატიული სექსის ამ სახეობის თაობაზე. ქალმა სასწრაფოდ ენას კბილი დააჭირა და ჩუმად დაიწყო საბუთების შეგროვება სამშობლოში დასაბრუნებლად.

**ევროპაში ჯერ ცალსქესიანი ქორწინებები დააკანონეს, მერე — ამგვარი წყვილების მიერ ბავშვების შვილად აყვანა, ახლა კი გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ბავშვებზე გათხოვებისა და დაქორწინების უფლებისათვის იბრძვიან.**

დღეს ექსპერიმენტების ზონაა ჩრდილოეთი ევროპა, გერმანია, აშშ და ბრიტანეთის ყოფილი კოლონიები. ეს „ცხელი წერტილებია“.

ყველა მშობელს უნდა ესმოდეს, რომ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე სტრუქტურები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბავშვებით ვაჭრობით, დემოგრაფიული მასების გადანაწილებით და სხვა მსგავსი და უარესი მოტივებით, აკანონებენ და უკვე დააკანონეს კიდეც მდგომარეობა, როდესაც მშობელი და ბავშვი ამ უკანასკნელის არც ერთ ასაკში აღარ წარმოადგენს ერთ მთლიანობას. ახლა ბავშვები ეკუთვნიან რაღაც აბსტრაქტულ საზოგადოებას ან სახელმწიფოს. უფრო მეტიც, ბავშვთა გატაცების შესახებ 1980 წლის ჰააგის კონვენციის თანახმად, ბავშვები ეკუთვნიან იმ ტერიტორიას, რომელზეც იყვნენ უკანასკნელი სამი თვის მანძილზე.

ამ არაადამიანების ფილოსოფიას ხსნის ნორვეგიის მმართველი პარტიის პროექტი. **ბავშვთა საქმეების მინისტრმა ახლახან განაცხადა: „მე ჰომოსექსუალი ვარ. მე მინდა, რომ ქვეყანაში ყველა ბავშვი იყოს ისეთი, როგორიც მე ვარ“.** მან წამოაყენა სახელმწიფო პროგრამის შექმნის ინიციატივა, რომლის თანახმადაც ჩატარდა ექსპერიმენტი: საბავშვო ბაღებიდან მოსპეს „კონკიას“ მსგავსი ყველა ზღაპარი და ჩაანაცვლეს ეგრეთ წოდებული „შიონ ლიტერატურით“, რომელიც თავად დაწერეს და რომლის შედევრებსაც „მეფე და მეფე“ ან „გეი ბავშვები“ ჰქვია. ამ ახალი ტიპის ზღაპრებში პრინცებს სხვა პრინცები უყვარდებთ და აღარ დარჩა ზღაპარი, სადაც პრინცი და პრინცესა ბოლოს იქორწინებს. ბავშვები საბავშვო ბაღიდანვე ამ ერთადერთი ალტერნატივით იზრდებიან, ამის შესაბამისად დასურათებულ ზღაპრებს ისმენენ.

**უკვე ორი წელია, ვიბრძვი ჩემს უმცროს შვილთან შეხვედრის უფლებისთვის. მთელ მსოფლიოში სიკვდილმისჯილებს აქვთ უფლება, მიმოწერა იქონიონ ნათესავებთან, თავად ნორვეგიელებმა ბრეივიკს, რომელმაც 80 ადამიანი ჩახოცა, მისცეს ნება, ყოველდღე ურეკოს ნათესავებს, დედას კი ნორვეგიელები არასდროს აჩვენებენ თავის შვილს, რომელიც წაართვეს.**

**სხვათა შორის, ბრეივიკი ოთხი წლის ასაკში გააუპატიურეს, „ბარნევარნმა“ ის წრეზე გაუშვა და ყველა ოჯახმა მოუსინჯა გემო. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ბიჭი ცხრა წლის მანძილზე ამზადებდა აქციას, რომლის შემდეგაც სასახლე აუშენეს, ოღონდ კი სიმართლე არ თქვას ამ თემაზე.**

ამ ყველაფრისა ბევრს არ სჯერა და მართლაც ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ვიდრე ვიღაც ფიქრობს, დაიჯეროს თუ არა, უკვე უამრავი დედა იმსხვერპლა „ბარნევარნმა“ და მისმა მსგავსმა სისტემებმა. ევროპაში, ასევე კანადაში, ამერიკაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში მშობლები არავის აინტერესებს, მათი კავშირი შვილებთან მიზანმიმართულად ნადგურდება. მშობლებისათვის წართმეული ბავშვების რაოდენობა ნორვეგიაში 200 000, შვედეთში — 300 000, ფინეთში — 250 000 და ასე შემდეგ მთელი მოპარული თაობაა.

zavtra.ru

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპა ნელ-ნელა აცნობიერებს, რომ ცხოვრების ძალზე განსხვავებული დონეები მის სხვადასხვა კუთხეში დროებითი სირთულეები აღარაა. პრობლემურ ქვეყნებში გიგანტური უმუშევრობა კი იმას ნიშნავს, რომ იქაური შემცირებული ხელფასები, რის გამოც ასე უჭირთ მომუშავეებსაც კი, სინამდვილეში დღეს კიდევ ძალზე შესამცირებელია, რომ რეალობას შეესაბამებოდეს. სწორედ იმის გამო, რომ ხელფასები მაღალია, ხელი ეშლება შრომის ბაზარს გაფართოებაში.**

# ევროპა უტოპიის გარეშე

**ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარე მსოფლიო კრიზისი იმითაა მიმზიდველი, რომ მუდმივად რაღაც ახალსა და უჩვეულოს აჩენს. და დღეს ყველაზე საინტერესო ევროპული ეკონომიკის ციებ-ცხელება კი არა, ევროპელთა ტვინში მიმდინარე რყევებია.**

საკმარისია, შევხედოთ მხოლოდ არამომღიმარ, ბნელ ბერლინურ ბრბოს. გერმანიაში ათწლეულების მანძილზე კულტივირდებოდა ხაზგასმული კეთილმოსურნეობა, საუკუნეების მანძილზე — წესებისა და ვალდებულებების სკურპულოზური შესრულება. დღეს გერმანიაში წითელ შუქზე გზის გადაჭრა აბსოლუტურად ნორმალურია. მიცემული სიტყვის გატეხვა ჯერ წესი არაა, მაგრამ აღარც გამონაკლისია.

**გერმანელები ძალიან დაემსგავსნენ ხალხს, რომელიც ნერვული შეტევის ზღვარზე დგას.** ისინი ორმაგად განიცდიან გაღიზიანებას — იმის გამოც, რომ იძულებულნი არიან ევროპის გალატაკებული თანამოძმეები კვებონ და იმის გამოც, რომ თავად ეს თანამოძმეები არა მხოლოდ მადლიერნი არ არიან, არამედ წყევლიან თავიანთ მასულდგმულებელს — სამხრეთ ევროპაში გერმანიას, ევროკავშირის მთავარ სპონსორს, ყოველდღიურად „ამკობენ“, როგორც მძარცველსა და სულთამხუთავს.

მიზეზი ისიც კი არაა, რომ ევროპაში ეკონომიკური კრიზისი სულ უფრო იკრებს ძალებს. ეს სულაც არაა ასე — **ევროკავშირის პრობლემურ ქვეყნებში სამეურნეო ვარდნა სტაგნაციაში გადაიზარდა. ამასთან, მოწინავე ინდიკატორების ტრაექტორია აჩვენებს, რომ 2013 წლის მეორე ნახევრიდან ევროპის ეკონომიკის აღდგენის დაწყება სავსებით რეალური პერსპექტივაა.** ოპტიმისტური მოლოდინი სულ უფრო მეტად ვრცელდება და ზრდის აღდგენა უკვე სულ უფრო მეტად შესაძლებელია. ცხადია, შესაძლოა, ეკონომიკური ოპტიმიზმი სულაც არ გამართლდეს, მაგრამ დღეს ის ნამდვილად სახეზეა.

მაგრამ ის, რისი ხსენებაც კი არ არის ევროპაში, ეს სულიერი ოპტიმიზმია. თუ ეკონომიკური მოდელი, რომლის თავსმოხვევასაც ცდილობს გერმანია თავისი პრობლემური თანამოძმეებისთვის, მართლაც ამუშავდება. ევროპა იძულებული გახდება, გამოემშვიდობოს იმ უტოპიას, რომელზეც მუდამ იდგა ევროკავშირი. ეს უტოპია არის მითი იმის შესახებ, რომ თავად ამ კავშირის არსებობის მითი არის გარანტი, რომ ევროპა სწრაფად და უპრობლემოდ იქცევა მსოფლიოში ყველაზე დიდ სივრცედ, სადაც ადამიანები ზღაპრულ სიმდიდრეში იცხოვრებენ.

ამ ზღაპრის სჯეროდათ გერმანელებსაც და ბერძნებსაც. გერმანელები თვლიდნენ, რომ საჭიროა ცოტა ფინანსური დახმარება და საბერძნეთი უმალ იქცეოდა მაღალგანვითარებულ ქვეყანად. თავად ბერძნებს კი ეგონათ, რომ ევროპული სტანდარტებით ცხოვრება, რომელსაც ვალად აღებული ფული ანაზღაურებდა, იგივეა, რაც საკუთარ ხელფასზე ცხოვრება.



**ახლა უკვე გასაგები ხდება, თუ რამდენად ცდებოდა ერთიცა და მეორეც. გერმანია ჯერ კიდევ იხდის ფულს, მაგრამ იმუქრება, რომ შეამცირებს ულუფას. ამ დროს ბერძნული ეკონომიკა დაბლა მიექანება, უკვე მეხუთე წელია. რიგითი ბერძენის ცხოვრების დონე ლამის ორჯერ შემცირდა ამ ხნის განმავლობაში. რიგით იტალიელს, პორტუგალიელსა და ესპანელსაც ბევრი რამ აქვს მოსაყოლი უკანასკნელი წლების ყოფიდან.**

საკუთარი სახსრების შესაბამისად ცხოვრება, რაც დღეს ევროპის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ პრინციპადაა გამოცხადებული, ყოველი ქვეყნისთვის გულისხმობს ცხოვრების იმ დონეს, რომელსაც უზრუნველყოფს მისივე უნარი, აწარმოოს რაიმე კონკურენტუნარიანი.

ეს ნიშნავს, რომ რუმინელები და ბულგარელები, თავიანთი ბოლოდროინდელი იმედებისგან განსხვავებით, ვერ იცხოვრებენ ისევე მდიდრულად, როგორც ფინელები და ლუქსემბურგელები ცხოვრობენ. კვიპროსელები და იტალიელები კიდევ კარგა ხანს ვერ გაუთანაბრდებიან ჰოლანდიელებსა და შვედებს.

**ევროპა ნელ-ნელა აცნობიერებს, რომ ცხოვრების ძალზე განსხვავებული დონეები მის სხვადასხვა კუთხეში დროებითი სირთულეები აღარაა.**

**პრობლემურ ქვეყნებში გიგანტური უმუშევრობა კი იმას ნიშნავს, რომ იქაური შემცირებული ხელფასები, რის გამოც ასე უჭირთ მომუშავეებსაც კი, სინამდვილეში დღეს კიდევ ძალზე შესამცირებელია, რომ რეალობას შეესაბამებოდეს. სწორედ იმის გამო, რომ ხელფასები მაღალია, ხელი ეშლება შრომის ბაზარს გაფართოებაში.**

ზოგიერთი ევროპელისთვის ეს ყველაფერი ნამდვილი კატასტროფაა, ზოგიერთისთვის კი — მსუბუქი უსიამოვნებები, მაგრამ იმედგაცრუება ყველასთვის საერთოა. ევროპამ ვერ შეძლო გამხდარიყო ერთნაირი მდიდრული ცხოვრების ოაზისი ნახევარმილიარდიან ტერიტორიაზე და ახლა უკვე ღიად წყვეტს პრეტენდენტობას ამ საპატიო ტიტულისთვის ბრძოლაში. მიწიერი სამოთხის აშენების მორიგი დაპირებაც ზღაპარი აღმოჩნდა, ისევე, როგორც ყველა წინამორბედი ფანტაზიები ამ თემაზე.

ახლა მხოლოდ პოლიტიკურ შედეგებს ელის ევროპა. რეგიონები, რომელთაგანაც ერთნი გამომწვევად მდიდრები აღმოჩნდნენ, მეორენი კი — სამართლიანად ღატაკებად წოდებულნი, ერთმანეთის იმედებს ვერ ამართლებენ.

საბრალონი არიან ერთნიც და მეორენიც. გერმანელებს ხომ გულწრფელად სჯეროდათ, რომ მათ გულუხვობისთვის სიყვარულით უპასუხებდნენ. სამხრეთევროპელები კი მართლაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მხოლოდ საკუთარი შრომით ცხოვრობდნენ ხელგაშლილად. აი, ამ დროს ჩნდება ის ფსიქოლოგიური მომენტი, რომლის დროსაც ზოგიერთები ჭურჭლის მტვრევასაც კი იწყებენ.

ცხადია, ახლა ეროპაში ყველასათვის საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ ამ წარუმატებლობას ისე გადალახავენ, რომ ახალ, წინამორბედზე უფრო მავნე და სახიფათო უტოპიას არ მოიფიქრებენ, მაგრამ განა ადამიანები მუდამ საუკეთესო გამოსავალს ირჩევენ?

**Росбалт**

# აშშ-ში რესპუბლიკელები მეცნიერების ჯიბეში ჩასმას აპირებენ

**ლამარ სმიტი არის რესპუბლიკელი, მეცნიერების, კოსმოსისა და ტექნოლოგიების კომიტეტის თავმჯდომარე წარმომადგენელთა პალატაში. იგი უკვე რამდენიმე კვირაა, შეშფოთებას იწვევს ამერიკის სამეცნიერო საზოგადოებაში. ახალი კანონის პროექტზე დაყრდნობით აპირებს, სათავეში ჩაუდგეს ნაციონალურ სამეცნიერო ფონდს, რათა სინამდვილეში მართოს ის, როგორც დამოუკიდებელი ფედერალური სააგენტო, რომელიც 1950 წელს შეიქმნა და ანაწილებს გრანტებს სამეცნიერო კვლევებისთვის.**



ეს ფონდი მნიშვნელოვანი მოთამაშეა ოკეანის გაღმა სამეცნიერო სფეროში. ფლობდა რა 2012 წელს 7 მილიარდიან ბიუჯეტს, ფონდი აფინანსებდა ყველა ლაბორატორიის 20%-ს, ხოლო თავის საიტზე აცხადებდა, რომ მთავარი ფედერალური სპონსორია მეცნიერების ისეთ სფეროებში, როგორიცაა მათემატიკა, ინფორმატიკა და სოციალური მეცნიერებები. ყოველწლიურად ფონდი გასცემს დაახლოებით 11 ათას გრანტს, მისი სახსრებით მუშაობს ნობელის 200-მდე ლაურეატი. ეს ფული აშშ-ის მიერ მეცნიერებაზე გამოყოფილი მთელი ბიუჯეტის უმნიშვნელო ნაწილიც რომ იყოს, ფონდი უდავოდ ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც ამერიკულ მეცნიერებას გლობალურად უყურებს. ამ ფონდის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება დაარსების დღიდანვე იყო ფუნდამენტური მეცნიერებების მხარდაჭერა.

ახლა ამ ყველაფერს ლამარ სმიტი გადახედავს. ახლა დაფინანსებას ფონდიდან იღებენ ის პროექტები, რომლებიც, თავად მეცნიერთა შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანია თავად მეცნიერების განვითარებისთვის. ზემოხსენებული კანონის მიღების შემთხვევაში პარადიგმა მთლიანად შეიცვლება. ტექსტში წერია, რომ ამიერიდან დაფინანსებამდე ფონდი უნდა დარწმუნდეს, რომ პროექტი პასუხობს ამერიკის ინტერესებს ნაციის ჯანდაცვის, კეთილდღეობის და ნაციონალური უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, იძლევა პასუხებს კითხვებზე, რომლებიც მთელ საზოგადოებას აწუხებს და არ გადაკვეთს სხვა პროექტებს, რომლებსაც ასევე სახელმწიფო აფინანსებს.

მაგრამ იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რაში მდგომარეობს პარადიგმის შეცვლა, კანონის ტექსტში უფრო მეტი ჩაღრმავებაა საჭირო.

კანონში საერთოდ არაა ნახსენები ცოდნის გამდიდრება, ფუნდამენტური კვლევები, რომლებმაც, შესაძლოა, ახსნან გარემოს შეუცნობელი მოვლენები ფიზიკის სფეროში, ბიოლოგიაში, საზოგადოებრივ და კოგნიტიურ დისციპლინებში. გარდა ამისა, კანონპროექტი ფონდს აყენებს იმ გზაზე, რომელსაც ის ყოველთვის გაურბოდა. საუბარია მხოლოდ გამოყენებითი კვლევების დაფინანსებაზე, რაზეც ამერიკაში ისედაც ყველაზე მეტი ფული იხარჯება.

შემდეგი პუნქტები ადასტურებს, რომ **ლამარ სმიტს საერთოდ წარმოდგენა არ აქვს იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს მეცნიერება: მოთხოვნილი ნაციონალიზმი ეწინააღმდეგება თანამედროვე მეცნიერების საერთაშორისო ხასიათს, გადამკვეთი პროექტების მიუღებლობა კი სამეცნიერო შედეგების საიმედოობის ყველა პრინციპს ეჯახება.**

**ლამარ სმიტის კანონპროექტში კიდევ ბევრი რამ წერია მეცნიერებისთვის თავზარდამცემი, მაგრამ ეს კანონი რომც არ მიიღონ, ამერიკა იმას ველარსად გაექცევა, რომ რესპუბლიკელებმა პოლიტიკური ხელმძღვანელობა მოინდომეს ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევებში, რაც მეცნიერებისათვის ნამდვილი ომის გამოცხადებაა.**

**Le Monde**

**ამერიკაში ახლა ყველაზე სწრაფად მზარდ კატეგორიას წარმოადგენენ უმუშევრები, რომლებიც, უკვე მრავალი წელია, ვერ შოულობენ სამსახურს. მათ სრულად დაკარგეს პროფესიონალიზმი, მრავალს ფსიქიური დაავადებები, დეპრესია და მეხსიერების დაქვეითებაც აწუხებს. დამსაქმებლებისთვის ისინი არანაირ ინტერესს არ წარმოადგენენ. სამაგიეროდ, სახელმწიფოს ხარჯზე მცხოვრები „დასაქმების სპეციალისტებისთვის“ სწორედ ისინი წარმოადგენენ ყველაზე გემრიელ ლუკმას...**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბიზნესი უმუშევრებზე

**ეკონომიკური კრიზისის დასაწყისიდან ამ დრომდე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სულ მცირე, 500 მილიარდი დოლარი დახარჯა ფედერალურ, საშტატო და საქალაქო პროგრამებზე, რომელთა მიზანიც უმუშევარი ამერიკელების დასაქმებაა. „სახელმწიფოებრივი დახმარების“ ამ სახეობისთვის ხარჯები ყოველდღიურად იზრდება, თუმცა, რაც უნდა პარადოქსული იყოს, რეალურად უმუშევრობის დონე იგივე რჩება.**



პრეზიდენტის ახლანდელი ადმინისტრაციის ზრუნვა უმუშევრებზე დაახლოებით ასე გამოიყურება: ნაცვლად იმისა, რომ ფულის ინვესტირება მოხდეს ახალ პერსპექტიულ ბიზნესებში და მათში უმუშევარი სპეციალისტები დასაქმდნენ, გადასახადების გადამხდელთა ფული ერიცხებათ საშუამავლო კომპანიებს, რომლებიც უსაქმოდ მჯდომ ამერიკელებს „გადაამზადებენ“. მაგალითად, ბუღალტრებს პროგრამისტებად აქცევენ, მენეჯერებს — მარკეტოლოგებად, მოლარეებს — ინტერნეტ-მოვაჭრეებად და ასე შემდეგ.

ასობით მილიონი დოლარი ტყუილად იხარჯება სემინარებზე, კურსებზე, კონფერენციებზე, აუდიო და ვიდეო აღჭურვილობებზე, ბროშურებზე და ასევე სამუშაო ადგილებზე დიკრიმინაციასთან ბრძოლაზე. ის, ვინც დღეს სამსახურს ეძებს, ხვდება უამრავ ორგანიზაციას, რომლებიც დახმარებას სთავაზობს. ნამდვილი დამსაქმებლებისგან წინადადებები და შეთავაზებები განუხრელად იკლებს, შუამავლების რაოდენობა კი ყოველ დღე იზრდება.

სამუშაოს მძებნელებს რამდენიმე ათეული სემინარისა და კურსის გავლა უწევთ. ახლა ამერიკაში თუ ვინმეს სამსახურის პოვნა სურს, კარდაკარ პირადად უნდა დაიაროს ყველა ორგანიზაცია და შესთავაზოს თავისი მომსახურება. დღეს რეზიუმეს დაგზავნაც კი სახიფათოა, რადგან ამერიკელებს არა დამსაქმებლები, არამედ დასაქმებაში დამხმარეები უკავშირდებიან.

სახსრების არამიზანშეწონილად გამოყენების მაგალითებისთვის შორს წასვლა არაა საჭირო. სულ რამდენიმე დღის წინ ნიუ იორკის გუბერნატორმა ენდრიუ კუომომ გამოაცხადა პროგრამის „Self-Employment Assistance“ დაწყების შესახებ. ამ პროგრამის მიზანია, დაეხმაროს უმუშევარ ამერიკელებს, წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი. მონაწილეებისთვის კრიტერიუმები შემდეგნაირია: მათ მიერ სახელმწიფო დახმარების მიღების ვადა უნდა ამოიწუროს 13 კვირის შემდეგ ან უფრო ადრე.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, კუომომ გადაწყვიტა, კერძო ბიზნესმენები შექმნას იმ ადამიანებისგან, რომლებიც თითქმის ორი წლის განმავლობაში იღებდნენ სასურსათე ტალონებს, უმუშევრობის შემწეობას, უფასო სამედიცინო დაზღვევას და სხვა შეღავათებს. ამ დროის განმავლობაში მათ ვერ მოახერხეს სამსახურის შოვნა, ახლა კი შანსი ეძლევათ, პირდაპირ უფროსები გახდნენ. ზედმეტია იმის თქმა, რომ ეს ინიციატივა ისევეა განწირული წარუმატებლობისთვის, როგორც მოსახლეობის დასაქმების სხვა მცდელობები.

„Self-Employment Assistance“-ის შედეგების თაობაზე, საეჭვოა, ოდესმე რამე გავიგოთ. **უმუშევართა დახმარების ყველა პროექტს აშშ-ში ერთი საერთო თავისებურება ახასიათებს: საზოგადოებას მათ შესახებ ინფორმაციას მხოლოდ პირველ სტადიაზე აწვდიან. ჩინოვნიკები იმაღლებენ ხალხის ნდობას მსგავსი პროექტების ანონსირებით. სემინარების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები კარგ დაფინანსებას იღებენ. მასმედია წერს, რომ „განსაცდელში არ დარჩება არავინ, ვისაც არ აქვს მუდმივი შემოსავალი“ და ადიდებს დემოკრატიულ პარტიასა და პრეზიდენტ ობამას.** ამრიგად, წრე იკვრება. ამ ავანტიურის ყველა მონაწილე მოგებულია, გარდა თავად უმუშევრებისა.

რაც შეეხება უმუშევართა გადამზადებისა და დასაქმებისთვის ხელისშემწყობ კურსებს, როგორც ის ბედნიერები აცხადებენ, რომელთაც ამ კურსების გავლა ხვდათ წილად, იქ ორი პროფესორი უხსნის შეკრებილ აუდიტორიას, თუ როგორ უნდა გააკეთონ ბიზნესი ინტერნეტში. მერხებთან სხედან ყოფილი მდივნები, მძღოლები, მრავალშვილიანი დედები, არმიიდან დაბრუნებული ჯარისკაცები... უმეტესობას ლექციიდან არაფერი ესმის, მიუხედავად ამისა, გულმოდგინედ იწერენ კონსპექტებს, რომლებიც საბოლოო ჯამში მხოლოდ იმ ფრაზებისგან შედგება, რომლებიც მათთვის გასაგებ ენაზე იყო ნათქვამი. ამ ღონისძიებას ოდნავაც კი არ აღნიშნება პერსპექტიულობის რაიმე კვალი.

სამაგიეროდ, როგორც გაირკვა, ფლორიდაში ერთ-ერთი ასეთ სემინარის ჩატარებისთვის ხელისუფლებამ 4 მილიონი დოლარი გამოყო. ეს თანხა რომ სემინარის დამსწრეთათვის გაენაწილებინათ, თითეული მათგანი უზრუნველად იცხოვრებდა 8-10 წლის განმავლობაში.

**არაკომერციული ორგანიზაციები დაჟინებით სთხოვენ თვით საპენსიო ასაკამდე მიღწეულ უმუშევარ ამერიკელებსაც კი, ისწავლონ ორისამი კომპიუტერული პროგრამა მომავალი დასაქმებისთვის**. ეს ნამდვილი კლოუნადაა, როდესაც 50 კომპიუტერის ირგვლივ 100-ზე მეტი ადამიანი იკრიბება. მას შორის არიან ღრმად მოხუცებიც და ახალ სკოლადამთავრებულებიც. ზოგიერთმა „მოსწავლემ“ ეს ჯადოსნური დამსაქმებელი პროგრამები თვით მასწავლებლებზე უკეთდ იციან, მაგრამ მაინც უმუშევრები არიან. ზოგიერთებს კი ეს კურსები მართლაც გამოადგათ — პირველად ისწავლეს, როგორ უნდა ჩართონ და გამორთონ კომპიუტერი.

**ზოგიერთი „კურსდამთავრებული“ ამბობს, რომ ხელისუფლება უბრალოდ დასცინის უმუშევრებს, რომ ამ კურსების შემდეგ ისინი კიდევ უფრო ღრმა დეპრესიაში ვარდებიან, ვიდრე მანამდე იყვნენ, მაგრამ მათ აიძულებენ, კურსებისათვის ორგანიზაცას სამადლობელი წერილები დაუტოვონ, რომ შემდგომი დოტაციის მიღება პრობლემად არ იქცეს.**

ტეხასის ერთ-ერთი ქალაქის მკვიდრმა სახელმწიფოს მიმართა თხოვნით, გამოეყო 150 ათასი დოლარი გაკოტრების პირას მდგომი იმ სუპერმარკეტის გადასარჩენად, რომელშიც 30-ზე მეტი ადამიანი მუშაობდა. სახელმწიფომ ხუთჯერ მეტი თანხა გამოყო, ოღონდ უმუშევრობასთან ბრძოლისთვის. სუპერმარკეტი დაიხურა, უმუშევრად დარჩენილ მის თანამშრომლებს და სხვა უმუშევრებსაც დაურიგეს ათასგვარი ლიტერატურა, რომელშიც ჭარბობდა სათაურები „მუდმივი სამსახურის შოვნის ხუთი მეთოდი“. ხალხმა, რომელმაც პურის ნაცვლად პურის გამოცხობის ინსტრუქციები მიიღო, საერთოდ დატოვა მკვდარი ქალაქი.

**ცხადია, თქმაც კი არაა საჭირო, რომ 100-ათასიან საგანმანათლებლო კურსებს ვერავინ გახსნის, თუ სახელმწიფო სტრუქტურებში შუამავალი არ ჰყავს. ცხადია, ეს ფული მთლიანად დასაქმების სპეციალისტების ჯიბეში მიდის, საბრალო უმუშევრები კი საუკეთესო შემთხვევაში მისგან იღებენ მხოლოდ ბლოკნოტს, კალამს და ადგილს მერხთან აუდიტორიაში, სადაც მას საქმის მცოდნენი რამდენიმე საათს დაუთმობენ.**

სიტუაცია ძალიან ჰგავს სახლმწიფო გრანტების გადანაწილებას სამშენებლო ობიექტებზე, სადაც ფულის 99% დიდ ბოსებსა და დაქირავებულებს ხვდებათ, დარჩენილი 1% კი — უშუალოდ მუშებს.

ყველაზე საოცარი ისაა, რომ **არც ერთი კანონი არ ავალდებულებს დახმარების ორგანიზაციებს, ვინმეს წარუდგინონ ანგარიში, თუ რამდენი ადამიანი დაასაქმეს რეალურად.** მათთვის ყველაზე მთავარია, მოჩვენებითი საქმიანი გარემო შექმნან ბიუროკრატი-ჩინოვნიკების დასანახად.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ **ამერიკაში ახლა ყველაზე სწრაფად მზარდ კატეგორიას წარმოადგენენ უმუშევრები, რომლებიც უკვე მრავალი წელია, ვერ შოულობენ სამსახურს. მათ სრულად დაკარგეს პროფესიონალიზმი, მრავალს ფსიქიური დაავადებები, დეპრესია და მეხსიერების დაქვეითებაც აწუხებს. დამსაქმებლებისთვის ისინი არანაირ ინტერესს არ წარმოადგენენ. სამაგიეროდ, სახელმწიფოს ხარჯზე მცხოვრები „დასაქმების სპეციალისტებისთვის“ სწორედ ისინი წარმოადგენენ ყველაზე გემრიელ ლუკმას...**

russian-bazaar

# ჩვენი ქალაქის კოლორიტი

**ჩვენი საზოგადოების სიამაყე, ბატონი ჯემალ კვანტალიანი იუბილარია, 28 მარტს მას 75 წელი შეუსრულდა.**



75 წელი ცოტა დრო არ არის, მაგრამ მისი ნამოღვაწარი, ალბათ, უფრო მეტ წლებს დაითვლიდა და მისი ტიტულების ჩამოსათვლელად თაბახი ფურცელიც კი არ მეყოფოდა. მიუხედავად ამისა, მე მაინც მინდა ბატონი ჯემალი სულ სხვა კუთხით დაგანახოთ, როგორც კარგი მეოჯახე, საყვარელი მამა და ბაბუა და ჩვენი საზოგადოების — საქართველოს პენსიონერთა კავშირის აქტიური წევრი.

2008 წლიდან, როდესაც საბურთალოს რაიონის პენსიონერთა კავშირი ვაკის რაიონს გამოეყო, იგი გვილამაზებს ცხოვრებას სხარტი იუმორითა და საუკეთესო სიმღერებით ექსკურსიებსა თუ სხვადასხვა თავყრილობებზე.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის აპარატში ბატონი ჯემალი ხელმძღვანელობდა კულტურის განყოფილებას. ამ პერიოდში მან რამდენიმე კონცერტი ჩაატარა, აგრეთვე, ოთხჯერ გამოფინა თავისი ნახატები. ეს იყო ფანქრით და ზეთის საღებავებით შესრულებული საუკეთესო ნახატები: შარჟები, პორტრეტები, პეიზაჟები და ა. შ.

მისი შუამდგომლობით ვესწრებოდით და დღესდღეობითაც ვესწრებით უფასოდ სპექტაკლებს ქალაქის სხვადასხვა თეატრებში.

2006 წელს ჯემალ კვანტალიანმა გამოუშვა პირველად ქართულ ენაზე კრივის სახელმძღვანელო, 2008 წელს გამოვიდა მეორე. უკვე დასაბეჭდად გამზადებულია მესამე სახელმძღვანელო. წლების მანძილზე იგი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. რუსული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნის მხატვრულ ლიტერატურას, რომელთაც მისივე ილუსტრაციები ამშვენებს.

ბატონი ჯემალ კვანტალიანი საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ტანმოვარჯიშე და მოკრივე, სპორტის დამსახურებული მუშაკი, სპორტის ოსტატი, თბილისის მხატვართა კავშირის წევრი, მწერალი, მთარგმნელი, პედაგოგი, მწვრთნელი და ბოლოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქართველ ჩოხოსან რაინდთა წევრია.

ჩვენ, საბურთალოს რაიონის პენსიონერთა კავშირის წევრები, მოწიწებითა და სიყვარულით ვულოცავთ ბატონ ჯემალ კვანტალიანს დაბადების დღეს.

**ნინო ოთიაშვილი**,
**თბილისის საბურთალოს რაიონის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე**


# ნათელმხილველი საუკეთესო შედეგებით

**ლელა ახვლედიანი — თბილისი:** ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში ქუხდა აბანოთუბნელი აზას სახელი, ქალაქში მას ერთ-ერთ საუკეთესო ნათელმხილველად და მკურნალად იცნობდნენ. მე ზუსტად ამიხდა მისი ნათქვამი. ახლახან ისევ ჩემმა გაჭირვებამ მიმიყვანა მის კართან.

ჩემს შვილს დასჩემდა აკვიატებული შიში, რის გამოც შეწყვიტა უნივერსიტეტში სიარული. თბილისში ნევროპათოლოგი თუ ფსიქოლოგი არ დაგვრჩენია, მაგრამ ამაოდ.

აზასთან რამდენიმე სეანსის შემდეგ ჩემი შვილი ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. შეგიძლიათ, მიენდოთ მას და იგი დაგეხმარებათ მატერიალური კეთილდღეობის, სულიერი სიმშვიდის, წარმატებული კარიერისა და სიყვარულის მოპოვებაში.

**აზა დავითაშვილს, ზებუნებრივი ნიჭის გარდა, აქვს ინტელექტუალური, ეზოთერული ცნობიერება. მან დაამთავრა მოსკოვის პარაფსიქოლოგიური სასწავლებელი, სადაც ხელდასმა მიიღო ლეგენდარული ფენომენის იური ლონგოსგან, რომლის ინიციატივითაც ფილმიც გადაიღეს ქალბატონ აზაზე.**

**აზას ტელეფონები: 593-56-10-30, 274-63-08**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კახა ბენდუქიძემ ისიც „მოახერხა“, რომ ინსტიტუტის კუთვნილი ჩაქვის ფილიალი, სადაც დღემდე დაცულია უნიკალური ექსპერიმენტული და სასელექციო ბაზები, სანაპირო ზოლში მიწის ნაკვეთით (130 ჰექტარი), რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს 8 მილიონ დოლარს, უშუალო დაქვემდებარებაში გაიფორმა თავისი სასტუმროთი.**

**ყოველკვირეულ გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» მთავარ რედაქტორს, ბატონ ირაკლი თოდუას**

ღრმად პატივცემულო, ბატონო ირაკლი!

გიგზავნით წერილს, რომელიც არსობრივად წარმოადგენს თქვენი გაზეთის ა.წ. №13-ში რუბრიკით „კახა ბენდუქიძე — აგრარული სექტორის მესაფლავე“ გამოქვეყნებული პუბლიკაციების გაგრძელებას, რომელშიც, ფაქტობრივად, ნაჩვენებია ერთ-ერთი, მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო ცენტრის განადგურების მექანიზმი.

გთხოვთ გამოაქვეყნოთ.

ღრმა პატივისცემით,
ლ. ქუთათელაძე, ი. ჭოლაძე



# სამარცხვინო ფურცელი და ანტიეროვნული ქმედება ანასეულის სახელოვანი ინსტიტუტის ისტორიაში

## „რეფორმის“ ნაცვლად უსამართლობის პრეზენტაცია, ინსტიტუტის ნაცვლად — ბუტაფორია, ჩაის დარგის ხელშეწყობისა და ახლებურად განვითარების ნაცვლად — აბსურდული განადგურება.

**ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგად ათეული წლების განმავლობაში წარმატებით წყდებოდა ყველა ის პრობლემა, რომლებიც დაკავშირებული იყო ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის განვითარებასთან საქართველოში, კრასნოდარის მხარესა და აზერბაიჯანში. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან კი მკვეთრად გაიზარდა ჩაის წარმოება უხეში ნედლეულის კრეფის შედეგად და გაუარესდა ხარისხი, ხოლო 90-იანი წლებიდან, ცნობილი მიზეზების გამო, მთლიანად მოიშალა — განადგურდა ჩაის დარგის ინფრასტრუქტურა.**

ჩაის ქვეყანაში ჩვენს მოსახლეობას ეკოლოგიურად სუფთა ჩაი, რომელიც თავისი თვისებებით უნიკალური პროდუქტია, ენატრება. ასეთი ჩაის 1 კგ-ის ფასი 20 ლარია, წლიური მოთხოვნა კი ადგილობრივ ბაზარზე 1500-2000 ტონაა, მაგრამ დეფიციტურია. **ოფიციალური მონაცემებით, ჩაის წარმოებას ავითარებენ ყველა იმ ქვეყანაში, რომლებშიც ამისათვის მინიმალური ბუნებრივი პირობებია, ჩვენთან კი პირიქითაა. სამაგიეროდ, ბაზარი გაჯერებულია უცხოური ფირმების ფალსიფიცირებული, ხელოვნური საღებავებით შეფერილი და ჯანმრთელობისთვის მავნე ჩაის პროდუქციით. ასეთებია, აგრეთვე, ერთჯერადი მოხმარების „ქართული ბრენდები“.**

ბოლო წლებში **ე. წ. რეფორმის ჩატარებამდე ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იყო მაღალეფექტური მცირეგაბარიტიანი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების შექმნა ჩაის დარგში მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით. ამ მიმართულებით გრძელდებოდა მუშაობა ინსტიტუტის გამოცდილი სპეციალისტების მიერ ისეთი ნოვაციური პროექტების დასამუშავებლად, რომლებიც კომერციულად ყველაზე უფრო მისაღებია სუბტროპიკული ზონისთვის.** ჩვენი პირობებისთვის ალტერნატიული და ყველაზე მისაღები ჩაის გაშენებისა და წარმოების განვითარების ნოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და ამოქმედებისთვის საჭიროა ღრმა ცოდნა, პრაქტიკული, მეცნიერული და მრავალი ქვეყნის გამოცდილების გამოყენება, რომელთა გასაჯაროებისგან ამჯერად თავს ვიკავებთ.

**ინსტიტუტს ნამდვილად გააჩნდა სათანადო სამეცნიერო პოტენციალი, ტექნიკური ბაზა და კადრები, მაგრამ ყველაფერი მოიშალა. განხორციელდა, პირდაპირი გაგებით, ბარბაროსული, ძალადობრივი, თაღლითური და ცინიკური მეთოდებით ინსტიტუტის თანამშრომლების უფლებების ფეხქვეშ გათელვა და შეურაცხყოფა ასეთი სქემით:** ჯერ იყო და 2011 წელს მთავრობის შენილბული, ფარული დავალებით და კახა ბენდუქიძის მხარდაჭერით ჩაის ინსტიტუტი სხვა დარგობრივ ინსტიტუტებთან ერთად გამოიყვანეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებიდან, შეუერთეს აგროუნივერსიტეტს და გამოაცხადეს, როგორც აიპ (არასამეწარმეო იურიდიული პირი). აქვე გამოაცხადეს, რომ ჩატარდებოდა ატესტაცია, შეამცირებდნენ სამეცნიერო ხარისხის არმქონე მუშაკებს და გაიზრდებოდა ატესტაციაგავლილი მუშაკების ხელფასები.

**სინამდვილეში ეს იყო ფარსი. პრაქტიკულად აქედან დაიწყო ინსტიტუტის მიზანმიმართული ნგრევა-განადგურება. ინსტიტუტში გაუქმდა სამეცნიერო საბჭო, მთლიანად შემცირდა სამმართველო აპარატი. ამავე პერიოდში კ. ბენდუქიძის მიერ გამოცხადდა, რომ საჭირო იყო დარგობრივი ინსტიტუტების რეორგანიზაცია და ესეც ჩაატარეს. მისი ძალისხმევით აგროუნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი** (ა. ჯავახიშვილი) **გადააყენეს და მის ნაცვლად მოიყვანეს სოფლის მეურნეობის არმცოდნე და არაკომპეტენტური პიროვნება ლაშა გოცირიძე; შემდეგ, 2011 წლის აგვისტოში ინსტიტუტის 60-ზე მეტი თანამშრომელი ჩაგვიყვანეს თბილისში** (საკუთარი ხარჯით) **და შეგვახვედრეს აგროუნივერსიტეტის სრულიად არაკომპეტენტურ სამწევრიან კომისიას 5-10-წუთიან გასაუბრებაზე. შემდეგ სრულიად დაუსაბუთებლად და თავხედურად სამუშაოდან გაგვათავისუფლეს 34 თანამშრომელი** (ბრძანება №04101336 05.09.2011); **მათ შორის — 23 სამეცნიერო ხარისხის მქონე.**

დაიხურა ინსტიტუტის წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები: ჩაის ტექნოლოგიის, მექანიზაციის, ბიოქიმიის, ახალი სახის პროდუქციის და სხვ. ეს მოხდა უხეში კანონდარღვევით. არ გამოცხადებულა და არ ჩატარებულა კონკურსი. **რომელი კანონმდებლობით ჩაატარა კ. ბენდუქიძე-ლ. გოცირიძის კომისიამ ეს მოჩვენებითი სპექტაკლი-ფარსი და თვალთმაქცური „რეფორმა“, რომელი კრიტერიუმებით გასაჯეს და შეაფასეს ინსტიტუტის თანამშრომელთა საქმიანობა, ჩვენთვის დღემდე უცნობია.** ასევე უცნობია კომისიის წევრების ვინაობა, მათი განათლება, სპეციალობა, აკადემიური ხარისხი და კომპეტენტურობა. არც ერთი „კომისიის“ წევრი არ იყო სპეციალისტი. გასაუბრების დროს ერთ-ერთი „კომისიის“ წევრი ერთობოდა კომპიუტერული თამაშებით. აღსანიშნავია, რომ კომისიის ზოგიერთი წევრი (მაგ. თევზაძე) ღიად აცხადებდა, რომ **„ჩვენ არ გვესმის სუბტროპიკული კულტურები, არ გვაინტერესებს დარგის განვითარების პრობლემები და აქამდე ჩატარებული მუშაობის შედეგებიო“.**

**ფაქტობრივად, ეს იყო უსუსური, ზერელე, უპასუხისმგებლო კომისია და დაკვეთით შესრულებული ძალადობისა და უსამართლობის გზით ჩვენი უფლებების ფეხქვეშ გათელვა, მეცნიერების გენოციდი.**

ფაქტობრივად, ინსტიტუტი გახადეს ვიწროეგოისტური და კარჩაკეტილი კერძო დუქანი, რომელშიც კანონი და სამართალი არ არსებობს. ახლანდელი სახით ინსტიტუტმა სათანადო სამეცნიერო ინტელექტუალური რესურსის უქონლობის გამო დაკარგა ფუნქცია და არის უმოქმედო ანუ ბუტაფორია.

ბატონ ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამს გავიხსენებთ — „ასე გაანადგურა და მიწასთან გაასწორა მეცნიერება „ნაციონალურმა მოძრაობამ“. აღსანიშნავია, რომ თუ სხვა დარგობრივ ინსტიტუტებში შეამცირეს თანამშრომელთა 20-25%, ანასეულში ეს ბედი 60-62%-მა გაიზიარა. **კ. ბენდუქიძემ ისიც „მოახერხა“, რომ ინსტიტუტის კუთვნილი ჩაქვის ფილიალი, სადაც დღემდე დაცულია უნიკალური ექსპერიმენტული და სასელექციო ბაზები, სანაპირო ზოლში მიწის ნაკვეთით (130 ჰექტარი), რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს 8 მილიონ დოლარს, უშუალო დაქვემდებარებაში გაიფორმა თავისი სასტუმროთი.**

კ. ბენდუქიძემ ათეულობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი უმუშევარი დატოვა, ძალღებივით ქუჩაში გაგვყარა, მორალური შეურაცხყოფა და მატერიალური ზარალი მოგვაყენა. ამ ანტიეროვნულ საქმიანობას დღესაც აგრძელებენ. თავის სატელევიზიო გამოსვლებში კ. ბენდუქიძე და ლ. გოცირიძე აცხადებენ, რომ მათ ჩაატარეს მეცნიერ-მუშაკების შერჩევა გასაუბრების წესით და გამოარჩიეს ისეთი მეცნიერები, რომლებსაც შეუძლიათ როგორც ლექციების წაკითხვა, ისე კვლევების ჩატარება. ის მუშაკები კი, რომლებმაც თავი ვერ წარმოაჩინეს, როგორც ლექტორებმა ან მკვლევარებმა, განთავისუფლებულ იქნენ (2.11.2012, „რუსთავი 2“, 21 საათი). მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს არის სრული სიცრუე. აი, სანამდე მიდის თაღლითებისა და მატყუარების თავგასულობა. ასეთი ადამიანების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს და გვჯერა, რომ დაიწვება კიდეც. **ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია შეამოწმოს, ვინ დატოვეს ინსტიტუტში და ვინ გაუშვეს. ასევე, აგროუნივერსიტეტის მესვეურების განცხადებით, ისინი აფინანსებენ დარგობრივი ინსტიტუტების საგრანტო პროექტებს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს არის მოჩვენებითი, ყალბი და თითიდან გამოწოვილი, ნულოვანი შედეგების მქონე პროექტები, რომლებსაც არავითარი სარგებლობა** (დადებითი ეფექტი) **არ მოაქვს სოფლის მეურნეობის პრობლემების გადასაწყვეტად.**

და ისევ ისმის კითხვა — **რამდენად სამართლიანია კ. ბენდუქიძის და ლ. გოცირიძის ქმედება, რომლებმაც სამეცნიერო დაწესებულებიდან გაყარეს რამდენიმე ასეული კვალიფიციური, დარგის მცოდნე და პროფესიონალი მეცნიერ-მუშაკი? ჩვენი მოთხოვნაა, გაუქმდეს აგროუნივერსიტეტის უკანონო ბრძანება, ანასეულის ინსტიტუტი გადავიდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში, რომ მან შეძლოს ახალ სადღეისო პროექტებში აქტიურად ჩართვა, აღდგენილ იქნას განთავისუფლებული მეცნიერ-მუშაკები, ჩატარდეს ატესტაცია დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით.** ჩვენი დიდი სურვილია, დაგვაბრუნონ ინსტიტუტში გარკვეული დროით მაინც, რომ შევძლოთ ნოვაციური წინადადებების განხორციელება დარგის ახლანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით. იმედს ვიტოვებთ, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს, რომლისთვისაც ასე თავგამოდებით იბრძვის ახლანდელი მთავრობა 2012 წლის ოქტომბრიდან.

**ჩვენი მოთხოვნაა, გაუქმდეს აგროუნივერსიტეტის უკანონო ბრძანება, ანასეულის ინსტიტუტი გადავიდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში, რომ მან შეძლოს ახალ სადღეისო პროექტებში აქტიურად ჩართვა, აღდგენილ იქნას განთავისუფლებული მეცნიერ-მუშაკები, ჩატარდეს ატესტაცია დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით**

**ლევან ქუთათელაძე**,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ატესტირებული უფროსი მეცნიერ-მუშაკი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი;
**ინგუშ ჭოლაძე**,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ატესტირებული უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ლაურეატი, გამომგონებელი

მაისი, 2013 წელი.

ელინები განსაკუთრებით აფასებდნენ თეთრკანიან, ქერათმიან ქალწულებს, ასევე, — ახალგაზრდა, გონიერ ქალებს, რომელთაც უკვე ჰყავდათ შვილები, განსაკუთრებული ფასი ედო ფეიქრებს. ერთობოდნენ ლამაზი ბიჭებითაც. ბიჭები ნაკლები თავის ტკივილი იყო პატრონებისთვის ქალებთან შედარებით, მაგრამ ისინი ძალიან ძვირად ფასობდნენ, როგორც იშვიათი საქონელი — დეფიციტი.

ჰაჰ, დროni...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ოლგა დმიტრიევას წიგნის „ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება“ ადაპტირებულ თარგმანს, რომელიც, ვიმედოვნებთ, ჩვენს მკითხველს მოეწონება.

პოლიგამიას (მრავალცოლიანობას) დიდი ხნის ისტორია აქვს. ოდესღაც იგი პრაქტიკულად ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციაში ცხოვრების ნორმა იყო, შემდეგ შეუღლების გაბატონებულ ფორმად მონოგამია (ერთცოლიანობა) მოგვევლინა, მაგრამ დედამიწის მოსახლეობის უდიდეს ნაწილში, კერძოდ მუსლიმთა და ინდუისტთა შორის, მრავალცოლიანობა დღემდეა მიღებული.

წიგნში მოთხრობილია პოლიგამიის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ხალხს შორის და ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში: ველურ ტომებში, ამერიკელ მორმონებში, იმპერატორის დროინდელ ჩინეთში, ინდოელ რაინდ-რაჯპუთა შორის და, რა თქმა უნდა, სულთნის დიად სერალში.

პოლიგამია ქრისტიან ადამიანებს შორის, უწინარეს ყოვლისა, ასოცირდება ჰარამხანებთან, რომლებშიც სულთნები, აღმოსავლეთის ქვეყნების მმართველები თავს უყრიდნენ ულამაზეს ქალებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

იდუმალების შავი ფარდით იყო გამოყოფილი დანარჩენ საზოგადოებას ეს დახურული, რთულად ორგანიზებული პატარა სამყაროები. მხოლოდ ჰარამხანების ყოველდღიურობის გაცნობით შევძლებთ იმის გაგებას, თუ რატომ დაეცა ერთ დროს უძლიერესი ოსმანთა და ჩინეთის იმპერიები და როგორ „მართავდნენ სამყაროს“ მაღალი კედლებით შემოსაზღვრული ქალაქებისა და სერალების მკვიდრი ქალები.



## ჰერაკლეს სიკვდილი (ძველი საბერძნეთი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17 (204)

### ალვირი, საპირე და მამალი

ძველ საბერძნეთში დიასახლისის სიმბოლოდ მიჩნეული იყო კუ, რომელიც არასოდეს ტოვებს თავის სახლს.

თუ ელინელი ქალბატონის საფლავის ქვაზე ამოკვეთილი იყო ალვირი, საპირე და მამალი, ეს ნიშნავდა, რომ იგი იდეალს სავსებით ესადაგებოდა: მოსამსახურე ქალები ალვირამოდებული ჰყავდა; მამაკაცების საზოგადოებაში ჩუმად იყო და დილით მამლის პირველ ყივილზე დგებოდა. ქალების მაღალი ზნეობის მაჩვენებელი იყო ერთგულება, თავმდაბლობა და პატიოსნების გმირულად დაცვა. **საუკეთესოდ კი მიიჩნევდნენ იმას, ვისზეც საზოგადოებაში ყველაზე ნაკლებს ლაპარაკობდნენ — სულერთია კარგს თუ ცუდს.**

**ელინელ გოგოს გათხოვებამდე მკაცრად იცავდნენ. ქალწულობის დაკარგვა უმკაცრესად ისჯებოდა. მას, ვინც „ვერ ინარჩუნებდა სისხლის სიქალწულეს“, ცოცხლად ატანდნენ კედელში ულაყთან ერთად, რის გამოც ამ საშინელ ადგილებს ხალხი მოიხსენიებდა სახელით — „ულაყთან და ქალიშვილთან“.**

ქორწინება სრულიად გამორიცხავდა ფიზიკურ ლტოლვას, მიმზიდველობას, სიყვარულს, ქორწინებაში რომანტიკაზე მინიშნებაც არ იყო. ეს იყო ორი, ერთმანეთის ღირსი ოჯახის კავშირი, რომელთაც მატერიალური მოგება უმრავლდებოდათ ახალგაზრდა წყვილების შეუღლებით. და მაინც, ქორწინების პროზაული მოტივების მიუხედავად, ბევრი ოჯახი ბედნიერად ცხოვრობდა.

კანონით, ბერძენს მხოლოდ ერთი ცოლის ყოლის ნება ჰქონდა, მაგრამ როგორც ჭეშმარიტი ელინი, რომელიც აფასებდა ცხოვრების სიამოვნებას, კანონის ასეთ ნაკლს ყველა არსებული შესაძლებლობით „ასწორებდა“. ამის საშუალება კი უამრავი იყო. მათ შორის, მოცალეობის ჟამს განათლებულ და სიყვარულში დაოსტატებულ ჰეტერებთან დროის ტარება. ცოლის მხრიდან ღალატი კი უსასტიკესად ისჯებოდა. ათენის კანონში მითითებული იყო, რომ, თუ ქალი მხილებული იქნება ღალატში, ქმარს ეკრძალება, გააგრძელოს ცხოვრება მასთან. თუ ასე მოიქცევა, პატივაყრილი იქნება და მოქალაქის ყველა უფლება ჩამოერთმევა. **პლუტარქე წერს, როგორ შესვეს უკუღმა მოღალატე ცოლი სახედარზე, ბაზრის მოედანზე გაიყვანეს და ხიდზე დააყენეს, რათა მოქალაქეებს მისცემოდათ შესაძლებლობა, მისთვის პირში მიეხალათ ყველაფერი, რასაც მასზე ფიქრობდნენ და მიეფურთხებინათ.**

**მონოგამიას ელინები მხოლოდ ქალებისთვის ალიარებდნენ. ჰომეროსის გმირებს, როგორც ცნობილია, კანონიერი ცოლების გარდა, ჰყავდათ ისეთებიც, ვისზეც დაქორწინებულები არ იყვნენ.**

ბერძნულ-რომაულ ანტიკურ პერიოდში მონა გასულიერებული იარაღი იყო (არისტოტელე), რომელმაც იცოდა ლაპარაკი. გრძნობამორეული ბერძნები მათ სასიყვარულო იარაღად იყენებდნენ („ოდისეა“).

ელინები განსაკუთრებით აფასებდნენ თეთრკანიან, ქერათმიან ქალწულებს, ასევე, — ახალგაზრდა, გონიერ ქალებს, რომელთაც უკვე ჰყავდათ შვილები, განსაკუთრებული ფასი ედო ფეიქრებს.

**ერთობოდნენ ლამაზი ბიჭებითაც.**

ბიჭები ნაკლები თავის ტკივილი იყო პატრონებისთვის ქალებთან შედარებით, მაგრამ ისინი ძალიან ძვირად ფასობდნენ, როგორც იშვიათი საქონელი — დეფიციტი. ამიტომ ელიტის მოყირჭებული ყოფის გასახალისებლად ტკბილ ლუკმად აღიქმებოდნენ. პლებსი, მასა, ცხადია, ეწინააღმდეგებოდა, პოეტები კი ლექსებს უძღვნიდნენ. ქალიშვილთან მისვლის პირველ ნაბიჯებს ასე აღუწერდნენ:

**ამას შენ ვერც დედა, ვერც გამზრდელი ვერ გასწავლის,**
**ისინი გეტყვიან: „ცოლი შენი ბიჭი არ არის“.**

ამას წერდა მარცვალი ვიკტორის ქორწინებისთვის გალექსილ მიძღვნაში.

და აქვე — **პრობლემა, რომელმაც საუკუნეთა შემდეგ, კერძოდ, 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიის საერთაშორისო დღეს, თბილისში მრავალათასიანი აქციით იჩინა თავი.**

**ხალხმა არ მიიღო „ევროპული ღირებულებებისკენ“ მიმავალი ასეთი გზა, მასის აბობოქრებით დაიცვა მართლმადიდებლობის ფუძემდებლური პრინციპები, ქართული ტრადიციების სიმტკიცე და კაცობა.**

**სამწუხაროდ, სწორედ ამ დღეს გაჩნდა პირველი ბზარი ხელისუფლებასა და ხალხს შორის, რომელმაც კოალიცია „ქართულ ოცნება“ ქვეყნის სათავეში დასვა და სახელმწიფოს მართვის უფლება მისცა.**

**კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ მმართველმა ძალამ (ორიოდ გამონაკლისის გარდა) ეს მოვლენა ცალმხრივად შეაფასა, შეიძლება ითქვას, არაადეკვატურად, და მასის ამ აღელვებაში მხოლოდ ძალადობის გამოვლინება დაინახა, და, აქედან გამომდინარე, აგრესიად შეაფასა, ანუ დაგმო. დაუშვებელიაო.**

**ევროპის 14 ქვეყანამ ერთსქესიანთა ქორწინების ოფიციალური დაშვებით კაცობა დაკარგა — ბიჭებით ცდილობს საკუთარი ავხორცობის დაკმაყოფილებას.**

აირჩიეს ასეთი გზა.

ჩვენ რა? როგორც დიდი მუხრანი იტყოდა: „იარონ!“ ოღონდ უჩვენოდ...

ჩვენ ჰარამხანებს მივხედოთ.

ფავორიტი ქალი პატრონის სახლში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა, ცოლი კი იგნორირებული იყო. ევრიპიდეს ტრაგედიაში ჰექტორის ცოლი ანდრომახე ამბობს: **„ცოლმა, რომელსაც ნამდვილად უყვარს თავისი ქმარი, უნდა მოითმინოს მეტოქის არსებობა, მოიქცეს ისე, თითქოს ვერაფერს ამჩნევს“.**

მაგრამ ელინთა ცოლებს შორის ცოტა როდი იყო ღირსეული ქალბატონი, რომლებიც ამ დებულების თანახმად არ ცხოვრობდნენ, რაც, არცთუ იშვიათად ტრაგიკულად მთავრდებოდა.

საბერძნეთის უდიდესი გმირის — ჰერაკლეს ოჯახში უიმედო სასიყვარულო სამკუთხედი შეიკრა. ჰერაკლე დაქორწინებული იყო დეიანერაზე — მეფე ოინეოსის ქალიშვილზე. იგი ადრეული ასაკიდანვე დაუფლებული იყო იარაღის ხმარების ხელოვნებას და ბრძოლების დროს ქმარს ღირსეულად ედგა მხარში. იყო მოყვარული და ერთგული ცოლი და, ტრადიციის თანახმად, გაგებით ეკიდებოდა თავისი მეუღლის მექალთანეობას.

მაგრამ, აი, ჰერაკლემ თავის სახლში ყმაწვილი მონა ქალი იოლე მოიყვანა, მეფე ევრიტის შვილი, და სიტუაცია აუტანელი გახდა.

დეიანერამ პრობლემა საიდუმლო საშუალებით გადაჭრა. როცა იგი ისეთივე ლამაზი ქალწული იყო, როგორც იოლე, კენტავრმა ნესოსმა მისი გაუპატიურება მოინდომა, მაგრამ ჰერაკლემ მოკლა მოძალადე.

კენტავრმა სიკვდილის წინ დეარინას ურჩია, შეეგროვებინა მისი სისხლი, რომელიც „სიყვარულის წამლად“ მიასაღა — თითქოს დაეხმარებოდა ქმრის ერთგულების შენარჩუნებაში. დეინერამაც გადაწყვიტა, დაჰყოლოდა კენტავრის რჩევას და სისხლში ამოავლო თავისი ნაქსოვი ჰიტონი, რომელიც ქმარს გაუგზავნა. მაგრამ ნესოსის სისხლი, რომელიც ჰერაკლემ ჰიდრის შხამში გაპოხილი ისრით განგმირა, საწამლავად იყო ქცეული და სწორუპოვარი გმირი საშინელი ტანჯვით კვდება.

როგორ წარიმართა მოქიშპე ქალების ბედი? ტყვე ქალი ჰერაკლეს ვაჟს გადაეცა, როგორც რამ საქონელი. ხოლო დეიანერა მიხვდება, რაც ჩაიდინა და თავს იკლავს: მახვილზე აეგება, როგორც მეომარი ქალი.

### გაუკეთე სპარტას კარგი ბავშვები, აკროტად

**ცხოვრების მკაცრი წესებით გამორჩეულ სპარტაში ქორწინებას თავისებური ხასიათი ჰქონდა. სპარტელი ქალების თავისუფლება, უწინარესად, სიყვარულში, აღაშფოთებდა სხვა ბერძნული სახელმწიფოების მოქალაქეებს — ქალებსაც და მამაკაცებსაც. სპარტელი ქალების ქცევას, მათ სოციალურ აქტივობას და დამოუკიდებლობას პოლიტიკოსები აღიქვამდნენ, როგორც იმ კანონებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ გამოწვევას, რომლებიც დამკვიდრებული იყო სხვა ბერძნულ პოლისებში. ათენელი ქალები სპარტელ ქალებს მოიხსენიებდნენ მსუბუქი ყოფაქცევის ავხორც ცოლებად, რომლებიც შობენ გონებაჩლუნგ მეომრებს. პასუხად კი ესმოდათ, რომ თავად არიან უტვინო თოჯინები, რომლებსაც არაფერი გაეგებათ ქმრების საქმიანობის.**

ცდებოდნენ ერთნიც და მეორენიც. მაგრამ სპარტელი ქალების უსირცხვილობა ყბადაღებული იყო და მას, უწინარეს ყოვლისა, ხსნიდნენ იმ აღზრდით, რომელიც მიღებული ჰქონდათ: რომ სპარტელი ქალი ვერ შეინარჩუნებდა ქალწულობას, რადგან სარეცელს ჭაბუკთან ერთად იყოფდა, რომ სირბილში შეჯიბრებისას თეძოებს უშიშვლებდნენ, „რა გასაკვირია, რომ უზნეოებს ზრდით“, — ებუზღუნებოდა მშვენიერ ელენეს აქილევსის მამა პელევსი, წერს ამას ევრიპიდე ტრაგედიაში „ანდრომაქე“.

**სპარტელი ქალები მამაკაცებთან ერთად მონაწილეობდნენ ათლეტურ ვარჯიშებში, იყვნენ სპორტულები, ფიზიკურად ძლიერები.** ასეთ ქალებთან ინტელექტუალურ კამათში ჩართვა გონიერ ათენელს, თუ იგი სათანადოდ არ იყო ფიზიკურად განვითარებული, ცხადია, გაუჭირდებოდა. პირდაპირ ვთქვათ, სახიფათოც კი იყო. მაგრამ არა მარტო ამის გამო ვერ მისცემდნენ გარანტიას, რომ კამათში გაიმარჯვებდა. **სპარტელი ქალები განსაკუთრებული გონებამახვილობით იყვნენ განთქმულნი.** ათენელი ქალის თავმომწონეობას, რომ ისინი (ათენელი ქალები) **„ერთადერთნი არიან, რომლებიც თავიანთ ქმრებს მართავენ“,** სპარტელმა ქალმა, ვინმე გორგომ ასე უპასუხა: **„მაგრამ ჩვენ ერთადერთნი ვართ, ვინც ქმრებს ვშობთ!“**

წესიერ ათენელ ქალებს აღაშფოთებდათ, რომ მშვენივრად ჩამოსხმული სპარტელი გოგოები პროცესიებში შიშვლები მონაწილეობდნენ. მაგრამ კანონმდებელმა ლიკურგმა ეს შოკისმომგვრელი გამოსვლები ასე ახსნა: **„ასე ხდება იმიტომ, რომ ქალიშვილები, რომლებიც კაცების წეს-ჩვეულებებს მისდევენ, არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მათ არც სხეულის სიძლიერით, არც ჯანმრთელობით, არც სულის სიმტკიცით, არც პატივმოყვარეობით. ბრბოს აზრს კი ისინი არად აგდებენ“.**

ამას გარდა, ქალები ყაზარმებში გაზრდილ თავიანთ მეომარ ქმრებს ჯობნიდნენ სულიერად, რაც მათი აღზრდის თავისებურებით აიხსნებოდა, სწავლობდნენ მუსიკას, შესაძლებელია, — წერა-კითხვასაც. ყველაზე უფრო პარადოქსული კი იყო ის, რომ **სპარტელი ქალების თავისუფლება კანონზომიერი შედეგი იყო ტოტალიტარული და მილიტარული სპარტული სახელმწიფოსი, თავისი უკიდურესად მუსკულიზირებული, ბრუტალური კულტურით.** ეს პარადოქსი ვერ ჯდებოდა ანტიკური ფილოსოფოსების აწყობილ ლოგიკურ აზროვნებაში და შობდა სხვადასხვა ვერსიებს, მათ შორის, სპარტელი ქალების დაუოკებელი ტემპერამენტისა და მათი ქმრების პათოლოგიური შემწყნარებლობის შესახებ.

სპარტელი ქალის ცხოვრება არ ჰგავდა სხვა ელინელი ქალების კარჩაკეტილ და უსიხარულო არსებობას, განსხვავდებოდა არამარტო კაცებთან ურთიერთობის წარმოუდგენელი თავისუფლებით.

**ათენელი ქალიშვილებისგან განსხვავებით, რომლებიც 14 წლის ასაკში შეიძლება დედები გამხდარიყვნენ, სპარტელებს 18-დან 20 წლამდე ეძლეოდათ ამის უფლება. ისინი სულაც არ იყვნენ უსიტყვო დამჯერენი თავიანთი ქმრების. ისტორიული ცნობების მიხედვით, ქორწინებამდე საკმაოდ თავისუფალ სქესობრივ ცხოვრებას ეწეოდნენ.**

გაგრძელება იქნება

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სიყალბე გამჟღავნდა, მაგრამ მზის სინათლეზე გამოტანილმა სიცრუემ არ შეაშფოთა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორები, რომლებსაც წესითა და რიგით უნდა შერცხვენოდათ ყალბისმქნელობისა გამო. პირიქით, მათ განაგრძეს ასეთი საეჭვო გზით სიარული თავიანთი ტყუილის მოკლე ფეხებით.**




 იგორ პიხალოვი

# ყველაზე ბილწი მითები სტალინზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17 (204)

## პასუხის პასუხი

**ჩვენს წინა პუბლიკაციაში განხილულ საკითხზე გაზეთ „მოსკოვსკაია პრავდას" ნომერში გამოქვეყნდა ო. შატუნოვსკაიასა და ს. შებოლდაევის ერთობლივი წერილი:**

**„იძულებული ვართ, გამოვთქვათ ჩვენი დამოკიდებულება გ. არუთინოვისა და თ. ვოლკოვის სტატიისადმი „ისტორიის სამსჯავროს წინაშე, რომელიც „მოსკოვსკაია პრავდას" მ. წ. 30 მარტის ნომერში გამოქვეყნდა. სტატია, სამწუხაროდ, ბევრად სცილდება ჭეშმარიტებას. ჩვენი მონაცემებით, არ დასტურდება გ. არუთინოვის განცხადება, რომ მან „სკკპ ცკ პრეზიდიუმის კომისიის დავალებით შეისწავლა სტალინის მოღვაწეობასთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტები".** შესაბამისად, არ დასტურდება სტატიის ავტორების მისწრაფებაც, ისტორიული სიმართლის დასადგენად და მისი ყოველმხრივი გამჟღავნების მიზნით დაეხმარონ ცკ პოლიტბიუროს ახლანდელ კომისიას „ახალი დოკუმენტების წარდგენით, რომლებიც სტალინის პიროვნებას ეხება. და აი, რატომ:

ძირითადი ასეთი „ახალი" დოკუმენტი, რომელსაც გ. არუთინოვი და თ. ვოლკოვი სტალინისა და ოხრანკის კავშირების დამამტკიცებელ საბუთად იყენებენ — „ერიომინის წერილი", არაერთგზის გამოქვეყნებულა საზღვარგარეთ, კერძოდ, ფიშერის მონოგრაფიაში „სტალინის ცხოვრება და სიკვდილი". ცნობილი სოვეტოლოგი ედუარდ სმიტი ვარაუდობს, რომ „ერიომინის წერილი" თავის დროზე ერთ-ერთ რუს ემიგრანტს მეხსიერებით ჰქონდა აღდგენილი დაკარგული ორიგინალიდან. ამით, მისი აზრით, არის განპირობებული დოკუმენტში დაფიქსირებული ის შეცდომები, რომელთა გამოც შეუძლებელია დედნად მისი აღიარება.

**სავსებით გასაგები მიზეზებისა გამო თ. ვოლკოვი და გ. არუთინოვი არ ასახელებენ მათ მიერ გამოქვეყნებული წერილის ფონდის და შენახული ერთეულების ნომრებს. ასეთი ფონდი, უბრალოდ, არ არსებობს.**

* * *

**ავტორების მიერაა მოგონილი მტკიცება, რომ „1962 წელს ოლგა შატუნოვსკაიამ სკკპ ცკ წინაშე დააყენა საკითხი სტალინის, როგორც მეფის ოხრანკის აგენტის, მასალების გასაჯაროების შესახებ".** სინამდვილეში ხრუშჩოვი ინფორმირებული იყო ამ თემაზე უცხოური მასალების მიხედვით, რასაც მოჰყვა სტატიაში მოტანილი მისი პასუხი.

თავისი „ნაპოვნის" შესახებ გ. არუთინოვმა 1987 წელს განაცხადა. ჩვენ მას მაშინ ვენდეთ, რადგან მიგვაჩნდა, რომ იგი სერიოზულად შეისწავლიდა საკითხს. ამის ნაცვლად იგი **თ. ვოლკოვთან ერთად შეეცადა მასალებისთვის სენსაციური ხასიათის მიცემას...** *(„მოსკოვკაია პრავდა", 1989 წ., 2 ივლისი, №153, გვ. 4).*

**სიყალბე გამჟღავნდა, მაგრამ მზის სინათლეზე გამოტანილმა სიცრუემ არ შეაშფოთა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორები, რომლებსაც წესითა და რიგით უნდა შერცხვენოდათ ყალბისმქნელობისა გამო. პირიქით, მათ განაგრძეს ასეთი საეჭვო გზით სიარული თავიანთი ტყუილის მოკლე ფეხებით.** აი, რას წერს სამი წლის შემდეგ თ. ვოლკოვი თავის წიგნში „სტალინის აღმაფრენა და დაცემა" *(მოსკოვი, 1992 წ.):*

„ბ. ი. კოპტელოვი და ზ. ი. პერეგუდოვა ცდილობენ უარყონ დოკუმენტი იმის მტკიცებით, რომ, „ჯერ ერთი, 1913 წელს დაცვითი განყოფილება, როგორც ასეთი, არ არსებობდა. ასეთმა კომპეტენტურმა ამხანაგებმა უნდა იცოდნენ, რომ ენისეისკის დაცვითი განყოფილება არსებული დოკუმენტებით არსებობდა" *(დასახელებული წიგნი, გვ. 21-22).*

მაგალითად, მეფის ოხრანკის 1911 წლის 19 დეკემბრის №2840 ცნობაში, რომელიც გადასახლებულ-ჩასახლებულ ელიზავეტა რუმბასთვისაა გაცემული, ნათქვამია: **„ეცნობა მესამე ენისეისკის მაზრის პრისტავს და ენისეისკის გუბერნიის სამმართველოს ციხის განყოფილებას, ენისეისკის გუბერნიის სამმართველოს უფროსს** *(ხაზგასმა ჩემია. — თ.ვ.)* **და ჟანდარმთა კორპუსის განყოფილების როტმისტრ ჟელეზნიაკოვს"** *(იქვე).*

მკითხველებს ვთხოვთ, დაკვირვებით გადაიკითხონ ეს უარმყოფელი გამოხდომა და უმალვე შეამჩნევენ სიყალბეს: **კაპტელოვი და პერეგუდოვა ამტკიცებენ, რომ 1913 წელს არ არსებობდა ენისეისკის დაცვითი განყოფილება, ხოლო თ. ვოლკოვი „უარყოფს" მათ პოზიციას დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს, რომ 1911 წელს არსებობდა ენისეისკის გუბერნიის ჟანდარმთა კორპუსი — სრულიად სხვა სტრუქტურა.**

ვოლკოვის შემდეგი მარგალიტი ასეთია: **„ბ. კოპტელოვს და ზ. პერეგუდოვას, როგორც სხვა მკვლევარებს, ეჭვი არ ეპარებათ, რომ დოკუმენტი ნამდვილია, მაგრამ აცხადებენ, რომ იგი დაცული არ არის ЦГАОР-ში; ლაპარაკია დოკუმენტზე, რომელიც მოწმობს რსდმპ ბაქოს კომიტეტის სხდომის ჩატარებას"** *(იქვე).*

მაგრამ ყალბი დოკუმენტის ისტორია ამითაც არ მთავრდება.

1997 წლის 19 სექტემბერს გაზეთ „იზვესტიაში" ქვეყნდება სტატია „სტალინი მეფის ოხრანკის აგენტი იყო", რომელსაც ხელს აწერს ვინმე ალექსანდრ ნეჩაევი, იტარ-ტასის მიმომხილველი. კრუხის ენთუზიაზმით ავტორი გვამცნობს:

**„ყველა დროისა და ხალხების ბელადი" იოსებ სტალინი, რომელიც თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში მართავდა საბჭოთა სახელმწიფოს, 1906 წელს გადაიბირა მეფის ოხრანკამ და 1910 წელს პარტიის ცკ-ში მის არჩევამდე ჟანდარმერიას აწვდიდა „მნიშვნელოვან აგენტურულ ცნობებს", მტკიცდება დოკუმენტით, რომლის ფოტოასლი პირველად გამოჩნდა რუსეთში. იგი შემთხვევით იპოვა მკვლევარმა, პუბლიცისტმა და მოსკოვის მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა იური ხეჩინოვმა ლ. ნ. ტოლსტოის უმცროსი ქალიშვილის — ალექსანდრა ტოლსტაიას არქივზე ახლახან ჩატარებული მუშაობისას"** *(ა. ნეჩაევი, „სტალინი მეფის ოხრანკის აგენტი იყო", „იზვესტია" №178, გვ. 2).*

ლაპარაკი, რა თქმა უნდა, კვლავ იმ ყბადაღებულ „ერიომინის წერილზეა".

**„ხეჩინოვს ეჭვი არ ეპარება, რომ მის მიერ ნაპოვნი ასლი გადაღებულია ნამდვილი დოკუმენტიდან. მიზეზი რამდენიმეა. ჯერ ერთი, ერიომინის ხელმოწერა დაადასტურა დაცვითი განყოფილების ყოფილმა გენერალმა ალექსანდრ სპირიდოვიჩმა... დოკუმენტის ნამდვილობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ფონდმა მისი ორიგინალი დიდ თანხად დააგირავა ამერიკის ერთ-ერთ ბანკში, სადაც დღემდე ინახება"** *(იქვე).*

სხვა „დამადასტურებელი" ფაქტი მასალაში დასახელებული არ არის. გენერალ სპირიდოვიჩის დადასტურებას ქვემოთ დავუბრუნდებით, მეორე „დადასტურებას" რაც შეეხება, აქვე ვიტყვით, რომ იგი სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან „დოკუმენტი" ერთ-ერთ ამერიკულ ბანკში კი არ იქნა დაგირავებული, არამედ იქ შეინახეს.

პროფესორი ხეჩინოვი სრულ უვიცობას ამჟღავნებს, როცა „ერიომინის წერილს" ასეთ საავტორო კომენტარს ურთავს:

„მას შემდეგ, რაც სტალინს ქ. პრაღაში პარტიის ცენტრალურ კომიტეტში აირჩევენ (1910 წელს. — ავტ.), სტალინი პეტერბურგში ბრუნდება"... *(იქვე).*

საყოველთაოდ ცნობილია, რომ **სტალინი ცკ-ში აირჩიეს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კოოპტირებული იყო არა 1910 წელს, არამედ 1912 წელს.**

სტალინის წინააღმდეგ „გალაშქრებულ" ისტორიკოსებს უარეს შეცდომებსაც პატიობენ. მაგრამ აქ ხეჩინოვმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, შეეცადა მიეთვისებინა „დოკუმენტის" პირველაღმომჩენის დაფნის გვირგვინი, რის გამოც იმავე გაზეთში ორი კვირის შემდეგ ღირსეული პასუხი მიიღო ისტორიის მეცნიერებათა კიდევ ერთი დოქტორისგან — **ი. გ. ფელშტინსკისგან**, რომელიც ბოსტონში ცხოვრობს (აშშ).

**„წერილში „სტალინი მეფის ოხრანკის აგენტი იყო" (1997 წლის 19 სექტემბერი) პროფესორი იური ხეჩინოვი იტყობინება, რომ მან ნიუ იორკის ტოლსტოის ფონდში „იპოვა" პოლიციის დეპარტამენტის საგანგებო განყოფილების გამგის — ერიომინის წერილი სტალინის აგენტურული მუშაობის შესახებ. მაგრამ ეს დოკუმენტი ხომ დიდი ხანია ცნობილია საზღვარგარეთაც და რუსეთშიც! პირველად იგი გამოქვეყნდა ჟურნალ „ლაიფში" 1956 წლის აპრილში. მომდევნო დღეებისა და კვირების განმავლობაში ფართოდ იქნა წარდგენილი ემიგრანტულ ბეჭდვით სიტყვაში და გამოიწვია პოლემიკა.**

**რუსეთში წერილი გამოქვეყნებული იყო „მოსკოვსკაია პრავდაში" ჯერ კიდევ 1989 წლის მარტში და იმ დროიდან ისტორიოგრაფიაში მოიხსენიება „ერიომინის დოკუმენტის" სახელწოდებით. იგი არაერთხელ გადაიბეჭდა რუსეთის გაზეთებსა და ჟურნალებში.**

**„ნოვოე რუსკოე სლოვომ" დაწვრილებით მოგვითხრო დოკუმენტის ისტორია. ი. ხეჩინოვმა, მისი ამასწინანდელი ტელეინტერვიუთი თუ ვიმსჯელებთ, ამის შესახებ იცოდა. იცოდა, რომ წერილი ჩინეთიდან იყო ჩამოტანილი, გადაეცა პროფესორ მ. პ. გოლოვაჩევს, ხოლო 1947 წელს — მაკაროვს, ბახმეტიევსა და სერგეევსკის — ემიგრაციის პოლიტიკურ მოღვაწეებს, იცოდა საფრანგეთსა და ამერიკაში ჩატარებული ექსპერტიზის შესახებაც. გარკვეული იყო, რომ იგი დიდი ხანია ყველასთვის ცნობილია. და, ამის მიუხედავად, მოინდომა პირველაღმომჩენობა დოკუმენტისა, რომელიც საზღვარგარეთ გამოქვეყნდა ორმოცზე მეტი წლის, ხოლო რუსეთში შვიდ წელიწადზე მეტი ხნის წინათ"** *(ი. ფელშტინსკი, „კიდევ ერთხელ სტალინის, ოხრანკის აგენტობის შესახებ", „იზვესტია" 1997 წლის 2 ოქტომბერი, №187, გვ. 5).*

ფელშტინსკიმ კი ამხილა ხეჩინოვი პრიორიტეტის მითვისებაში, მაგრამ ერთხელაც არ უხსენებია ისეთი „წვრილმანი", რომ „ერიომინის დოკუმენტი" დიდი ხანია ნაყალბევადაა აღიარებული. ეს გასაკვირი არცაა, რადგან თვით იური გეორგიევიჩი სტალინის „პროვოკატორობის" ვერსიის აქტიური პროპაგანდისტია. მან უსაყვედურა ხეჩინოვს სხვისი „დაფნის გვირგვინის" მითვისების მცდელობის გამო და აქვე თავის პუბ- ▶

**სტალინის ოხრანკასთან თანამშრომლობის მთელი ეს ისტორია ყალბია და ეფუძნება უნიჭოდ, უამრავი ხარვეზით შედგენილ ნაყალბევ «დოკუმენტს»**

მსოფლიო



## ირანში ამერიკის და ისრაელის აგენტები გამოავლინეს და ჩამოახრჩვეს

**ირანში ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი ორი ადამიანი დააკავეს და სიკვდილით დასაჯეს. თეირანის რევოლუციურმა სასამართლომ ორ მამაკაცს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. საბოლოო განაჩენი უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა.** პროკურატურის ცნობით, ამ ორთაგან ერთი მუჰამედ თეიგარი ისრაელის მოსადის აგენტი იყო, მეორე — კურუშ ახმადი კი შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურთან თანამშრომლობდა. გამოძიების ცნობით, სიკვდილმისჯილები ისრაელის სპეცსამსახურებს ფულის სანაცვლოდ ირანის საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდნენ.



მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწორედ ცარიცინის დაცვის დროს პირველად იჩინა თავი სტალინის, როგორც სამხედრო მეთაურის, ნიჭმა. 1918 წლის ზაფხულში იგი მიავლინეს რუსეთის სამხრეთში, როგორც სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო რწმუნებული ჩრდილოეთ კავკასიაში პურის დამზადებისა და გამოზიდვის საკითხში. ცარიცინში სტალინი 6 ივნისს ჩავიდა და დაამყარა ისეთი წესრიგი, რომ სრულად უზრუნველყო სურსათის დაუბრკოლებელი მიწოდება რუსეთისთვის.**



„ცარიცინის დაცვა“

◀ ლიკაციაში მოჰყავს „ნამდვილად ახალი დოკუმენტი, რომელიც სტალინის პროვოკატორობას ეხება და რომელიც ადრე არსად გამოქვეყნებულა“, — ანუ გენერალ სპირიდოვიჩის ის ყბადაღებული წერილი, რომელშიც იგი ადასტურებს ერიომინის ხელმოწერის ნამდვილობას.

რამდენად ავტორიტეტულია ეს დამოწმება, თავად განსაჯეთ: გენერალმა სპირიდოვიჩმა თავისი წერილი 80 წლის ასაკში დაწერა, ანუ იმ მოვლენებიდან 40 წლის შემდეგ, რომლებზეც ვლაპარაკობთ. ხოლო ერიომინის ხელმოწერის მისთვის ხელმისაწვდომი ერთადერთი ნიმუში იყო წარწერა, რომელიც ამოჭრილი იყო ვერცხლის სუროზე და რომელიც თვალშისაცემად განსხვავდება დოკუმენტის ხელმოწერისგან (ერიომინის ხელმოწერების — ნამდვილისა და გაყალბებულის, ან გრავიორის მიერ შესრულებულის შედარების საშუალება ჩვენს მკითხველებს „საქართველო და მსოფლიოს“ წინა პუბლიკაციაში ჰქონდათ).

**გენერალი არ იბრალებს გრაფოლოგიის სპეციალისტობას და პირდაპირ წერს, რომ იგი გრძნობს, „ხელმოწერა ნამდვილია და ამიტომ სჯერა“** *(იქვე).*

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ ისტორიაში წერტილის დასმა ნაადრევია. ამ ბოლო დროს ლიბერალურმა მასმედიამ დაიწყო ახალი ისტერიკა „სტალინის დაბრუნების“ გამო. მაშასადამე, უნდა ველოდოთ „ერიომინის წერილის“ ახალ სენსაციურ აღმოჩენებსა და პუბლიკაციებს.

დაბოლოს, სტალინის ოხრანკასთან თანამშრომლობის მთელი ეს ისტორია ყალბია და ეფუძნება უნიჭოდ, უამრავი ხარვეზით შედგენილ ნაყალბევ „დოკუმენტს“. ამასთან, ამ სიყალბის ავტორებად გვევლინება ისტორიული მეცნიერების, სულ ცოტა, ოთხი დოქტორი, რომელთაც დაკარგული აქვთ არამარტო მეცნიერული კეთილსინდისიერება, არამედ ელემენტარული ადამიანური წესიერება.

სამწუხაროდ, ამ სფეროში ასეთნაირები საკმაოდ მოიძებნებიან, მათ შორის ჩვენი თანამემამულეები ვინმე ვაიმეცნიერის — მასხარაშვილის მეთაურობით.

## ლეგენდა ცარიცინის ბარჟის შესახებ

ცარიცინის დაცვა სამოქალაქო ომის პირველი წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი იყო. ეს ქალაქი ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირების საკვანძო პუნქტი იყო. ცარიცინზე გადიოდა გზები, რომლებიც რუსეთის ცენტრალურ რაიონებს აკავშირებდა ქვედა ვოლგისპირეთთან, ჩრდილოეთ კავკასიასთან და შუა აზიასთან, საიდანაც ცენტრი სურსათითა და საწვავით მარაგდებოდა. მისი აღება შესაძლებლობას იძლეოდა განხორციელებულიყო რუსეთის სამხრეთისა და ციმბირის თეთრების ძალების ესოდენ სასურველი გაერთიანება.

**სწორედ ცარიცინის დაცვის დროს პირველად იჩინა თავი სტალინის, როგორც სამხედრო მეთაურის, ნიჭმა. 1918 წლის ზაფხულში იგი მიავლინეს რუსეთის სამხრეთში, როგორც სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო რწმუნებული ჩრდილოეთ კავკასიაში პურის დამზადებისა და გამოზიდვის საკითხში.**

**ცარიცინში სტალინი 6 ივნისს ჩავიდა და დაამყარა ისეთი წესრიგი, რომ სრულად უზრუნველყო სურსათის დაუბრკოლებელი მიწოდება რუსეთისთვის.** როცა კრასნოვის დონის არმიამ დაიწყო შეტევა და 19 ივნისს შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო, სტალინი მისი თავმჯდომარე გახდა. კლიმენტ ვოროშილოვთან ერთად მან შეძლო ქალაქის შენარჩუნება და თავიდან აიცილა კრასნოვისა და დუტოვის არმიების შეერთება.

წითელი არმიის თავის ტკივილი იყო მის რიგებში მყოფი „სამხედრო სპეციალისტების („ვოენსპეცების“) — მეფის არმიის ყოფილი ოფიცრების — მუდმივი ღალატის შემთხვევები. ეს ბევრ საბჭოთა მოღვაწეს საგონებელში აგდებდა. მართლაც, როცა, მაგალითად, 1918 წლის ივნისში შექმნილი მეორე არმიის სამი სარდალი ერთიმეორის მიყოლებით მოღალატეები აღმოჩნდებიან *(იხ. წიგნი „სამოქალაქო ომი და სამხედრო ინტერვენცია...“, გვ. 411),* ძალაუნებურად დაეჭვდები. „მეხუთე კოლონამ“ თავი ცარიცინის ფრონტზეც იჩინა. მას სათავეში ჩაუდგა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ნოსოვიჩი.

ამის თაობაზე ცნობილი ანტისტალინელი დიმიტრი ვოლკოგონოვი წერს:

„დენიკინისთვის დახმარების მიუხედავად, მეფის ყოფილი პოლკოვნიკის, „ვოენსპეცის“ ნოსოვიჩის მხრიდან ცარიცინის შტურმმა თეთრგვარდიელებს წარმატება არ მოუტანა...

**ნოსოვიჩისა და მეფის არმიის ყოფილი ოფიცრების ღალატმა გაუძლიერა სტალინს მისი ისედაც უნდო დამოკიდებულება სამხედრო სპეციალისტების მიმართ. სახალხო კომისარი, რომელიც აღჭურვილი იყო საგანგებო უფლებამოსილებით სასურსათო საკითხებში, არ მალავდა თავის დამოკიდებულებას სამხედრო სპეციალისტების მიმართ.** სტალინის ინიციატივით „ვოენსპეცების“ დიდი ჯგუფი დააპატიმრეს. ბარჟაზე შექმნეს მცურავი ციხე. ბევრი დახვრიტეს“ *(დ.ა. ვოლკოგონოვი, „სტალინი. პოლიტიკური პორტრეტი“, წიგნი I, 1997 წელი, გვ. 91).*

**ნოსოვიჩისა და მეფის არმიის ყოფილი ოფიცრების ღალატმა გაუძლიერა სტალინს მისი ისედაც უნდო დამოკიდებულება სამხედრო სპეციალისტების მიმართ. სახალხო კომისარი, რომელიც აღჭურვილი იყო საგანგებო უფლებამოსილებით სასურსათო საკითხებში, არ მალავდა თავის დამოკიდებულებას სამხედრო სპეციალისტების მიმართ**

შეიძლება გაგიკვირდეთ კიდეც, მაგრამ ისტორიკოსი-ანტისტალინელი საკმაოდ ზუსტად გადმოგვცემს საქმის არსს, თანაც სტალინის მოქმედება სავსებით გამართლებული ჩანს... არაფერი გასაოცარი არ არის იმაში, რომ პატიმრები ბარჟაზე მოათავსეს. შექმნეს მცურავი ციხე. დიდი ამბავი! იმავეს აკეთებდნენ, მაგალითად, ინგლისელები ინგლის-ბურების ომის დროს. ბოლშევიკების მოწინააღმდეგეებიც არ თაკილობდნენ ამგვარ მეთოდებს. მაგალითად, თითქმის იმავე დროს, 1918 წლის 6 ივლისს დაწყებული იაროსლავში 200-მდე დაპატიმრებული საბჭოთა აქტივისტი ამბოხებულებმა სწორედ ბარჟაზე განათავსეს. გათავისუფლების მომენტისთვის მათგან ცოცხალი მხოლოდ 109 პატიმარი აღმოჩნდა.

აი, რას იტყობინებოდა 1918 წლის 18 ოქტომბერს აღმოსავლეთ ფრონტის მე-2 არმიის ოპერატიული ცნობა:

**„ვოლგის სამხედრო ფლოტილია, როგორც კი შეიტყო, რომ გოლიანაში (სარაპულიდან ჩრდილოეთისკენ 30 ვერსის მოშორებით, კამის მარჯვენა ნაპირთან) დგას ბარჟა დაპატიმრებული საბჭოთა მუშაკებით ბორტზე, გამოვიდა სარაპულიდან და კამას აღმა აუყვა, მითითებული ბარჟის ხელში ჩასაგდებად. გოლიანაში რომ ჩავიდა, ფლოტილიის უფროსი თეთრგვარდიელად წარუდგა და ნავმისადგომთან მდგარ საბუქსირო გემს თეთრგვარდიელთა სარდლობის სახელით უბრძანა ბარჟა ბუქსირზე აეყვანა და ქვემოთ, სარაპულისკენ წასულიყო. ეშმაკობამ გაჭრა — ბარჟა მშვიდობიანად ჩაიყვანეს სარაპულში.**

**ბარჟაზე აღმოჩნდა 522 საბჭოთა მუშაკი, რომლებიც უსაშინელეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ: უმრავლესობა შიშველი იყო და სხეული ჭილოფით ჰქონდათ დაფარული, უკიდურესად უძალონი და ღონემიხდილნი ჩანდნენ, შიმშილისგან ფეხზე ძლივს იდგნენ. წინა დღით დახვრიტეს 30 კაცი. 18 ოქტომბრის ღამეს დანარჩენებსაც იგივე ბედი ელოდათ; თეთრი ჯალათებისგან თავდახსნით გამოწვეული სიხარული ენით აღუწერელი იყო“** *(დ.ლ. გოლინკოვი, „ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთის კრახი სსრკ-ში, წიგნი I, 1978 გვ. 251).*

მაგრამ ჩვენს ბევრისმომთხოვნ ინტელიგენტს არ დააკმაყოფილებს მოვლენების ასეთი პროზაული შეფასება. იგი მხატვრულ ლიტერატურაზეა აღზრდილი. მას ჯერ კიდევ სკოლაში აუხსნეს, რომ, თუ სპექტაკლის პირველ აქტში კედელზე ჰკიდია თოფი, მაშასადამე, წარმოდგენის ბოლოს იგი მოვალეა, გაისროლოს. ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, ყოველთვის ასე არ ხდება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სწორედ პირიქით ხდება: კედელზე დაკიდებული თოფი, არავის ერჩის, ნელ-ნელა მტვერი ედება და არავითარი სურვილი არ აქვს, გაისროლოს. მაგრამ განა შეუძლია ჭეშმარიტ ინტელიგენტს, იხელმძღვანელოს ცხოვრების საძულველი პროზით?!

განვიხილოთ ცარიცინის ეპიზოდი ვოლკოგონოვის ინტერპრეტაციით. ინტელიგენტური ქვეცნობიერი მას დაეჭვებისკენ უბიძგებს: პატიმრები ბარჟაზე განათავსეს. სწორედ ბარჟაზე და არა ციხის შენობაში. თოფმა უნდა გაისროლოს. ბარჟა რა შუაშია?

**„რამდენიმე ათეული „ვოენსპეცი“, რომლებიც სნესარევმა თავის დროზე თავის შტაბში დანიშნა, ცდილობდნენ სტალინისთვის განემარტათ, რომ საჭიროა, ყურადღება მიაქციოს მისთვის საძულველ „ნახაზებსა“ და გეგმებს. პასუხად სტალინმა უბრძანა ადგილობრივ ჩეკისტებს, „გარკვეულიყვნენ და 22 აგვისტოს ღამით ჩეკისტებმა დაპატიმრებული ვოენსპეცებით“ აავსეს ტევადი ბარჟა, გაიყვანეს შუა ვოლგაში და დახვრიტეს, ცხედრები კი წყალში ჩაყარეს“** *(ს.ნ. ბურინი, „გრიგორი კოტოვსკი: ლეგენდა და სინამდვილე“, 1999 წელი, გვ. 219).*

ესეც პირველი საფეხური მითისა, რომელსაც სინამდვილიდან მითში მივყავართ. ხედავთ სხვაობას? ვოლკოგონოვის მიხედვით, სამხედრო სპეციალისტებისადმი სტალინის ცუდი დამოკიდებულება ნოსოვიჩისა და სხვა ყოფილი ოფიცრებისადმი იყო მათი ღალატის მიზეზი. მაშასადამე, სტალინი, რასაკვირველია, ახირებული კაცია, რომელიც არ ენდობოდა სპეციალისტებს, მაგრამ ამ უნდობლობას ჰქონდა საპატიო მიზეზი. ბოროტმოქმედის სახეს სრულყოფა აკლია... ამიტომ ახალი ვერსიიდან ამოიღეს ნოსოვიჩის ღალატის ფაქტი. გამოდის, რომ სტალინმა „ვოენსპეცების“ დაპატიმრების ბრძანება გასცა იმიტომ, რომ ისინი ცდილობდნენ, მისთვის განემარტათ რუკებთან მუშაობის აუცილებლობა. სტალინი იძენს გაუნათლებელი ტირანის კლასიკურ თვისებებს...

„ბევრი დახვრიტეს“, — ამბობს შემდეგ ვოლკოგონოვი. რაღაც გაურკვევლად ჟღერს. რას ნიშნავს „ბევრი“? ეს პატიმართა ნახევარიც არ არის, სხვანაირად რომ ყოფილიყო, „ბევრის“ ნაცვლად იტყოდნენ „უმეტესობას“. სამაგიეროდ ახლა ყველაფერი ნათელია: „დაპატიმრებულები ჩატენეს ტევად ბარჟაში“. ენერგიული სიტყვა „ჩატენეს“ ბევრის მთქმელია: ბარჟა ჩვეულებრივი კი არ არის, არამედ „ტევადია“.

იოლი მისახვედრია, როგორი უნდა იყოს მითების შემოქმედების მომდევნო სტადია. ბარჟას აქვს კიდევ ერთი, ჯერჯერობით გამოუყენებელი თვისება. როგორც დანარჩენ საწყლოსნო ტრანსპორტს, მას არამარტო ცურვა შეუძლია, არამედ ჩაძირვაც. შედეგად ვიღებთ მსგავს „მტკიცებას“:

**„1918 წელს ცარიცინში სტალინის განკარგულებით ვოლგაში ჩაძირეს ბარჟა, რომლის ტრიუმები ტყვეებით იყო დატენილი“** *(ბ. ილიზაროვი, „ისტორიული გეშტალტის, ისტორიული სივრცისა და ისტორიის შესახებ“, ინდექსი. დოსიე ცენზურაზე, 2001, №14, გვ. 142).*

დაპატიმრებულები **ტყვეებად** გამოაცხადეს.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ დასასრული არ არის: სტალინის „ბოროტმოქმედებას“ მასშტაბურობა აკლია. ეს ნაკლიც გამოსასწორებელია:

**„სტალინი წმინდა წყლის ბოროტმოქმედია, რომელმაც თავისი ბოროტმოქმედება ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროიდან დაიწყო. მან ცარიცინთან ბარჟებში დაახრჩო ყველა ის თეთრი გენერალი, ოფიცერი, რომლებიც ყველა ჯარიდან შეაგროვა...“** *(იოსებ სტალინი: „დიქტატორი თუ პროვოკატორი?“ „კომსომოლსკაია პრავდა“ 2002 წლის 3 დეკემბერი, №222, გვ. 8).*

ასეთი ვერსიით არ შეგრცხვება ტელევიზიით გამოსვლა, გაზეთში წერილის გამოქვეყნება.

ასეთი რამე ახლა მოდაშია.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

მოკლედ



## ამერიკას თავს 20-ზე მეტი ტორნადო დაატყდა

**აშშ-ის 5 შტატს — აიოვას, ოკლახომას, კანზასს, მისურისა და ილინოისს ტორნადოს სერიამ გადაუარა.**

ქვეყნის ეროვნულმა მეტეოროლოგიურმა სამსახურმა რამდენიმეჯერ გააფრთხილა მოსახლეობა მოახლოებული ქარიშხლების შესახებ, მაგრამ სტიქიას მაინც მოჰყვა მსხვერპლი — დაიღუპა 2 ადამიანი და 20-ზე მეტი დაშავდა. ზოგიერთ რაიონში მოსახლეობას ევაკუაციისთვის ნახევარ საათზე ნაკლები დრო რჩებოდა. დაწყვეტილია ელექტროსადენები, ათასობით ადამიანი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. კანზასის აეროპორტში გაუქმებულია ყველა რეისი, მოსახლეობას გარეთ გამოსვლას არ ურჩევენ.



ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ფინურ სასტუმროში ძილისთვის ფულს იხდიან



**ფინეთის ერთ-ერთი სასტუმრო ეძებს პროფესიონალ მძინარას, რომელსაც მაღალანაზღაურებად კონტრაქტს სთავაზობს. კონტრაქტის პირობებით, ახალი თანამშრომლის ძირითადი მოვალეობა რეგულარული ძილი და იმ ბლოგის წარმოებაა, რომელშიც სიზმრების შესახებ ორიგინალური ჩანაწერები უნდა გააკეთოს.**

ამ თანამდებობაზე ნებისმიერ მსურველ ახალგაზრდა ადამიანს შეუძლია დასაქმება, მთავარია ფინური, ინგლისური და რუსული ენები იცოდეს და დიდხანს უშფოთველად ეძინოს. **კონტრაქტი 35-დღიან თანამშრომლობას ითვალისწინებს, სამუშაოს მიღების სურვილი 1000-ზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა.**

# «ცნობისმოყვარეობამ» მარსზე ზღვის კვალი აღმოაჩინა

**ახლახან ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე მარსმავალ Curiosity-ის სპეციალისტებისა და ინჟინრების ჯგუფმა განაცხადა, რომ გარკვეული პერიოდის წინ მარსზე სიცოცხლისთვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა.**
**ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს Curiosity-ის („ცნობისმოყვარეობა“) აღმოჩენები იძლევა.**



**მარსი ადამიანს ყოველთვის იზიდავდა. მეცნიერების ინტერესი წითელ პლანეტაზე სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობითაა განპირობებული.**

მზის სისტემის სხვა პლანეტებისგან განსხვავებით, მარსი დედამიწას ყველაზე მეტად ჰგავს. კოსმოსის ათვისების პირველივე ეტაპზე მარსისკენ ხელოვნური თანამგზავრების გაშვება დაიწყეს. ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან ერთად ადამიანმა წითელ პლანეტაზე მარსმავალები გაგზავნა. ამერიკული „ვიკინგი“ იყო პირველი, რომელიც მარსზე წარმატებით დაეშვა.

მისი გამოყენებით „ნასას“ მეცნიერები მარსზე სიცოცხლის კვალის აღმოჩენას ცდილობდნენ. მაგრამ მოპოვებული ცნობები ურთიერთგამომრიცხავი აღმოჩნდა და ამერიკელები ბიოლოგიიდან გეოლოგიაზე გადაერთნენ. ლოგიკა მარტივი იყო — ნებისმიერი სახის სიცოცხლე წყალს საჭიროებს, ამიტომაც სიცოცხლის კვალის ძიებას მეცნიერებმა წყლის მოძებნა ამჯობინეს. მარსზე გაშვებული შემდეგი თაობის მარსმავლებს — „სოდჟერნერს“, „სპირიტს“, „ოპორტუნიტს“ და „ფენიქსს“ სწორედ ეს ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული.

მრავალწლიანი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ მრავალი მილიონი წლის წინ მარსს ზღვები და მდინარეების განვითარებული ქსელი ჰქონდა. მაგრამ, სკეპტიკოსთა აზრით, წყლის რაოდენობა მისი სიცოცხლისთვის ვარგისიანობასთან არანაირ კავშირშია. წყალში, დიდი რაოდენობით მარილის არსებობის შემთხვევაში, მიკროორგანიზმების აღმოჩენაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ამიტომაც Curiosity-ის მთავარი ამოცანა მარსზე ოდესღაც არსებული წლის შემადგენლობის დადგენა გახდა.

ამისთვის მეცნიერები მარსის ქანებს იკვლევენ. 5 სანტიმეტრის სიგრძის ბურღით აღჭურვილი „ცნობისმოყვარეობა“ ქანებიდან ამოღებული ნიადაგის ნიმუშების შემცველობას დეტალურად აანალიზებს და დედამიწაზე შესაბამის ფოტოებსაც აგზავნის. მეცნიერთა აზრით, გეილის კრატერი, სადაც მარსმავალი დაეშვა, რამდენიმე მილიონი წლის წინ წყლით იყო სავსე. შემდგომ, დაუდგენელი მიზეზებით, წყალი გაქრა. კრატერის ცენტრში კი ქანების ჩამონწოლის შედეგად შარპის მთა წარმოიშვა. ქანების ათეულობით ფენისგან შემდგარი მთა მარსის მილიონობით წლიან გეოლოგიურ ისტორიას ინახავს.

თავისი პირველი აღმოჩენა „ცნობისმოყვარეობამ“ წითელ პლანეტაზე დაშვებიდან ორ თვეში გააკეთა. 2012 წლის 27 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ მარსმავალმა დამშრალი ნაკადულის კალაპოტი აღმოაჩინა. მათი არსებობის შესახებ მეცნიერებმა ადრეც იცოდნენ, თუმცა „ცნობისმოყვარეობის“ დამსახურება იმ წვრილი ხრეშის აღმოჩენაა, რომელიც ჩვენს პლანეტაზე არსებულისგან პრაქტიკულად არ განსხვავდება. სპეციალისტებმა ამ ნაკადულში ოდესღაც მიმავალი წყლის სიჩქარეც განსაზღვრეს — დაახლოებით 1 მ/წმ-ში. ამ აღმოჩენამ, მარსმავლის დაშვების ადგილის შერჩევის სისწორე კიდევ ერთხელ დაადასტურა. თუმცა, მარსის წყლის შემადგენლობა კვლავ უცნობი დარჩა.

საინტერესო ობიექტებს „ცნობისმოყვარეობა“ თანამედროვე ხელსაწყოებით იკვლევს. მის არსენალში Cheam-Cam, APXS, CheMin მოწყობილობები შედის. პირველი ქვებისა და ქანების ქიმიურ შემადგენლობას მათზე მიმართული ლაზერის სხივის შედეგად წარმოქმნილი ანარეკლით ადგენს. APXS სისტემა მინერალების სტრუქტურას მათი ალფა-ნაწილაკებით დასხივებით და მიღებული ანარეკლით განსაზღვრავს. სპექტრომეტრი CheMin როგორც ქიმიურ, ასევე კრისტალურ სტრუქტურებს იკვლევს.

2013 წლის იანვრის ბოლოს „ცნობისმოყვარეობამ“ გაბურღვისთვის პირველი ობიექტი ამოარჩია. ქვით, რომელსაც „ჯონ კლეინი“ უწოდეს, მეცნიერები თავიდანვე დაინტერესდნენ. ის დიდი რაოდენობით წვრილ თეთრ ძარღვებს შეიცავდა. გეოლოგთა აზრით, ეს კალციუმის სულფატი, ანუ იგივე თაბაშირი უნდა ყოფილიყო. ანალოგიური თეთრი ძარღვები დედამიწაზე მინერალებსა და ქვებშიც გვხვდება. ისინი ბზარებში წყლის მოძრაობისას წარმოიქმნება. გაბურღვის შედეგად მიღებული ნიმუშების ანალიზის პასუხებს მიწაზე ერთი თვე ელოდნენ.

დაახლოებით 20%-ით „ჯონ კლეინი“ წვრილდისპერსიული ნალექი ქანებისგან შედგება. დანარჩენი შემადგენლობა ვულკანური მინერალებია. წვრილდისპერსიული ნაწილი, ფაქტობრივად, დაპრესილი თიხაა, რომელიც დედამიწაზე დამშრალ მდინარეებში არსებულისგან არაფრით განსხვავდება. ამავე ქანებში მეცნიერებმა სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის გოგირდიც აღმოაჩინეს, რომელიც ბაქტერიებისა და მიკროორგანიზმებისთვის ენერგიის წყარო შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ სიცოცხლისთვის მისაღები პირობების აღმოჩენა თავად სიცოცხლის აღმოჩენას სრულებითაც არ ნიშნავს.

## კლავიატურა-ფაზლი



**თუ თქვენ კომპიუტერის აქტიური მომხმარებელი ხართ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ იპოვეთ ისეთი კლავიატურა, რომელიც მაქსიმალურ კომფორტს გიქმნით, იმედს ნუ გადაიწურავთ. ამ პრობლემის მოგვარებაში ახალი კლავიატურა-ფაზლი დაგეხმარებათ.**

დიზაინერმა ვან ფუ ჩინამ Puzzle Keyboard-ის შექმნა პროტოტიპი, რომელზეც კლავიშები შეგიძლიათ თქვენი სურვილისამებრ განალაგოთ. ეს ორიგინალური კლავიატურა პატარა ნაწილებად იშლება და შემდეგ მას საჭირო ფორმას მომხმარებელი თავად ანიჭებს. კლავიატურა-ფაზლი განსაკუთრებით გამოადგებათ კომპიუტერული თამაშების მოყვარულებს — მასზე თამაშისთვის საჭირო კლავიშები შეიძლება ცალკე შეიკრიბოს.

## სუნამო-ჰიბრიდი




**ჰოლანდიელმა პარფიუმერებმა ლენერტმა და სანდერმა შექმნეს სუნამო, რომელშიც 2012 წელს წარმოდგენილი ყველა პარფიუმის სურნელია გაერთიანებული. მათი თქმით, 1 400 სურნელის ნაზავი ნებისმიერ ქალს დაატყვევებს. სუნამოს „ყველაფერი“ ჰქვია.** ქალის ცხოვრებაში სუნამოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ცნობილი ბრენდები ახალ კოლექციას ყოველ თვე ქმნიან. ეს ბაზარი უკვე ათვისებულია და კონკურენცია ძალიან მაღალია, თუმცა ასეთ პირობებშიც კი ჰოლანდიელმა წყვილმა ორიგინალურ ხერხს მიმართა — 2012 წელს წარმოდგენილი სუნამოების 1 400 ნიმუში შეაგროვა.



## დაქორწინებული კაცები მარტოხელებზე 30%-ით მეტ ფულს შოულობენ

**დაქორწინებული მამაკაცები უფრო მეტ ფულს შოულობენ, ვიდრე მათი მარტოხელა „კოლეგები“, — ამბობენ ეკონომიკის უმაღლესი სკოლის მკვლევარები. მათი აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ ქალები ცხოვრების თანამგზავრად უფრო წარმატებული კარიერის მქონე პარტნიორებს ირჩევენ, ხოლო დამსაქმებლები მამაკაც თანამშრომლებში პასუხისმგებლობას და აქტიურობას აფასებენ.**

თავად მამაკაცებს, როდესაც აქვთ ოჯახის რჩენის საშუალება, ოჯახის შექმნის იდეა მაშინ უჩნდებათ. ექსპერტების თქმით, ამის გათვალისწინებით დაოჯახებული მამაკაცები, უცოლოებთან შედარებით, 10-30%-ით მეტ ფულს შოულობენ.

სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე ცოტა შემოსავალი პრინციპულ მარტოხელებს აქვთ, მათზე ოდნავ მეტი — განქორწინებულებს. შემდეგ სიაში მოდიან ქვრივები, ქორწინებაში მყოფი, თუმცა ცალკე მცხოვრები მამაკაცები. მათზე მეტს შოულობს ის, ვინც სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფება და ბოლოს, ყველაზე მეტი შემოსავალი აქვს მამაკაცს, რომელიც ოფიციალურადაა დაქორწინებული. **ქალების შემთხვევაში ასეთი ურთიერთდამოკიდებულება არ ფიქსირდება.**



## ტაქსი-სასტუმრო

**ლონდონელმა ტაქსის მძღოლმა დევიდ უიკესმა ფულის შოვნის ახალ ხერხს მიაგნო: მან თავისი მანქანა სასტუმროდ აქცია.** მანქანის სალონი არაფრით ჩამოუვარდება ძვირადღირებული სასტუმროს ნომრებს. ტაქს-სასტუმროს Relax-A-Taxi ეწოდება. აქ სტუმარს დახვდება რბილი და განიერი საწოლი, სანათი, ფანჯრებზე ფარდები, მზის ელემენტებზე მომუშავე რადიო, iPad-ი, პორტარტული მაცივარი და მაგიდა.

გარდა ამისა, დევიდის ტაქს-სასტუმროში არის რბილი დათუნია პადინგტონი — მათთვის, ვინც მარტო ვერ იძინებს.

რაც შეეხება სააბაზანოს, ექსტრავაგანტული ტაქსის მძღოლი ყველა თავის სტუმარს ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და შხაპის მისაღებად საკუთარ სახლში არსებულ სააბაზანოს სთავაზობს. ამ ტაქსში ერთი ღამის გათევა 50 ფუნტი სტერლინგი ჯდება. აღსანიშნავია, რომ „ნომრის“ დაჯავშნა Wimdu.com-ის მეშვეობითაა შესაძლებელი.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## რძისგან არაყი გამოხადეს

**ინგლისის საგრაფო დორსეტში მცხოვრებმა ფერმერმა ჯეისონ ბარბერმა მსოფლიოში პირველად რძისგან არაყი გამოხადა. არყის გამოხდის მეთოდზე 3 წლის განმავლობაში მუშაობდნენ.** ჯეისონს ფერმაში 250 ძროხა ჰყავს და შესაბამისად, რძეც საკმარისზე მეტია. ფერმერი არყის გამოხდის საიდუმლოს არ ამხელს. არაყ „შავ ძროხას“ საპატიო ადგილი უჭირავს ლონდონის პრესტიჟული რესტორნების მენიუში.

**რძის არყის ღირებულება 42 დოლარია.**

# ჩინელი მხატვარი ხეებზე ხატავს





23 წლის ჩინელი მხატვრის, ვონგ იუეს, შემოქმედების წყალობით, შეცზიაჩჟუანის ქუჩები უფრო მხიარული გახდა. გოგონა ქალაქში დარგულ ხეებზე ხატავს. მისი „ტილოების“ პერსონაჟები ცხოველები არიან. მხატვარს ყოველთვის თან აქვს ზურგჩანთა, რომლითაც სამუშაო იარაღები, ფუნჯები და საღებავები დააქვს. როდესაც მუზა ეწვევა, სტუდენტი ხეებს ტილოებად იყენებს.

# ყაზახმა გოგონამ ევროპა თავისი მოქნილობით გააოგნა

**ზლატას, რომლის ნამდვილი სახელი იულია გენტჰელია, მსოფლიო რეზინის გოგონას სახელით იცნობს. მან ამჯერად ახალი კალენდრით — „მეტი მოქნილობა ოფისში“— მიიპყრო ყურადღება.**

ზლატა წარმოშობით ყაზახეთიდანაა. ჯერ კიდევ 4 წლის ასაკში შენიშნეს მისი უჩვეულო ნიჭი და საოცარი მოქნილობა, 6 წლისა კი ყაზახეთის საცირკო სასწავლებელში მიაბარეს.

როცა ზლატა 16 წლის გახდა, მშობლებთან ერთად გერმანიაში, ლაიფციგში გადავიდა საცხოვრებლად. სწორედ იქ გახდა პროფესიონალი „რეზინის არტისტი“.

ზლატას ახალი პროვოკაცია — 2013 წლის კალენდარი „მეტი მოქნილობა ოფისში“, რომელიც ამ დღეებში გერმანიაში გამოვიდა, წამიერად გაიყიდა. ფოტოებზე ზლატა ყველაზე წარმოუდგენელ პოზებშია: ყავას ასხამს... ფეხით, კომპიუტერთან მუშაობს ხელებზე მდგომი, მთლიანად არის მოთავსებული პატარა ტუმბოში.

**„ბოსების უმრავლესობა ქვეშევრდომებისგან მოითხოვს მეტ მოქნილობას მუშაობაში,** — ამბობს ზლატა, — **იმედი მაქვს, ამ კალენდრით ოფისის თანამშრომლებს შთავაგონებთ, სინამდვილეში როგორ გახდნენ უფრო მოქნილები, მათ ხელმძღვანელებს კი მართებულ მოტივაციას მივცემ“.**

როგორც ზლატა ამბობს, დღეში სამი საათი ვარჯიშობს და შეუძლია თითოეულ პოზაში 5 წუთი დაჰყოს. **„მიყვარს ექსტრემალური პოზების მიღება, რათა საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარი შევამოწმო. სინამდვილეში ეს სულაც არ არის მტკივნეული, პირიქით, სასიამოვნოც კია“,** — აღიარებს ზლატა.

ზლატას სახელი დღეს უკვე გასცდა ევროპის ფარგლებს, გოგონა საკუთარ თავს „მოქნილობის ქალღმერთს“ უწოდებს და ჰოლივუდურ კარიერაზე ოცნებობს.











# ღილებისგან აკინძული სკულპტურები



**მაიამელი მხატვარი აუგუსტო ესკიველი ათასობით ღილისგან არაჩვეულებრივ სკულპტურებს ქმნის. ოსტატი ფრთხილად აცვამს ღილს ძაფებზე და შემდეგ მათ საჭირო ადგილას კიდებს.**

მიუხედავად იმისა, რომ მისი საქმე ბევრ დროს, მოთმინებას და ღილებს მოითხოვს, მხატვარმა უკვე შექმნა პიანინო, ველოსიპედი, ვიოლინო და სხვა უამრავი სკულპტურა.

ესკიველიმ უკვე გააკეთა რამდენიმე გამოფენა. მის ქმნილებებს ატომის სტრუქტურას ადარებენ: პატარა ათასობით ფერადი „მოლეკულა“ ერთ მთლიან და უნიკალურ ხელოვნების ნიმუშს ქმნის.



## ვარცხნილობა ტანზე

**მამაკაცები ხშირად ქალებზე უფრო ორიგინალურ და ექსტრავაგანტულ ტენდენციებს აყალიბებენ. მაგალითად, იკეთებენ ვარცხნილობებს გულმკერდსა და ზურგზე.**

ინტერნეტში გავრცელდა ფოტოგალერეა, რომელშიც თავმოყრილია ტანზე გაკეთებული სხვადასხვა ვარცხნილობის ფოტოები. ზოგიერთი მათგანის ვარცხნილობა წარმოსახვის საზღვრებსაც კი სცდება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## «ვინდოუს 8»-ის ახალ ვერსიას ივნისში წარადგენენ

**პროგრამული უზრუნველყოფის გიგანტი „მაიკრსოფტი“, სავარაუდოდ, თავისი ახალი ოპერაციული სისტემის „ვინდოუს 8“-ის განახლებულ ვერსიას ზაფხულში შემოგვთავაზებს.**

ახალი ვერსიის პრეზენტაციაზე, რომელიც სან ფრანცისკოში 26-28 ივნისს არის დაგეგმილი, კომპანია სამომავლო მიზნებსაც განიხილავს. ამის შესახებ „მაიკრსოფტის“ ერთ-ერთმა ვიცე პრეზიდენტმა განაცხადა. ამას ისიც ადასტურებს, რომ „მაიკრსოფტის“ კორპორატიულმა ვიცე პრეზიდენტმა სტივ გუგენჰაიმერმა ბლოგ ზე ჩანაწერი შექმნა სათაურით: „ჩვენ გაგიზიარებთ განახლებებს და ვისაუბრებთ „ვინდოუსის“ სამომავლო გეგმებზე“.

კომპანიამ „ვინდოუს 8“ კონფერენციაზე 2011 წლის 11 სექტემბერს წარმოადგინა.

## ამერიკელმა საკუთარ ძაღლს სვირინგი გაუკეთა



**ჩრდილოეთ კაროლინის მკვიდრმა ერნესტო როდრიგესმა საკუთარი ძაღლს სვირინგი გაუკეთა. სვირინგი ოთხი წლის ამერიკულ ბულდოგ ჰერცოგინიას მუცელზე დაახატეს. ცხოველის პატრონის თქმით, ჰერცოგინიას ეძინა, ამიტომ ტკივილი არ უგრძვნია.**

როდრიგესმა განაცხადა, რომ სვირინგი მის შინაურ ცხოველს სხვებისგან გამოარჩევს. ამერიკელი მეორე ძაღლის, ჰერცოგის გალამაზებასაც აპირებს. ერნესტოს თქმით, სვირინგი ძაღლს „ყოველი შემთხვევისთვის“ გაუკეთა — თუ ის დაიკარგება, მისი იდენტიფიცირება მარტივი იქნება.

ჰერცოგინიას სვირინგის ფოტოები როდრიგესმა „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა. ინტერნეტ-მომხმარებელთა უმრავლესობა ძაღლის პატრონს აკრიტიკებს და ცხოველის მიმართ სასტიკ მოპყრობაში ადანაშაულებს. თუმცა თავად როდრიგესი სვირინგს სისასტიკის გამოვლინებად არ მიიჩნევს. მისი აზრით, სვირინგი, ძაღლზეც კი, ხელოვნებაა.

## გაუპატიურების საწინააღმდეგო საცვლები

**ინდოელმა სტუდენტებმა ქალის სპეციალური ქვედა საცვლები შექმნეს, რომელიც მათ გაუპატიურებისგან დაიცავს.**

საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტების მიერ შექმნილი ქვედა საცვალი, რომელსაც SHE (Society Harnessing Equipment) ჰქვია, ქალბატონებს დაეხმარება თავდამსხმელის გაუვნებელყოფაში და პოლიციის გამოძახებაში.

პროექტის ერთ-ერთი ავტორის განცხადებით, ინოვაციური საცვალი აღჭურვილია GPS და GSM მოწყობილობით, ასევე ელექტროშოკის გამომწვევი სენსორებით, რომელსაც 3 800 კილოვატი დენის გატარება შეუძლია. GPS მოწყობილობა კი მსხვერპლის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას გადასცემს.

**„ადამიანი, რომელიც ქალბატონს შეაწუხებს, მაშინვე მიიღებს ელექტროშოკს. საცვალი აღჭურვილია გლობალური ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი სისტემით (GPS) და ფიჭური სტრუქტურის მქონე მობილური სატელეფონო სისტემით (GSM), ასევე სენსორებით, რომლებიც ელექტროშოკს გამოიწვევს და განგაშის სიგნალით, რომელიც მსხვერპლის მშობლებსა და პოლიციას გაეგზავნება. ელექტროშოკი 82 დარტყმას მიაყენებს თავდამსხმელს, რაც საბოლოოდ ქალბატონს მისცემს შესაძლებლობას, გათავისუფლდეს მისგან“,** — აღნიშნავს ინოვაციური საცვლის ერთ-ერთი გამომგონებელი მანიშა მოჰანი.

საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტებმა, რომელთაგან ორი ქალბატონია, ინოვაციური გამოგონებისთვის 2013 წლის ტექნოლოგიურ კონკურსზე მთავარი პრიზი აიღეს და მალე მათი პროდუქტი ინდოეთის მაღაზიის დახლებზეც გამოჩნდება.

ინდოეთში საჯარო ადგილებში გაუპატიურების შემთხვევები ბოლო ხანებში საგრძნობლად გაიზარდა. გასული წლის დეკემბერში 23 წლის გოგონას ავტობუსში გაუპატიურებამ ათასობით ინდოელი გამოიყვანა ქუჩაში. ისინი ხელისუფლებისგან გაუპატიურების შესახებ კანონის გამკაცრებას და დამნაშავეთა მკაცრად დასჯას მოითხოვდნენ. აქციების შედეგად ინდოეთის პრეზიდენტმა დამნაშავეების სიკვდილით დასჯაც დაუშვა. თუმცა, ამის მიუხედავად, საჯარო ადგილებში გაუპატიურებები კვლავ გრძელდება. გასულ თვეს ინდოელმა თავდამსხმელებმა უცხოელი ტურისტებიც გააუპატიურეს. ამ ინციდენტების შემდეგ ინდოეთში ტურისტთა რიცხვი 35%-ით შემცირდა.




## ქალმა საკუთარი ფეხმძიმობის შესახებ მშობიარობამდე 7 საათით ადრე შეიტყო

**22 წლის ამერიკელმა ჰანა ფრუდამ საკუთარი ფეხმძიმობის შესახებ მშობიარობამდე მხოლოდ 7 საათით ადრე შეიტყო. ჰანას მუცელი ერთი კვირის განმავლობაში სტკიოდა. საავადმყოფოში რამდენიმე ანალიზის ჩაბარების შემდეგ მას ორსულობის ტესტიც ჩაუტარეს. შედეგი შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. ქალი გაოგნებული დარჩა, როდესაც ექიმებმა უთხრეს, რომ 35 კვირის ორსული იყო.**

ექთნებმა ჰანას მეგობარ მამაკაცს, 26 წლის კრის ბენტს დაურეკეს და საავადმყოფოში მისვლა სთხოვეს, თუმცა მიზეზი არ დაუსახელებიათ.

**„როდესაც ექიმებმა მითხრეს, რომ ორსულობის ტესტი სტანდარტული პროცედურაა ქალებისთვის, რომლებიც მუცლის ტკივილს უჩივიან, არც ავღელვებულვარ, ისე დავთანხმდი. შედეგმა გამაოგნა. ამ ამბით კრისიც გაოცებული დარჩა. ეს ძალიან უცნაურია“,** — განაცხადა ჰანამ.

წყვილს ქალიშვილი შეეძინა. ახალშობილი სრულიად ჯანმრთელია. მას ჯესიკა დაარქვეს.

**„შესანიშნავი გოგონაა. არ გვაღვიძებს ღამით. ჩემი ცხოვრება რამდენიმე დღეში რადიკალურად შეიცვალა. ახლა ბავშვის აღზრდა მიწევს. ერთი სული გვაქვს, როდის გაიზრდება“,** — ამბობს ბედნიერი დედა.





## ისრაელმა აშშ-ს ებრაელების რაოდენობით პირველად გაუსწრო

**2013 წლის დასაწყისში ისრაელი გახდა ქვეყანა, რომელშიც უფრო მეტი ებრაელი ცხოვრობს, ვიდრე აშშ-ში.**

ისრაელში მცხოვრები ებრაელების საერთო რაოდენობამ 6 მილიონ ადამიანს გადააჭარბა, მაშინ, როცა აშშ-ში ხუთ-ნახევარ მილიონზე მეტი ცხოვრობს, აქედან ორი მილიონი — ქალაქ ნიუ იორკში და მის შემოგარენში.

**იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ინფორმაციით, სულ მსოფლიოში 13,8 მილიონი ებრაელია, ამასთან, მათი რაოდენობა უცხოეთში თანდათანობით მცირდება.**

სულ ისრაელში დაახლოებით 7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. რაოდენობით მოსახლეობის მეორე ჯგუფი არაბები (1,6 მილიონი) არიან, მესამე კი — აღმოსავლური წარმოშობის ქრისტიანები. დიდი ხნის განმავლობაში აშშ ისრაელს ებრაელების რაოდენობით უსწრებდა, მაგრამ ემიგრანტების მუდმივმა ნაკადმა და მაღალმა შობადობამ სურათი შეცვალა.

## მსოფლიოში ყველაზე დიდი კურდღელი

მსოფლიოში ყველაზე მსუქანი კურდღელი, სახელად რალფი 25 კილოს იწონის. ის ინგლისში, სასექსის საგრაფოში ცხოვრობს. რალფის პატრონი პოულინ გრანტი ამაყობს, რომ მისი პატარა კურდღელი 3 წლის ბავშვის წონისაა.

**„ის მსუქანია, მაგრამ ჯანმრთელი. ერთადერთი პრობლემა იმ ადამიანების გაცხოველებული ინტერესია, რომლებიც მის გარშემო იკრიბებიან და აკვირდებიან. გადავწყვიტე, დიეტა დავუნიშნო, მაგრამ დიდად არაფერი შეცვლილა. კილოგრამები არ აკლდება“,** — ამბობს პოულინი.

როგორც ჩანს, კურდღელს ჭარბი წონისადმი მიდრეკილება მემკვიდრეობით ერგო. დედამისი ემიც ასეთი მსუქანი იყო და გინესის რეკორდების წიგნში „მსოფლიოში ყველაზე დიდი კურდღლის“ სტატუსით შევიდა.

რალფის დაპურება ოჯახს კვირაში 50 გირვანქა სტერლინგი უჯდება. მისი დიეტა კომბოსტოს, კიტრისა და სტაფილოს მცირე ულუფისგან შედგება.

გრანტების ოჯახში ყოველთვის ბევრი ხალხია. სტუმრები უჩვეულო ზომის ცხოველს აკვირდებიან და მასთან სამახსოვრო ფოტოსურათებსაც იღებენ.



ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ჯონ როკფელერი (1839-1937)

**ქონება: 336 მილიარდი დოლარი**
**ეროვნება: ამერიკელი**

1870 წელს, 31 წლის ასაკში, როკფელერმა დააარსა ნავთობკომპანია – „Standart Oil". მან, აგრეთვე, შეიძინა ამერიკის ნავთობმომპოვებელი საწარმოების უმეტესობა. როკფელერი ამერიკის ნავთობის 90%-ს აკონტროლებდა.

# ყველა დროის 10 ყველაზე მდიდარი ადამიანი



**როგორ მოვძებნით ყველაზე მდიდარს სხვადასხვა დროში, თუ სხვადასხვა დროში ფულს ერთნაირი ღირებულება არ აქვს?**
**საქმე ის არის, რომ ჩამონათვალში სხვადასხვა დროის ქონების ღირებულება ნაანგარიშევია დღევანდელი ამერიკული დოლარის მსყიდველობითი უნარით, რაც მოხერხდა ამერიკის შეერთებული შტატების შრომითი დეპარტამენტის სტატისტიკაზე დაყრდნობით და სხვადასხვა ისტორიკოსებისა თუ ეკონომისტების კვლევების საფუძველზე. შედეგად მსოფლიომ უკვე იცის, თუ ვინ იყო ყველა დროის 10 ყველაზე მდიდარი ადამიანი.**



## სტეფენ ჯირარდი (1750-1831)

**ეროვნება: ამერიკელი**
**ქონება: 105 მილიარდი დოლარი**

ფრანგული წარმოშობის სტეფენ ჯირარდი თავიდან საზღვაო ვაჭრობას ეწეოდა, შემდეგ საბანკო ბიზნესზე გადავიდა, დააარსა რა მისი სახელობის ბანკი – „Girards Bank".



## ვილიამ დე ვორენი (...-1088)

**ქონება: 134 მილიარდი დოლარი**
**ეროვნება: ნორმანდიელი**

ვილიამ დე ვორენმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჰასტინგსის ბრძოლაში, რის შემდეგაც მას სასექსის, ნორსფოლკისა და იორკშაირის მიწები გადაეცა. ის სარეის პირველი გრაფი იყო. დე ვორენი დაიღუპა 1088 წლის ცნობილი აჯანყებისას.



## კორნელიუს ვანდერბილტი (1794-1877)

**ქონება: 185 მილიარდი დოლარი**
**ეროვნება: ამერიკელი**

1862 წელს კორნელიუსმა დაიწყო სარკინიგზო ხაზების შეძენა. 70 წელს გადაცილებულს ხელთ ეპყრა ამერიკის რკინიგზის იმპერია. იგი ცნობილი იყო, როგორც ცივსისხლიანი მეწარმე.



## რიჩარდ ფიტზალანი (1306-1376)

**ეროვნება: ინგლისელი**
**ქონება: 108 მილიარდი დოლარი**

არუნდელის გრაფი სამხედრო მხედართმთავარი იყო. იგი იბრძოდა შოტლანდიის დამოუკიდებლობისთვის ომში და ასევე ცნობილ ასწლოვან ომში. მისი ქონება წარმატებით შეინარჩუნეს მისმა შვილებმაც, თუმცა ჩვენ ამ გვარს მხოლოდ ერთხელ ვახსენებთ სიაში.



## ბილ გეიტსი (1955-...)

**ქონება: 136 მილიარდი დოლარი**
**ეროვნება: ამერიკელი**

1975 წელს პოლ ალენთან ერთად დაარსა Microsoft-ი, რისი მეშვეობითაც მსოფლიოს ციფრული სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრო.




## უილიამ ნაბუშარი (1028-1087)

**ქონება: 209 მილიარდი დოლარი**
**ეროვნება: ნორმანდიელი**

ცნობილია, როგორც უილიამ ნაბუშარი, 1066 წელს იგი მეთაურობდა უკანასკნელ წარმატებულ შეტევას ინგლისზე, შემდეგ კი მონარქი გახდა. გვირგვინის მოპოვებასთან ერთად იგი ინგლისში ყველას და ყველაფერს დაეუფლა.



## ჯონ ჯეიკობ ასტორი (1763-1848)

**ქონება: 121 მილიარდი დოლარი**
**ეროვნება: გერმანელ-ამერიკელი**

ჯონ ჯეიკობ ასტორი ბეწვეულობით მოვაჭრე იყო და ბაზარზე ამ მიმართულებით სრულ მონოპოლიას ფლობდა. დროთა განმავლობაში მან ვაჭრობასთან ერთად უძრავ ქონებაში ინვესტირებაც დაიწყო, რამაც კიდევ უფრო გაამდიდრა.



## ალან რუფუსი (1040-1089)

**ქონება: 149 მილიარდი დოლარი**
**ეროვნება: ნორმანდიელი**

ალან რუფუსი უილიამ დამპყრობელს შეუერთდა ბრიტანეთზე შეტევისას მეთერთმეტე საუკუნეში. მეტსახელად „წითური" რუფუსი 250 000 აკრ მიწას ფლობდა იორკშირიდან ლონდონამდე. იგი ასევე ფლობდა რიჩმონდის ციხესიმაგრეს, რომელიც ყველაზე კომფორტული სასახლე იყო იმ ჟამს.



## ენდრიუ კარნეგი (1835-1919)

**ქონება: 309 მილიარდი დოლარი**
**ეროვნება: შოტლანდიელ-ამერიკელი**

ენდრიუ კარნეგმა ქარხანაში უბრალო მუშად დაიწყო მუშაობა. მალე ის ხარჯთაღრიცხვის მწარმოებელი გახდა მისსავე კომპანიაში. ამას მოჰყვა მისი სახელობის ფოლადის მომპოვებელი კომპანიის დაარსება. შემდგომ მისი კომპანია გაერთიანდა ამერიკის სხვა ფოლადის კომპანიებთან, რათა შეექმნა „U.S. Steel". სიცოცხლის განმავლობაში მან მისივე სახელობის უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, კორპორაცია, ფონდი და მუზეუმი დააარსა.

# ლექსიდან ლექსში გადაგორებული ფორთოხლისფერი მზის ნათება

**წიგნი, რომელსაც ამ დღეებში კვლავ დავეწაფე, გენო კალანდიას ლექსთა კრებულია — „ფესვები“.**



შესავალ წერილში დიდი მუხრან მაჭავარიანი წერდა იმაზე, რომ აფხაზეთის ტრაგედიამ „ჯეროვანი ასახვა ჰპოვა“ (ასეც იყო მოსალოდნელი) გენო კალანდიას პოეზიაში:

„აფხაზეთის ომში ახალგაზრდა ქალს ერთადერთი ვაჟი თვალწინ მოუკლეს... დედა თმით ხეზე დაკიდეს... და რამდენიმე წუთით ადრე დახვრეტილი უცნობი მამაკაცის ჯერ კიდევ სისხლიანი თვალები გადააყლაპეს.

ეს ამაზრზენი სიტყვები უძღვის ეპიგრაფად გენო კალანდიას სულის შემძვრელ ლექსს „ანტიგონე“:

**ვისი თვალები გადაყლაპე,**
**დაო ბედკრულო?**

**ქურდის,**
**ყაჩაღის,**
**მამათმავლის,**
**უკუმსტოვარის,**
**ვისი თვალებით გეწვის გულ-გვამი?**

ეს შესავალი წერილი 2005 წელსაა დაწერილი და, მიაქციეთ ყურადღება, როგორ სადღეისო პრობლემად ჟღერს, როცა „განათლებული ლიბერალები“ ცდილობენ, გადააყლაპონ საქართველოს მამათმავლობა, როგორც „ევროპულ ღირებულებათა“ გამარჯვება ეროვნულ ტრადიციებსა და მართლმადიდებლობაზე.

მუხრან მაჭავარიანი განაგრძობს:

„...ახლა, როცა საქართველოში ასეთი აღზევებაა ლოტოფაგთან! როცა გარეწარნი ყოველნაირად ცდილობენ: ქართველებს დაავიწყონ წარსული! დაავიწყონ სამშობლო! დაავიწყონ დედა! დაავიწყონ მამა! გადაახნევინონ წინაპართა საფლავნი... განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს გენო კალანდიას ირონიული ლექსი „ოლიფანტე“:

**ნუ გეშინია, ძმაო ოლიფანტე,**
**ნუ გეშინია,**
**უხვად გვექნება წლეულს ლოტოსი...**
**მიირთვი, მიირთვი მაისის ლოტოსი...**
**მორჩილად დახარე ეგ თავი მონის...**
**თხუნელასავით სარდაფში ჩადი...**
**წარსული დაივიწყე...**

მიხეილ სააკაშვილს თავის დროზე მუხრანის ეს წერილი რომ წაეკითხა, ვერ გაბედავდა დიდ პოეტთან სტუმრად მისვლას და ქართული ლექსის თავის სანიმუშო უცოდინარობას ხალხის ცინიზმის ხელიხელსაგოგმანებელ მარგალიტად არ აქცევდა.

...ხოლო ჩვენი თანამედროვე ოლიფანტეები ასე გაბედულად ვერ აპარპაშდებოდნენ კოაბიტაციის ქოლგის ქვეშ...

გენო კალანდიას შედევრებს შორის ერთი ლექსი ისეთია, რომელიც, შეიძლება ითქვას, იმ სხივთა კონაა, რომელიც მთელ მის პოეზიაშია გაბნეული, და, ამასთან, მისი ჭეშმარიტი ქართველობის, მისი მოქალაქეობრივი პოზიციის პოეტური ამონათებაა.

**ფორთოხლისფერი ლექსი მესხეთს**

**ო, ძლიერებავ ძალთა,**
**ო, ფეიქარო ხელრთვის,**
**ჯაჭვის პერანგით ვიცნობ**
**მკერდნაიარევ ხერთვისს.**

**ვაზის ცრემლებით ვიცნობ**
**ყველა წმინდანის მაღლობს,**
**იქ, რუსთაველის ქვემოთ, მგონი,**
**თმოგველი სახლობს.**

**იქ, წმინდა ნინოს გვერდით**
**მეფის სახლეულს ვხედავ,**
**მარცხნით თამარის მთაა,**
**მაღლით — საუფლო ზესთა.**

**გამოქარული ქარით,**
**გამობელტილი წვიმით**
**გზას ბილიკ-ბილიკ მისდევს**
**მწვანე ლაშქარი წიწვის.**

**როქის სპასავით ზანტად**
**ხევს ჩაჰყოლია დაბლა**
**ნისლი. ღრუბელი. ნისლი.**
**ღრუბლის მდინარეც, ალბათ.**

**ოდეს გავხედავ ჭმუნვით**
**გრემის მეშვიდე პორტალს,**
**ო, როგორ მოჰგავს წუნდა**
**ცის საყვავილე ქოთანს.**

**როგორ გადარჩა, როგორ?**
**ოქრო, ამდენი ვერცხლი?**
**ვით ვერ წარგტაცეს, ღმერთო,**
**ეს ღვთაებრივი ცეცხლი?!**

**ო, გულისგული მტკივა,**
**ცრემლი მისველებს თვალებს,**
**ოდეს ვიგონებ მტკვართან ბზიფს და**
**ბიჭვინთის მთვარეს.**

**ო, მომიტევე შეშლილს,**
**ო, მაპატიე დევნილს,**
**თუ მოგეფერე წუხელ**
**ფორთოხლისფერი ლექსით.**

სწორედ ეს პოეტური სახე — „ფორთოხლისფერი ლექსი“, ფორთოხლისფერი პატარა მზე დაგორავს გენო კალანდიას ლექსიდან ლექსში, თუნდაც როგორც „ფორთოხლის ბაღით გადაფრენილი ფორთოხლის ჩიტი“, რომელიც „ღრუბელთა ზედა, ცათა შინა დაიდებს ბინას“. აგიტაცებს, აჰყვები, მაგრამ „ვაითუ, გასკდეს გული ქართლის ბროწეულივით“...

ამიტომ ვიჩქარი დედამიწაზე დაბრუნებას და გაუწყებთ, რომ გასულ კვირაში **გენო კალანდიას თავზე დაედგა ქართული პოეზიის გვირგვინი — მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.**

**გენო კალანდია შეუერთდა ამ დიდებული პრემიით ბეჭედდასმულთა ბრწყინვალე კოჰორტას.**

**ბატონ გენოს, „საქართველო და მსოფლიოს“ დიდ მეგობარს, შესანიშნავ პოეტსა და თავდადებულ საზოგადო მოღვაწეს, გულწრფელად ულოცავს ამ ჯილდოს ჩვენი გაზეთის უკლებლივ ყველა თანამშრომელი!**

რედაქციის დავალებით,

**არმაზ სანებლიძე**

# წარწერა ბომბებზე: «გილოცავთ აღდგომას»



1999 წელს ნატოს ავიაციამ უმოწყალოდ დაბომბა სერბეთის ტერიტორია. დამიზნებით ესროდნენ მართლმადიდებლურ ძეგლებს. ბომბებს წარწერა ჰქონდა: „გილოცავთ აღდგომას“.

კოსოვო მართლმადიდებლურ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე წმინდა მიწად ითვლებოდა, რადგანაც ამ პატარა მხარეში მდებარეობდა 1400-მდე მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტერი, მაგრამ დღეს ყველაფერი მიწასთანაა გასწორებული, რაც კი ქრისტიანობასთან ასოცირდებოდა, და ეს გააკეთა სწორედ ნატომ, ალბანელი ექსტრემისტების წახალისებით და უშუალო მონაწილეობით.


# მალამო, რომელიც ნამდვილად გიშველით



**ნანა პაიჭაძე სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლ-სახსრის ართროზს, დისკოზს, სახსრის ანთებას, ჰაიმორიტს, კიდურების სიცივეს, დაბუჟებას, ფეხის, ტერფის, ქუსლის ტკივილს.**

**გიორგი გოგიჩაიშვილი,** ცნობილი ტელეწამყვანი: მაწუხებდა კისრის მალების ოსტეოქონდროზი, საშინელ ტკივილებს ვგრძნობდი კისრის მხრების და მარჯვენა ხელის არეში. ქ-ნ ნანას მალამოს წასმიდან მეორე დღესვე მომეხსნა ტკივილი, ერთი კურსის შემდეგ კი ტკივილი საერთოდ გამიქრა. დიდ მადლობას ვუხდი არაჩვეულებრივ მკურნალს.

**ტელ. 599-54-64-81, 593-00-08-26, 290-51-89**

# სიმაღლეში მომატება!



**გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?**

**დაიწყეთ ახლავე!**

574 47 39 04

0790 30 94 35

# გახდომა უმადობით

**ნუნუ ღლიღვაშვილს** აქვს უნიკალური ნაყენი, რომელმაც დროის მკაცრ გამოცდებს გაუძლო. ის საუკეთესო საშუალებაა წონის კორექციისთვის. მისი დახმარებით ხდება უსაფრთხოდ გახდომა უმადობით.

ამასთანავე, ნაყენი **წმენდს ორგანიზმს ბიოლოგიური შხამების, ტოქსინებისა და ნალექისგან, ასუფთავებს სადინარებს, იხსნება კვანძები, განიწოვება უჯრედები, ემორჩილება კანის სერიოზული დაავადებები, აგრეთვე, ქალური და მამაკაცური პრობლემები, ანთებითი პროცესები (მომატებული დიურეზი), შეშუპებები თავიდანვე ემორჩილება. დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, რეგულირდება ნივთიერებათა ცვლა.**

ნაყენი მდიდარია ვიტამინებით, რკინის, კალიუმის შემადგენლობით. მასში შემავალი ფოსფორი აუმჯობესებს ტვინის მუშაობას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, შველის კოლიტებს, კუჭის პრობლემებს. ნაყენში შემავალი კაროტინოიდები ძლიერი ანტიმჟავებია და ხელს უწყობს ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკას.

**ტელ. 293-47-51, 599-25-11-58, ნუნუ**


# განცხადება

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც ლიბერთი ბანკში გახსნილია ანგარიში: GE36LBO111199431911000 (პ. ა. ლიანა გახარიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოს ნებისმიერი თანხა.

დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599 728 591


საქართველო და მსოფლიო — ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894